თეიმურაზ ბერიძე

...და ანმოცვალა თბილისი

»ნაკადული«
თბილისი
1977

9(ს41)
9+902.7(47.922)
ბ53

რომელ ქართველს არ სმენია ლამაზი ლეგენდა სოფელ ტფილისის ქალაქად გადაქცევისა. მშვილდშემართული ვახტანგ გორგასალი და ზეცაში აჭრილი ხოხობი წარმოესახება ამ ლეგენდის მოსმენისას, თუ წაკითხვისას დიდსა და პატარას. საუკუნეები კი გამოგვძახიან: ვახტანგის ძემ, დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ"; VI საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერებულმა ტფილისმა მცხეთაც უკან ჩამოიტოვაო.

მერე კი ვინღა არ შემოესია, ვინღამ არ წვა და ანგრია. საბოლოოდ აღა-მაჰმად-ხანმა გადასწვა და ააოხრა იგი.

ეს ისტორიაა, ისტორია ქალაქისა, რომელმაც ყველაფერი ნახა, აყვავებაც და დაქცევაც.

დღეს კი ჭაღარა თბილისი ძველთაძველ საზღვრებში ვეღარ ეტევა, სულ თავისად უნდა აქციოს გარეუბნები თუ მოშორებული სოფლები: ვეძისი და ავჭალა, დიღომი და საბურთალო, კრწანისი და გლდანი.

ეს წიგნიც იმიტომ დაიწერა, მკითხველს აჩვენოს, რა იყო და როგორ იზრდებოდა ქალაქი თბილისი; რატომ ჰქვია თბილისის ამა თუ იმ უბანს, ან ჭუჩას ესა თუ ის სახელი, როგორ ცხოვრობდნენ, რას საქმიანობდნენ ძველი თბილისელები, როგორ აშენებდნენ და ამშვენებდნენ თავიანთ დედაქალაქს.

მაშ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დედაქალაქში, ძვირფასო მკითხველო! თქვენთვის ღიაა მისი ყველა კარი.

© „ნაკადული", 1977



შვიათია მსოფლიოში ძველი ქალაქი, რომელსაც იმდენი ნგრევა, რბევა და აწიოკება განეცადოს, რამდენიც თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თბილისმა განიცადა.

თბილისი ქართულ წერილობით წყაროებში პირველად IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება.

IV საუკუნის მეორე ნახევარში, ვარაზ-ბაკურის მეფობის დროს, სპარსეთმა დაიმორჩილა ამიერკავკასიის სახელმწიფოები სომხეთი და ქართლი.

სპარსეთის შაჰმა ქართლში ქვეყნის გამგებლად თავისი მოხელე, პიტიახშად წოდებული ქრამ ხუარ ბორზარდი დანიშნა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს: „და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა“.

სპარსეთის პიტიახში თბილისში, მის ციხეში დაჯდა. თბილისი სპარსი მოხელის — პიტიახშის რეზიდენციად იქცა. ამ დროს თბილისი უკვე დასახლებული პუნქტი იყო, ჰქონდა თავისი ციხესიმაგრეც. დამპყრობლებმა იგი გაამაგრეს და ქართველი მეფის რეზიდენციას, ქართლის დედაქალაქ მცხეთას დაუპირისპირეს. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი გადმოგვცემს: „და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით თბილისი მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. იგი სამხრეთიდან კეტავდა მტკვრის ხეობას და კონტროლს უწევდა აქ გამავალ სავაჭრო

გზას. სწორედ ამან განაპირობა სპარსელების მიერ თბილისის წინ წამოწევა მცხეთის საპირისპიროდ.

IV საუკუნის რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ შედგენილ საგზაო რუკაზე, ეგრეთ წოდებულ, „პეუტინგერის ტაბულაზე", სხვა დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს შორის, რომელზეც გადიოდა სავაჭრო გზა, დატანილია თბილისიც.

IX საუკუნის ძეგლი „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და XI საუკუნის მემატიანეები ლეონტი მროველი და ჯუანშერი თავიანთ ნაწარმოებებში ადრეული ხანის თბილისს ყოველთვის ციხესთან ერთად იხსენიებენ. მაგრამ ამ მემატიანეთა მონათხრობი ერთმანეთისაგან განსხვავდება, პირველი თბილისის ციხეს რაიმე განსაკუთრებული საკუთარი სახელის გარეშე ახსენებს — „ციხე ტფილისისა", მეორე კი თბილისის ციხეს „კალას" უწოდებს.

სპარსეთმა იმხანად თავის სანუკვარ ოცნებას ვერ მიაღწია და ქართლი საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა, რადგან ამიერკავკასიის ხალხებზე ბატონობის პრეტენზიას სპარსელების გარდა ბერძნებიც აცხადებდნენ. ამ ორი დამპყრობლის ინტერესები ერთმანეთს სწორედ აქ ეჯახებოდნენ. ისინი ქართლის სამეფოში თავიანთი გავლენის გასავრცელებლად სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. მეფეთა მოსაქცთამად და მათი გულის მოსაგებად არ იშურებდნენ ძვირფას საჩუქრებს, მაგრამ როცა ამით ვერაფერს გააწყობდნენ, ძალას ხმარობდნენ. V საუკუნის მეორე ნახევარში, როცა სპარსეთი ქართლის სამეფოს ებრძოდა და მისი ლაშქარი თბილისს იყო მომდგარი, ბერძნებმა საქართველოს ერთ-ერთი მხარის, ჯავახეთის დალაშქვრა იწყეს. ამის გამო სპარსეთი იძულებული გახდა, ქართლის მეფეს ვახტანგ გორგასალს დაზავებოდა. მაგრამ, ჯუანშერის სიტყვით, ვინაიდან „ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოხრებული იყო", მოწინააღმდეგე მეფეთა — ვახტანგ გორგასლისა და ხოსროს პაემანი თბილისის მახლობლად, კალას ველზე შემდგარა. მოლაპარაკების შემდეგ ვახტანგმა სპარსთა მეფე თბილისში მოიწვია და დიდი ძღვენი მიართვა. ვახტანგ გორგასლის დიპლომატიური ჩარევის შედეგად სპარსთა მეფე და ბერძენთა კეისარი დაზავდნენ, ქართველთა მეფე კი სპარსელებმა ინდოეთში გაიწვიეს სალაშქროდ.

თბილისის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდებოდა. ახლა მის

აღშენებას უკვე ქართლის მეფე აქცევს დიდ ყურადღებას. ჯუანშერი გადმოგვცემს: „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“.

ქალაქის დიდი სამშენებლო საქმეების განხორციელება ვახტანგ გორგასალს არ დასცალდა. იგი სპარსელებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. ვახტანგ გორგასლის დაწყებული საქმე, მამის ანდერძისამებრ, განაგრძო მისმა შვილმა დაჩიმ: მან „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“. ამიერიდან ქართლის მეფის ტახტის ადგილსამყოფელი თბილისია და იგი ტერიტორიულად სულ უფრო იზრდება. შესაბამისად მატულობს მოსახლეობაც. ქართლის ახალი დედაქალაქისაკენ მოისწრაფიან ქართველი დიდგვარიანი აზნაურნი და უაზნონი — მდაბიო ერი. საფახტო ქალაქი თავისკენ იზიდავს მშენებლებს (ხუროებს) და სხვადასხვა დარგის ხელოსნებს (მეთუნეებს, ოქრომჭედლებს, მელითონეებს და სხვა). დიდი მოთხოვნილება გაჩნდა მუშახელზე და თბილისის ბაზრები აივსო გასაყიდი მონებით. მონებთან ერთად ბაზარში უხვად იყო საიუველირო ნაკეთობები და უცხოური საქონელი, სანოვაგე და სხვა. ვაჭრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კარგი საქონლის ჩამოტანაში.

VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში თბილისი ქართლის პირველი ქალაქია. მასთან „ბრძოლაში “დამარცხდა ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა. გუარამ კურაპალატის დროს დაიწყო თბილისში სიონის კათედრალური ტაძრის აგება, ბრომლის მშენებლობა დამთავრდა ადარნასე ერისმთავრის დროს: „...განასრულეს აღშენება ტფილისის სიონისაო“, — ამბობს მემატიანე. სიონთან ახლოს დგას მეორე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი, აწინდელი ანჩისხატის ეკლესია.

სტაფანოზ ერისმთავრის დროს სრულდება მცხეთა — თბილისის „ორთაბრძოლა“. ქალაქი მცხეთა თავისი დამცველი ციხით — არმაზით უკვე დამცრობილია, ქალაქი თბილისი კი — თავისი დამცველი დედა ციხით — კალათი აშენებული, ამაღლებული და გაძლიერებული — „ხოლო ამის სტეფანოზის-ზე მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოხრდებოდა და კალა აშენდებოდა“, — წერს ჯუანშერი.

VI საუკუნეში, სპარსეთის მიერ ქართლში საშეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, თბილისი ქართლის ერისმთავრის სამყოფელ ქალაქად იქცა.

თბილისი წარმოიშვა ძველ და ახალ ფორმაციათა ჭიდილის, მონათმფლობელობისა და ახლად წარმოშობილი ფეოდალური წესწყობილების ბრძოლის ფონზე ორი პუნქტის, თვით თბილისისა და კალის შერწყმით, გაერთიანებით.

პირველი, ვინც ამ პუნქტთა — ტფილისი, კალა — ლოკალიზაციის, ადგილის შემოფარგვლის საკითხს შეეხო, იყო XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი. „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკუარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოეთ-აღმოსავლით, ტფილისს—ჩრდილოთ და ისნს—დასავლეთით და სამხრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელი გამოსდის წავკისისა და კოჟრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს", — ამბობს იგი.

ტფილისსა და კალას ერთმანეთისაგან ყოფდა სოლოლაკის წყალი, შემდეგი დროის დაბახანა (წავკისის წყალი). ტფილისისა და კალას ძველ სახელებს ისევ ვახუშტი ბაგრატიონი უსადაგებს გვიანი ხანის სახელებს და წერს: „ხოლო უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას—ტფილისსა, ტფილისს — სეიდაბადს და ისნს — ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისისა". ისტორიკოსი ადგილთა მოგვიანო ხანის, თავის თანადროულ სახელთა მინიშნებით პუნქტების ადგილმდებარეობას უფრო თვალსაჩინოს ხდის.

ძველი ტფილისი, შემდეგდროინდელი სეიდაბადის უბანი, გაშენებული ყოფილა გოგირდოვანი აბანოების ტერიტორიაზე, კალა კი წავკისის წყლის მარცხენა ნაპირას მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა. იგი ადგილის გეოგრაფიული სახელია, რომელიც შემდეგ აქ აგებულმა ციხემაც მიიღო.

სიტყვა „კალას" წარმომავლობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. არის მოსაზრება, რომ კალა არაბული სიტყვაა და ციხეს ნიშნავს. მაგრამ კალა ქვას, კლდესაც ნიშნავს — თბილისის ციხე ხომ კლდოვან ადგილზეა აგებული. საგულისხმოა, რომ, როცა სიტყვა

ქალა თბილისის ადგილთა სახელებიდან გაქრა, „ქალას ციხის“ ფერდზე შეფენილ სამოსახლოს „ქლდისუბანი“ ეწოდებოდა.

ადგილის სახელი „ქალა“ ციხესიმაგრესაც არ შერჩა საბოლოოდ. წერილობით წყაროებში თბილისის ციხეს უკვე ნარიყალას უწოდებდნენ.

VI—IX საუკუნეებში თბილისი მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქია, რომელსაც აქვს თავისი დედა ციხე „ქალა“ და სამი მხრიდან არის შემოზღუდული. სამხრეთ-დასავლეთიდან კედელი დედა ციხიდან წავკისის წყალს ჩამოუყვება მარცხენა ნაპირზე და მდინარე მტკვრამდე აღწევს. ჩრდილოეთიდან კედელი ჩამოზღუდულია, დაახლოებით, დღევანდელი დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩათა სიახლოვეს, სოლოლაკის ხევის მარჯვენა ნაპირზე და აღწევს მტკვრამდე. აღმოსავლეთით კი მას მდინარე მტკვარი ესაზღვრებოდა. ზღუდის შიგნით აღმართული იყო სიონისა და ზარის (აწინდელი ანჩისხატის) ეკლესიები, იდგა მეფეთა, ქვეყნის გამგებელთა და დიდებულთა სასახლეები და სხვა ნაგებობები. კალას ციხის მოპირდაპირე მხარეს, წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, თაბორის მთაზე იდგა ამავე სახელწოდების ციხე, რომელიც ქალაქს სამხრეთიდან იცავდა.

ქალაქის კიდევ ერთი ციხე იდგა მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. იგი ქალაქისაკენ ჩრდილოეთიდან მომავალ გზას იცავდა. ეს იყო სოღდებილის, შემდეგ ისნის, უფრო მოგვიანებით, მეტეხის ციხე. მტკვრის მარცხენა ნაპირზეა ქალაქის სასაფლაო — საგოდებელი — და საპყრობილე — სადილეგო.

ძველი ქალაქის ტერიტორია — აბანოს უბანი, ბოტანიკური ბაღი, კალას ციხე და თაბორის მთის კალთები — არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი. ამ ადგილებში შემთხვევით აღმოჩენილმა ნუმიზმატიკურმა (მონეტები), თუ კერამიკულმა (თიხის ნაწარმი) მასალამ დაადგინა, რომ იგი სამოსახლოდ ბევრად უფრო ადრე ყოფილა გამოყენებული, ვიდრე წერილობით წყაროებში მოიხსენიება.

ქალაქის სანახებში მდებარე სოფლების (რომლებიც დღეს უკვე თბილისის ტერიტორიაში შემოდიან — ნავთლუღი, დიდუბე, ღრმაღელე, ავჭალა, სამგორი, დიღომი) ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად თუ შემთხვევით აღმოჩენილმა ნივ-

ქალაქისპირა სოფლების
სქემატური რუკა

თიერმა მასალამ დაგვანახა, რომ ჩვენს წინაპრებს ეს მიდამოები უძველეს დროს, უკვე ენეოლითის ხანაში ჰქონდა ათვისებული და სამოსახლოდ გამოყენებული. უძველესი ხანიდან დღემდე თბილისის შემოგარენში ცხოვრება არ შეწყვეტილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა ხარვეზებს, როცა ზოგიერთი სოფელი გაიხიზნებოდა ხოლმე.

თბილისისპირა სოფლების ეკონომიურმა სიძლიერემ განაპირობა თბილისის ქალაქად დაწინაურება. მეტ-ნაკლებად, საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერის დაცემის ხანაში თბილისს საქართველოს და ამიერკავკასიის ქალაქთა შორის პირველობა ამავე ძალამ შეუნარჩუნა.

VII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა ახალი რელიგია ისლამი, რომელმაც ერთ დიდ სახელმწიფოდ გააერთიანა ნახევარკუნძულის ბინადარი და მომთაბარე ტომები.

შექმნისთანავე ამ ახალმა არაბულმა სახელმწიფომ თავისი რელიგიის ცეცხლითა და მახვილით გავრცელება დაიწყო მეზობელ სახელმწიფოებზე. ამ ხვედრს ვერც ამიერკავკასიის სახელმწიფოები გადაურჩნენ. არაბებმა ჯერ სომხეთი დალაშქრეს, შემდეგ კი საქართველოს მოადგნენ. არაერთგზისი შემოსევის შემდეგ მათ დაიმორჩილეს აღმოსავლეთ საქართველო და დააარსეს თბილისის საამირო, რომელსაც მართავდა მათი მოხელე ამირა. ამირა ემორჩილებოდა არაბეთის სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფალს ხალიფას. არაბების დამპყრობლურმა ომებმა და დამსჯელმა ექსპედიციებმა (მურვან ყრუ—736-737 წ.წ., ბუღა-თურქი — 853 წ.) საქალაქო ცხოვრების წინსვლა-განვითარება საგრძნობლად შეანელა.

X საუკუნემდე ქალაქი თბილისი მხოლოდ მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე, შემდეგი დროის ისან-მეტეხი ამ დროს მისი გარეუბანია. აქაა ქალაქის სასაფლაო და სადილეგო-საპყრობილე. იოვანე საბანისძე თავის „მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲში“ გადმოგვცემს, რომ სიკვდილით დასჯილი აბოს ცხედარი თურმე ურემზე დაასვენეს და დასაკრძალავად ქალაქგარეთ გაიტანეს, „გარეშე ქალაქსა“, სადაც ყოფილა „საგოდებელი“. მწერალი სიტყვა საგოდებელს განმარტავს და ამბობს, რომ მას ასე იმიტომ ეწოდება, „რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ“. აქვეა ქალაქის ცი-

ხე, რომელსაც „ჰრქვიან სადილეგო". იგი აღმართულია კლდის პირას, მდინარის ნაპირზე. ქალაქს მდინარე მტკვარი აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოუდის.

აბო თბილელმა თავისი მოწამებრივი ცხოვრება დაასრულა ქრისტეს აქეთ 785 წელს.

ბუღა თურქის შემოსევის დროსაც (853 წ.) ქალაქი მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა. ამ შემოსევაზე დაწვრილებით მოგვითხრობს X საუკუნის არაბი ისტორიკოსი ტაბარი. „ის (მტკვარი), მსგავსად ასარასი ბაღდადში, დიდი მდინარეა და უფრო დიდიც. ის (მტკვარი) არაა მედინას შუა. თბილისი დასავლეთის ნაპირზეა, სოღდებილი — აღმოსავლეთის ნაპირზე". ამავე ისტორიკოსის გადმოცემით, ბუღა თურქი ქალაქს აღმოსავლეთიდან, სოღდებილის მხრიდან მოადგა. მისმა ჯარმა აქ გადალახა მტკვარი და შეესია ქალაქს.

„მატიანე ქართლისა" ბუღა თურქის შესახებ მოგვითხრობს: „...მოვიდა ბუღა თურქი, მონა, ბაღდადით, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუმნსა, სპითა დიდითა: შემუსრა ყოველი სომხითი და ტყუე ყვნა ყოველნი მთავარნი მათნი. და მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი".

არაბებმა ქართლში თითქმის ოთხასი წელი იბატონეს. უცხო ელემენტის ასეთ ხანგრძლივ ბატონობას შეუძლებელია არ შეეცვალა მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური სახე.

ასეთი შემმუსვრელი შემოსევაც, ეჭვგარეშეა, შეაფერხებდა ქალაქის განვითარებას, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. X საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-მუკადდასი მის თანადროულ თბილისს ასე აგვიწერს: „თბილისი გორათა შორის სიმაგრეა, კვეთს მდინარე მტკვარი, ორივე ნაპირზეა გადაჭიმული და ხიდითაა შეერთებული".

X საუკუნით მთავრდება ადრეფეოდალური ხანა. ამ დროისათვის თბილისი უკვე ჩამოყალიბებული ფეოდალური ქალაქია. მის საქალაქო მეურნეობაში ხელოსნობა-ვაჭრობასთან ერთად გაბატონებული ადგილი სოფლის მეურნეობას უკავია.

X საუკუნის ისტორიკოსი იბნ-ჰაუკალი თბილისს ასე აგვი-

წერს: „თბილისი სიდიდით ბაბ-ულ-აბვაბზე მცირეა. მას ალიზის ორი კედელი აკრავს, სამი კარით; ქალაქი მდიდარია იაფადღირებული სანოვაგით, რომელიც ხარისხით ბევრად სჯობს სხვა სახელმწიფოების სანოვაგეს.

თბილისში ბევრი მოცურავე წისქვილია, სადაც ფქვავენ ხორბალს და სხვა მარცვლეულს"...

ქალაქის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო იყო მისი დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, უპირველეს ყოვლისა, პურით.

ქალაქის ტერიტორიის გავრცელება კი მტკვრის მარცხენა ნაპირზე მის ეკონომიურ სიძლიერეზე მეტყველებს — აუთვისებიათ სამგორის ველი, მდინარე მტკვრის ჭალები, გაუყვანიათ დიდუბის და ავჭალის სარწყავი არხები.

ქალაქის ისტორიის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გარეუბნების, ქალაქისპირა სოფლების, ეგრეთ წოდებული, აგარების ისტორიის შესწავლას.

ადრეულ ხანაში, როცა მცხეთა იბერიის სატახტო ქალაქი იყო, მის აგარებს (უბნებს) შეადგენდა: წიწამური, კოდმანი, მუხათგვერდი და სხვა.

თითოეული უბანი გამოირჩეოდა თავისი საქმიანობით. არსებობდა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სახელოსნო უბნები. თავისთავად ეს უბნები დამოუკიდებელი დასახლებული პუნქტები იყო. შემდგომში, როცა იბერიის დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანეს, თბილისსაც გაუჩნდა თავისი თანამგზავრი სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბნები და აგარები. „ასეთი აგარების გარეშე თბილისის, როგორც ქალაქის, წარმოქმნის ვითარება ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა" (ნ. ბერძენიშვილი).

აგარებს ქალაქის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავათ. ისინი ქალაქის ჭირ-ვარამისა თუ ლხინის მოზიარენი იყვნენ. ყოველ უბანს ქალაქის ისტორიაში თავისი წილი აქვს შეტანილი. ქალაქის აღზევება თუ დაცემა გავლენას ახდენდა მის განაპირა სოფლებზე და პირუკუ. თუ გავიხსენებთ ფეოდალური ხანის სამეურნეო ხასიათს, იმდროინდელ სატრანსპორტო საშუალებებსა და ქვეყნის ცენტრის დამოკიდებულებას პერიფერიებთან, მივხვდებით, თუ რამდენად იქნებოდა დამოკიდებული ქალაქის სამეურ-

ნეო ცხოვრება ახლომდებარე სოფლებზე. ტერიტორიულად ქალაქი გარეუბნებისა და მისი მიმდებარე სოფლების ხარჯზე იზრდებოდა და მწარმოებელი ძალა — ხელოსანიც სწორედ აქედან მოსდიოდა.

ქართლის, შემდგომში მთელი საქართველოს სატახტო ქალაქის, თბილისის სანახებში არსებობდა შემდეგი აგარები: ტაბახმელა, კოჯორი, სოღანლუღი, კრწანისი, სეიდაბადი, ნავთლუღი, ღომელაური, ავლაბარი, ჩუღურეთი, კუკია, დიდუბე, ავჭალა, კალოუბანი, ვერა, ვეძისი, დიღომი და სხვა. ეს სოფლები ერთი ხნისანი არ არიან, ზოგი ხანდაზმულია, ზოგიც ახალგაზრდა. ზოგი მათგანის წარმოშობა თბილისთან არის დაკავშირებული.

XIII საუკუნემდე თბილისი სწრაფად იზრდება, როგორც ტერიტორიის, ისე მოსახლეობის მხრივ. ქალაქის ჭარბი მოსახლეობა, ძირითადად, ხელოსნები, ქალაქიდან გადიან და ხელოხნობის დარგების მიხედვით ზღუდის მიღმა სახლდებიან. იქმნება ეგრეთ წოდებული რაბადები — გარეუბნები. ასეთი უბანი, შეიძლება, კედლით — ზღუდით ყოფილიყო შემოზღუდული, ანდა შემოუზღუდავი. რაბადა იყო როგორც სახელოსნო, ისე სასოფლო-სამეურნეო რაიონი.

XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე თბილისის ტერიტორიას თითქმის არაფერი შემატებია, პირიქით, იყო პერიოდები, როცა მისი ფართობი კლებულობდა კიდეც. 1948 წელს ქალაქის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, „300 არაგველის“ სახელობის ბაღის გაშენებისას შემთხვევით გამოჩნდა ქალაქის ძველი კედლის ნაწილი, რომლის მახლობლად აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები, თონე, ქურები და სხვა XII—XIII სს. მიეკუთვნებიან. ეს ქალაქის სახელოსნო უბნის — რაბადის ნაშთებია.

XIII საუკუნის ოციან წლებში ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ კულტურულ და ეკონომიურად ძლიერ ქალაქს, „ნებიერ“ თბილისს ღვარცოფად, დამანგრეველ ძალად მოევლინა ხორეზმის სულთანი ჯალალ-ედ-დინი. ჩინგიზ-ხანისაგან დევნილი ხორეზმის უკანასკნელი მბრძანებელი, სულთანი ჯალალ-ედ-დინი აურაცხელი ჯარით მოადგა საქართველოს საზღვრებს 1225 წელს.

საქართველოს მეფე გიორგი ლაშა სამი წლის გარდაცვლილი იყო, მეფობდა თამარ მეფის ასული რუსუდანი.

საქართველოს მეზობელი ქვეყნების დარბევის შემდეგ ხორეზმის სულთანმა რუსუდან მეფეს შემოუთვალა, თუ ცოლად არ გამომყვები და საქართველოში არ გამამეფებ, ქვეყანას აგიოხრებო.

1226 წელს თბილისს გარს შემოერტყა ჯალალ-ედ-დინის ჯარი. ქალაქის მეცხოვნენი თავდადებით იბრძოდნენ, მაგრამ თბილისში მცხოვრები სპარსელების გამცემლობისა და დახმარების წყალობით დამპყრობელმა თბილისი აიღო და დაარბია.

ძველი თბილისი სიონის ტაძრის მიდამოებში

მტერს რაღაც არნახული სისასტიკე გამოუჩენია თურმე. ყამთა-აღმწერელი ამ უბედურებას მსოფლიო ისტორიაში უძებნის მაგალითს და მისასადაგებელ ამბად მოაქვს რომის იმპერატორის, ვესპასიანეს და მისი შვილის, რომაელთა ჯარის მხედართმთავრის ტიტეს მიერ ქალაქ იერუსალიმის დარბევა და მისი აღგვა პირისაგან მიწისა. „და ესევითარნი ჭირნი მოიწევნეს, რომელ არაოდეს ძველთა სადმე წიგნთა მიერ სმენილ.არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ"...

თვით ჯალალ-ედ-დინის პირადი მდივანი (მუნში) ან-ნასავი

ქაოთველთა დაძარცხებას დიდი პათოსით და კმაყოფილებით გადმოგვცემს. ან-ნასავი მოგვითხრობს, თბილისის აღების შემდეგ სულთანს დარჩაო ქალაქში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრე. მისივე სიტყვით, განძეული ისე ბევრი ყოფილა, რომ მისი აღწერა და სააღრიცხვო დავთრებში შეტანა შეუძლებელი გამხდარა.

აი, ამ შემოსევის შემდეგ იწყება ქალაქ თბილისის და, საერთოდ, ქვეყნის დაცემა-დაქვეითება. ამის შედეგი უნდა იყოს, რომ ქალაქის სამხრეთით მდებარე მეთუნეების უბანი მოშლილა და გაუკაცრიელებულა. ქალაქის ამ უბნის შესახებ ცნობას გვაწვდის XV საუკუნის ერთი საბუთი.

მეფე ალექსანდრე I, დიდად წოდებული, 1429 წელს სვეტიცხოველს ხელმეორედ სწირავს სოფელ კრწანისს თავისი საზღვრებით, წყლით, ბარით, წისქვილით, საწყლისპიროთი. შეწირულობის სიგელში კრწანისის ჩრდილოეთი საზღვარი თაბორის ეკლესიიდან იწყება და ლეღვთახევს (წავკისის წყალს) ჩამოუყვება მტკვრამდე. სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით საზღვარი ხატის თელეთია, დასავლეთით — შინდისი. ასე რომ, ადრეულ საუკუნეებში (XI—XIII) ქალაქის ფარგლებში შემომავალი თბილისის ერთ-ერთი სახელოსნო უბანი XV საუკუნეში სოფელ კრწანისის ფარგლებშია. XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში კი აქ მეფე როსტომმა სპარსეთიდან წამოყვანილი სეიდების ტომი დაასახლა.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან მოყოლებულმა საგარეო და საშინაო ფაქტორებმა, მახლობელ აღმოსავლეთში მაჰმადიანური სახელმწიფოების მომძლავრებამ, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს გაუქმებამ, საქართველოს სამთავროებად და სათავადოებად დაქუცმაცებამ, ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების გადანაცვლებამ, დასავლეთ შავი ზღვისპირეთში ოსმალეთის გაბატონებამ, გაუთავებელმა შინაომებმა ეკონომიურად და პოლიტიკურად დააკნინა და დააძაბუნა საქართველო.

ბევრი ძველი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა შეთხელდა, ზოგიერთი ქალაქი და სოფელი საბოლოოდ გაქრა კიდეც.

საერთო ხვედრს ვერ გადაურჩა მრავალჭირნახული ქალაქი თბილისიც, მასაც დაუდგა მწუხრის ჟამი. ყოველი გამანადგურე-

ბელი ლაშქრობის შემდეგ ძლიერი და მდიდარი ქალაქისა და მისი აყვავებული შემოგარენიდან ნაოხარ-ნამუსრევი რჩებოდა. ილაჯგაწყვეტილი მხვნელ-მთესველი და მეომარი ერი ყველა იავარყოფილი მხარის, უბნის თუ სოფლის აღდგენას ვერ ახერხებდა და სოფლები ნაპარტახევ ადგილებად იქცეოდა. თბილისის ზოგი ხალხმრავალი უბანი სამუდამჟამოდ დაცარიელდა.

XVI საუკუნის დასასრულისათვის თბილისში 2000 კომლი, დაახლოებით 10000 მცხოვრებიღა დარჩა.

უკვე კარგა ხანი იყო, საქართველო ირანისა და ოსმალეთის საქიშპო და საცილობელ ობიექტად ქცეულიყო. XVII საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან კი საქართველოს შედარებით მშვიდობიანი ხანა დაუდგა. 1639 წელს სოფელ ზოჰაბში დადებული ზავისა და შეთანხმების შედეგად ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს საქართველოზე გავლენის სფეროები. აღმოსავლეთ საქართველო დარჩა ირანის გავლენის სფეროში, დასავლეთ საქართველო სამცხე-საათაბაგოთი — ოსმალეთის.

ზოჰაბის ხელშეკრულება 1723 წლამდე არც ერთ მხარეს არ დაურღვევია. თითქმის ოთხმოცდაათწლიანი ზავი კი საკმაო აღმოჩანდა, რომ ქანცგამოცლილ, დაღლილ ერს სული მოეთქვა. გავერანებული სოფლები ხელახლა მოშენდა, ქვეყნის ეკონომიური და სულიერი ცხოვრებაც გამოცოცხლდა.

ქართლის გამაჰმადიანებული მეფის როსტომის მეფობის ჟამს (1632—1658) ქვეყანას დაუბრუნდა გამუდმებული შემოსევების გამო გახიზნული მოსახლეობა. მუშახელის, მწარმოებელი ძალის დაბრუნებამ, ძველი და ახალი ქალაქების და სოფლების ხელახალმა დასახლებამ გამოაფხიზლა და აღორძინების გზაზე დააყენა ასეული წლების მანძილზე მოშლილი სამეურნეო ცხოვრება.

როსტომ მეფემ გამოიყენა ირანისა და თურქეთის დროებითი დაზავება. ქართლის სამეფო შენდება. მეფე ყურადღებას აქცევს სავაჭრო გზების შეკეთებას, მდინარეებზე ხიდების აგებას. მისი ბრძანებით მდინარე ხრამზე ძველი ნახიდურის მახლობლად აიგო აგურის ხიდი სავაჭროთი და ქარვასლით, რომელიც ხელს უწყობდა განჯა-თბილისი-გორი და ა. შ. სავაჭრო გზაზე ქარავნების შეუფერხებელ სვლას.

როსტომის ეკონომიურ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია

ხშირი შემოსევების შედეგად ქალაქისპირა განადგურებული სოფლებისა და უბნების ხელახლა დასახლება, რაც ხელს უწყობდა თბილისის შემოგარენში სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო რაიონის ეკონომიურად დაწინაურებას. გარდა იმისა, რომ როსტომ მეფემ თბილისის სამხრეთით დაასახლა სეიდების ტომი, მანვე სამეფო სოფელ წოდორეთიდან ქალაქისპირას, ავლაბარში გადმოასახლა იქაური გლეხები.

ვახტანგ მეხუთის (შაჰ-ნავაზის) მეფობისას (1658—1676 წ.წ.) როსტომ მეფის მიერ დაწყებული საქმიანობა აღმავლობის გზით მიდის.

XVII საუკუნის შუახანებში თბილისის მოსახლეობა მატულობს. თუ XVI საუკუნეში მისი მოსახლეობა 10.000 სულს არ აღემატებოდა, XVIII საუკუნის დამდეგისათვის ამ რიცხვმა 20.000 მიაღწია.

ამ დროს თბილისი უკვე ხელოსნობით დაწინაურებული და მდიდარი საგარეუბნო სოფლებით გარშემორტყმული ქალაქია. იგი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საქონლის მიმღებიცაა და მიმწოდებელიც. თბილისზე გადიოდა და მის მრავალრიცხოვან სავაჭრო სადგომებში — ქარვასლებში ბინავდებოდა გასაყიდი საქონელი, რომელიც ქარავნებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირუკუ მიჰქონდათ. ვაჭრობის გაჩაღებას ხელს უწყობდა საქარავნო გზების აღდგენა-განახლება და აბრაგებისაგან მათი დაცვა.

საგარეუბნო სოფლის მეურნეობის დაწინაურებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVII საუკუნის 40—50-იან წლებში აღდგენილ ძველ ნარუალს და ზოგი ახალი სარწყავი არხის გაჭრას.

საერთო აღმავლობის, ქვეყნის მომძლავრების შედეგი იყო მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე ქალაქისპირა სოფლების — ნავთლუღის, ღომელაურის, ავლაბრის, ჩუხურის (ჩუღურეთი), ახალი სოფელის (კუკია), დიდუბის, სონღალუღის, სეიდაბადის და სხვათა გაჩენა. რასაკვირველია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ზემოთ დასახელებული სოფლები თბილისის გარშემო ერთდროულად გაჩნდნენ. ქართულ წერილობით წყაროებში უფრო ადრე ავლაბარი, კრწანისი და დიდუბეა მოხსენიებული, შედარებით გვიან კი — ჩუხური, ახალსოფელი და სონღალუღი.

უკვე ვთქვით, რომ ქალაქი ეკონომიურად სოფელზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც მტერი ყოველთვის, როცა სამხედრო ძალით ვერაფერს აკლებდა ქალაქს, ცდილობდა, ეკონომიური ბლოკადით გაეტეხა მისი ძლიერება.

მემატიანე პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო-ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალ-ციხისა ქვეყნიდამ ქარავანი, ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი დიახ შეწუხდნენ“.

მტერი ქალაქის ეკონომიურად დაძაბუნების, დასუსტების მიზნით ქალაქში მისასვლელი გზების ჩაკეტვის გარდა აოხრებდა, სპობდა და აწიოკებდა ქალაქისპირა სოფლებსაც. მემატიანე სასოწარკვეთით აღნიშნავს: „მოვიდნიან ბორჩალუ-ბაიდრელნი და ქალაქის გარშემო მოარბივიან და წაიღიან“.

პოტანილი ადგილი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა გასაჭირის მნახველნი არიან ქალაქისპირა სოფლები. აყვავებული ბაღების, ზვრებისა და ხოდაბუნებისაგან მტრის ყოველი შემოსევის შემდეგ ნაოხარი რჩებოდა.

ქალაქ თბილისსა და მის ახლომდებარე სოფლებს შორის ურთიერთობა მხოლოდ ეკონომიური დამოკიდებულებით არ გამოიხატებოდა. ქალაქის მახლობელ სოფლებზე ვრცელდებოდა ქალაქის მოურავის ადმინისტრაციული უფლებები. ამ ურთიერთდამოკიდებულებაზე მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ხარვეზს ცოტათი ავსებს 1784—90 წლების ერთი დოკუმენტი „ქალაქის მოურავის სარგო“.

დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ქალაქისპირა სოფლების ბაღ-ვენახებიდან ქალაქის მოურავს ეკუთვნოდა, ან უფრო სწორად, ერგებოდა წლიური ჭირნახულის გარკვეული წილი.

„§—32. ქ. ქალაქის მოურავს ქალაქის ბაღებმა უნდა მოართვან: მოურავის კაცი უნდა წავიდეს და საპალნეებით ხილი უნდა მოეკრიფოს და მოერთვას, ერთი ახალ-ბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე უნდა მოერთვას, ერთი ახლობას, და რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე დაუკლებლად უნდა მოერთვას საპალნეებით და ერთი ყურძნობას უნდა მოიკრიფოს საპალნეებით, რაც ამ დროს არის, ყოვლის ბაღებიდამ დირსიჭალიდამ,

ორთაჭალიდამ, კრწანისიდამ, სეითაბადიდამ, გარეუბნის ბაღებიდამ და ვერიდამ და სხვა ყოვლის ბაღებიდამ".

მართალია, ამ შემთხვევაში ქალაქისპირა ყველა სოფელი: დიდუბე, კუკია, ჩუღურეთი, სონღალუღი და სხვა არ მოიხსენიება, მაგრამ გამორიცხული არაა, ქალაქის მოურავს თავისი სარგო მიეღოს ქალაქის სანახებში მდებარე სხვა სოფლების ბაღ-ვენახებიდანაც. მითუმეტეს, რომ იმდროინდელ დოკუმენტებში სონღალუღი, დიდუბე და კუკია უკვე სოფლებად იხსენიება. 1772—73 წლებში ჩვენში სამოგზაუროდ და დიპლომატიური მისიით ჩამოსული გიულდენშტედტი თბილისის აღწერისას აღნიშნავს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ბაღები არისო გაშენებული.

მოურავი, რომელმაც ქალაქის „ამირთამირა" შეცვალა, პირველად ქალაქის გამგებლის ტერმინად XVI საუკუნეში ჩნდება.

„ამირთამირა" ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს სიძლიერის დროს შექმნილი სახელოა, რომლის ადმინისტრაციული და ეკონომიური ხელისუფლება სცილდებოდა ქალაქ თბილისის ფარგლებს და მის შემოგარენებზეც ვრცელდებოდა, რადგან თბილისის ამირთამირა ქართლის ამირთამირაც იყო (გიორგი სააკაძე თბილისის ამირთამირაცაა და ქართლისაც). ქალაქის მოურავის სახელო კი შეიქმნა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს მოშლისა და დაქსაქსულობის დროს, რის გამოისობით თავისთავად სახელმწიფოს ეს სამოხელეო სახელოც შესაბამისად დამცირებულია.

„ქალაქ თბილისის მოურავს ევალებოდა ქალაქის მართვა, მას ემორჩილებოდნენ ქალაქის მოხელეები, ქალაქის სავაჭრო და სახელოსნო ორგანიზაციები. მოურავს ჰქონდა სასამართლო ფუნქცია, ევალებოდა ქალაქში წესრიგის დაცვა, გადასახადების გაწერა და აკრეფა, საქონელზე ნიხრის დადება და სხვა" (ი. სურგულაძე). ქალაქის მოურავის ადმინისტრაციული ხელისუფლება მხოლოდ ქალაქის შიგნით ვრცელდებოდა.

„ქალაქის მოურავის სარგოში" მოურავის უფლება ვრცელდება ქალაქის სანახების ბაღ-ვენახებზე, ე. ი. მისი ხელისუფლებიდან (ამირთამირასთან შედარებით) მხოლოდ ეკონომიური მხარეა დარჩენილი, რაც შეეხება ადმინისტრაციულს, ამისათვის ახალი სახელო — „ქალაქისპირის ტარუღა" შეუქმნიათ.

1581 წელს მეფე სიმონ I (1558—1600) მიერ გაცემულ წყალობის სიგელში მოხსენიებულია „ქალაქისპირის ტარუღა". მეფე სიმონ I თავად სოლოღაშვილს ერთგული სამსახურისათვის მამული უბოძაო „ქალაქისპირშია და ვერის ხევში", სოფლები თავის საზღვრითა, მთითა და ბარითა. ამ ნაწყალობევის სისრულეში მოყვანას კი მეფე „ქალაქისპირის ტარუღას", „ვერის ხევის ტარუღას" და სხვა მოხელეებს ავალებს.

ტარუღა ქართულ სამეფო მოხელეთა იერარქიაში მოურავის ადგილს იკავებს. „სატარუღო" გამოსაღები იგივე იყო, რაც „სამოურავო". ტარუღა ჩვენში ირანიდან შემოვიდა. ირანში იგი გუბერნატორს, მხარის განმგებელს ეწოდებოდა. XVI—XVIII საუკუნეების ირანის ქალაქის მმართველობაში ტარუღას მოვალეობ-

ნარიყალა

ბად ითვლებოდა წესრიგის და სიმშვიდის დაცვა როგორც ქალაქში, ისე მის შემოგარენში.

ქართლში ეს სახელო საგანგებოდ შეუქმნიათ და მას იგივე საზედამხედველო უფლებები ექნებოდა ქალაქისპირა სოფლებში, რაც ირანის ქალაქის ტარუღას, კერძოდ: წესრიგის და სიმშვიდის

დაცვა, ბოროტმოქმედებათა: ლოთობის, ჩხუბის, ქურდობის, აზარტული თამაშობის აღკვეთა და სამოქალაქო საქმეების გარჩევა. ქალაქისპირის ტარუღა დიდი სამოსელო თანამდებობა ჩანს, ვინაიდან საბუთში იგი ვერის ხევის ტარუღაზე წინაა მოხსენიებული.

სამწუხაროდ, ქალაქისპირის ტარუღას სახელოს მქონე არც ერთ პირს არ ვიცნობთ. მოგვიანო ხანის სხვა საბუთებიც სდუმან ამ სახელოს შესახებ. არც ის ვიცით, ქალაქისპირის ტარუღას საჯდომი რეზიდენცია სად იყო, საიდან განაგებდა იგი თავის საქმეს. შეიძლება ამ ტერმინმა ფეხი ვერ მოიკიდა და მალე გაქრა.

XVI საუკუნეში ლუარსაბ I (1534—1558) მეფობის დროს ქართულ სინამდვილეში ჩნდება მელიქის სახელო.

საქართველოს ისტორიის მკვლევარი შოთა მესხია ფეოდალური ხანის ქალაქების მოხელეთა უფლებების მოვალეობის ჩამოთვლის დროს ქალაქის მელიქის უფლება-მოვალეობებს ასე განსაზღვრავს: ქალაქში გადასახადის აკრეფა, სისუფთავისა და წესრიგის დაცვა, სახაზინო ყმა-გლეხთა აღწერა, საგანგებოდ შედგენილ წიგნში მოქალაქეთა შეტანა, სამეფო სიგელ-გუჯრებზე ხელის მოწერა და სხვა.

ისტორიკოსი ალ. ხახანაშვილი კი სიტყვა მელიქის ახსნისას ასეთ განმარტებას იძლევა: „...მელიქი ტფილისის მმართველი, განაგებდა უახლოესს ქალაქთან სოფლებსაც“.

XVIII საუკუნეში ქალაქის მელიქს სახელმწიფოს ფინანსური შემოსავალ-გასავლის საკითხების მოგვარებაც ევალებოდა. მისი ადმინისტრაციული უფლებები ქალაქის სანახებზეც ვრცელდებოდა. ისაყ-ფაშა (1725—1735 წწ.) ქალაქის მელიქს აშხარბეგს ავალებს, უხელმძღვანელოს ქალაქისპირა სოფელ ავლაბარში, გარეთუბნებსა და ქალაქთან ახლოს დამკვიდრებული გლეხების აყრას და იძულებითი წესით ავჭალის ციხეში დასახლებას.

„(1725—1735) ოქმი ისაყ-ფაშისა (ტფილისის) მელიქ აშხარბეგისადმი. ქ. ვეზირი ისაყ-ფაშა ვიკადრებ, ჩვენ მაგიერად ჩვენგან პატივცემულ მელიქ აშხარბეგს ასე უანბეთ. მერმე რაც ნუ(ს) ხა მიგვცეს ამ ზაზა გარაყანისძისათვის ასაყრელი გლეხებისა და ქალაქისა და ავლაბარში და გარეთუბანს ი(ყუ)ნენ, სულ ყველანი თავისი ცოლით, შვილითა და საქონლით აყარეთ და ამ

ზაზას მიაბარეთ, რომ ავჭალის ციხეში მიასხან და იქ და(ა)სახლონ. ამის უარს ნურავინ ათქმევინებთ, თვარემ იცოდენ, ვერას გზით პასუხს ვერ მოგვცემენ".

ეს ბრძანება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქალაქის მელიქს ხელი მიუწვდებოდა ქალაქისპირა სოფლების საქმეების საგამგებლოდ.

ძველი თბილისის მახლობლად მდებარე ბევრმა სოფელმა თავის არსებობის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა სახელი. დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებათა ცვლა კი ყოველთვის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფაქტორებთან იყო დაკავშირებული.

ხალხთა მიგრაციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედან შემოსულთ (რეპატრიაცია, ტყვეთა გამოსყიდვა, ახალ-ახალი კოლონიები, ლტოლვილნი) ხშირად (თუ ყოველთვის არა) ძველ დასახლებულ ადგილთა და მათ საკუთარ სახელთა ცვლა მოსდევდა. თბილისის შემოგარენში უცხო სახელთა გაჩენა დაკავშირებულია სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ჩამოსახლებასთან. ხშირად ისინი თავისი სოფლისა თუ ეთნიური წარმოშობის უკვდავსაყოფად, ახალ ადგილზე დასახლებისას, ადგილობრივ სახელს უარყოფდნენ და თავისას არქმევდნენ, ანდა სრულიად ახალ სახელს (თავის ენაზე) შეარქმევდნენ ხოლმე.

ასეთი ახალი დასახლებული პუნქტების გაჩენა ხდებოდა, როგორც ქართველი მეფეების თაოსნობით, ასევე გამარჯვებული მტრის მიერ, რომელიც დამორჩილებული ქვეყნის შიგნით კოლონიებს — დასაყრდენ ძალას იჩენდა.

გარეთუბანი

ბილისის ჩრდილოეთით, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქის მომიჯნავე ტერიტორიას გარეთუბანი ეწოდებოდა. ძველი გარეთუბნის ტერიტორია დღეს დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მას დღევანდელი ბარათაშვილის და პუშკინის ქუჩები და სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთი ფერდი საზღვრავდა, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მთაწმინდის კალთები და ელბაქიძის დაღმართი, აღმოსავლეთით მტკვარი.

ამჟამად ქალაქისპირა ძველი სოფლებისა თუ უბნების ადრეული საზღვრების ზუსტი მინიშნება და დადგენა ძნელია, რადგან მათი გაჩენა-აღზევება და დაცემა-გაქრობა ყოველთვის ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ძველი გარეთუბნის ზემოთ აღნიშნული სასაზღვრო ხაზი პირობითია, განსაკუთრებით ეს ითქმის უბნის ჩრდილოეთ ნაწილზე.

ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებში (საბუთებში) ქალაქის შემოგარენთა შორის „გარეთუბანი" პირველად XVI საუკუნეში იხსენიება. ეს იმას ოდი ნიშნავს, თითქოს ადრე ქალაქს უბნები გარს არ ერტყა. ძველ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებში ქალაქ თბილისთან გვხვდება „გარეთუბნის" შემცვლელი სიტყვები, ე. წ. სინონიმები, როგორიცაა „ქალაქის მიდამო", „ქალაქის სანახები".

VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე წმინდა აბოს სიკვდილით დასჯისა და დაკრძალვის ამბების თხრობისას გვამცნობს: აბოს ცხედარი ურემზე დადესო და წაასვენეს სასაფლაოზე, რომელიც მდებარეობდა „გარეშე ქალაქსა", ანუ ქალაქგარეთ, უფრო სწორად, გარეთუბანში. მაშასადამე, ქალაქის გარეთუბანს ძველად კიდევ ერთი შესატყვისი — „გარეშე ქალაქისა" — ჰქონია.

გარეთუბნის შესატყვისი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელი — „ქალაქის მიდამო", „ქალაქის სანახები", „გარეშე ქალაქისა" — ზოგადად ქალაქის გარეთუბანს აღნიშნავდა და საკუთრივ ქალაქის რომელიმე, ცალკე აღებულ მხარეს არ ეკუთვნოდა. ასე რომ, სიტყვა „გარეთუბანი" ადგილის საკუთარ გეოგრაფიულ სახელად პირველად XVI საუკუნეში კი გვხვდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ მანამდე ხალხი არ სახლობდა, ან ამ ტერიტორიას სხვა სახელი არ ერქვა.

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ძველ თბილისს ასე აღწერს: „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისნი". ქალაქი თავდაპირველად წარმოიქმნა მდინარე წავკისის წყლის ნაპირებზე განლაგებული ორი ერთმანეთისაგან დამოკიდებული პუნქტის „ტფილისის" და „კალას" გაერთიანებით. „ტფილისი" მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ამჟამინდელი აბანოების უბნის ადგილზე მდებარეობდა, ხოლო „კალას", როგორც დამოუკიდებელ დასახლებას, სოლოლაკის ქედის კლდოვანი სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოდასავლეთი ფერდი ეკავა, რომლის საზღვრები მდინარე მტკვრამდე აღწევდა და აწინდელ გორგასლის მოედანსა და სიონის ტაძრის მიდამოებს მოიცავდა. სოფლის სახელი „კალა" ალბათ კლდოვანი რელიეფის გამოისობით შეერქვა კიდეც. „კალა" ხომ ქვას, ქვაფენარს, კლდეს, კლდოვან ადგილს ნიშნავს".

ნიშანდობლივია, რომ მოგვიანო ხანაში, როცა „კალას" არსებობა, როგორც ადგილის სახელისა, ქალაქის მკვიდრთა მეხსიერებაში წაშლილი იყო, ძველი სოფლის — ძველი კალას, სოლოლაკის ქედზე ტერასებად შეფენილ დასახლებულ ფერდს „კლდის უბანს" ეძახდნენ. შემდეგში, როცა ეს უბნები — „ტფილისი" და

„კალა — ერთმანეთს შეერწყა, გაერთიანებულ ტერიტორიას ქალაქის ერთ-ერთი უბნის სახელი, „ტფილისი" დაერქვა.

არც მეორე უბნის სახელი — „კალა" გამქრალა უკვალოდ. იგი თბილისის ციხეს ეწოდა. XI საუკუნის ქართველი მემატიანე ჯუანშერი ქალაქის ციხეს „ციხე კალად" მოიხსენიებს. სახელი „კალა" შემორჩა აგრეთვე ქალაქის ზღუდის ჩრდილოეთით გაშლილ ველს. ისტორიკოსი მოგვითხრობს: როცა სპარსელები და ვახტანგ გორგასალი დაზავდნენ (V ს.), მოსალაპარაკებლად ისინი



ქაშვეთის ეკლესია

ერთმანეთს „კალას ველზე", შემდეგი დროის „კალას უბანში" ანუ გარეთუბანში შეხვდნენო.

დრო გადიოდა. დროთა სვლას სდევდა თაობათა ცვლაც. მოსახლეობისათვის უკვე აზრსმოკლებულ სახელად ჟღერდა „კალას უბანი" და იგი ახალი შინაარსის მატარებელი სიტყვით — „კალოთი" შეუცვლიათ. ასე გაჩნდა ახალი სახელწოდება „კალოუბანი". შემორჩენილია ლეგენდა, თბილისის ამწიოკებელმა, ირანის მბრძანებელმა შაჰ-თამაზმა თუ შაჰ-აბასმა თბილისის აღების შემდეგ ტყვედ ჩავარდნილი თოთო ბავშვებისაგან გარეთუბანში

კალო გამართა და მსსვერპლნი კევრით გაალეწინაო. ცხადია, ეს მხოლოდ ლეგენდაა.

არც „კალოუბანი“ აღმოჩნდა დღეგრძელი და ქალაქის შემოგარენს მალე „გარეთუბანი“ დაერქვა, „კალოუბანი“ კი მცირე ტერიტორიას შემორჩა. ასეთივე ხვედრი ერგო „კალას ციხესაც“. იგი შემდეგი დროის სიტყვამ — „ნარიყალამ“ შთანთქა. „ნარიყალა“ აღმოსავლური სიტყვაა და „მცირე ციხეს“ ნიშნავს.

ვახტანგ გორგასლის შვილმა, მეფე დაჩიმ, მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა და, როგორც მემატიანე ჯუანშერი გადმოგვცემს, ქალაქის „ზღუდენიც განასრულა“. ესე იგი, გალავნის შემოვლება დაუსრულებია.

თბილისი ქართლის სატახტო ქალაქი გახდა. სწრაფად გაიზარდა მისი ტერიტორია, იმატა მოსახლეობამ. ქალაქი ძირითადად მტკვრის აღმა, ჩრდილო-დასავლეთით იზრდებოდა. რაზეც მიუთითებს VI—VII საუკუნეებში აქ სიონის კათედრალური ტაძრისა და ზარის (შემდეგდროინდელი ანჩისხატის) ეკლესიის აგება.

კათედრალური ტაძრის აგება ქალაქის გარეთ, გარეთუბანში არ შეიძლებოდა. იგი აუცილებლად შიგ ქალაქში უნდა მდგარიყო. ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ სიონის ეკლესიის ადგილმდებარეობას, ნათელი გახდება, რომ იმ დროს ტაძარი და მისი კარმიდამო უთუოდ ქალაქის ფარგლებში იქნებოდა მოქცეული. ასევე იმდროინდელი ქალაქის ტერიტორიაზე უნდა მდგარიყო სიონის თანადროული ზარის ეკლესიაც.

შემოზღუდული ძველი თბილისის სამხრეთი კედელი იწყებოდა „კალას“ ციხიდან, ჩამოუყვებოდა მდინარე წავკისის წყლის მარცხენა ნაპირს და მტკვართან მთავრდებოდა, ჩრდილოეთი კედელიც სათავეს ციხიდან იღებდა, მოსდევდა სოლოლაკის ანუ ავანაანთ ხევის მარჯვენა ნაპირს და ისიც მდინარე მტკვრამდე აღწევდა.

გალავანშემოვლებული ქალაქი გარესამყაროსთან ურთიერთობას ზღუდეში დატანებული კარით ამყარებდა.

თბილისს რამდენიმე კარი ჰქონდა. ქალაქის კედელში კარიბჭეს იმ მხრიდან ატანდნენ, საიდანაც გაცხოველებული მიმოსვლა

წარმოებდა. ქალაქის კარიდან იწყებოდა, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის, ასევე საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები.

ძველი თბილისის ზღუდეში დატანებულ კართა რაოდენობისა და სახელების შესახებ ცნობებს გვაწვდის X საუკუნის არაბი ისტორიკოსი ტაბარი. ქალაქს ხუთი კარი ჰქონია — მეიდნის კარი, კარის კარი, მცირე კარი, რაბადის კარი, სოღდებილის კარი.

ქალაქის ზღუდეში დატანებულ კარს იმ სოფლის, ანდა უბნის სახელს არქმევდნენ, რომელიც მის სიახლოვეს მდებარეობდა. მაგრამ ზოგჯერ იყო გამონაკლისიც და ქალაქის კარს იმ ქვეყნის მნიშვნელოვანი სავაჭრო, ანდა სასელოსნო ქალაქის სახელს არქმევდნენ, საიდანაც წამოსული ქარავანი თუ მგზავრი აღნიშნული კარით ქალაქში შედიოდა. მაგალითად, ძველი თბილისის სამხრეთ კედელში დატანებულ კარს ერქვა „კარის (ყარსის) კარი", შემდეგ მას „განჯის კარი" შეერქვა.

ტაბარის მიერ დასახელებულ ქალაქის კართა შორის ერთ-ერთს „რაბადის კარი" ერქვა. რაბადა — რაბატი არაბული სიტყვაა და გარეთუბანს ნიშნავს. მაშასადამე, „რაბადის კარი" იგივე ყოფილა, რაც „გარეთუბნის კარი". იგი დატანებული იყო ჩრდილოეთ კედელში და აქედან ქალაქში შემოსვლა შეეძლოთ როგორც გარეთუბნელებს, ისე ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან წამოსულ მგზავრებს და ქარავნებს.

„გარეთუბანი" პირველად XVI საუკუნეში, 1562 წელს გაცემულ საბუთში — წყალობის წიგნში გვხვდება: „...ქ. გარეთუბანს, კალოუბნის აქეთ ნასახლარი რომ არისო", — გვამცნობს აღნიშნული დოკუმენტი. ამის შემდეგ, თითქმის საუკუნე-ნახევარი, „გარეთუბნის" შესახებ დოკუმენტური მასალა არ მოიძებნება. წერილობით წყაროებში ასეთი დიდი ხარვეზის არსებობა, უწინარეს ყოვლისა, თბილისსა და მის შემოგარენში გარეშე მტრის — თურქთა თუ ირანელ ყიზილბაშთა იმ შემმუსვრელი და ამაწიოკებელი შემოსევებით აიხსნება, რომელთაც თან სდევდა მოთარეშე აბრაგ-ლეკთა გაუთავებელი თავდასხმები და ძარცვა-გლეჯა. ყოველი ასეთი შემოსევის შემდეგ კი არამცთუ ხელნაწერები, ხშირად ქვა-ქვაზეც აღარ რჩებოდა.

XVIII საუკუნის გარეთუბნის შესახებ ცნობები მოიპოვება რო-

გორც იმდროინდელ სიგელ-გუჯრებში, ისე სპეციალურ ლიტერატურაში. ამ პერიოდის გარეთუბნის საზღვრების დადგენაში გვეხმარება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი „თბილისის 1735 წლის გეგმა", რომლის მიხედვით იმდროინდელი გარეთუბნის განაშენიანება იწყებოდა ქალაქის გალავანთან და დაახლოებით ახლანდელ ჯორჯიაშვილის ქუჩამდე აღწევდა.

XVIII საუკუნის გარეთუბანში, ისევე, როგორც თვით ქალაქში, საცხოვრებელი სახლები ერთსართულიანი ყოფილა, ცხოვრებით კი ძირითადად დაბალი ფენის წარმომადგენლები — წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და ა. შ. ცხოვრობდნენ. აი, როგორ გამოიყურებოდა მათი ბინა: წინა ოთახი დათმობილი ჰქონდა სავაჭრო დუქანს, ანდა სახელოსნოს, უკანა ოთახი კი საცხოვრებელს. თუ ხელოსანი მეჭურჭლე იყო, მას სახელოსნო თავისი ქურებით სახლის უკან ედგა, დამზადებულ ნაწარმს კი იქვე, წინა ოთახში მოწყობილ დუქანში ჰყიდდა. „მოგყიდე გარეთუბანში ჩვენი კვიდრი მამული საჭურჭლე თავის ქარხნითა და თავის ერთი პატარა დუქნითაო", — წერია ერთ იმდროინდელ საბუთში.

თავად-აზნაურთა სახლები ძირითადად ორსართულიანი იყო, ქვითკირით ნაგები. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ გარეთუბნის მოსახლეობის დაბალი ფენების — წვრილ-ვაჭართა, ხელოსანთა და სხვათა სახლები მიჯრითა მდგარა, თავად-აზნაურთა კარმიდამოები ერთიმეორისაგან კარგა დიდი მანძილით ყოფილა დაშორებული. გარეთუბანში სახლები ედგათ: დიდ ფეოდალს არაგვის ერისთავს (დაახლოებით, ამჟამინდელი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის ადგილას), თავად ციციშვილებს (რუსთაველის პროსპექტზე, ოფიცერთა სახლის მახლობლად), აბაშიძეებს, ხერხეულიძეებს, თუმანიშვილებს (ყაბახთან, კომუნარების ბაღი), ორბელიანებს (საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის შენობა). დღევანდელი ენგელსის, ლერმონტოვის, კიროვის, დავითაშვილის ქუჩების ადგილი, ანუ ძველი სოლოლაკის უბანი ეჭირა ქართლის მეფის, დედოფლის, ბატონიშვილების, მამასახლისის, თბილელის ბაღებს.

გარეთუბნის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ მართლმადიდებლურ და სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებსა და სასაფლაოებს ჰქონდა დათმობილი.

1783 წელს მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით მოეწყო ქალაქის და მისი უბნების აღწერა. აღწერის მიხედვით გარეთუბანში ამ დროს 550 კომლი სახლობდა.

გარეთუბნის ბაღები ირწყვებოდა მდინარე წავკისის წყლიდან გამოყვანილი ორი არხით და საგანგებოდ მოწყობილი აუზებით, აგრეთვე წყლის საგუბრებიდან და ხევებიდან გამოყვანილი თიხის მილებით.

გარეთუბნის ბაღების სიმრავლე მოითხოვდა სარწყავი წყლის განაწილების მკაცრ განრიგს. ამიტომ საბუთებში, სადაც კარმიდამოს ყიდვა-გაყიდვაზეა ლაპარაკი, გარიგების ერთ-ერთ პუნქტად ყოველთვის ამა თუ იმ ბაღის სარწყავი წყლის საკითხიც არის ხოლმე შეტანილი. წყლის გამოყენების რიგს, ჯერს „რასათი" ეწოდებოდა. „ამას იქით ეს ბაღი თავისის აუზისა და წყლის რასათით თქვენი შეიქნა. ღთნ მშვიდობაში მოგახმაროს", — ასე წერია ერთ-ერთ ძველ საბუთში.

ბაღ-ბოსტნებში მოწეული მოსავალი გარეთუბნელებს ქალაქის ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად. სხვადასხვა საბატონო გადასახადების გარდა, გარეთუბნელები ვალდებულნი იყვნენ, ქალაქის მოურავისათვის ეძლიათ თავიანთ ბაღებში მოწეული ჭირნახულის გარკვეული ნაწილი.

გარეთუბანში ქალაქელებს და ადგილობრივ მოსახლეობას მტკვარზე წისქვილები ჰქონდათ გამართული, სადაც ადგილობრივ მოწეული მარცვლეული იფქვებოდა. წისქვილები ეკუთვნოდა როგორც ცალკეულ პირებს, ისე რამდენიმე შეამხანაგებულ პირს.

გარეთუბანში არა მარტო სოფლის მეურნეობა ყოფილა დაწინაურებული, შინამრეწველობა-ხელოსნობაც. ამაზე მეტყველებს აქ მოსახლე ხელოსანთა სიმრავლე და მათი მრავალფეროვანი საქმიანობა: მეჩახმახე, მჭედელი, მესანთლე, მკუპრავი, კალატოზი, ფეიქარი, მეჭურჭლე, მეაგურე, მღებავი, სარაჯი (ცხენის მოსართავების მკეთებელი) და სხვა.

აღნიშნული სახელოსნო დარგებიდან გარეთუბანში ყველაზე დაწინაურებული ყოფილა თიხის წარმოება, კერძოდ, მეაგურეობა და მეჭურჭლეობა, რაზეც მეტყველებს აქ არსებული აგურხანები(აგურის გამოსაწვავი ქარხნები) და ქუზხანები (თიხის გამოსაწვავი სახელოსნოები). ქარხანა და ქუზხანე ორივე სპარსუ-

ლი სიტყვაა. ქარხანა შედგება „ქარ“ (კეთება-საქმიანობა) და „ხანე“-საგან (სახლი) და ნიშნავს შენობას, სადაც ერთნაირი დარგის ხელოსნები საქმიანობენ. „ქუზხანაც“ ორი სიტყვისაგან შედგება და ნიშნავს სახლს, შენობას, სადაც დოქებს და თიხის სხვა ჭურჭელს ამზადებენ.



მთაწმინდა. წმ დავითის ეკლესია

გარეთუბანში რამდენიმე აგურხანა იყო. მათი ნაწარმი ძირითადად ქალაქის განაშენიანებას ხმარდებოდა (ერთ-ერთი აგურხანის მეპატრონე ყოფილა ვინმე მეკოკიშვილი). თუ აგურხანები ძირითადად გარეთუბნის განაპირას იყო, შემდეგაც, როცა გა-

რეთუბანი თბილისს შემოუერთდა და მისმა ტერიტორიამ სწრაფად იწყო ზრდა, აგურის გამოსაწვავ ქარსნებს მოსახლეობისაგან მოშორებით აგებდნენ. ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები, რომელთაც აგურხანასთან შედარებით ნაკლები ფართობი სჭირდებოდა და გარემოსაც ნაკლებად ანაგვიანებდა, საცხოვრებელ ნაგებობებთან ერთად იდგა ხოლმე. გარეთუბანში დამზადებული თიხის ჭურჭელი სხვა ნაწარმთან ერთად ქალაქის ბაზარზე გადადიოდა გასაყიდად. გარეთუბანში ცნობილი მეჭურჭლე ყოფილა იოანე პენტელაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ გარეთუბანი ქალაქს სხვადასხვა ნაწარმს აწვდიდა, თავისი რასტაბაზრით, მრავალრიცხოვანი დუქნებითა და ქარვასლებით, თვითონ იყო დამოუკიდებელი ბაზარი.

რასტაბაზარი სპარსული სიტყვაა და ერთ მწკრივად განლაგებულ დუქანთა რიგს ეწოდებოდა. ასეთი რასტაბაზარი გარეთუბანში ქაშვეთის ეკლესიის მახლობლად ყოფილა თურმე.

გარეთუბანში რამდენიმე ქარვასლა იყო. ერთი მათგანი, ე. წ. „ბეჟანას ქარვასლა", დაახლოებით, დღევანდელი ქალაქის საბჭოს შენობის ადგილას იდგა, მეორე, ე. წ. „ღამბარაანთ ქარვასლა" მდებარეობდა მეტროს სადგურ „ლენინის მოედანთან" ახლოს. მესამე ქარვასლა ქაშვეთის ეკლესიის მახლობლად მდგარა.

ქარვასლა აღმოსავლური სიტყვაა და ეწოდებოდა სასტუმრო სახლს, საწყობს, სადაც აღმოსავლეთის თუ დასავლეთის სახელმწიფოებიდან თბილისში ქარავნებით ჩამოტანილი სხვადასხვა საქონელი ბინავდებოდა. გარდა ამისა, აქვე ღამის გასათევად ჩერდებოდნენ თვითონ ვაჭრებიც. ქარვასლაში მოწყობილი იყო სავაჭრო დუქნებიც.

გარეთუბანში ხელოსნობის სხვადასხვა დარგის, ძირითადად, მეთუნეობის და მეაგურეობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის დაწინაურებას ხელს უწყობდა ქალაქთან ამ უბნის მჭიდრო ეკონომიური კავშირი და ტერიტორიული სიახლოვე.

გარეთუბანში გამოდიოდა თბილისის ჩრდილო-დასავლეთ კედელში დატანებული სამი კარი — „კოჟრის", „შუა ანუ დიღმის" და „ქვემო ანუ წყლის".

„კოჟრის კარი" მდებარეობდა დღევანდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისთან. აქ იწყებოდა გზა კოჯრისაკენ, იქედან კი, სამ-

შვილდეზე გავლით გრძელდებოდა თრიალეთისა და სომხეთისაკენ. აღნიშნული კარიდან იღებდა სათავეს მეორე გზაც, რომელიც მოემართებოდა დასავლეთისაკენ, ქაშვეთის ეკლესიისაკენ. აქ იგი „დიღმის კარიდან“ წამოსულ გზას უერთდებოდა.

„შუა ანუ დიღმის კარი-მდებარეობდა დაახლოებით დღევანდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩათა შესაყარზე. აქ იწყებოდა ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო გზა: თბილისი — გორი — ახალქალაქი... აღნიშნული გზა მცხეთასთან იყოფოდა და ყინვალის გავლით რუსეთისაკენ მიემართებოდა.

„ქვემო ანუ წყლის კარი“ მდებარეობდა მდინარე მტკვრის მახლობლად, რის გამოც მიიღო მან ეს სახელი. აქედან წამოსული გზაც ქაშვეთის მახლობლად უერთდებოდა დანარჩენ ორ გზას.

ამრიგად, ქალაქის სამივე კარიდან წამოსული გზა ქაშვეთთან იყრიდა თავს. ამან განაპირობა ის, რომ სწორედ ქაშვეთთან იყო გარეთუბნის სავაჭრო ცენტრი თავისი ქარვასლით, რასტაბაზრით, დუქნებით და სახელოსნოებით.

გარეთუბანში ვერ ვხვდებით ადგილობრივი დანიშნულების ადმინისტრაციულ მოხელეებს, გარდა გზირისა, რომელსაც საპოლიციო მოხელის ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. ეტყობა, გარეთუბანი მთლიანად ქალაქის ადმინისტრაციაზე იყო დაქვემდებარებული. მაგალითად, ყოველგვარ დავას, ეხებოდა ეს სახლის აგებას, გასაყიდი სახლის შეფასებასა თუ ბაღის გაშენებას, ქალაქის მელიქის მიერ გარეთუბანში საგანგებოდ გაგზავნილი ნაიბი — მოადგილე, ანდა ქალაქის კალატოზთა ოსტატი წყვეტდა. გამონაკლისი იყო გარეთუბანში მოსახლე კათალიკოსის კუთვნილ ყმა-გლეხთა მოურავი, რომელიც მეურვეობასა და მეთვალყურეობას უწევდა ამ ყმა-გლეხობას.

გარეთუბანი ყოველთვის მოზიარე იყო თბილისის აყვავება-აღორძინებისა თუ დაქცევა-დაცემისა. თბილისს მოსული მტერი ქალაქთან ერთად აოხრებდა, არბევდა და ძარცვავდა გარეთუბანსაც.

XVIII საუკუნეში გარეთუბანი რამდენჯერმე დაარბია მტერმა. ამის შესახებ წერენ ძველი ქართველი თუ უცხოელი ისტორიკოსები. ბევრი შემზარავი ამბის მაცნეა ჩვენამდე მოღწეული წერი-

ლობითი საბუთებიც. „მერმე ურუმობაში[1] გარეთუბანი დააქციეს და ის თქვენი სახლიც დაიქცა", — ვკითხულობთ ერთგან. მრავალი უბედურების გამოძახილია ქართულ ენაში გაჩენილი სიტყვები: „ნასასლარი", „ნაოხარი", „ბეითალმანი" და სხვ.

უკანასკნელი გამანადგურებელი შემოსევა თბილისმა და მისმა გარეთუბანმა 1795 წელს განიცადა. ქართლ-კახეთის მეფემ, ოთხმოც წელს მიღწეულმა ერეკლე II-მ კრწანისის ველზე მცირერიცხოვანი ჯარით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ირანის მბრძანებლის აღა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვან ჯარს.

ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ.

აღა-მაჰმად-ხანის ბრძანებით მისი ჯარი სამი დღის განმავლობაში ძარცვავდა ქალაქს. მტერი ქალაქის შემოგარენსაც შეესია. რისი წაღებაც შეიძლებოდა, მიჰქონდათ, რასაც ვერ ერეოდნენ — სპობდნენ და უმოწყალოდ ანადგურებდნენ. ცოცხლად გადარჩენილი ხალხი კი ტყვედ მიჰყავდათ.

ამ შემოსევის შემდეგ ბევრი სოფელი თუ ალაგი ბეითალმანი — ნაოხარი, ნასასლარი გახდა. სწორედ ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები სახელმწიფო მოხელეთა ახალი თანამდებობა „მობეითალმანე", რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ქალაქსა და მის სანახებში აღდგენითი სამუშაოების ზედამხედველობა და განადგურებული ქალაქისპირა სოფლებისა თუ უსახლკაროდ დარჩენილ ყმა-გლეხთა სიის — ნუსხის შედგენა. ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII ამ თანამდებობის მქონე პირს, მობეითალმანე იოანე პენტელაშვილს უბრძანებს: „ქალაქი, ციხე, ავლაბარი, წინწყაროელნი, გარეთუბანი, ქალაქის გარშემო და სოფლები უნდა დასწერო, ვისიც ყმა უნდა იყოს, გარჩევით დასწერო, აგრეთვე მამულებიც უნდა დასწერო, გამოიკითხო ჩვენი ყმის ბეითალმანი მამული, საქონელი თუ სხვა რამ ნივთი გარჩევით უნდა დასწერო".

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ თბილისს უცხო დამპყრობთა ძალადობა აღარ განუცდია. სულ მცირე შესვენებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქალაქი ისევ განსახლებულიყო და მოღონიერებულიყო, შესაბამისად გარეთუბანიც იწყებს დასახლებას.

გარეთუბანში რამდენიმე მიკროუბანი იყო, რომელთა სახელი

[1] ურუმი — თურქი, ოსმალო.

წარმოიშვა აქ მაცხოვრებელ პირთა სახელისა და გვარისაგან, ასევე აქ მდგარი ხუროთმოძღვრული ძეგლის სახელწოდებიდან. ასეთებია: მუხრანთუბანი, წყლის კარის უბანი, ცხრაპურას უბანი, ბოშის უბანი, ორბელიანების უბანი, კალოუბანი, ვანქის უბანი და სხვ.

„ქვემო კართან", მტკვრის ახლოს, ქალაქის გალავანში დატანებულ ბურჯთან, ახლანდელი ჩახრუხაძისა და ბარათაშვილის ქუჩათა შესაყარზე იდგა მუხრანბატონების ორსართულიანი სასახლე. მუხრანბატონებს ეკუთვნოდათ სოლოლაკის ხევის გაღმა და გამოღმა მამულები და ამის გამო ამ ტერიტორიასაც მუხრანთუბანი შეერქვა. აქვე, ხევზე, გადებული იყო ვიწრო ხიდი, რომელსაც „მუხრანის ხიდს" ეძახდნენ.

მოგვიანებით, XX საუკუნის 10-იან წლებში (1911 წ.), მდინარე მტკვარზე აიგო რკინის ერთმალიანი ხიდი (არქიტექტორი პატონი), რომელსაც ძველი ხიდის სახელი, „მუხრანისა" შეერქვა (დღევანდელი ბარათაშვილის ხიდი).

1751 წელს მეფე თეიმურაზ II-მ თავად რევაზ ორბელიანს უწყალობა გარეთუბანში მდებარე „მეიდნის სასახლის" ადგილი. ამ ადგილს ამის შემდეგ ეწოდა ორბელიანების უბანი. შემდეგ ორბელიანებმა გარეთუბანში თავიანთ მამულს შეპმატეს მტკვარზე დიდი კუნძული (ეს კუნძული მდებარეობდა კარლ მარქსის სახელობის ხიდებს შორის). XIX საუკუნეში კუნძული ორბელიანებმა გენერალ მადათოვს მიჰყიდეს.

„წყლის კარის უბნის" სახელი თვითონ უჩვენებს თავის ადგილმდებარეობას. ის ქალაქის გალავანში დატანებული ამავე სახელწოდების კარის მახლობლად მდებარეობდა და აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა „მუხრანთუბანს".

ქალაქის გალავანში დატანებულ ბურჯთან სახლი ჰქონია ვინმე ცხრაპურას, რის გამოც მის სამოსახლო მიდამოსაც ეს სახელი — „ცხრაპურაანთ უბანი" შეერქვა. აქვე, „შუა კარის" სიახლოვეს, იყო „ბოშის უბანი".

გარეთუბნის ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ქართულ-მართლმადიდებლური და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები. ქართული ეკლესიებია: კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია, მთაწმინდის წმინდა დავითის ეკლესია, ქაშვე-

თის წმინდა გიორგის ეკლესია და სამების ეკლესია. სომხური ეკლესიებია: ვანქის, ქამოიანთი, თეკენამის, ზირკინაანთი.

„კალოუბნის“ ეკლესია იდგა რუსთაველის კინოთეატრის შენობის ადგილას და მთელ ამ მიდამოსაც ამიტომ კალოუბანი შეერქვა. ამ ადგილას ეკლესიის აგება თბილისის ქალაქობის ადრეულ ხანასთანაა დაკავშირებული. ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. „კალოუბანი“ გვხვდება 1560 წელს შედგენილ სიგელში, 1715 წლის სიგელით კი ვიგებთ, რომ კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია თავის მამულიანად ზუმბულიძეთა სამკვიდრო ყოფილა.

„კალოუბნის“ წმინდა გიორგის ტაძარმა თავისი არქაული სახით 1850 წლამდე მოაღწია. შემდეგ მის ნანგრევებზე ახალი ეკლესია აიგო, რომელიც აიღეს XX საუკუნის 20-იან წლებში.

VII საუკუნეში საქართველოში ქრისტეს რჯულის საქადაგებლად გამოემგზავრა ცამეტი ასურელი მამა-ბერი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე თითოეულმა მათგანმა სამოღვაწეოდ სხვადასხვა კუთხე აირჩია. ერთ-ერთი მამათაგანი, რომელიც თბილისის გარეთუბანში — მთაწმინდაზე — დასახლდა, იყო დავითი.

1540 წელს წმინდა დავითის სამყოფელის, სენაკისა თუ ეკლესიის ადგილას ბერად შემდგარი ძმები — დავით და ნიკოლოზ გაბაშვილები აგებენ ეკლესიას. ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია, დღევანდელი ეკლესია XIX საუკუნისაა.

ქაშვეთის ეკლესიის აგებას ლეგენდა სწორედ წმინდა დავითის სახელს უკავშირებს. დავითი ბერი იყო და როგორც ბერს, ეკრძალებოდა ამქვეყნიურ ამბებში მონაწილეობა, ამიტომ განდგომილ ცხოვრებას ეწეოდა. მისი სახელი რომ შეებღალათ, ქრისტიანობის მოწინააღმდეგეებმა ასეთ ხერხს მიმართეს: შეკრებილი ხალხის წინაშე გამოიყვანეს ფეხმძიმე ქალი, რომელსაც ათქმევინეს, თითქოს დავითისაგან იყო ფეხმძიმედ. და აი, ბერის საქციელით აღშფოთებული ქრისტიანების წინაშე წარსდგა წმინდა დავითი. ხალხი მის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. დავითს უნდა დაეცვა თავისი სიწმინდე. სამსჯავროს წინ მდგარი ბერი თავისი ხელჯოხით ქალის სხეულში მყოფ ნაყოფს შეეხო და ჰკითხა: — ბავშვო, მითხარი, მე ვარ თუ არა შენი მამა? ნაყოფმა უპასუხა: — არაო. მაშინ მამა დავითმა ცილისწამებისათვის დედაკა-

ცი დასწყევლა: ბავშვის მაგიერ ქვა შვიო! და მართლაც, ქალმა ადამიანის ნაცვლად ქვა შვა. ყოველივე ეს თურმე იმ ადგილას მომხდარა, სადაც შემდეგ ეკლესია აუგიათ. ლეგენდის გავლენით მისთვის ქვაშეთი, ქუაშეთი ანუ ქაშვეთი უწოდებიათ. მამა დავითი ამის შემდეგ თბილისს გასცლია და გარეჯაში დასახლებულა, რის გამოც მას დავით გარეჯელი ეწოდა.

1754 წელს ძველი ეკლესიის ადგილას გივი ამილახვარს აუგია ახალი, ახლანდელი ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია კი ისევ ამილახვრების თაოსნობით, 1910 წელს აიგო (არქიტექ-



ქამოიანთ ეკლესია და სასახლის ქუჩის დასაწყისი

ტორი ფილფელდი, ჩუქურთმების ნახატი შეასრულა არქიტექტორმა ე. ანდრიოლეტიმ, ქვაზე კვეთილობა — აგლაძემ).

გარეთუბნის მეოთხე არქიტექტორული ძეგლია „სამების“ ეკლესია (დგას განათლების ქუჩაზე), რომელიც აღნიაშვილს („ყარაულად“ წოდებულს) 1790 წელს აუგია. 1836 წელს მას მიაშენეს სამრეკლო.

გარეთუბნის სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებს შორის ყველაზე ადრეულია „ვანქის“ ეკლესია. მას „ფაშავანქსაც“ (ფაშის მონასტერი) უწოდებდნენ. აგებულია XIV—XVI საუკუნეებში. ამჟამად ეკლესიიდან დარჩენილია გვიანი ხანის, XIX საუკუნის

სამრეკლო (დგას ათონელის ქუჩაზე). ამ უბანმა თავისი სახელი — ვანქის უბანი — სწორედ ეკლესიის გამო მიიღო. მდებარეობდა მუხრანთუბნისა და ორბელიანების უბანს შორის, მტკვრის ნაპირზე.

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია „ქამოიანთი" იდგა დღევანდელ ნ. ვაჩნაძის ქუჩაზე.

„ზირკინაანთად" წოდებული წმინდა გიორგის სომხურ-გრიგორიანული ეკლესია XVIII საუკუნისა იდგა აწინდელი „ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობის უკან. იგი 1717 წელს აუგია მოქალაქე ყამაზოვს.

„თეკენამის ეკლესიაც" (სომხურად ნიშნავს — „თუ ვიცოცხლე") XVIII საუკუნის ძეგლია და იდგა დღევანდელი ბარათაშვილის სახელობის ქუჩაზე.

გარეთუბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში თავშესაქცევი, სამხედრო ვარჯიშისათვის განკუთვნილი ადგილი, ე. წ. ასპარეზი იყო. მოგვიანებით ამ ადგილს ერთ-ერთი გასართობი თამაშის, სროლის გამო „ყაბახი" შეერქვა.

მინდორზე იდგა ყაბახი — ბოძალი, რომელზეც იდებოდა ოქროს ვაშლი, ანდა თასი. ცხენზე ამხედრებული მოასპარეზენი ჭენებით მიჰქროდნენ ყაბახისაკენ და თან ისარს ესროდნენ. ვინც ოქროს ვაშლს ან თასს ჩამოაგდებდა, ვალდებული იყო, შეჯიბრებაზე დამსწრე მეფისათვის მიერთმია.

ყაბახი აღწერილი აქვს ქართველ პოეტ-მეფეს თეიმურაზ მეორეს პოემა „სარკე თქმულთაში":

„როდის იქნების ქორწილი ან სხვა დღეობა კარგიო,
ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგიო;
კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიო,
და კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: „სროლაში მკლავი მარგიო!"
. . .
ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, მიართმევს მეფეს წინადა,
ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა თავიდამ ფერხამდინადა".

ყაბახი მშვენივრად აქვს აღბეჭდილი თავის ნახატში XVII საუკუნის იტალიელ მხატვარს კასტელის. XIX საუკუნეში ყაბახი არა მარტო საჯირითო და სავარჯიშო მინდორია, აქ სასეირნოდ გამოდიან მაღალი ფენის წარმომადგენლები.

„ყაბახს“ უმღერდნენ XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტები: გრიგოლ ორბელიანი (ლექსი „იარალის“), გიორგი ერისთავი („ყაბახისადმი“), ნიკოლოზ ბარათაშვილი („ღამე ყაბახზედ“).

„მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად საამო,
მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოპფენს ყაბახსა და კოჯორი დაპჭრის ნიავით,
და მომდინარე ხან ზვირთთ ცემით, ხან ნელად მტკვარი
შოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ყამთ მოჩივარი!
ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი
პირად-პირადად სეირნობდნენ, კეკლუც-მოსილნი,
და მათ გარემო შეპფრინვიდენ ყმაწვილნი კაცნი.
ზოგნი დაბძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
როს ქ ვ ე ყ ნ ი ს მ თ ვ ა რ ე თ შეეტრფოდნენ და მას კი არა“.

როგორც ბევრი რამ, ყაბახიც „ყამთასვლის მსხვერპლი“ შეიქნა. მანაც დაკარგა პირვანდელი დანიშნულება და სასეირნო და დასვენების ადგილადღა იქცა.

1859 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკის თაოსნობით ყაბახის ადგილას გააშენეს დასასვენებელი ბაღი, რომელსაც იმპერატორ ალექსანდრე II პატივსაცემად „ალექსანდრეს ბაღი“ უწოდეს და სადაც ამიერიდან მხოლოდ რუსული და ევროპული მუსიკის ჰანგები ისმოდა. აქვე ჩამოსული აკრობატები საცირკო ნომრებსაც უჩვენებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ბაღს ბაქოს 26 კომისრის თავდადების უკვდავსაყოფად „კომუნარების“ სახელი ეწოდა.

XIX საუკუნის გარეთუბანში, იმ ადგილას, სადაც ქართველ დიდებულთა ბაღები იყო გაშენებული, გაჩნდა ტოპონიმი — ადგილის სახელი სოლოლაკი.

გარეთუბანში ადგილის სახელად სოლოლაკის გაჩენა დაკავშირებულია სოლოლაკის, ანდა, როგორც მას უწოდებდნენ, სალალაკის წყალთან და ამავე სახელწოდების ხევთან.

ადრე ამ ხევს „ავანაანთ ხევი“ ეწოდებოდა, სალალაკის ხევი კი — თაბორის მთისა და ნარიყალას გამყოფს. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ „...კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელი გამოსდის წავკისსა და კოჟრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს“, რაც შეეხება თვით სალალაკის ხევს, ვახუშტი მის შესახებ ასე წერს: „კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის—ხევი ტკურამდე. სალალაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯისკარად“. ესე იგი, ვახუშტის დროს, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, სალალაკის ხევი და სალალაკის წყალი ქალაქის სამხრეთით მდებარე ხევსა და წყალს ეწოდებოდა. ეტყობა, სალალაკის ხევში მომდინარე წყალს ვახუშტისავე დროს მეორე სახელიც ჰქონია, რადგანაც მისსავე შედგენილ „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ რიცხვით 53 აღნიშნულია სოლოლაკის ხევში მომდინარე „წავკისის წყალი“.

XIX საუკუნეში შედგენილ თბილისის რუკებსა და გეგმებზე წავკისის ხევში მომდინარე წყალი ორი სახელითაა აღნიშნული: „წავკისი, ანდა სალაკის წყალი“. შემდგომში მდინარემ სახელი „სალაკი“ დაკარგა და წავკისის სახელი დაიმკვიდრა, თუმცა მდინარის ქვემო წელზე, თბილისელი დაბაღების — მეტყავეების მიერ აქ არსებული აბანოებიდან გამომდინარე გოგირდოვან ცხელ წყალში ტყავის დამუშავება-გამოყვანის გამო „დაბახანკა“, ანდა „დაბახანის წყალი“ შეერქვა. სალალაკის ხევს კი ლეღვთა ხევსაც უწოდებდნენ და ახლაც უწოდებენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სალალაკის — სოლოლაკის ხევის სახელი საბოლოოდ შეერქვა ავანაანთ ხევს და მის ზემო წელზე მიმდებარე ტერიტორიას.

სოლოლაკის ხევი იწყებოდა ახლანდელი დავითაშვილის ქუჩიდან, გაივლიდა ლენინის მოედანს, ჩაუყვებოდა პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს და მდინარე მტკვარს უერთდებოდა ბარათაშვილის ხიდის მახლობლად.

სოლოლაკის უბნის განაშენიანება დაიწყო XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან, სოლოლაკის ხევის გადახურვის შემდეგ კი იწყება მისი ტერიტორიის ინტენსიური ათვისება (XIX საუკუნის 60—70-იან წლებიდან). ჩნდება სოლოლაკის სახელწოდების ქუ-

ჩა (დღევანდელი კიროვის ქუჩა). გარეთუბნის ამ ნაწილში ბაღ-ვენახების არსებობაზე კი მიგვანიშნებს „ბაღის“ სახელის მატა-რებელი ქუჩა (დღევანდელი ენგელსის ქუჩა).

დაბახანა აბანოებთან

სოლოლაკში ძირითადად სახლდებიან ახლად წარმოქმნილი ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები.

ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ გარეთუბანში, შემდეგდროინდელ სოლოლაკის უბანში, ბაღების ბოლოს დატა-ნილი აქვს ოთხკუთხა ნაგებობა ამარათის სახელით. ამარათ-ემარათ სპარსული სიტყვაა და შენობას, ნაგებობას ნიშნავს. პიშ-ჩევიჩი „თბილისის 1785 წლის გეგმაზე“ დაახლოებით იმავე ადგილზე არსებულ ნაგებობას უწოდებს „ნანგრევები საქართვე-ლოს მეფის ძველი რეზიდენციისა“.

ჩვენ არ ვიცით, რა წყაროებით სარგებლობდა პიშჩევიჩი, რო-ცა აღნიშნულ შენობას „მეფის ძველ რეზიდენციას“ უწოდებდა. ძნელია იმის დაჯერება, რომ ვახუშტი ბაგრატიონს, მეფე ვახ-ტანგ მეექვსის შვილს, არ სცოდნოდა გარეთუბანში სამეფო რე-ზიდენციის არსებობა.

ვერე



ალაქ თბილისს ჩრდილო-დასავლეთიდან გარეთუბნის შემდეგ სოფელი ვერე-ვერა ესაზღვრებოდა.

ქალაქის შემოგარენში პირველად სიტყვა ვერე ხევის სახელად — „ვერისახევი" — XIII საუკუნეში გვხვდება.

აღნიშნულ ხევში მოედინება მდინარე ვერა, რომელიც მტკვარს მარჯვენა მხრიდან შეერთვის.

მდინარე ვერეს ქვემო წელზე, მტკვრის სიახლოვეს, XVIII საუკუნის წერილობით წყაროებში და სპეციალურ ლიტერატურაში იხსენიება სოფელი ვერე (ვერა). როდის გაჩნდა აქ სოფელი ამ სახელით, ან ზუსტად სად მდებარეობდა, არ ვიცით. თბილისისკენ მომავალი მოგზაური და მეცნიერი, ბოტანიკოსი გიულდენშტედტი ქალაქის სანახების აღწერისას მხოლოდ „ვერის ხიდს" ახსენებს, სოფელ ვერის შესახებ კი არას ამბობს. ეს გვაფიქრებინებს, რომ დასახლებული პუნქტი, ყოველ შემთხვევაში, ამ დროს მაინც, ხიდიდან მოშორებით, დასავლეთით უნდა ყოფილიყო (შეიძლება, ვივარაუდოთ დღევანდელი უნივერსიტეტის მიდამოები).

ადრეული ხანის ვერის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ხარვეზს რამდენადმე ავსებს ძველ „ვერაზე" მდგარი და დღევანდლამდე მოღწეული ხუროთმოძღვრული ძეგლი „ლურჯი მონასტერი". ეკლესია აგებულია XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე. ეს ის პერიოდია, როცა თბილისი ერთიანი, ძლიერი საქართველოს

დედაქალაქია. იგი დიდი და ნებიერი ქალაქია, რომლის ტერიტორია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დიდ ფართობზეა გადაჭიმული.

„ლურჯი მონასტრის“ სამხრეთ კედელში დატანებული კარის ტიმპანზე (კარის დამაგვირგვინებელ ქვაზე) არსებულმა ცხრასტრიქონიანმა წარწერამ შემოგვინახა, როგორც ეკლესიის ძველი სახელი (წმიდა ანდრია), ისე იმათი ვინაობა, ვისი თაოსნობითაც იგი აუგიათ. ესაა ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ამირთ-ამირა აბულასანის ძმა, ქართლის მთავარეპისკოპოსყოფილი ვასილ იობის ძე. ტაძარი ვასილს თავის საგვარეულო „საძვალედ“ აუგია. ესე იგი, „წმინდა ანდრიას“ ეკლესია საგვარეულო სამარხი ყოფილა.

ამირთ-ამირა შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სახელოა. იგი ქალაქის მმართველია და მის მპყრობელს ქალაქის სანახებზე მიუწვდებოდა ხელი.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ XVI საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართლის მეფის სიმონ პირველის მიერ გაცემულ ერთ-ერთ სიგელში მეფის ბრძანების შემსრულებელთა შორის მოხსენიებულია „ვერის ხევის ტარუღა“.

სიტყვა „ვერეს“ ცალკე სოფლის სახელად XVIII საუკუნეში ვხვდებით. იგი საგაბაშვილო, აზნაურ გაბაშვილების მამული იყო.

მას შემდეგ, რაც ბერად შემდგარმა ძმებმა დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა 1542 წელს მთაწმინდაზე ძველი ეკლესიის ადგილზე „წმიდა დავითის“ სახელობაზე ახალი ეკლესია ააგეს, გაბაშვილები ამ ქალაქისპირის სოფელში ნელ-ნელა მტკიცედ იკიდებენ ფეხს და უკვე XVIII საუკუნეში საგაბაშვილო მამული მოიცავდა „ვერის ხევის ქვემო წელს წყნეთამდე“.

ვერეს ადრინდელი სახელი სკვირეთ-სკორეთი ყოფილა.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: „ხოლო კოჟრის ჩდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე: გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკუარს დასავლიდამ, ტფილისის ჩრდილოდ კერძ. შესართავსა ზედა არს ლურჯი მონასტერი“.

ძველთაგანვე სკვირეთის ხევზე იდო დიდგორისა და მანგლი-

სის ხევზე გავლით თრიალეთში მიმავალი ერთ-ერთი უმოკლესი გზა, რომელსაც მომდევნო ხანაშიც, სულ ბოლო დრომდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთ სტრატეგიულ გზას. ხევში ჩაწოლილი გზა მშვენიერი საშუალება იყო მტრისაგან ფარულად ჯარის გადაადგილებისა და მოძრაობისათვის.

XVIII საუკუნეში გარეშე მტრისა თუ მოთარეშე ლეკების მოულოდნელი თავდასხმა ყოველდღე იყო მოსალოდნელი. ასეთი საშიშროების დროულად თავიდან აცილების მიზნით თბილისისაკენ მომავალი ყველა მნიშვნელოვანი გზის დამცველად და მეთვალყურედ ქართლის მეფეებს „ყარაული" ჰყავდათ დაყენებული.

ადრე ამავე მიზნით გამოყვანილ მეომართა ჯგუფს „დარაჯი" ეწოდებოდა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი საქართველოში სულთან რუქნადინის ლაშქრობისა და ბასიანის ბრძოლის თხრობისას აღნიშნავს: სულთანისათვის ქართველთა ლაშქრის გამოჩენა მოულოდნელი იყო, რადგან „დარაჯნი არა უდგეს სულტანსაო". ქართველთა ჯარის ასე უცაბედმა გამოჩენამ აურზაური და პანიკა შეიტანა მომხდურთა რიგებში. ბასიანის ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

კიდევ ერთი ქართველი ისტორიკოსი, „ყამთააღმწერელი" ხორეზმის სულთნის, ჯელალედინის მიერ ჩვენს მიწა-წყალზე ლაშქრობის აღწერისას ერთ ადგილას ამბობს, ბოლნისის ხევში დაბანაკებულ სულთანს ქართველთა ჯარის მოახლოება მისმა მზვერავ-დარაჯებმა აცნობესო: „და ვითარ იხილეს დარაჯთა სულტნისათა, აცნობეს სულტანსა".

„დარაჯი" და „ყარაული" ორივე აღმოსავლური სიტყვაა და ერთი და იმავე აზრის გამომხატველი ტერმინია. ამ სიტყვის შემცველი ქართულში გვაქვს „მსტოვარი", „მოთვალთვალე", „ჯაშუში". „დარაჯი" უფრო ადრე იხმარებოდა, ვიდრე „ყარაული", ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე 1787 წელს შედგენილი საბუთით მოლაშქრეთა აღმწერ მოხელეს ლაშქარნივისს ავალებს: „ქ. ლაშქარნივისებო, ვერის ხევის ყარაულს ღთისიასშვილს ქალაქის პირის მორიგიდამ სამი მორიგე მიეცათ. ერთის თვეს იყარაულონ".

სკვირეთი „ყამთააღმწერელთან" ორჯერაა მოხსენიებული, ოღონდ „სკორეთის" ფორმით.

თამარ მეფის შვილიშვილის, მეფე დავით მეშვიდის შვილს დიმიტრი მეორეს (თავდადებულს, მეფობდა 1271—1289 წლებში) სამი ცოლი ჰყავდა. ტრაპიზონის მეფის კომნენოსის ასულთან შეეძინა ოთხი ვაჟიშვილი: დავითი, ვახტანგი, ლაშა, მანოველ და ერთი ასული რუსუდან. მეორე ცოლი იყო სორღალა; „თათრის ასულსა თანა ძენი ორნი, ბადურ და იადგარ, ასული ჯიგდა"; მესამე, სარგის ჯაყელის ძის, ბექას ასული, რომელთანაც შეეძინა ერთი ძე გიორგი, მეფობაში (1314—1346 წლები) „ბრწყინვალეს" ზედსახელით ცნობილი.

ურდოში მიმავალ დიმიტრი მეფეს თან წაუყვანია ვაჟიშვილი დავითი. ხოლო იმის შემდეგ, რაც ყაენის ბრძანებით „წარკუეთეს მეფეს დიმიტრის თავი", მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი დაშლილა და მიმოფანტულა. მამის სიკვდილის შემდეგ დავითი ურდოში დარჩენილა ტაჩარ ნოინთან, ვახტანგს მთიულეთისთვის შეუფარებია თავი, ლაშა და მანოველ დედოფალს ხლებიან, რომლისთვისაც სარჩოდ „სკორეთის ხევი" მიუციათ.

დიმიტრის მეორე ცოლი სორღალა „წარვიდა სახლსა მამისა მისისასა თათარში", ხოლო სარგის ჯაყელის ძის, ბექას ასული — სამცხეს, მამასთან.

ყაენის სურვილის თანახმად, იმერეთიდან გადმოიყვანეს დავით ნარინის შვილი ვახტანგ მეფე და თბილისში (1289—1292) გაამეფეს.

„ჟამთააღმწერელი" გადმოგვცემს, რომ მიუხედავად ამისა „...დედოფალი... დაშთა სკორეთს" (კომნენოსთა ასული). დიმიტრი მეფის ცოლის, დედოფლის სკორეთში დარჩენა იმაზე მიუთითებს, რომ აქ სასახლე, მეფეთა სადგომი ყოფილა. „სკორეთი" ერთ გარკვეულ პუნქტს არ ერქმეოდა. იგი კრებით სახელად ჩანს ისევე, როგორც მისი შემცველი მოგვიანო ხანის „ვერე".

მდინარე ვერეს მეორე სახელად ივ. ჯავახიშვილს მისივე რედაქციით 1923 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე" დატანილი აქვს „მდინარე სკორეთი, ვერე". სიტყვა სკორეთში არსებობს ერთი საცდური, რომ ის დავუკავშიროთ „სკორს", რაც ძველ ქართულში ნეხვს აღნიშნავდა.

საცთური უფრო იზრდება, როცა ვიხსენებთ, რომ სკვირეთ-სკორეთის ხევი ძველად სამიმოსვლო გზა იყო (შეიძლება საქა-

რავნოც). ასევე შეიძლება დავუშვათ, რომ მდინარე სკორეთის ჭალებში მესაქონლეობის დაწინაურებისათვის მეტად ხელშემწყობი პირობები არსებობდა.

რასაკვირველია, ეს მხოლოდ ვარაუდია.

სიძნელესთან არის დაკავშირებული ადგილის მეორე სახელის, ვერეს ეტიმოლოგიის დადგენა. რამდენადაც ვიცით, ამ სახელის ახსნა სამეცნიერო ლიტერატურაში თეიმურაზ ბატონიშვილის გარდა არავის უცდია. მაგრამ მისეული განმარტება მეტისმეტად გულუბრყვილოა. იგი ამბობს: „ვერა უკუთქმნითა ქართული სახელი არისო", ესე იგი „ვერ ამოვალ", „ვერ განახავ" და ასე შემდეგ.

„ვერე" საგაბაშვილო მამულია. სოფელ ვერეს საზღვრებზე XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრებში დაცული ცნობები კონკრეტულად არას გვამცნობს. დადგენილი მიჯნები უფრო ქალაქთან ახლოს მდებარე საგაბაშვილო მამულს ეხება, ვიდრე კონკრეტულად სოფელ ვერეს. ამ დროს (XVIII საუკუნეში, შეიძლება, XVII საუკუნეშიც) ვერე უფრო ზოგადი სახელი იყო და მოიცავდა ამჟამინდელ ვაკეს, საბურთალოს, დელისს. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ადგილების განსახლება-განაშენიანება (უკვე მერამდენეჯერ?) იწყება XIX—XX საუკუნეებში. ამ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს ვახუშტის „აღწერაში" მოთავსებული სოფლების სიაც. იქ, სადაც ვერის ხევის სოფლებია ჩამოთვლილი, სოფელი ვერე მოხსენიებული არაა (ასევე არაა ნახსენები სოფლები ვაკე, საბურთალო, დელისი).

XVIII საუკუნეში ვერე შემოიფარგლებოდა სამხრეთიდან გაბაანთხევით (ამჟამინდელი ელბაქიძის დაღმართის ნაწილი და გაბაშვილის ქუჩა), დასავლეთიდან — სემიონოვკის დასახლებით, ჩრდილოეთიდან — საბურთალოთი[1], აღმოსავლეთიდან მტკვრით.

თუ რა ტერიტორიაზე მიუწვდებოდათ ხელი გაბაშვილებს, გვამცნობს XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრები: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე გაბაშვილმა, რევაზმა. შენ გაბაშვილსა. სამადავლესა, დავი-

[1] თუმცა საბურთალო XX საუკუნის 10-იან წლებშიც საგაბაშვილო მამული იყო.

თასა. ასე რომ. დამეჭირა. და ჩემი. მესამედი წილი მამული გირაოთ. მოგეცი. ვერეს. გაღმა ქექოტი, საბურთალა, გრდელისი. თხილოვანა"; „მოგყიდე ჩემი წილი რომელიც საგაბაშვილოში მქონდა იმისი ნახევარი... საბურთალო მინდვრამდის"; ან კიდევ „მოგყიდე ჩემი მამული საგაბაშვილოში მეექვსედი ვერას გამოღმა თუ ვერის გაღმა, სადამდინაც საგაბაშვილოს მამულის სამძღვარია... თავისი საწყლის პიროთი, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა და სასაფლაოთი." ვერაზე გარდა გაბაშვილებისა მამუ-



ბაღები მდინარე ვერეს სანაპიროზე

ლები ჰქონდათ თვით ვერელებს და ქალაქელებსაც. აქ გაშენებული ბაღ-ვენახები ირწყვებოდა მდინარე ვერედან გამოყვანილი არხებითა და რუებით, აგრეთვე საგუბრებიდან და აუზებიდან გამოყვანილი მილებით.

ვერაზე ბაღ-ვენახებისა და ყანების გარდა, ბევრი წისქვილიც ყოფილა. მათი მფლობელები იყვნენ: ქალაქის მელიქი დარჩია, თბილელი, ორბელიანები, მელიქიშვილი, ყორღანაშვილი და სხვა. ვერაზე და, საერთოდ, ქალაქის სიახლოვეს წისქვილთა

სიმრავლე მაჩვენებელია მათი სარფიანობისა — წისქვილი დიდ შემოსავალს იძლეოდა. ამიტომაც მისი მეპატრონე იყო არა მარტო უბრალო მოქალაქე, ანდა ვაჭარი, მის მესაკუთრეობას არ თაკილობდნენ მეფენი და თავად-აზნაურობაც.

დოკუმენტის „ქალაქის მოურავის სარგოს" მიხედვით, ქალაქის მოურავს თავისი წილი ვერის ბაღებიდანაც ერგებოდა.

ვერეს ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან დღესაც დგას „ლურჯი მონასტერი". როგორც ვთქვით, თავდაპირველად იგი ანდ(ია მოციქულის სახელობაზე აუგიათ, შემდეგ რამდენჯერმე გადაუკეთებიათ და გუმბათის ლურჯი შორენკეცით[1] მოპირკეთების გამო „ლურჯი მონასტერი" შერქმევია. 1872 წელს არქიტექტორ ჩიჟოვის პროექტით დაადგეს გუმბათი, მანამდე კი ადგილობრივი რუსი ხელისუფლების მიერ ეკლესია დენთის საწყობად იყო გამოყენებული.

ვერაზე მდგარა კიდევ ერთი ეკლესია, რომლის ნანგრევებს XIX საუკუნის 70-იან წლებამდე მოუღწევია. ეკლესიის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის 1877 წელს ჟურნალ დროებაში" მოთავსებული „დღიური": „ერთის ვერის მცხოვრებისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა, რომელზედაც ჩვენი არხეოლოგიური საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ: „ვერაზედ, ღენერალ ყორღანოვის სახლების გვერდით, პატარა ტიტლიკანა გორაზე სდგას ერთი რგვალი კედელი, რომელსაც ექნება სიმაღლე საჟენ ნახევარი და სიგანე ირგვლივ სამი საჟენი. აქ მოდიან მრავალი დედაკაცები, ლოცულობენ, სამთელს, საკმეველს და ნაირ-ნაირ ნივთებსა, ფულებს სწირავენ და ვის მიაქვს ყველა ესენი, კაცმა არ იცის. ამბობენ, რომ ამ ორმოცი წლის წინათ ამ ალაგას ძველი ეკლესია იდგა და ხალხი დადიოდა თურმე და ლოცულობდა. შემდეგ, მიწის თხრის დროს, კედლები ჩამოუქცევიათ და პატრონობაც აღარავის გაუწევია. აქ ერთი პატარა გათლილი ქვა უპოვნიათ, რომელზედაც წერებულა: „აშენდა ესე წმ. ესტა-

---

[1] შორენკეცი ჰქვია, როცა აგურზე, ანდა კრამიტზე ლურჯი ჭიქურია წასმული. ასე მოჭიქული აგური და კრამიტი დეკორატიული მიზნით იხმარებოდა. დღეს ლურჯჭიქურიანი კრამიტით დახურულია ძველ სეიდაბადში მდგარი ბერძნების „წმიდა ნიკოლოზის" სახელობის ეკლესიის გუმბათი.

ტეს ეკლესია ღვთისაგან კურთხეულისა და ამაღლებულისა საქართველოს დედოფლის თამარის ბრძანებით".

სამწუხაროდ, აღნიშნულ წარწერას ვერსად მივაკვლიეთ.

ამ ძეგლის შესახებ პლატონ იოსელიანსაც აქვს ნათქვამი, იგი ლურჯი მონასტრის მრევლისათვის იყო აგებულიო.

ძველ ვერაზე გადიოდა ქალაქიდან წამოსული „დიღმის გზა" — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქალაქთაშორისო და საქარავნო გზა (დღევანდელი ლენინის სახელობის ქუჩა). იგი გადიოდა ვერის ხევზე, ქვითა და ქართული აგურით ნაგებ ოთხმალიან „ვერის ხიდზე", რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი ქვითკირით ნაგებ დიდ ხიდს უწოდებს. იგი XVII საუკუნის 40—50-იან



ძველი ვერის ხიდი

წლებში აუგია თბილისის ზარაფს ხოჯა ბეჰმუდას (თავად ბებუთაშვილების წინაპარს).

მრავალი ამბის მნახველი და მომსწრე ვერის ხიდი XIX საუკუნეში უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა მზარდ სამიმოსვლო მოთხოვნილებას და ამიტომ იგი ჯერ შეაკეთეს 1850 წელს, 1856 წელს კი ხიდის ქვის ძველი პარაპეტი — შემომზღუდავი კედელი

მოხსნეს და ხის ტროტუარებითა და მოაჯირებით შეცვალეს. რაკი ეს ხის ტროტუარი და მოაჯირი ხიდის კედლებს გარეთ გამოდიოდა, ხიდი გაფართოვდა და მისი გამტარუნარიანობა გაიზარდა. ვერის ძველი ხიდის სიგრძე 70 მეტრი, სიგანე კი დაახლოებით 6 მეტრი იყო.

ვერის ძველმა ხიდმა, როგორც მოქმედმა ხიდმა, 1932 წლამდე იარსება.

გმირთა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 1931—1932 წლებში დიღმის ძველი გზა აიწია და ვერის ძველი ხიდის გვერდით სამთაღოვანი ქვის ახალი ხიდი აიგო.

მეორე გზა, რომელიც ვერაზე გადიოდა, წყნეთის გზა (ამჟამინდელი მელიქიშვილის ქუჩა და ილ. ჭავჭავაძის გამზირი) იყო.

ქალაქის ზრდასთან ერთად თანდათან ქალაქის ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ აგურის გამოსაწვავი ქარხნები. ძველ ვერაზე, ვარდისუბანში, აგურის გამოსაწვავი ქარხნების არსებობაზე მეტყველებს აქ არსებული ქუჩა, რომელიც აგურის სახელს ატარებდა (დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩა. მოგვიანებით აგურის ქუჩა აწინდელ ბაქრაძის ქუჩასაც ეწოდებოდა).

ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში აგურის საწვავი ქარხნები მოქმედებენ ვაკეში.

XIX საუკუნეში ძველი ვერეს — საგაბაშვილოს — ტერიტორიაზე ჩნდება რამდენიმე სოფლური დასახლება — ვ ა რ დ ი ს უ ბ ა ნ ი, ვ ა კ ე დ ა ს ა ბ უ რ თ ა ლ ო.

ვ ა რ დ ი ს უ ბ ა ნ ს[1] ეკავა ვარაზისხევის მარჯვენა მხარე — ყოფილი „ვერის ბაზრისა“ და ახლანდელი ფილარმონიის მიდამოები — და აღწევდა სემიონოვკის დასახლებამდე. ამ ადგილას სოფელ ვარდისუბნის არსებობაზე მიგვანიშნებდა ამავე სახელწოდების ქუჩა (აწინდელი სიმონ ჯანაშიას ქუჩა) და ვარდისუბნის მთა (ახლა სემიონოვკის დასახლება, ძველი ვერის სასაფლაო).

ვ ა კ ე, ისევე, როგორც ვარდისუბანი, პირველად ქალაქის საზღვრებში ადგილის სახელად XIX საუკუნეში ჩნდება. იგი ვარა-

---

[1] არის მოსაზრება, თითქოს ამ ადგილს ვარდისუბანი აქ არსებული ასკილის ბუჩქნარის გამო შეერქვა.

ზისხვევის მარცხენა მხარეს, სოფელ ბაგებამდე არსებულ ტერიტორიას ეწოდებოდა. სახელი ვაკე ადგილმა დაბალი, დუბე, დაცემული მდებარეობის გამო მიიღო.

XIX საუკუნეში ქალაქის ტერიტორია ძირითადად ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით იზრდება. ეს პროცესი არც XX საუკუნეში შეწყვეტილა. ამიტომ ქალაქის გარეთუბანში არსებული აგურისა და კრამიტის ქარხნები ვაკეში გადაჰქონდათ.

ვაკე ქალაქ თბილისს 1907 წელს შემოუერთეს.

ვარდისუბნისა და ვაკისაგან განსხვავებით, საბურთალო ჯერ კიდევ XVII — XVIII საუკუნეებში შედგენილ სიგელ-გუჯრებში გვხვდება. ამ დროს წერილობით წყაროებში სახელ საბურთალოს მსაზღვრელად თან ახლავს სიტყვა ველი, მინდორი. ესე იგი, მაშინ საბურთალო, როგორც დასახლებული პუნქტი, არ არსებობდა. ვახუშტი ბაგრატიონი საბურთალოს ასე აგვიწერს: „მის (ვერეს) სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს“.

მაშასადამე, საბურთალოს ველი ირწყვებოდა მდინარე ვერედან გამოტანილი რუს საშუალებით. ქვეყნის ავბედობის ჟამს იგი, ეტყობა, მოიშალა, რადგან ვახუშტის დროს (XVIII ს. პირველი ნახევარი) უკვე აღარ მოქმედებდა.

საინტერესოა, რომ საბურთალოს ველი განვითარებულ შუასაუკუნეებში (XI—XIV სს.) მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამაზე მეტყველებს აქ შემთხვევით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა — მონეტები, თიხისა თუ ლითონის ნივთები (ამ ტერიტორიის უფრო ადრეულ დასახლებაზე მეტყველებს ისევე შემთხვევით აღმოჩენილი განათხარი მასალა).

ამ ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობაც მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს ვახუშტის მიერ მოხსენიებული სარწყავი რუ.

საბურთალოს ველის განსახლება (ვინ იცის უკვე მერამდენჯერ) XIX საუკუნეში დაიწყო.

საბურთალო მეტისმეტად მრავალეროვანი უბანი იყო. აქ ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებსაც ძირითადად დუქნები ჰქონდათ და მებაღეობას ეწეოდნენ (დუქნები ჰქონდათ გიორგი არჩვაძეს, დათიკო როსტიაშვილს). ქართველების გარდა ცხოვ-

რობდნენ მოლოკანები (მეეტლეები, რძის გამყიდველები), აისორები (მეთულუხჩეები), პოლონელები, ებრაელები, სომხები, აზერბაიჯანელები.

საბურთალო, რომლის თბილისთან შეერთების საკითხი XIX საუკუნის დასასრულს დაისვა, ქალაქს მხოლოდ 1917 წლის ბოლოს შეუერთდა.

საბურთალოს ეკავა 84 დესეტინა მიწის ფართობი, სადაც იდგა ერთი მართლმადიდებლური ძველი ეკლესია.

ვეძისი



ალაქის შემოგარენში, მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, XVIII საუკუნეში მდებარეობდა სოფელი ვეძისი. იმ დროს ვეძისს სამხრეთით და აღმოსავლეთით უშუალოდ საგაბაშვილო ემიჯნებოდა, დასავლეთით და ჩრდილოეთით კი ნახშირგორისა და დიღმის მამულები.

სახელი ვეძისი წარმოშობილია მლაშე წყლიდან. ძველ ქართულში „ვეძა — წყარო ბუნებითა მლაშეს" ნიშნავს.

სამწუხაროდ, სოფელ ვეძისის შესახებ მეტად მცირე ცნობები გაგვაჩნია, ისიც მხოლოდ XVIII საუკუნისა.

XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე ვეძისი სახასო — სამეფო მამულად ჩანს. 1723 წელს გაცემული წყალობის სიგელით, ვეძისი ქართლ-კახეთის მეფეს კონსტანტინეს ციციშვილებისათვის უბოძებია: „მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან ქართლისა და კახეთის მპყრობელმან, ერევნის ბეგლარბეგმან და შამშადილუსა და ყაზახის ხანმან, პატრონმან კონსტანტინემ... ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა და წესისამებრ მრავალ ფერად თავდადებით ნამსახურთა, ჩვენის მორჭმისა და შემომატების მოჭირნეს დიდგვართა და დიდებულთა ჩვენთა ციციშვილს ედიშერს და შვილსა თქვენსა... სოფელი ვეძისი".

შემდგომ, უფრო მოგვიანო ხანის ნასყიდობის წიგნებში, ციციშვილები ვეძისის მამასახლისის სახელოს მქონებელნი არიან

(„ციციშვილი: მამასახლისი დავით“, 1733 წ.). ვეძისის მამულს ბაღ-ვენახები და სახნავი მიწები შეადგენდა.

ვეძისის ისტორიის ამსახველი მასალის სიმცირის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მას თავისი ბაღ-ვენახებით და ყანებით ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში გარკვეული ადგილი ეკავა.

ამჟამად სოფელ ვეძისის ადგილი კანდელაკის ქუჩას და მის მიმდებარე მცირე ტერიტორიას უკავია.

სეიდაბადი

ბილისის უახლოესი უბანი სამხრეთით სეიდაბადი იყო. ტერიტორიამ, რომელიც ამ სახელს ატარებდა, რამდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება. თავდაპირველად მას „ტფილისი" ერქვა, შემდეგ — „სეიდაბადი", სულ ბოლოს კი — „ხარფუხი".

საუკუნეების მანძილზე ადგილის სახელის ასეთი ცვლა საქართველოს, კერძოდ, თბილისს თავსგადამხდარ ამბავთა გამოძახილია.

ჩვენს ქვეყანაში შემოსული მტერი ფეხის მოსაკიდებლად კოლონიებს ქმნიდა მეზობელი სახელმწიფოებიდან ლტოლვილთა თუ ხიზანთა ხარჯზე. ბევრმა ასეთმა ჩამოსახლებულმა ტომმა თვითმყოფადობა დღევანდლამდე შეინარჩუნა, ზოგი კი ადგილობრივ ხალხში გაითქვიფა და ასიმილირებულ იქნა. ესა თუ ის ადგილიც თავის სახელს იქ მცხოვრები ამა თუ იმ ხალხის სადაურობის — წარმომავლობის მიხედვით იღებდა.

ქალაქობის პირველ საუკუნეებში თბილისი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. ესენი იყო: „ტფილისი, კალა და ისანი". მოგვიანებით მათ მეორადი სახელები, სინონიმები გასჩენიათ. თბილისის აღწერისას ვახუშტი ამბობს: „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას — ტფილისსა, ტფილისს— სეიდაბათს და ისნს — ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი".

თეიმურაზ ბაგრატიონი კი ამბობს, რომ „ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი. ესე იგი: ...სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა, სეიდაბადის ბაღები რომ არის, იქ, ტფილს წყლებს ახლო. და იმ სოფელს ტფილისი რქმევია, და იქაც მცირედნი ქართველები მდგარან". ვახუშტიც და თეიმურაზ ბატონიშვილიც ძველი თბილისის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, „ტფილისის" მეორე, გვიან გაჩენილ სახელად სეიდაბადს ასახელებენ.

საუკუნეების მანძილზე ქალაქ თბილისის ტერიტორია ტოპოგრაფიულად დიდ ცვლილებებს განიცდიდა. რამდენადაც „მყარია" ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი „კალა", იმდენად ცვალებადია ქალაქის მეორე უბანი, „ტფილისის" ტერიტორია. „ტფილისს" უნდა სჭეროდა მდინარე წავკისის მარჯვენა ნაპირი, დღევანდელი „თათრების სასაფლაოსა" და აბანოების უბნის ტერიტორია მდინარე მტკვრამდე. შემდეგ კი, როცა ქალაქი თბილისი გაერთიანებული, ძლიერი სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა, მისი ტერიტორიაც შესაბამისად გაიზარდა. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას მიუღწევია „განჯის კარამდე", რაც დაადასტურა 1948 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. ამ წელს ქალაქის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ძველ „სეიდაბადში", აწინდელი „300 არაგველის" ბაღის გაგრძელებაზე მიწის თხრისა და მოსწორებისას ბარს არა ერთხელ ამოჰყვა მოჭიქული ჭურჭლის ნამტვრევები.

აღმოჩენის ადგილზე მიავლინეს ქართველ არქეოლოგთა და ისტორიკოსთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა პროფესორი ნ. ბერძენიშვილი.

არქეოლოგიური საძიებო სამუშაოები დაიწყო ძველ ზღუდესთან, რომელიც ნაწილობრივ დღემდეა შემორჩენილი, რადგან აღნიშნული ზღუდის დასავლეთით გადიოდა ქალაქიდან მომავალი „განჯის გზა", პირობითად გათხრის ადგილმაც „განჯის კარის" სახელი მიიღო. „განჯის კართან" 1948 წლის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ წარმოაჩინა მდიდარი კერამიკული თუ ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც XII—XIII საუკუნეებს მიეკუთვნება.

XIII საუკუნიდან საქართველო და მისი დედაქალაქი განიცდის დამანგრეველ შემოსევებს, რის გამოც მცირდება როგორც

ქალაქის ტერიტორია, ისე მოსახლეობა. მკვიდრი მოსახლეობის გაწყვეტა-გახიზვნასა და ტყვედ წასხმას თან ერთოდა, როგორც თვით ქალაქში, ისე მის სანახებში ეთნოსის ცვლა. ქალაქის ტერიტორიის შემცირების შედეგად მისი ძველი უბანი, „ტფილისი" ათხელებულა. XVII საუკუნეში იგი უკვე თბილისის გარეუბანია და „სეიდაბადს" უწოდებენ.

საიდან გაჩნდა თბილისის ტოპონიმში ეს უცხო სახელი? მივმართოთ ისევ ვახუშტი ბაგრატიონს: „აქ. (ტფილისს) დასხნა შაესეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს..."

ეს მომხდარა XVII საუკუნეში, როცა საქართველოს პოლიტიკური სიმძლავრე დიდი ხანია შერყეულია, მისი დედაქალაქის, თბილისის ეკონომიური და ტერიტორიული ზრდა-განვითარება კი დამცრობილი და შეჩერებულია. ამ დროს ქალაქის სამხრეთით მდებარე უბნის, „ტფილისის" მოსახლეობა ან აყრილია, ანდა იმდენად ათხელებულია, რომ მის ტერიტორიაზე მაჰმადიანი ტომის, სეიდების დასახლება შესაძლებელი გამხდარა, უბანსაც თავისი პირვანდელი სახელი დაუკარგავს და სეიდების უბანი, ანუ „სეიდაბადი" დარქმევია.

ეს მოხდა ირანის შაჰის აბას I შვილიშვილის შაჰ-სეფის (1629 — 1642) დროს. ჯერ კიდევ შაჰ-აბას I ასახლებდა გაერანებული ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით თურქმანულ-ყიზილბაშური მოდგმის ტომებს, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწია და აღმოსავლეთ საქართველოში ქართული წეს-ჩვეულა ვერ მოსპო.

თავისი პაპის პოლიტიკას აგრძელებდა შაჰ-სეფიც, რომელმაც „წესად აქცია ქართველი მეფის მაჰმადიანობა, რაც XVII ს. 30-იან წლებიდან დაწყებული XVIII ს. 40-იან წლებამდე გაგრძელდა" (ვ. გაბაშვილი).

პირველი ქართველი მაჰმადიანი მეფე იყო ქართლის მეფის სიმონ I-ის ძმის, დავითის (1562—1579) უკანონო შვილი ხოსრო-მირზა, მეფობაში როსტომის სახელით ცნობილი.

ხოსრო-მირზა შაჰის კარზე დიდი გავლენით და ნდობით სარგებლობდა. იგი იყო ქალაქ ისპაჰანის მოურავი და შაჰის პირადი გვარდიის უფროსი. ხოსრო-მირზა შაჰს მამას ეძახდა. როსტომის მეფობის (1632—1658) დროს ბევრი ქართული სამო-

ხელეო სახელი სპარსულით შეიცვალა. ქართლში მას გამაჰმადიანებულ ქართველ დიდებულთა მრავალრიცხოვანი ამალა წამოჰყვა. ვახუშტი გადმოგვცემს: „ამა როსტომ მოიყვანა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმადიანებულნი..." მართალია, ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ წყაროში პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ (ისევ ვახუშტიზე დაყრდნობით), რომ შაჰ-სეფის როსტომისათვის გამოეყოლებინოს სეიდების მოდგმის ხალხიც თბილისის მახლობლად დასასახლებლად. ეს უფრო პოლიტიკური აქტი იყო, ვიდრე ეკონომიური: ქართლ-კახეთის მაჰმადიან მეფეს საატახტო ქალაქის ერთ-ერთ მისადგომთან დასაყრდენი უნდა ჰყოლოდა.

თბილისის გალავანს სამხრეთიდან ორი კარი ჰქონდა დატანებული: „განჯისა" და „აბანოსი". სწორედ ამ მეორე კარის და ამავე სახელის მქონე ხიდის საშუალებით, რომელიც გადებული იყო წავკისის ხევზე, სეიდაბადი უკავშირდებოდა ქალაქს. „აბანოს კარიდან" გამოსული გზა დღეს ასეა წარმოსადგენი: აბანოების ქუჩა, ახუნდოვის ქუჩა, ტაგი-ზადეს ქუჩა (ყოფილი სურბ-სარქისისა), სეიდაბადის მოედანი (ამჟამად ვანო ხუციშვილის სახელობისა). შემდეგ ისევ ტაგი-ზადეს (დღეს ბოლნისის) ქუჩა. როგორც წესი, ძველად ყველა ქალაქს კართან „მებაჟე", გადასახადის ამკრეფი ეყენა. ქალაქში შესვლის გადასახადს იხდიდა ის პირი, რომელსაც რაიმე მოჰქონდა ბაზარზე გასაყიდად. ქალაქის კარიდან აკრეფილი შემოსავლიდან თავისი წილი ერგებოდა მეფეს და ქალაქის მოურავს.ეს წესი დაკანონებული იყო საგანგებოდ შედგენილ XVIII საუკუნის დოკუმენტში, რომელსაც „ქალაქის მოურავის სარგო" ეწოდებოდა. აქ ვკითხულობთ: „§-5. ქ. აბანოს კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვის კარზედ, თუმანზე ხუთი შაური ბაჟი რომ ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოურავისა..."

„აბანოს ხიდის" შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ჩვენში სამოგზაუროდ ჩამოსული გიულდენშტედტი (1772): „სონღალულიდან თბილისს მოვაღწიეთ განჯისკარით, რადგანაც აბანოს ხიდი გატეხილი იყო, ეს არის ამჟამად ჩვეულებრივი გზა, რომლითაც ქარავანი მოდის, რადგან ხიდი აბანოს მდინარეზე მხოლოდ მსუბუქი კომუნიკაციისათვისაა განკუთვნილი". ე. ი. „აბა-

ნოს ხიდი" მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის და „მსუბუქი კომუნიკაციისათვის" ყოფილა განკუთვნილი.

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი ქარავანი ქალაქში „განჯის კარით" შემოდიოდა. „განჯის კარი" „აბანოს კარის" მაღლა იყო ქალაქის კედელში დატანებული, დაახლოებით იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია. ამაზე მიგვანიშნებს ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ხიდის ახლოს, წავკისის წყალში დარჩენილი ძველი ხიდის დუღაბით ნაგები ბურჯების ნაშთები.

„განჯის კართან" დაკავშირებით ვახუშტი ამბობს: „კალასარს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ხევი მტკვრამდე. სალალაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯისკარად... მეფემან როსტომ ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ხიდის ყურამდე და მისცა სპარსთა".

მაშასადამე, ქალაქის სამხრეთი ზღუდე, რომელიც ჩამოზღუდული იყო ნარიყალას ციხიდან ხიდამდე, აუგია როსტომ მეფეს. ახლა ძნელია იმის თქმა, როსტომ მეფემ მანამდე აქ არსებული კედელი განაახლა, თუ ახალი ააგო. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია: ეს სამუშაო მისი მეფობის დროს ჩატარებულა. ვახუშტი არ ახსენებს „აბანოს კარს". მის მიერ შედგენილ „თბილისის 1735 წლის გეგმაზეც" მხოლოდ ერთი კარი — „განჯის კარია" აღნიშნული. შესაძლოა „აბანოს კარი" მხოლოდ ქალაქის გარეუბანში, „სეიდაბადში" გასასვლელად იყო გამიზნული. პლ. იოსელიანი ხომ მას „სეიდაბადის კარს" უწოდებს კიდეც. ამ კარის დანიშნულების მეორეხარისხოვნებაზე ლაპარაკობს გიულდენშტედტიც.

შ. მესხია არაბი ისტორიკოსის ტაბარის (X ს.) ცნობაზე დაყრდნობით ჩამოთვლის იმდროინდელი თბილისის ზღუდეში დატანებულ ხუთ კარს და აღნიშნავს, რომ ამ ხუთი კარიდან ორი — „კარის კარი" და „მოედნის კარი" — დატანებული ყოფილა თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში. „მოედნის კარი" ციხის მოედანს (შემდეგდროინდელ „თათრის მოედანს") აკავშირებდა ძველ თბილისთან. „კარის კარი" უმთავრესი კარი იყო. იგი თბილისს აკავშირებდა სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქალაქებთან, მათ შორის ქალაქ კართან (ყარსთან), საიდანაც უნდა იყოს წარმოშობილი კარის სახელწოდებაც.

მაშასადამე, ძველთაგანვე თბილისის სამხრეთ კედელში დატანებული ორი კარიდან ერთი ადგილობრივი მნიშვნელობისა ყოფილა, მეორეს კი საქალაქთაშორისო მნიშვნელობა ჰქონია. ვახუშტის ნათქვამი, როსტომ მეფემ ქალაქი სამხრეთიდან შემოზღუდაო, ალბათ ამ ძველი კედლის აღდგენაზე მიუთითებს. ტრადიციისამებრ, ძველად არსებული ორი კარი ისევ იქ დაუტანებიათ, ოღონდ სახელი შეუცვლიათ: „კარის კარს" დარქმეევია „განჯის კარი", „მოედნის კარს" — „აბანოს კარი".

გიულდენშტედტის ნაშრომში სახელ „სეიდაბადს" არ ვხვდებით, სამაგიეროდ, მოგზაური გვაწვდის აღნიშნული უბნის მეორე სახელს: „...ადრე ქვედა გარეუბანი, აბანოების ქვევით, იყო ქალაქი თბილის ქალაქი". ესე იგი, სეიდაბადს „ქვედა გარეუბანი". ეწოდებოდა, მისი ტერიტორიის ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ, წავკისის წყლის მახლობელ ნაწილს კი — „აბანოს უბანი". მოგზაური „ქვედა გარეუბნის" აღწერისას ამბობს: „ქალაქის ქვემოთ, ახლოს მასთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არის თბილი წყაროები და მათთან საზოგადო აბანოები ორივე სქესისათვის. აბანოების ქვემოთ არის წინაქალაქი, გარეთუბანი, ან უფრო უკეთ, ძველი თბილისი. ქალაქისა და გარეთუბნის გარშემო არის მნიშვნელოვანი ვენახები და ხილის ბაღები, რომლებიც მდინარის ქვევით აღწევენ 5 ვერსამდე, და პატარა წისქვილებისა და არხების საშუალებით ირწყვებიან მტკვრის წყლით. ბაღებთან და მათ ქვემოთ არის აგრეთვე ხორბლის პატარა ყანები".

ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმის" მიხედვით სეიდაბადი შემდეგნაირად შემოიფარგლება: ჩრდილოეთიდან — ქალაქის სამხრეთის ზღუდით და წავკისის ხევით, აღმოსავლეთიდან— მდინარე მტკვრით, სამხრეთიდან — ქალაქის სამხრეთით მდებარე ძველი ზღუდით (ე. წ. განჯისკარი), დასავლეთით — თაბორის მთით.

ამავე გეგმაზე დართულ ექსპლიკაციაში — რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების ახსნაში — სეიდაბადი ორჯერაა აღნიშნული. ერთხელ № 47-ით „ტფილისის ბაღი „სეიდაბადის", რომელიც გაშენებულია მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით. მეორედ ქართული ასო — ი-თი: „სეიდაბადი ანუ ტფილისი". თუ

პირველი აღნიშვნა (№ 47) ბაღებს ეკუთვნოდა, მეორე აღნიშვნა (ი). საცხოვრისის აღმნიშვნელი უჯრედებით, აქ მჭიდრო დასახლებაზე მიგვანიშნებს.

ვის ეკუთვნოდა სეიდაბადის ბაღ-ბოსტნები?

გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი გასამყრელო ანდა ნას-



ვახუშტის მიერ შედგენილი 1735 წ. თბილისის გეგმა

ყიდობის სიგელ-გუჯრების მიხედვით სეიდაბადის ბაღების მფლობელები იყვნენ: ქალაქის მელიქი დარჩია, თავადი სუმბათაშვილები, მირიმან მირიმანოვი და მეფის კარის „თათრულის წიგნის მწერალი მირზა, აღა ლარა". თბილისელთა გარდა სეიდა-

ბადის ბაღების მესაკუთრენი იყვნენ კრწანისელები და ბევრი სხვა.

გარდა ხეხილის ბაღებისა, სეიდაბადში ზვრებიც — ვენახებიც ყოფილა გაშენებული. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის 1790 წელს შედგენილი ერთ-ერთი ნასყიდობის სიგელი, სა-



ქალაქისპირა სოფლების გეგმა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე

დაც წერია: „მოგვყიდეთო სეიდაბადში მდებარე ბაღ-ვენახი „ტაგარ-ქვევრითა"[1] და „მარან-საწნახლითა".

სეიდაბადის ბაღები ირწყვებოდა მდინარე მტკვრითა და წავკისის წყლით, საიდანაც საგანგებოდ იყო გაყვანილი სარწყავი რუები. საბუთებში გვხვდება ბაღი „...თავის შესავალი გასავლითა, თავის ჩარხითა და რუსხმულითა".

---

[1] ტ ა გ ა რ ი ახლად დაწურული ტკბილის ჩასადინარი აუზია.

ჩარხი წარმოადგენდა დიდ ბორბალს, რომელიც ვერტიკალურად იყო დაკიდებული მდინარეში, ნაპირთან ახლოს. მისი ქვედა ნაწილი წყალს ეხებოდა. ბორბალზე დამაგრებული იყო რამდენიმე ხის ჭურჭელი — პატარა კასრი: ეს წყლის შეუწყვეტელი დინებისათვის იყო საჭირო. ბორბალი თავისი ღერძის გარშემო მოძრაობაში მოჰყავდა მდინარეს. ამ დროს მასზე დაკიდებული ხის პატარა კასრები რიგრიგობით წყლით ივსებოდა და ბორბალთან მოწყობილ ხის ღარში ისხმებოდა, შემდეგ კი სარწყავი წყალი ბაღ-ვენახებისაკენ მიემართებოდა.

რუსხმული სარწყავ სისტემაში შემავალი ერთ-ერთი ნაწილთაგანია. მისი საშუალებით ხდებოდა სარწყავი წყლის სავალი დაბალი ადგილების ამაღლება. ერთი სიტყვით, იგი მიწაყრილია, რომლის საშუალებით სარწყავი არხი, თუ რუ იყო გამაგრებული.

1800 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე დატანილია მდინარე წავკისიდან საგანგებოდ გაყვანილი სარწყავი არხი.

სეიდაბადში სარწყავი არხებისა და რუების გარდა ბაღებთან მოწყობილი ყოფილა საგანგებოდ გაჭრილი წყლის რეზერვუარი — საგუბარი. „ბაღები თავისი საგუბრით", „ეს ბაღი თავისის აუზისა და სოლოლაკის წყლის რასათი", — გვხვდება ძველ სიგელებში.

არხებიდან წყლის ხმარება წესისა და რიგის მიხედვით ყოფილა. თითოეულ ბაღს თავისი მისაგდები წყალი ჰქონია, რომლის ხმარებაც მკაცრი ნომენკლატურით ხდებოდა. ამიტომ ძველი მეპატრონე ბაღის გაყიდვის დროს მყიდველს საგანგებოდ აფრთხილებდა და არკვევდა თავისი ბაღის მორწყვის განრიგში. „...ეს ჩემი ბაღი თავისის ნიშნებითა და თავისის სამძღურითა და თავისის წყლითა როგორც ყულავც ამას წინათ გქონდათ წყალი, ყველამ თავისის რიგითა და თავისის ანგარიშითა, ისე უნდა ყველამ თავისი რიგით წყალი აიღოს, ორი დღე ბარაბასია, ოთხი დღე ბექანასია, სამი ჩვენ ორთავე ძმის არის. ეს წყლები რომ არის, ყველამ თავისი წილი უნდა წაიღოს".

„ქალაქის მოურავის სარგოს" მიხედვით, ქალაქის მოურავს ქალაქისპირას მდებარე ბაღებიდან ყოველწლიურად აღებული ჭირნახულიდან თავისი წილი ერგებოდა. დოკუმენტში ყველა ის ბაღია ჩამოთვლილი, საიდანაც ქალაქის მოურავი შემოსავალს

იღებდა. ჩამოთვლილთა შორის მოხსენიებულია სეიდაბადის ბაღიც. „ქ. ქალაქის მოურავს ქალაქის ბაღებმა უნდა მოართვან... მოკრეფილი ხილი... ყოვლის ბაღებიდან... სეიდაბადიდამ".

სეიდაბადის ბაღებში საცხოვრებელი შენობებიც იდგა, რომელშიც ცხოვრობდა ან თვით მებაღე, ანდა მისი ქალაქელი მესაკუთრე, ოღონდ მხოლოდ ზაფხულობით.

სეიდაბადის ბაღებში დუქნებიც იდგა, სადაც ქალაქელები ქეიფობდნენ და დროს ატარებდნენ.

სეიდაბადი რამდენჯერმეა მოხსენიებული ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში.

ქართლ-კახეთის ტახტზე მაჰმადიანი მეფეების ერთსაუკუნოვანი ბატონობა დასრულდა და ირანის მბრძანებელმა ნადირ შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზ II დანიშნა, კახეთის მეფედ — მისი ვაჟიშვილი ერეკლე II. ორივე მეფედ ქართულ-ქრისტიანული წესით ეკურთხა. მეფე ერეკლე II კახეთს, თავის საგანმგებლო ქვეყანაში წაბრძანდა, ხოლო თეიმურაზ II, როგორც ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, „მობრძანდა ქალაქს, იმ ღამეს იდგა სეიდაბადში".

მეორედ სეიდაბადი ისტორიულ წყაროში კრწანისის ბრძოლასთან დაკავშირებით გვხვდება. როგორც ვიცით, 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის მახლობლად, კრწანისის ველზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა ქართველებსა და აღა-მაჰმად-ხანის მრავალათასიან ჯარს შორის. ქართველთა ჩრდილოეთისაკენ, რუსეთისაკენ ლტოლვა დიდი ხანია აღიზიანებდა ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სახელმწიფოებს ირანსა და ოსმალეთს. ირანის ძლიერმა მბრძანებელმა აღა-მაჰმად-ხანმა კი გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ ირანის სახელმწიფოსთვის შეეერთებინა ამიერკავკასიის სახელმწიფოები და კერძოდ, საქართველო. 1795 წლის სექტემბრის დამდეგს მან აზერბაიჯანში მდებარე შუშის ციხე-სიმაგრეს ალყა მოხსნა და აურაცხელი ჯარით თბილისისაკენ დაიძრა. 10 სექტემბერს თავისი მხედრიონით იგი უკვე სონღალოში დაბანაკდა. მეფე ერეკლე თავისი მცირერიცხოვანი ჯარით ქალაქიდან გასულა და სეიდაბადის ბაღების ბოლოს დაბანაკებულა, საიდანაც კრწანისის ველი იწყებოდა.

ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „ხოლო დღესა სამშაფათსა ია-სა (11), რიცხვსა ენკენისთვისა (რომელი არს სეკტემბრის) განვიდა თვით მეფე ყოვლითა მხედრობითა თვისითა ბრძოლად სპარსთა და დაადგინნა მხედრობანი თავისნი დასასრულისა სვეიდაბადს ბაღთასა (რომელსა სეიდაბათს უხმობენ)“...

მეორედაც ახსენებს იგივე ისტორიკოსი სეიდაბადს: თბილისის ციხეში მდგომი აღალო ზარბაზანს უჩენდა, „სეიდაბადის გარდამოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილისს“.

ცნობილია, რომ ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი ამ ბრძოლაში დამარცხდა. სეიდაბადიც თბილისის შემოგარენში ადგილის სახელად ამის შემდეგ აღარ გვხვდება. იგი შეცვალა ახალმა სახელწოდებამ, ხარფუხმა. ხარფუხი თაბორის მთის აღმოსავლეთ კალთას ეწოდებოდა. სიტყვა სომხურია და სურდოს ნიშნავს. ადგილმა კი აღნიშნული სახელი მიიღო თაბორის მთის ძირში, გორხანის ახლოს (თათრების სასაფლაო) მდგარი საკულტო დანიშნულების მქონე ქვის გამოისობით, რომელზეც ხატი იყო მისვენებული. ამ ხატთან მოჰყავდათ თბილისელ ქრისტიანებს თავიანთი სურდოშეყრილი ბავშვები, თან მოჰქონდათ ქსოვილისაგან შეკერილი ტიკინა-თოჯინა, რომელსაც მხარზე ჰატარა ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული. ხურჯინის ჯიბეებში შაქრის ნატეხები ელაგა. აი, ასეთი გასამრჯელოთი ცდილობდა ბავშვის მშობელი წმიდა ხატის გულის მონადირებას და ბავშვის განკურნებას. (წმიდა ქვასთან სურდოიანი ბავშვების გარდა ყივანახველათი დაავადებულნიც მოჰყავდათ.)

ხარფუხი XIX საუკუნეში სოფლად იხსენიება. ამ სოფლის გაჩენის ზუსტი დრო ცნობილი არაა. ვარაუდით, იგი ალბათ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა.

სოფლის სახით ხარფუხს დიდხანს არ უარსებია. საქართველოს მთავარმართებლის გენერალ ერმოლოვის დროს (1816—1827), კერძოდ, 1819 წელს იგი ქალაქ თბილისს შეუერთეს. მაგრამ კიდევ დიდხანს, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში (თბილისის 1843 და 1859 წლების გეგმებზე) იგი მაინც სოფლად მოიხსენიება.

ახლა გავეცნოთ ძველი სეიდაბადის ტერიტორიაზე არსებულ (ამჟამად გამქრალს თუ დღემდე შემორჩენილ) მატერიალური კულტურის ძეგლებს.

დღემდე შემორჩენილი მიწისზედა ნაგებობებია: ძველი ზღუდის ნაშთები ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სურბ-სარქისის ეკლესიის კედლები. და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესია.

ციხესიმაგრის ნანგრევები საზამთროს მოედანზე და საქალაქო სკოლის შენობა

ქალაქის ძველი ზღუდის ნაშთების ნახვა შეიძლება „300 არაგველის" სახელობის ბაღის სამხრეთით, ეგრეთ წოდებული, „საზამთროს ბაღების" მახლობლად (ქუმსიაშვილის ქუჩის ბოლოს და თბილისის 75-ე საშუალო სკოლასთან). კედელი ნაგებია ქვითა და აგურით. ზღუდის თითოეული ქვა მოთავსებულია ქართული აგურისაგან საგანგებოდ შეკრულ ჩარჩოში.

ზღუდის მიმდებარე ტერიტორიას რამდენიმე სახელი რქმევია. ჩვენამდე მოღწეულთაგან ყველაზე ძველია „ხალან ხანა" და ნიშ-

ნავს საჭურჭლე სახლს, ე. ი. სახლს, შენობას, სადაც თიხის ჭურჭელი კეთდება. 1948 წლის არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ სახელის დამამტკიცებელი ნივთიერი მასალა მოგვცა. „განჯის კართან“ აღმოჩნდა საოჯახო (ჯამები, სამარილეები, ხელადები, ქოთნები) და სამეურნეო (ქვევრები, აგურები, კრამიტები) დანიშნულების წითელი თიხის და მოჭიქული ფერადი ჭურჭელი. მრავლად აღმოჩნდა ჭურჭლის გამოსაწვავი ქურებიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთელი ეს კერამიკული მასალა ადგილობრივ მზადდებოდა და რომ XII—XIII საუკუნეებში ქალაქის ეს სახელოსნო უბანი თავისი ნაწარმით თბილისის ბაზარს ამარაგებდა. თავისი არსებობა მას XIII საუკუნეში შეუწყვეტია, როცა საქართველოში გარეშე მტრის გამუდმებული შემოსევები დაიწყო.

XIII საუკუნის 20-იან წლებში, თამარ მეფის მემკვიდრის, რუსუდან მეფის დროს, საქართველოს თავს დაატყდა ენით აუწერელი უბედურება. საქართველოს აურაცხელი ჯარით შემოესია ხორეზმის სულთანი ჯალალ ედ-დინი.

ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი უდიდესი გულისტკივილით მოგვითხრობს ამ შემოსევისა და მტრის მიერ ქალაქის ა[illegible]ერების ამბავს. „ხოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოხსენებად, თუ ვითარ იქმნეს ხუარაზმელნი შინაგან ქალაქსა... რამეთუ ესეოდენ მძვინვარედ იწყეს მოსვრად, ვითარ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან... სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილი ურთიერთას აღრეულ იყო... სალმობიერი ღაღადი და დიდი ღაღადი ცრემლთა! ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი... და ესრეთ რა ძლიერად ხელთ იგდო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესოდენ მძვინვარედ მოსრვიდა, რომელ სავსე იყვნეს ფოლოცნი, ხრამნი და ხნარცუნი მოკლულთა მიერ და უმრაველეს მკუდართა მტკუარსა შეუტეობდეს“.

ხორაზმელები მონღოლებმა შეცვალეს. ამდენმა შემოსევებმა ქალაქის მოსახლეობის ნაწილი მსხვერპლად შეიწირა, ნაწილი სახიზნავებში და მიუვალ მთებში გაიხიზნა, ნაწილი კი ტყვედ

წაასხა მტერმა. ზოგიერთი გახიზნული მოგვიანებით უბრუნდებოდა ქალაქს, ზოგი კი მომავალი შემოსევების შიშით ქალაქს სამუდამოდ გაეცალა და თავი ნაკლებად საშიშ ადგილს შეაფარა. სეიდაბადის ეს ნაწილი, ხელოსანთა ძველი უბანი ძმათა სასაფლაოდ იქცა. აკი ამიტომაც ეძახდნენ ამ ადგილს „ოხერ ბაღს". სახლის საძირკვლის თხრისას არაერთხელ წასწყდომიან პირქვედამხობილი ადამიანის ჩონჩხს.

მრავალგზისმა, გაუთავებელმა შემოსევებმა ნასახლარად აქცია ქალაქის ეს უბანი. მოგვიანებით აქ ბაზარიც გაუმართავთ. თბილისელები ამ ადგილს ხან „საზამთროს ბაღს", ხან „შეშის ბაღს" ეძახდნენ. ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სამხრეთით, ერთი „ჩანადერის" ხევია, სადაც დღესაც მოედინება წყარო. ამიტომაც აქ მაცხოვრებელი ხარფუხელები თავიანთ თავს „წყაროს უბნელებს" უწოდებენ. „ჩანადერი" თურქული წარმოშობის სიტყვაა და წყლის ან წყლიან ხევს ნიშნავს.

განჯის გზას დასავლეთიდან ერთვოდა „ტაბახმელის გზა". აღსანიშნავია, რომ ამ ძველი გზის ადგილზე მდებარე ქუჩა დღესაც „ტაბახმელის" სახელს ატარებს და ტაბახმელელნი ქალაქში რძისა და მაწვნის გასაყიდად ამ გზით დაიარებიან.

სეიდაბადში, ახლანდელ ი. გრიშაშვილის ქუჩაზე, იდგა სურბ-სარქისის სახელობის სომხურ-გრიგორიანული ეკლესია. დღეს, ამ ეკლესიის რამდენიმე კედელიღაა შემორჩენილი, რომლებზეც გვიანი ხანის საცხოვრებელი ოთახია დაშენებული. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩასმულ მარმარილოს ფილაზე ორენოვანი— ქართული და სომხური წარწერაა: „აღვაშენე და შევწირე ოთახი ესე წმინდის სურბ-სარქისის ეკლესიისათვის თელავის მოქალაქე იაგორ არუთინას ძე ოსკანოვა მოსახსენებლად სულის და მშობლებისა ჩემისა". სომხურ წარწერაში თარიღია — 1883 წელი. სურბ-სარქისობა, წმ. სარქისის დღე მოძრავია. იგი, ყოველთვის თუ არა, ძალიან ხშირად თებერვალში იდღესასწაულებოდა. სურბ-სარქისის დღის მოახლოებისას ერთი კვირით ადრე თბილისელები, განსაკუთრებით, გაუთხოვარი და უცოლო ახალგაზრდობა, იწყებდნენ მარხვას, დღესასწაულის წინა ღამეს კი აცხობდნენ მლაშე კვერს, რომელსაც ძილის წინ ჭამდნენ იმ იმედით, რომ მათი წილხვდომი მომავალი საცოლე თუ საქმრო მლაშე კვერი-

საგან მოწყურებულს სიზმარში წყალს დაალევინებდა. იმის მიხედვით, თუ რა მასალისაგან ნაკეთები ჭურჭლიდან დალევდნენ წყალს, ირკვევდნენ მომავალი საბედოს ეკონომიურ შესაძლებლობებს. მაგალითად: ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი ნიშნავდა მდიდარს, სპილენძისა და თიხისა — საშუალო შეძლების მქონეს, ხოლო ხისა — ღარიბს.

გარდა მლაშე კვერისა, საბედოს მაძიებელნი სქელ ფაფას ხარშავდნენ, რომელიც განკუთვნილი იყო ყვავისთვის. მოხარშულ ფაფას თეფშით გასდგამდნენ ფანჯარაში, ანდა სახლის ბანზე. მის შესაჭმელად ყვავი უნდა მოფრენილიყო. საითაც გაფრინდებოდა ფრინველი ფაფის შეჭმის შემდეგ და რომელი სახლის სახურავზეც დაჯდებოდა, იქიდან მოელოდნენ სასურველს. სურბსარქისობა დღეს ეკლესიასთან ხალხმრავლობა იყო.

წმინდა ნიკოლოზის სახელზე აგებული ბერძნული ეკლესია გუმბათიანია, აგურითაა ნაგები და ლურჯი შორენკეცით გადახურული. დგას ი. გრიშაშვილისა და ეფრემ მცირეს სახელობის ქუჩებს შორის, შემაღლებულ ადგილას. ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში ჩასმული წარწერებიდან ვიგებთ ტაძრის აგების დროს — 1853 წელი.

სეიდაბადის ჩრდილოეთ რაიონს წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, პატარა, ლოკალურ ადგილს აბანოების უბანი ერქვა და მას ახლაც ასე ეძახის თბილისის ძველი მოსახლეობა. ქალაქის სახელის წარმოშობის ლეგენდაც ხომ ამ ცხელ წყაროებთანაა დაკავშირებული.

ერთ მშვენიერ დღეს,—გადმოგვცემს ლეგენდა,—ქართველთა მეფე თბილისის ულრან ტყეში ნადირობდა. მშვილდ-ისარმომარჯვებულ მეფეს უცებ ბუკთა ყვირილითა და ძაღლების ყეფით დამფრთხალი შველი შემოეფეთა. მანაც არ დააყოვნა, ისარი მოზიდა და სტყორცნა. დაკოდილმა ნადირმა ტყეს მისცა თავი. მეფე დაედევნა დაჭრილ შველს, რომლის ნაკვალევი მწვანე მინდორს წითლად აჩნდებოდა. შველი უცებ შეჩერდა. მეფეს ხელმეორედ უნდოდა ისრის ტყორცნა, მაგრამ რაღაც გაურკვეველმა და უხილავმა ძალამ მშვილდ-ისარი დაბლა დაახრევინა. შველი ნელ-ნელა შედიოდა მოჩუხჩუხე წყაროში. მერე კი მოხდა სასწაული. შველი წყაროდან განკურნებული, ჭრილობაშეხორცებული გამოვიდა და ულრან ტყეს შეაფარა თავი.

მეფე დიდად განაკვირვა წყლის სამკურნალო თვისებამ და ამ ადგილზე ქალაქის გაშენება ბრძანა, სახელად კი სამკურნალო თბილი წყლის გამო „ტფილისი“ უწოდეს.

ძველად თბილისში ჩამოსული მტერი თუ მოყვარე პირველად



აბანოების უბანი

საქვეყნოდ განთქმულ თბილისურ გოგირდოვან აბანოებს მიაშურებდა ხოლმე. თბილისური აბანოების საქებრად ჩვენში მყოფ არც ერთ მოგზაურს არ დაუშურებია სიტყვა: იბნ-ჰაუკალი (X ს.), იაკუთი (XIII ს.), ალ-ბაკუვი (XV ს.), ევლია ჩელები (XVII ს.), ისკანდერ მუნში (XVII ს.), ვასილ გაგარა (XVII ს.) და სხვ.

თბილისის აბანოების სამკურნალო თვისების ამბავს ჩვენი ქალაქის დამანგრეველის, აღა-მაჰმად-ხანის ყურამდეც მიუღწევია. ჰოდა, თბილისის დაპყრობის შემდეგ ირანის მბრძანებელს ამ სახელგანთქმული გოგირდის აბანოების დახმარებით თავისი უკურნებელი სენის განკურნება მოუსურვებია. შესულა აბანოში

და გოგირდის წყლის აბაზანა მიუღია, მაგრამ დამპყრობელს „სასწაულმოქმედმა" წყალმაც ვერ უშველა, განრისხებული ხეიბრის ბრძანებით ქალაქის მშვენება — აბანოები — მიწასთან გაასწორეს.

თბილისის აბანოები ეკუთვნოდათ კერძო პირებს: ერეკლე მეფეს, თბილელს, ორბელიანებს, სუმბათაშვილებს, მელიქიშვილებს და სხვებს. აქედან გამომდინარე, თითოეულ აბანოს თავისი მფლობელის სახელი ერქვა.

თბილისის აბანოების ეშხი ჩვენში ჩამოსულ დიდ რუს პოეტს ალექსანდრე პუშკინსაც განუცდია: „აბანოს პატრონმა ჩემი თავი მექისე თათარს გადასცა. მას უნდა ეზრუნა ჩემთვის. ჰასანამ (ასე ეძახდნენ ამ თათარს) დაიწყო იმით, რომ ქვის თლილ იატაკზე დამაწვინა, რის შემდეგაც შეუდგა ჩემი სხეულის ასოების მტვრევას, სახსრების დაჭიმვას, მუშტით ძლიერად ცემას. მე არა ვგრძნობდი მცირეოდენ ტკივილსაც კი. პირიქით, საოცარ შვებას განვიცდიდი. აზიელი მექისეები ზოგჯერ აღტაცებაში მოდიან, გახტებიან მხრებზე, დასრიალებენ ფეხებით თეძოებზე და ბუქნავენ ზურგზე. შემდეგ დიდხანს მხეხა მატყლის ქისით. გადამავლო თბილი წყალი და დამიწყო ბანვა ტილოს აქაფებული ბუშტით. აუწერელი განცდაა. ცხელი საპონი ჰაერივით გეფრქვევა. საპნის გადაფრქვევის შემდეგ ჰასანამ აბაზანაში ჩამიშვა და ცერემონიალი დამთავრდა".

ყოველთვის თუ არა, ხშირ შემთხვევაში ბანაობა მთავრდებოდა წახემსებით „აზიურად". იქვე, აუზთან, იშლებოდა პურ-მარილი, მეზობელი დუქნიდან მოდიოდა ცხელ-ცხელი ლულა-ქაბაბი, მწვადი, ლავაში და კარგი კახური ღვინო. ცხელი აბაზანისა და მექისის დაზელვის შემდეგ ასეთი სახელდახელო წახემსება უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანს. ზოგჯერ ოჯახში, ანდა ბაღში დაწყებული ქეიფი აბანოში მთავრდებოდა.

გარდა ამისა, თბილისის აბანო ასრულებდა საკრებულოსა თუ კლუბის როლს. აბანოებში განსაკუთრებით ქალები ერთობოდნენ. ქალთათვის აბანოში წასასვლელი დღე სამშაბათი იყო. ამიტომაც თბილისის ერთ-ერთ აბანოს, სიონისას, „სამშაბათისა" ეწოდა. აბანოში ქალები მთელ დღეს ატარებდნენ. აქ არჩევდნენ და სინჯავდნენ სარძლოებს. ქალები აბანოში ყველაზე ძვირფას



ბოტანიკურის აღმართი და თათრული მინარეთი

ტანსაცმელს ატარებდნენ. თან მიჰქონდათ ბოღჩაში გამოხვეული სარეცხი. აქვე გაიგონებდით ქალაქის ყოველდღიურ ამბავს — მართალსა თუ ჭორს. აბანოში ჩნდებოდა ქართველ ქალთა კოსმეტიკური ნიჭი. ფრედერიკა ფონ-ფრეიგმანი გადმოგვცემს: „ქართველები, განსაკუთრებით, დიდებული ქართველი ქალები, კვირაში ერთხელ მთელ დღეს და ხშირად ღამესაც აბანოში ატარებენ. პირველ თაღებიან შენობაში ისინი წამოწვებიან ტახტზე ზარმაცი ნებივრობით და იღებავენ თმას და ფრჩხილებს. თვით მოხუც ქალებს, თმის მუდმივი შეღებვის გამო, ნაწნავები გიშერივით შავი აქვთ. იქ ისინი ისვამენ პირისახეზე ფერუმარილს, ცდილობენ, შეიღებონ და შეაერთონ წარბების ისრები და სხვ. უამისოდ აქ სილამაზე წარმოუდგენელია. ეს დიდი დღეა მათთვის, დღე ტკივილისა და სიხარულისა“.

თაბორის ციხე



ავისი მდებარეობით თბილისი ტაფობს მოგვაგონებს, რომელიც მთა-გორებით არის შემოფარგლული. თითოეული ამ მთის სახელწოდება კი წინაქრისტიანულ თუ ქრისტიანულ რელიგიასთან არის დაკავშირებული.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდებარეობს მახათას (მეხთა) მთა, სადაც წმინდა ილიას (ელიას) სახელობის საყდარი იდგა; კვირაცხოვლის გორა (კვირია), კვირიკობის გორა, ყეენის გორა. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის დასავლეთით: მთაწმინდა, უძოს მთა, სადაც წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, და სამხრეთით თაბორის მთა.

თაბორის მთა თრიალეთის ქედის ერთ-ერთ განტოტებას ეწოდება. იგი თბილისის სამხრეთით, სოლოლაკის ქედის პარალელურად მდებარეობს (სოლოლაკის ქედიც თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განტოტებაა). სოლოლაკის ქედისაგან თაბორის მთას წავკისის წყალი ჰყოფს (ლეღვთა ხევი, დაბახანა),

წმიდა მთის — თაბორის სახელი ქართულში, ისევე, როგორც საყოველთაოდ ცნობილი სახელები: ბეთლემი, სიონი, ათონი—ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა. სულხან-საბა ორბელიანი სიტყვა თაბორს ასეთ განმარტებას აძლევს: „თაბორს სლვა სულისა: თაბორი — რჩეული, გინა უმანკო".

ქრისტეს ლეგენდარულ ბიოგრაფიაში თაბორის მთას, ისე როგორც ბეთლემის გამოქვაბულს, სადაც ქრისტე დაიბადა, და მდინარე იორდანეს, სადაც ქრისტე იოანე ნათლისმცემლის ხე-

ლით მოინათლა, თავისი ადგილი უკავია. სწორედ თაბორის მთაზე (იერუსალიმში) მოხდა ქრისტეს ფერისცვალება. მან სახე იცვალა თავის მოწაფეთა წინაშე და ამით ერთხელ კიდევ „დაამტკიცა" თავისი ღმერთკაცობა.

თაბორის მთის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართველი პილიგრიმი-მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც XVIII საუკუნის 50-იან წლებში მთელი წინა აზია მოინახულა. სხვა წმინდა ადგილებთან ერთად ტიმოთე გაბაშვილი წმინდა მთა თაბორსაც სწვევია: „და იყო ახლოდ მთა თაბორი, სადაც უფალმან ფერი იცვალა, კლდე მაღალი, წითელი და ზედა მონასტერი დიდი, ხოლო გვეტყოდნენ, ვითარმედ თაბორის მონასტერი და ოთხი ეკლესია ნაზარეთს ქართველთაგან არსო აღშენებული, რაჟამს ვახტანგ გორგასლან დაიპყრო იერუსალიმი". გადმოცემის თანახმად, თაბორის მთაზე ქართველთა მონასტერი — სავანე ყოფილა, რომელიც ვახტანგ გორგასლის დროს უნდა აეგოთ.

ქართველი მემატიანე ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვიდრე ინდოეთში სალაშქროდ სპარსთა მეფეს ხოსროს მიეხმარებოდა, ვახტანგ გორგასალი დედისა და დის ხუარან ძეს თანხლებით იერუსალიმს წასულა სალოცავად: „შევიდეს და ილოცეს წმინდასა აღდგომასა და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმინდანი, და შეევედრნეს წმინდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას". შეიძლება ამ შენაწირებით აიგო შემდეგ თაბორის მთაზე ქართველთა მონასტერი.

მართალია, ჯუანშერი ცალკე თაბორზე არას ამბობს, მაგრამ, საგულისხმოა, „მოილოცნეს ყოველნი ადგილნი და წმინდანი" თაბორის მთასაც მოიცავდეს.

თბილისის თაბორის მთაზე ციხეც იდგა და ეკლესიაც. ციხეზე შედარებით მრავლად მოგვეპოვება წერილობითი მასალა, ეკლესიის შესახებ კი მცირე ცნობებია შემორჩენილი.

ცნობილია, რომ VIII საუკუნის პირველი ნახევრიდან თბილისში, ქართლის ერისმთავართან ერთად (მისი ხელისუფლებაარაბებმა IX ს. დამდეგს გააუქმეს) ზის არაბი მოხელე ამირა. იგი ქართლის სრული ბატონ-პატრონია. კრეფს ხარკს, ქვეყნიდან გამოპყავს მოლაშქრენი და სხვ. თბილისის ამირას ხელისუფლება ჯერ მთელ ქართლზე ვრცელდებოდა, შემდეგ და შემდეგ კი

მისი საგამგებლო ტერიტორია თანდათან შემცირდა და ბოლოს მხოლოდ თბილისითა და მისი მიდამოებით შემოიფარგლა.

ის დრო იყო, როცა საქართველოში ბოლო ეღებოდა ქვეყნის სამთავრო-სამეფოებად დაქუცმაცებას. სახელმწიფო ერთიანდებოდა ერთი მეფის, ქართველი გვირგვინოსნის გარშემო. 978 წელს ბაგრატ III უკვე ქართლისა და აფხაზეთის მეფეა. ამ დროიდანვე, X საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ბრძოლა მაჰმადიან დამპყრობთაგან თბილისის განთავისუფლებისათვის.

ბაგრატ III მემკვიდრემ, მეფე გიორგი I (1014—1027) მთელი ძალ-ღონე მოძალებული ბიზანტიის მოგერიებას შეალია.

თბილისისათვის ბრძოლა ბაგრატ IV დროს (1027—1072) განახლდა. 1032 წელს ძლიერმა ქართველმა ფეოდალებმა, ქართლის ერისთავმა ივანე აბაზის ძემ და კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ მუხათგვერდს შეიპყრეს თბილისის ამირა და მცირეწლოვან მეფეს მიჰგვარეს. იმის შიშით, ამირის დატყვევებით და თბილისის შემოერთებით მეფის ხელისუფლება არ გაძლიერდესო, სხვა ფეოდალების შთაგონებით, ბაგრატ IV თბილისის ამირა გაათავისუფლა და თბილისიც დაუბრუნა.

მეორედ, 1037 წელს, მეფის ლაშქრით ალყაშემორტყმული თბილისიდან გასაპარავად გამზადებული ამირა ისევ ქართველი ფეოდალების ჩარევით გადარჩა. ბაგრატ IV თბილისს ალყა მოხსნა. ამის შედეგად მეფესა და კლდეკარის ერისთავს, ლიპარიტ ლიპარიტის ძეს შორის ურთიერთობა გაფუჭდა და ბოლოს მტრობაში გადაიზარდა კიდეც. მხოლოდ ამირას გარდაცვალების შემდეგ შევიდა ბაგრატ IV ქალაქის ბერების შემოთავაზებით თბილისში.

აი, სწორედ ამ ამბებთან დაკავშირებით ვხვდებით პირველად ქართულ ისტორიულ წყაროში თბილისის თაბორს. მემატიანე მოგვითხრობს: „წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველსა, და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული უმედეულსა, და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს, და იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა ხმითა იძრვოდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე განსაკვირვებელი. შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა, და მოართუნეს კლი-

ტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამირაოსა დარბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად. აღიხურა კოშკნი კართანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თ ა ბ ო რ ი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი თვისნი და ერისთავნი. ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისნი".

თბილისის ამირა 1045 წელს გარდაიცვალა და ქალაქის გამგებლობა გადავიდა ე. წ. „ქალაქის ბერების" ხელში, რომლებიც მოქალაქეთა სოციალურად და ეკონომიურად დაწინაურებულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. ისინი საქართველოს მეფის მომხრენი იყვნენ, რადგან „ბერები" ქართველ მეფეში მფარველს ხედავდნენ და არა ბატონს. სწორედ ამიტომ, როგორც კი ქალაქის მმართველობას ჩაუდგნენ სათავეში, წარმომადგენლები გაუგზავნეს დასავლეთ საქართველოში მყოფ ბაგრატ IV და სთხოვეს დაეკავებინა ქალაქი თბილისი. მეფემაც არ დააყოვნა და სასწრაფოდ თბილისისაკენ გამოსწია. როგორც უკვე ვიცით, ქალაქის მისადგომებთან, დიღმის ველზე, მეფეს ქალაქის ბერები და მრავალი ხალხი დახვედრია და დიდი ზარ-ზეიმით ქალაქში შეუყვანიათ, გადაუციათ „კლიტენი ქალაქისანი", ამირას დარბაზშიც დაუსვამთ, მაგრამ მეფეს ციხის აღება მაინც დასჭირვებია. თავი დამშვიდებულად რომ ეგრძნო და თბილისი მტკიცედ სჭეროდა, საჭირო გამხდარა თბილისის დამცველ სიმაგრეთა თუ ციხე-კოშკთა კომპლექსში შემავალი კიდევ ორი ფორტის — სიმაგრის ძალით აღება: მეფემ „აღიღო... ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორნი" და შიგ „...ლაშქარნი თვისნი და ერისთავნი" ჩააყენა. ჯერი თბილისის აღმოსავლეთის მხარის დამცველ ციხეზე — ისანზე მიმდგარა, მაგრამ ისნელთა მედგარი წინააღმდეგობის გამო, მეფეს იგი ვერ აუღია. შეიძლება საქმე სულ სხვანაირად დამთავრებულიყო, კლდეკარის ერისთავი, ლიპარიტ ლიპარიტის ძე რომ საქმეში არ ჩარეულიყო. ბაგრატ IV იძულებული გამხდარა, თბილისს გასცლოდა.

ამ ამბების შემდეგ თაბორი კარგა ხანს ჩვენს თვალსაწიერს მიღმაა.

XVIII საუკუნის საქართველო ძლიერ დასუსტებული ჩანს პოლიტიკური შინააშლილობის შედეგად. თბილისის ციხეშიც ყიზილბაში მეციხოვნეები დგანან.

კახეთის მეფე კონსტანტინე I (მაჰმად-ყული-ხანი) მტრობდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. კონსტანტინე სპარსეთის კარის აგენტის როლს ასრულებდა, ყაენთან ასმენდა ვახტანგ VI. სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემს: „გაგზავნა კახმა ბატონმა ყაენთან კაცი და შეასმინა მეფე ვახტანგი: „ამა-ზე არის მტერი შენიო და ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა, ამოსწყვიტა რჯულისა თქვენისა მოსავნიო, მიბოძე საქართველო, გიახლო ქართლისა და კახეთისა ჯარითა და ვსძლიო მტერთა შენთაო". ამასაც არ ჯერდებოდა და კახთა ჯარით ებრძოდა ქართლის მეფეს. 1723 წელს კონსტანტინე კახთა მეფემ თბილისს შემოუტია, დაიკავა ავლაბარი, გადმოვიდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და აიღო თაბორის ციხე. ქალაქი თბილისი ალყაში აღმოჩნდა, მისი ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ იმარჯვა ქართლის მეფის ჯარმა და თაბორის ციხე დაიბრუნა: „შეეპარნენ თაბორსა ჯარი ქართველთა, აიღეს თაბორი, დაესხა მეფე ვახტანგ დილასა განთიადისასა კახს ბატონსა, ბრძანებითა ღთისათა გაემარჯვნა".

თაბორის ციხის დაკარგვის შემდეგ მაჰმად-ყული-ხანი იძულებული იყო, თბილისს დროებით გასცლოდა. თბილისის ციხე კონსტანტინე კახთა ბატონის ძმას და ვახტანგ VI სიძეს თეიმურაზს ეკავა. კახთა ბატონმა დაიქირავა მარბეველი ლეკთა ჯარი და ისევ შემოუტია თბილისს. ვახტანგ VI დამარცხდა. კონსტანტინემ თბილისი საძარცვავად ლეკთა ჯარს მისცა.

1723 წელს ქართლში ყიზილბაშები ოსმალებმა შეცვალეს.

კონსტანტინე კახთა ბატონთან მარცხისა და თბილისის დაკარგვის შემდეგ ვახტანგ VI ქართლში აღარ ედგომებოდა. იგი თავისი მომხრეებისაგან შემდგარი დიდი ამალით რუსეთს მიდის პოლიტიკური თავშესაფრისა და სამხედრო დახმარების მისაღებად. რაც შეეხება თაბორის ციხეს, იგი ზემოთ აღწერილი ბრძოლის დროს უნდა დანგრეულიყო.

სამხრეთის მხრიდან თბილისის დამცველი თაბორის ციხის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1723 წლის ამბების შემდეგ იგი მალე აღუდგენიათ. 1729 წლის ერთ-ერთ საბუთში იგი უკვე იხსენიება, როგორც „...ციხესა მთაბარისასს".

ოსმალებს აღმოსავლეთ საქართველოში დიდხანს არ უბოგინიათ. 1735 წლის 6 ღვინობისთვეს (ოქტომბერს) თამაზ-ხანი

სპარსთა ჯარით (1736 წელს მუღანში შაჰად კურთხევის შემდეგ ნადირ შაჰი) თბილისშია. იგი თბილისში სომხეთიდან, ერევნის მხარის საქმეების მოგვარების შემდეგ მოდის. თან ახლავან ქართველი დიდებულები: გივი ამილახვარი, მუხრან-ბატონი, ქაიხოსრო ავალიშვილი. ქართლს მომავალი თამაზ-ხანი სარ-



თბილისი 1671 წელს, შარდენის გრავიურა

დალ ასლამაზ ხანს და ალიყული-ბეგ ამირეჯიბს ავალებს: თბილისში 8.000 თუმანი ხარჯი აკრიფონ, სოფლებიდან 3.000 თუმანი და ათასი საპალნე პური, ხოლო ქართლ-კახეთიდან 2.000 მოლაშქრე გამოიყვანონ. თეიმურაზ კახთ-ბატონი კი ცოლ-შვილით თბილისს დაიბარა. მაგრამ თეიმურაზმა ხანის ბრძანება არ შეასრულა და ცოლ-შვილით ფშავს შეეფარა. თამაზ-ხანის თანამგზავრი ქართველი დიდებულები კი ხანს გზიდან გაეპარნენ და მიიმალნენ. ყოველივე ამან თამაზ-ხანი გაამძვინვარა და შურისძიების ცეცხლით აღანთო. სეხნია ჩხეიძე გვაუწყებს, რომ თამაზ-ხანმა „დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი", დამრბევი ჯარი გაუსია ზემო ქართლს, არაგვის ხეობას, ქსანს, მტკვრის ხეობას. დაინგრა და იავარიქმნა ბევრი სოფელი, ეკლესია და მონასტერი.

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი თავის პოემაში „შეჭირვებანი ქართლისანი" ამ ამბავს ასე აგვიწერს:

„ერთი თვე იყო ქალაქში ამ ჯარებით და დიდებით.
იყვნენ ქართველნი ურვილნი, მარადის დიდის შიშებით.
დააქცევინა გორს ციხე. გარემოს კიდით კიდებით.
და თაბორის ციხე თბილის(ს)ა. სულ ამოიღო მიწებით".

1747 წლამდე ქართველებს მხოლოდ ქალაქი თბილისი ეკავათ. მისი დამცველი ციხეები — მეტეხი, თაბორი და ნარიყალა ყიზილბაშებს ეპყრათ. აღნიშნული ციხეების მტრის ხელში ყოფნა ყაზილბაშებს და ქართლის ტახტის მაძიებელს, აბდულაბეგს (მეფე იესეს ძეს) საშუალებას აძლევდათ ქალაქში მყოფნი შიშში და ძრწოლვაში ჰყოლოდათ. და აი, საჭირო გახდა ამ ციხეების განთავისუფლება.

ნარიყალას აღება შეუძლებელი იყო, თუ ქალაქის კიდევ ორ დამცველ ციხეს — ჩრდილოეთიდან მეტეხს და სამხრეთიდან თაბორს მტრისაგან არ გაათავისუფლებდნენ.

მეტეხისა და თაბორის ციხეებს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეკავა ქალაქის დაცვაში. თაბორი მტერს ისე ძლიერ ჰქონდა გამაგრებული, რომ კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ ამირინდო ამილახორს გორიდან დიდი ზარბაზანი ჩამოატანინა, თვითონ ჯარით თაბორის მთაზე ავიდა და ციხის ახლოს თხრილი გააჭრევინა, მერე კი ის დიდი ზარბაზანი თაბორზე ამოატანინა. დააყარეს ყუმბარები თაბორის ციხეს და ქართველთა ჯარმა იერიში მიიტანა ციხეზე. ციხე აიღეს, დამცველთაგან ზოგი ცოცხალი მიჰგვარეს მეფე ერეკლეს, ზოგსაც თავი წააგდებინეს. ამის შემდეგ მეფე ერეკლემ სწრაფად შემოავლო გალავანი თაბორის ციხეს და შიგ კახთა ჯარი ჩააყენა.

შემდეგ გაათავისუფლეს მეტეხის ციხე და ბოლოს ნარიყალაც (1748).

კრწანისის ბრძოლას ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ეპოპეაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. როგორც ვიცით, ეს ბრძოლა მოხდა 1795 წლის 10 და 11 სექტემბერს. პირველი დღის ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. აღა-მაჰმად-ხანი უკან აპირებდა გაბრუნებას, მაგრამ მოღალატეებმა (იოსებ ყორღანაშვილმა და არტემ არარატიანმა) ერეკლე მეფის მიერ დაკავებული აღა-მაჰმად-ხანის ელჩი გააპარეს და მან თავის მბრძანებელს მოახსენა საქმის ვითარება — ქართველთა მეფეს მცირე ჯარი ჰყავსო.

11 სეტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა ყიზილბაშებს უკან მოუყენა მათი მოძულე თურქმანების ნასახჩ-ბაშების 6.000-იანი რაზმი და უბრძანა, ყოველი გამოქცეული ყიზილბაში მოეკლათ. მოძა-

ლებულ მტერს მუსრს ავლებდა თაბორს მდგარი დავით ბატონიშვილის ზარბაზნები: „მედგრად ამუშავებდა დავით ბატონიშვილი ზარბაზნებს თაბორის აყოლება კლდოვანი სერით და მუსრს ავლებდა სპარსთა რაზმებს". მაგრამ ქართველთა თავგანწირვამ საქმეს ვერ უშველა. რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. მტერმა გაიმარჯვა. მაშინ, როგორც თვით ამბის მომსწრე დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, „მეფის ძემ დავითმა შთაყარა ხევსა შინა საგუბრისათა ზარბაზანი იგი, რომელიცა აქვნდა მას თაბორის კერძო, რათა არა დაუშთეს სპარსთა, და ესრეთ განარინა. აღიღეს ტფილისი, და მოწვეს".

აღა-მაჰმად-ხანმა თბილისთან ერთად თაბორის ციხეც დაანგრია. სულ მალე კი, 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ძლიერი ქვეშევრდომის კალთას შეფარებული ქართველთა სახელმწიფოს დედაქალაქი დამცველ ციხეებს აღარ საჭიროებდა, თაბორის ციხე აღარ აღუდგენიათ, მეტეხის ციხე კი, ერმოლოვის თვითმმართველობის (1816—1827) დროს, სატუსაღოდ გადააკეთეს.

რუსი მოხელის მიერ შედგენილ „თბილისის 1800 წლის გეგმაზე" აღნიშნულია თაბორის მთა, სადაც დგას „Разоренное укрепление Корча-Кала" — ყორჩი-ყალას დანგრეული ციხესიმაგრე.

გეგმაზე დატანილი ნახაზის მიხედვით, თაბორის ციხე მდგარა მთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იგი მთის რელიეფს მიჰყვება. კედლებში დატანებული აქვს ორმხრივ შეკრული მრგვალი ფორმის, ციხის მხრიდან გახსნილი რამდენიმე ბურჯი.

ყორჩი-ყალა აღმოსავლური სიტყვაა და მცველ ციხეს ნიშნავს. ის ქალაქს სამხრეთიდან იცავდა. პლ. იოსელიანი თაბორის მთაზე ციხის გარდა ეკლესიის არსებობაზეც ლაპარაკობს. მკვლევარის ცნობა საინტერესოა იმით, რომ იგი თაბორის ეკლესიის სახელს გვაწვდის. საყდარი „ღვთის ფერიცვალების" სახელზე ყოფილა აგებული. (გავიხსენოთ, რომ ქრისტემ თაბორის მთაზე იცვალა ფერი.) ტაძრის სახელი ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ სახელი თაბორი ძველი თბილისის შემოგარენის მიკროტოპონიმში ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა, და რომ იგი ქალაქის ძირძველი ტოპონიმია.

თაბორის ციხის აღუდგენლობა ვიცით, რითაც იყო გამოწვეული. რაც შეეხება საყდარს, რუსეთის საფარქვეშ შესვლამ და 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის — დამოუკიდებლობის დაკარგვამ განაპირობა ტაძრის ნანგრევებად დატოვება, რომლის ნაშთიც დროთა სვლამ სულ მთლად წარხოცა.

არსებულ წერილობით წყაროებში და სპეციალურ ლიტერატურაში ყველაზე ადრეული ცნობა თაბორის ეკლესიის შესახებ გვხვდება 1392 წელს შედგენილ საბუთში („...ტფილისის იქით ლელვის ხევი, ჩამოვარდება თაბორის ეკლესიის ჩამოსწვრივ წყლისპირამდისინ...") და სრულიად საქართველოს მეფის ალექსანდრე I (1412—1443) 1429 წლის გუჯარში.

თბილისი (XVIII ს. დასასრული). სერგეევის ნახატის ლითოგრაფია

როდის უნდა დარქმეოდა თბილისის მახლობლად მდებარე მთას თაბორის სახელი და როდის უნდა აეგოთ მასზე ციხე და ტაძარი?

ძველ თბილისში და მთის შემოგარენში ადრეფეოდალური ხანის საკულტო ხასიათის ძეგლები არც ისე ცოტა იდგა: სიონის ტაძარი, ანჩისხატი (მისი ადრეული სახელი ზუსტად არ ვიცით, არის მოსაზრება, რომ მას ზარის ეკლესია ერქვა, მეორე მოსაზრებით წმინდა მარიამის სახელზე იყო აგებული), მთაწმინდა, სა-

დაც იდგა სირიელ „ათცამეტ“ მამათაგანი დავითის საკანი. თბილისის თაბორი ქართულ ისტორიულ და აგიოგრაფიულ ძეგლებში X და XI საუკუნეებში გვხვდება, მაგრამ მისი გაჩენა უფრო ადრეა სავარაუდო.

მეფე ბაგრატ IV რომ 1045 წელს „ქალაქის ბერებს“ თბილისში არ მიეწვიათ, ალბათ თაბორის შესახებ ქართულ წყაროებში კიდევ დიდხანს არა დაიწერებოდა რა.

რასაკვირველია, დაბეჯითებით იმის მტკიცება, თითქოს თბილისის სანახებში სახელი თაბორი ვახტანგ გორგასლის, ანდა მისი მემკვიდრის დროს გაჩნდა, არ შეგვიძლია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იგი ადრეულ ხანაში უნდა წარმოშობილიყო.

შეიძლება ვივარაუდოთ (გადმოცემებზე დაყრდნობით), რომ იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგ გორგასალმა, მისმა დედამ ან დამ, შვილის, ანდა ძმის დასამკვიდრებლად თბილისის ახლოს მდებარე მაღალ მთას თაბორი შეარქვეს და მასზე საყდარიც ააგეს მეფის ანდა თავიანთი სულის საოხად.

ამგვარად, ზემოთ მოტანილ მჭლე წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ თაბორის მთა არა მარტო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი, გორა-სამლოცველოც იყო.

1972 წელს ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის თაოსნობით თაბორის მთაზე ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ექსპედიციის მიერ ჯერჯერობით მიკვლეულია თაბორის ციხის ნაშთი. მიუხედავად იმისა, რომ ციხის კედლები თითქმის მთლიანად მოშლილია, მისი გეგმის წაკითხვა მაინც ხერხდება, ციხე დიდი ზომის არა ყოფილა. იგი ზუსტად ისეთია, როგორი სახითაც დატანილი აქვს „თბილისის 1800 წ. გეგმის“ შემდგენელს. იმედია, შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ციხის გარდა სხვა ხუროთმოძღვრულ ნაგებობას, კერძოდ, ეკლესიასაც გამოავლენს.

კრწანისი



ოფელი კრწანისი თბილისის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა.

ქალაქის მახლობლად სოფელი კრწანისი პირველად 1392 წელს შედგენილ საბუთში გვხვდება.

ფეოდალურ საქართველოში მეფის შემდეგ ყველაზე დიდი ფეოდალი, დიდძალი ყმა-მამულის მეპატრონე იყო საქართველოს ეკლესიის უზენაესი ხელისუფალი კათალიკოსი.

საკათალიკოსო მამულად და ყმა-გლეხად ითვლებოდა ყველა ის სოფელი, თუ პიროვნება, რომელიც ბოძებული ან შეწირული ჰქონდა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარს, სადაც კათალიკოსის ტახტი იდგა.

საკათალიკოსო მამული: სოფელი, ტყე, წყალი, წყლისპირეთი, საძოვრები, აურაცხელი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფარა-ჯოგები საქართველოს ყოველ კუთხეში იყო მოფენილი.

ერთ-ერთი ასეთი საკათალიკოსო მამული იყო სოფელი კრწანისი, რომელიც საქართველოს მეფეს სვეტიცხოვლისთვის ჰქონდა შეწირული. ყოველ მნიშვნელოვან სიგელ-გუჯარს ხელახლა ამტკიცებდა მომდევნო ხელისუფალი, რათა საბუთს იურიდიული ძალა არ დაჰკარგოდა.

ასეთი გაახლებული სიგელია 1429 წელს საქართველოს მე-

ფის ალექსანდრე პირველის (დიდად წოდებულის) მიერ გაცემული საბუთი, რომლის მიხედვითაც მეფე საქართველოს კათალიკოსის თეოდორეს თხოვნით სვეტიცხოვლის ტაძარს ხელმეორედ სწირავს სოფელ კრწანისს, თავისი საზღვრით, წყლითა და წისქვილით.

აი, რა წერია აღნიშნულ სიგელში: „მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან თამარი ძეთა ჩვენთა ვახტანგ დიმიტრი გიორგი ზაალი გაკადრეთ და მოგახსენეთ მცირე ესე შემოსაწირავი... ქალაქის პირსა სოფელი კრწანისი ასე რომელ პირველთა ჩვენსა ჩამომავალთა ხელმწიფეთაგან... შეწირული სოფელი სვეტსა ცხოველს შესწიროდა და ცოტა ხანსა და ჟამთა ვითარებისაგან მოშლოდა. ახლა მოგვადექით კარსა საქართველოსა პატრიარქი პატრონი თეოდორე და გვიაჯენით ჩვენცა ხელ ახლად ჩვენად სადღეგრძელოდ გაკადრეთ და შემოგწირეთ სოფელი კრწანისი მისი სამართლიანისა სამზღვრებითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა...“

XV საუკუნეში სოფელ კრწანის საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა: ჩრდილოეთით ის უშუალოდ თბილისს ემიჯნებოდა. მისი საზღვარი იწყებოდა თაბორის ეკლესიიდან და ლეღვთა ხევის ჩაყოლებით მტკვრამდე აღწევდა, სამხრეთიდან ხატის თელეთი ემიჯნებოდა, დასავლეთიდან შინდისი, აღმოსავლეთიდან მტკვარი.

მომდევნო ხანაში მისი ტერიტორია მცირდება. გამუდმებულმა შემოსევებმა გააუკაცრიელა მისი დიდი ნაწილი. ისე, როგორც ქალაქის სანახებში მდებარე სხვა სოფლები, კრწანისიც XV საუკუნიდან XVII საუკუნემდე ჩვენი თვალთახედვის მიღმაა დარჩენილი. XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში კი როსტომ მეფემ თბილისის სამხრეთით არსებულ ამ გაუკაცრიელებულ ადგილებში და თაბორის მთის აუთვისებელ აღმოსავლეთ კალთაზე, აგრეთვე აბანოების უბნის მიდამოებში მაჰმადიანი სეიდების ტომი დაასახლა, რის გამოც მთელმა ამ ტერიტორიამ სეიდაბადის სახელი მიიღო.

1658 წელს მეფე როსტომი კათალიკოს ქრისტეფორეს თხოვნით ხელახლა აახლებს სვეტიცხოველისთვის კრწანისის შეწირულების სიგელს: „შემოგწირეთ... სოფელი კრწანისიო“. ამავე

სიგელით მეფე სოფელ კრწანისს ათარხნებს, ყოველგვარი სამეფო გამოსაღებისაგან ათავისუფლებს: „ამ წესით გვითარხნებია რაიმე არაფერი საჩვენოს სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა".

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ საკათალიკოსო მამულსა თუ ყმა-გლეხობას მეთვალყურეობას უწევდნენ კათალიკოსის მიერ დანიშნული მოხელენი. მაგალითად, კათალიკოს ანტონ პირველს გარეთუბანში, ქალაქში და ავლაბარში მცხოვრებ საკათალიკოსო ყმა-გლეხთა მოურავად დაუნიშნავს გიორგი მაღალაძე.

საქართველოს კათალიკოსების მიერ სოფელ კრწანისში მოურაობა ძველთაგანვე ბოძებული ჰქონიათ აზნაურიშვილ თაზის შვილებს, რომელნიც ამ თანამდებობას XIX საუკუნეშიც ფლობდნენ.

კრწანისში მოურავის გარდა სხვა მოხელეებიც ყოფილან. მამასახლისი, მებეგრე, მეკულუხე (ყურძნის — ღვინის გადასახადის ამკრეფი); მერაბი კი საგანგებოდ შექმნილი მოხელეა, რომელსაც სარწყავი წყლის განაწილებაზე მეთვალყურეობა ევალებოდა.

იმის გარდა, რომ სოფელ კრწანისს თავისი ბაღ-ვენახები ჰქონდა, ტერიტორიულად ორთაჭალის ბაღებიც მას ეკუთვნოდა.

კრწანისსა და ორთაჭალას ერთი და იგივე მოურავი, მამასახლისი, მეღალე და მეკულუხე ჰყოლია.

კრწანისი თავისი ბაღ-ვენახებითა და ორთაჭალის ბაღებით ქალაქის შემოგარენის ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, რომელიც თბილისის ბაზარს ყოველდღიურად ახალ-ახალი ბოსტნეულითა და ხილით ამარაგებდა.

კრწანისსა და ორთაჭალაში კათალიკოსის გარდა ბაღები ჰქონდათ მეფესა და ბატონიშვილებს, ქართველ თავად-აზნაურებს, თბილისელ მოქალაქეებს.

კრწანისისა და ორთაჭალის ბაღები მდინარე მტკვრიდან და საგუბრებიდან გამოყვანილი არხებით ირწყვებოდა. ბაღებისა და სარწყაეი ტერიტორიის სიდიდე მოითხოვდა წყლის რიგ-რიგობით — რასათით განაწილებას, რისთვისაც ზედამხედველობა სწორედ მერაბს უნდა გაეწია. მერაბი ორნაწილიანი სიტყვაა.

„მარ“ თურქულად გამგებელს ნიშნავს, „აბ“ სპარსული სიტყვაა და წყალს ნიშნავს. კრწანისში რამდენიმე მერაბი იყო თურმე, რომელთაც თავიანთი უფროსი, თავკაცი, მერაბაღა ჰყავდათ. 1789 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში მოხსენიებულია „მერაბაღა მამასახლისი თომა“.

მართალია, კრწანისი ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი იყო, მაგრამ აქ სხვადასხვა დარგის ხელოსნებიც სახლობდნენ და საქმიანობდნენ. კრწანისში ხელოსნობის განვითარებას ქალაქის სიახლოვე უწყობდა ხელს. კრწანისელ ხელოსანს, გარდა იმისა, რომ თავისი საჭიროებისათვის ამზადებდა ნაწარმს, ჭარბი პროდუქცია თბილისის ბაზარზე გაჰქონდა გასაყიდად.

კრწანისში ხელოსნობის დაწინაურებას ხელს უწყობდა აქ გამავალი სატრანზიტო, საქალაქთაშორისო, საქარავნო გზა — ეგრეთ წოდებული „განჯის გზა“.

მაგრამ კრწანისი ძირითადად მაინც თბილისის სასოფლო-სამეურნეო უბნად რჩებოდა. „ქალაქის მოურავის სარგოს“ მიხედვით, ქალაქის მოურავს ყოველწლიურად ქალაქისპირა სხვა სოფლების ბაღების მსგავსად, კრწანისის და ორთაჭალის ბაღებიდანაც მიჰქონდა თავისი წილი სარგო მოწეული ხილიდან.

კრწანისისა და ორთაჭალის ბაღ-ბოსტნებში მოჰყავდათ ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, კიტრი, ნესვი, საზამთრო, სხვადასხვა მწვანილეული. და სხვადასხვა სახის ხილი. ბაღები აქ ერთმანეთისაგან პატარ-პატარა ქუჩებით, შუკებითა და ბილიკებით იყო გამიჯნული.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, სოფელ სეიდაბადის ქალაქთან მიერთების შემდეგ თბილისი უშუალოდ ორთაჭალის ბაღებს შეემიჯნა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და თბილისიდან მეფის ოჯახის წევრების რუსეთში გადასახლების შემდეგ, ორთაჭალის ბაღები კერძო მესაკუთრეთა ხელში გადავიდა.

ორთაჭალის ბაღები ქალაქელთა დასასვენებელ და დროსტარების ადგილად იქცა.

მდინარე მტკვარი ძველი თბილისის შემოგარენში იტოტებოდა და რამდენიმე პატარა თუ დიდ კუნძულს წარმოშობდა.

ქალაქის სამხრეთით, ვიწრო კალაპოტიდან განთავისუფლე-

ბული მდინარე იტოტებოდა და წარმოშობდა დიდ კუნძულს — ჭალას, და რადგანაც ეს კუნძული მტკვრის ორ ტოტს შორის იყო მოქცეული, მას მოგვიანებით ორთაჭალა შეარქვეს. ორთაჭალა ორნაწილიანი სიტყვაა. ტერმინის პირველი ნაწილი თურქული წარმოშობისაა — OPTA — ორთა და შუას ნიშნავს. ესე იგი ორთა ჭალა — შუაჭალა. ადრიდანვე ამ ჭალებზე ბაღები იყო გაშენებული[1]. ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა ქალაქის ქუჩებში და შუკებში სიცხე ჩამოწვებოდა და სუნთქვა ჭირდა, თბილისელი კაცი, თავის ამფსონებთან ერთად, ვინ ეტლით, ვინ კი ფეხით ორთაჭალის ბაღებს მიაშურებდა. ეს იყო „მწვანე სამეფო", სადაც ტკბილი და დარბაისლური, ქალაქური პურ-მარილი იმართებოდა.

ხოლო თუ თბილისელს პატივსაცემი სტუმარი ჩამოუვიდოდა, არც მას მოაკლებდა ორთაჭალის ბაღების სიამეს.

1827 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოსულ პუშკინს მისმა ლიცეუმელმა ამხანაგებმა და იმდროინდელმა ქართველმა ინტელიგენციამ სადილი სწორედ ორთაჭალის ბაღში გაუმართეს.

ორთაჭალის ბაღებში არა მარტო ქართველი დიდგვაროვანი მამაკაცები, ქართველი დიდგვარიანი ქალებიც დადიოდნენ. დავით ყორღანაშვილი რუსეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს 1832 წლის 15 სექტემბერს წერდა: „...შაბათს მე მყვანან დაპატიჟებულნი ბაღში ვახშმად და კვირას სადილად ნინო, თარხნიანთ სალომე დედითურთ, ჩვენი დედა ხორეშან, ელისაბედ, ყორმაზის და სოფიო..." ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთ წერილში ასე აღწერს ორთაჭალის ბაღში გატარებულ დღეს: „ამას წინად შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები — მე, ჩილაევი, გიორგი მუხრანსკი, ჩახავსკოი, მირსკი, ლევანი, ისაკ ჯორჯაძე, სულთან გირეი, სოსიკო და ალალაროვი. წავედით საღამოზე ორთაჭალას და მტკვრის პირზე ჩავსხედით ზურნით, ჭიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერალითა და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი.

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონს ქართლის ერთ-ერთ რუკაზე ორთაჭალის ადგილზე დატანილი აქვს „ჭალაის ბაღი". ჭალის სახელად „ორთაჭალა" პირველად 1735 წელს შედგენილ საბუთში გვხვდება.

ამ დროს სად იყო, სად არ იყო წამოვიდა ერთი ნავი დასტი-თა და სწორედ ჩვენს პირდაპირ შუა მტკვარზე დადგა. მოთავემ დაიძახა: „წმინდა სანთლები აანთეთ!" და აენთო ნავის გარშემო წმინდა სანთლები ჩირაღდნად! დაიძახა: „გაშალეთ სუფრა!" და გაიშალა. მოართვეს მოთავეს თეფში, ოთხი ჭიქებით და დაილია ოთხივე დიდის მოლხენით; მერე თვითონ აავსო ოთხივე და ჩაურიგა რიგზე ყველას ოთხ-ოთხი და ამით გაჩაღდა ლხინი — ჩვენი აქედან, ამათი შუა მტკვრიდან.

ძველი თბილისის ბაზარი

გამოჩნდა, რომ ნავის ადმირალი იყო კუნძუას ძმა, ყასაბი! შუა ლხინში რომ შევიდნენ, დაიძახა ადმირალმა — ასე დავარ-ქვით მოთავეს: — „ეხლა მწვადები მოვიდეს!" ამ სიტყვაზე ერთი ნავიდან გადმოვიდა მალაყსა, ჯერ ჩაიღუპა და მერე მძოვრით ამოვიდა, მოუსვა ვეება მკლავები და გამოვიდა ტიტველი მიკიტ-ნის დუქანთან, საიდამაც ცხელ-ცხელი შამფურები პუტნაღალით გაიტანა ნავში და შეიქნა კვლავ ახალი ჩამორიგება ოთხ-ოთხი ჭიქებისა ერთად. ჩვენი საზანდრების სიმღერაზე ისინი ძა-ლიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძახოდნენ: „ერთი კიდევ, გეთაყ-

ვა, ჯანუმ! გიოზუმ!" დიდის სიამოვნებით უყურებდა შახავსკოი იმათ დარბაისლურ მოქცევას. პირველ საათზე აქედან ავიყარენით და იქიდამაც იმათი ნავი ნელ-ნელა ცურვით წავიდა ზევით ხიდისაკენ".

თბილისელთა სუფრა თევზეულობის გარეშე წარმოუდგენელი იყო, განსაკუთრებით განთქმული იყო ორთაჭალაში დაჭერილი და „ორთაჭალურად" დამზადებული თევზი.

ორთაჭალის ხშირი სტუმარი იყო გრიგოლ ორბელიანის მოკრივე-ფალავანი, მეთევზე-„მეჩანგლე", ნიკაპზე „აყვავებული" ხალით, თბილისელი ლოპიანა. გრიგოლ ორბელიანი თავის საქვეყნოდ ცნობილ ლექსში „მუხამბაზი" მოკრივეს და პურმარილის ეშხს ლოპიანას ასე ათქმევინებს:

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!"

ორთაჭალის ბაღებში მისვლა მდინარე მტკვრის მარჯვენა ტოტზე გადებული, კოფოებზე შემდგარი ხის ხიდის საშუალებით შეიძლებოდა. გადადიოდნენ ნავითაც, რომელსაც საგანგებოდ შექმნილი მოხელე — მენავე ემსახურებოდა.

1781 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში გვხვდება „ორთაჭალის მენავე", მეორე საბუთში (ისევ ორთაჭალას ეხება, 1782 წ.) კი პირდაპირ არის ნათქვამი: „... საცა ნავი მუშაობს". მენავის პირდაპირი მოვალეობა იყო მებაღეების, ბაღის მეპატრონეებისა და სხვათა გადაყვანა ორთაჭალაში. აღნიშნულ სამუშაოში მენავე მისთვის განკუთვნილ გასამრჯელოს იღებდა.

კრწანისის ცნობილი ბრძოლაც ორთაჭალის მიდამოებში მოხდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერია უშუალოდ შეემიჯნა ამიერკავკასიას. იმიერკავკასიის ხალხების დამორჩილებისა და მათი ქვეშევრდომობის ნათელსაყოფად მეფის

რუსეთმა აქ ადგილობრივი ხალხისთვის შიშისმომგვრელი სახელწოდების ციხეები „გროზნო“ და „ვლადიკავკაზი“ ააგო. დიდი ხანი იყო, რაც მოქმედებდა „ასტრახან-შემახა“—სპარსეთში მიმავალი ეგრეთ წოდებული „აბრეშუმის გზა“. ამ გზით რუსეთში გადიოდა სპარსული და ქართული აბრეშუმი.

მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის ეკონომიურ პოლიტიკაში ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს, როგორც ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოს, დიდი მნიშვნელობა მიეცა.

1783 წელს იმიერკავკასიაში, ციხესიმაგრე გეორგიევსკში რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო „მეგობრობითი პირობა“ ანუ „ტრაქტატი“, რომელსაც საქართველოს მეფის, ერეკლე მეორის სახელით ხელს აწერდნენ: თავადი იოანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, რუსეთის იმპერატორის, ეკატერინე მეორის სახელით — გენერალი პავლე პოტიომკინი.

ხელშეკრულებას უფრო მოგვიანებით, 1784 წლის 24 იანვარს, ხელი მოაწერა მეფე ერეკლე მეორემ, რის შემდეგ „მეგობრობითი პირობა“ ძალაში შევიდა.

ხელშეკრულების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, ერეკლე მეორე კისრულობდა კავშირის გაწყვეტას სპარსეთთან და სხვა სახელმწიფოებთან;

საგარეო პოლიტიკაში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის ხელმწიფის დაუკითხავად დამოუკიდებელ ნაბიჯს არ გადადგამდა;

ქართველთა ჯარი რუსეთის იმპერატორის პირველსავე მოთხოვნაზე მზად უნდა ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, ერეკლე მეორე რუსეთის ხელმწიფის უზენაეს ხელისუფლებას „სცნობდა და მის მფარველობაში შედიოდა“.

სამაგიეროდ, რუსეთის მეფე საქართველოს ჰპირდებოდა „საუკუნო მფარველობასა და ერეკლეს სამფლობელოს დაცვას“.

1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამ ერეკლე მეორის ყმადნაფიცი მაჰმადიანი ხანები ააფორიაქა და შეაშინა. მეფეს გადაუდგნენ და ხარჯის მიცემა შეუწყვიტეს განჯისა და ერევნის სახანოებმა, მათ დაემატნენ დაღესტნელები და ისევე გაანაახლეს დამარბეველი თარეშები.

საქართველოს ასაოხრებლად ემზადებოდა ირანის მბრძანებელი აღა-მაჰმად-ხანიც.

ერეკლე მეორემ მოახლოებული საშიშროების შესახებ რამდენჯერმე აცნობა იმპერატორ ეკატერინეს, მაგრამ რუსეთის სამეფო კარი ან უპასუხოდ ტოვებდა მეფის მოთხოვნას, ანდა სიტყვიერი დაპირებით კმაყოფილდებოდა.

დრო კი გადიოდა. ამასობაში აღა-მაჰმად-ხანი დიდი ჯარით შემოიჭრა ამიერკავკასიაში და ერეკლე მეფეს უბრძანა, რუსეთთან მეგობრული კავშირი გაეწყვიტა და ისევ ირანის ვასალობა ეღიარებინა.

მაგრამ ქართლ-კახეთის მეფემ ერთმორწმუნე რუსეთი ამჯობინა მაჰმადიანურ ირანს.

1795 წლის 4 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი 35.000 ჯარით თბილისისაკენ დაიძრა. რუსეთის დახმარებით დაიმედებული ერეკლე მეფე დედაქალაქს მოახლოებულ მტერს მოუმზადებელი დახვდა. მისი დროშის ქვეშ მხოლოდ 3000 მოლაშქრე იდგა.

1795 წლის 8 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი უკვე სონღალულში იყო დაბანაკებული, 10 სექტემბერს კი მტერი კრწანისის მინდორს მოადგა.

ერეკლე მეფემ ერთ ხერხს მიმართა. მტერი თბილისის მახლობლად, ვიწროებში შემოიყვანა, რომ მას ფართო ფრონტზე მოძრაობა არ შეძლებოდა.

ვისაც კი შეეძლო, ქალაქიდან წავიდა და გაიხიზნა. ქალაქი მიატოვეს მეფის ოჯახის წევრებმა, რამაც ისედაც შიშით მოცული თბილისელები უფრო მეტად დააფრთხო და შეაშინა.

აღა-მაჰმად-ხანმა ჯავათხანის, მელიქ მეჯნუნისა და იაკობ ბებუთოვის თანხლებით კრწანისის ველი და მისი მიდამოები დათვალიერა.

პირველი ბრძოლა მოხდა 10 სექტემბერს. ტაბახმელასა და შინდისის ხევებში გამოჩენილ სპარსთა ჯარის ნაწილებს მუსრს ავლებდა თაბორის მთაზე მდგარი ქართველი არტილერისტები, რომელთაც დავით ბატონიშვილი მეთაურობდა. აღა-მაჰმად-ხანმა თელეთის მხრიდან ზურგში გასვლა გადაწყვიტა. ამ რაზმის შეთაურობა-მეგზურობა მელიქ მეჯნუნმა იკისრა. მას სოლოლაკიდან უნდა მოევლო. მტრის მოძრაობა არ გამოჰპარვია დავით ბატონიშვილს, მოპარვით მოსულ მეჯნუნს მომზადებული დახვდა და თავის რაზმიანად გაჟლიტა.

ერთდროულად ბრძოლა კრწანისის ველზეც მიმდინარეობდა. აქ იყვნენ: დავით ბატონიშვილი, იმერთა ჯარი ზურაბ წერეთლის მეთაურობით, ქართლის სარდალი ოთარ ამილახვარი, იოანე მუხრან-ბატონი, ქიზიყის სარდალი და მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი.

პირველ დღეს გამარჯვება ქართველებს დარჩათ.

ამ გამარჯვებამ ჩააფიქრა აღა-მაჰმად-ხანი. მან თითქმის გადაწყვიტა თბილისს გასცლოდა, მაგრამ მოღალატეებს არ ეძინათ. გამყიდველმა არარატიანმა და ყორღანაშვილმა ერეკლეს მიერ დაკავებული სპარსთა ელჩი ქალაქიდან უჩუმრად გააპარეს და აღა-მაჰმად-ხანმა შეიტყო საქმის ვითარება: ერეკლეს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავს და ძალიან უჭირსო. გამხნევებული მტერი მეორე დღეს ახალი ძალით შეება ქართველებს.

11 სექტემბერს ერეკლე თვით გავიდა საბრძოლველად სეიდაბადის ბაღების ბოლოს. ქართველთა ჯარი ხუთ ნაწილად გაიყო. მარჯვენა მხარის დაცვა დავით გიორგის ძე ბატონიშვილს დაევალა. მას უნდა ჩაეკეტა სოლოლაკის და ტაბახმელას გზები, ხევები და ვიწროები, ასევე სეიდაბადიდან ქალაქში მიმავალი გზა. მეფემ მოწინავე რაზმის მეთაურობა თავის შვილიშვილს, გიორგის ძე იოანეს დაავალა, მარცხენა მხარეს იოანე მუხრან-ბატონი დააყენა, დარჩენილი ორი გუნდიდან ერთს მეთაურობდა ერეკლეს შვილიშვილი ვახტანგი, მეორე კი ჩააბარა ოთარ ამილახვარს, რომელიც თავისთან ახლოს დაიყენა! იგი გაჭირვების შემთხვევაში უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში. იმერეთის ჯარი ზურაბ წერეთლის მეთაურობით მეფის მარჯვნივ დადგა.

დაიწყო უთანასწორო ბრძოლა. გამარჯვების სასწორი ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან — მეორეს. აღა-მაჰმად-ხანი სულ ახალ-ახალ მაშველ და დასვენებულ ძალებს აბამდა ბრძოლაში. ქართველთა რიგები თხელდებოდა. მაშველი კი არსაიდან ჩანდა. ერეკლე ბრძოლით იხევდა უკან — ქალაქისაკენ.

ქალაქის მისადგომებთან მოქალაქეთაგან შემდგარ რაზმს მეთაურობდა ცნობილი „კომედიანტი" მსახიობი, მომღერალი და დამკვრელი დავით მაჩაბელი. იგი დაირის დაკვრით და სალხინო სიმღერით „სახელოვანი სიკვდილისათვის" ამხნევებდა ქართველებს. ცნობილი ციხისთავი აღალუა ნარიყალას ციხიდან

ქვემეხებით მუსრს ავლებდა მტერს. მაგრამ მტრის რიცხობრივ უპირატესობას თავისი გაჰქონდა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ — სამასი არაგველი რაინდი, დავით მაჩაბელი, ციხისთავი აღალუა, გიორგი გურამიშვილი, იოანე აბაშიძე, გაბრიელ „არტილერისტი" და მრავალი სხვა.

ქართველთა სიმამაცით გაოცებულ აღა-მაჰმად-ხანს ასე უთქვამს: „სიყრმითგან ჩემით ვიდრე აქამომდე დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არა სადა მიხილავს მე წინააღმდეგნი, ვითარ ესე კაცნი ჩემდა მომართ ჰყოფნიდნენ ბრძოლასა".

ბრძოლის ველი მოკლულთა გვამებით იყო სავსე. მეფე ერეკლე და მის მხარდამხარ მებრძოლნი სისხლში იყვნენ გასვრილნი. სამოცდათხუთმეტი წლის მეფე ერეკლე ჭაბუკური შემართებით იბრძოდა. მან იცოდა, რომ ბრძოლა წაგებული იყო, მაგრამ ბრძოლის ველს მაინც არ სტოვებდა.

როცა აღა-მაჰმად-ხანმა დაინახა, ცენტრიდან ფრონტის გარღვევას ვერ ახერხებდა, გადაწყვიტა ქართველთა წინააღმდეგობა ზურგიდან გაეტეხა. თავისი ჯარიდან ცხენოსანთა რაზმი გამოყო და შინდისიდან შემოვლა უბრძანა. სპარს ცხენოსნებს მოულოდნელად უნდა დაერტყათ შემოვლითი გზით. თითქოს ქართველთა ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ადამიანსაც და ბუნებასაც მათ წინააღმდეგ შეეკრათ პირი. ქართველთა ზურგისაკენ მიმავალ სპარს ცხენოსანთა რაზმს თვალთახედვისაგან ხეობაში ჩამოწოლილი ჯანყი იცავდა. აი დაუბერა ნიავმა, ბურუსი გადარეკა, მაგრამ უკვე გვიან იყო: სპარსელები ქართველთა პირისპირ იდგნენ. მოულოდნელად გამოჩენილი მტრისთვის ბრძოლაში ღონეგამოცლილ ქართველებს წინააღმდეგობის გაწევა აღარ ძალედვათ. მარჯვენა ფლანგი შეირყა, მოიშალა.

ერეკლე მეფე გარემოცული აღმოჩნდა. მას სიკვდილი, ანდა ტყვეობა ემუქრებოდა, რომ მის შვილიშვილებს იოანეს, ვახტანგს და დავითს ბრძოლის ველიდან იგი ძალით არ გაეყვანათ.

ავლაბრის ხიდზე გასული მეფე ცხენიდან ჩამოხტა. შეჩერდა და უკან მოიხედა. ქართლ-კახეთის მრავალომგადახდილმა ერეკლე მეფემ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ცეცხლს მიცემულ ქალაქს. საღამოვდებოდა. თბილისი გმინავდა. ქალაქის ქუჩებს, შუკებს, ქუჩაბანდებს, სოლოლაკის ქედის კალთას, ტერასებად

შეფენილ ბანიან სახლებს მწუხრი და ქართველთა სისხლით მთვრალი, გაგულისებული და ჟინდაუმცხრალი აღა-მაჰმად-ხანის ჯარი იპყრობდა.

მეფემ ავლაბრის ხიდის თავში, მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის დაბლა, კლდეში გამოკვეთილ, ქრისტიანობისათვის წამებულ აბო თბილელის ქვაბულში დასვენებული ხატის წინ ჩაიმუხლა და ერთმორწმუნეობისათვის თავგანწირული ქართველი ერი ქრისტეს შეავედრა.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის და თბილისის აოხრების შემდეგ თითქმის თვე-ნახევარი იყო გასული, როცა საქართველოში ერთმორწმუნე რუსთა ჯარი შემოვიდა.

კრწანისის ველზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ერთმორწმუნე რუსეთთან მისი შეერთების შესახებ.

ს ო ნ ღ ა ლ უ ღ ი

ბილისს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სამხრეთის მხრიდან, ესაზღვრება სოფელი სონღალუღი.

სოფელ სონღალუღის სახელი XVII—XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯრებში და ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება — ყურყუთა, სონღალუხი, სოღალუხი, სონღალუღი, სოღანლუღი. ბოლო დროს მას საკუთარ სახელად სოღანლუღი დაემკვიდრა.

სახელი სონღალუღი უცხოა, თურქულია, და ქართულად სახახვეს, თუ სახახვეთს ნიშნავს.

ერთის შეხედვით, თითქოს უცნაურ მოვლენასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, მითუმეტეს, რომ მსგავსი სახელები ჩვენში მრავლადაა. გასარკვევია, როგორ მოხდა, რომ ყურყუთას, შემდეგდროინდელ სოღანლუღს, სახახვეთი ანუ სოღანლუღი შეერქვა? სოღანლუღი ძველ ისტორიულ წყაროებში სონღალუღის ფორმით გვხვდება. ეს ტოპონიმი ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებაა, და იგი ფრინველის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები. სონღული საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველია, შავარდნისებრთა ოჯახის წარმომადგენელი.

სონღალუღის ადრეული სახელი ყურყუთაა. ვახუშტი განმარტავს: „მტკურის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა, და აწ სონღალუღი წოდვილი, ნაყოფიერი ყოვლითავე. ამ ჭალიდამ იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკურამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა, მეფეთ აქლემთა დგომისათვის, უწყლოობით უნაყოფო“.

სახელი ყურყუთა უცნაური ჟღერადობისაა. ადგილის სახელად მისი წარმოდგენა და ახსნა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ყურყუთას გვიანი სახელი სონღალუღი ნაწარმოებია ფრინველის სახელიდან — სონღული. ამან გვაფიქრებინა, რომ ადგილის ადრეული სახელიც გენეტიკურ კავშირში უნდა ყოფილიყო ფრინველის სახელთან.

საქართველოში და, კერძოდ, თბილისის სანახებში ბინადრობდა და ბინადრობს შავარდნისნაირთა ოჯახის წარმომადგენელი კირკითა. სონღულიც ხომ შავარდნისნაირი ოჯახის წარმომადგენელია, ბინადრობს ღია ადგილებში, ველ-მინდვრებში, კლდოვან ადგილებში და სხვ.

დღევანდელი ქართულით სიტყვა ყურყუთას ახსნა ჭირს. ერთი შეხედვით, სიტყვა ყურყუთა თავისი ჟღერადობით ქართულ ყურყუტსა ჰგავს, მაგრამ ძნელია დავიჯეროთ ამ ორი სიტყვის იდენტურობა. როგორც ჩანს, ტერმინ ყურყუთას სონღალუღად გარდაქმნას სიტყვის სემანტიკა — მნიშვნელობა არ შეუცვლია.

სონღალუღის სოღანლუღად გარდაქმნისას სიტყვაში ასო ო-ს შემდეგ ასო — ნ ჩავარდა და გადაინაცვლა ასო ა-სთან. ასე წარმოიქმნა ახალი სიტყვა.

სონღალუღს თბილისიდან თელეთის მთები ყოფდნენ. თელეთის მთის აღმოსავლეთი კალთა მტკვრისაკენ ეშვებოდა და მდინარესთან ქმნიდა პატარა გამავალ ყელს — კორიდორს და აი, სწორედ ამ ვიწრო ყელით უკავშირდებოდა სოფელი სონღალუღი ქალაქს, უფრო სწორად, ამ ყელზე გამავალი სატრანზიტო-საქარავნო გზით, ე. წ. განჯის გზით. ისე გამოდიოდა, რომ სონღალუღი თბილისის სამხრეთის მისადგომებთან სწორედ ამ გზის ერთ-ერთი ჩამკეტი პუნქტი იყო.

პლატონ იოსელიანის გადმოცემით, ძველად სონღალუღს „გზის კარსაც" უწოდებდნენ. არსებობდა ორი სონღალუღი: პატარა და დიდი, რომლებსაც ერთმანეთისაგან შულავრის გზა ყოფდა.

პატარა სონღალუღზე გადიოდა შულავრის გზა, რომელსაც ყაზახი—განჯის გზა უერთდებოდა (თბილისი—სონღალუღი—ყაზახი—შამქორი—განჯა). შულავრის გზა, რომელიც კუმისის

ტბას სამხრეთის მხრიდან ჩაუვლიდა (დღე ეს გზა კუმისის ტბას ჩრდილოეთის მხრიდან ჩაუდის), ნაწილი იყო დმანისზე გამავალი დიდი საქარავნო გზისა თბილისი—ნახიდური—დმანისი—ლორე. დღესაც თბილისი ამ გზით უკავშირდება სომხეთს. შულავრის გზის განტოტება უერთდებოდა მეორე დიდ საქარავნო


1 [illegible]
2 [illegible]
3 [illegible]
4 [illegible]
5 [illegible]
6 [illegible]
7 [illegible]
8 [illegible]
9 [illegible]
10 [illegible]
[illegible]
[illegible]
[

გზას — დებედისას. როგორც ვხედავთ, სონღალული სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თბილისში მომავალი საატრანზიტო-საქარავნო გზების მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტი იყო. საინტერესოა ისიც, რომ სონღალულთან ახლოს არის „სარვანისად" წოდებული ტოპონიმი, რაც ვახუშტის გადმოცემით „მეფეთა აქლემების სადგომს" ნიშნავს. სამხრეთით „ყოჩის ქვის" სახელწოდების პატარა გორაა, ხოლო მის სამხრეთ-დასავლეთით „სანგრის გორა". სონღალულს დასავლეთიდან ესაზღვრება და კეტავს სანდუდხარეს მეორე ხევი, რომელიც სათავეს აღმოსავლეთით იღებს და დასავლეთით ყაზახის გზამდე აღწევს.

სონღალული შემოიფარგლებოდა ლელვის ხევით, ტაშხარყანათი, მტკვრით, შულავრის და ყაზახის გზებით, აგრეთვე ყოჩის ქვით, სანგრის გორით, სანდუდხარეს მეორე ხევით, ამილახვრების თელეთით, ტალის (თალის) ქვის და ისევ ლელვის ხევით.

ამგვარად, სონღალულს ეკავა წყლისპირეთი — მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭალები და თელეთის მახლობელი ველ-მინდვრები.

სონღალულის ადრეული სახელი ყურყუთა წყაროებში სპარსეთში გიორგი სააკაძის წასვლასთან დაკავშირებით გვხვდება. ეს იმ საყოველთაოდ ცნობილ დროს ემთხვევა, როცა ქართლის მეფის, ლუარსაბ II კარზე აღზევებული და განდიდებული გიორგი სააკაძის მდგომარეობით გაგულისებული და შურით აღვსილი ქართველი ძირძველი დიდებულების შეჩენით, ქართლის მეფე გიორგი X მოურავის დაპატიმრებას და მოკვლას გადაწყვეტს. დიდი მოურავი გაიგებს მეფის განზრახვას და თავისი მახლობლების თანხლებით უცხოეთში იხიზნება.

გიორგი სააკაძე ღამით ლილოებზე გავლით თბილისს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩაუვლის, მტკვრის ფონით ყურყუთას გავა და აღჯაყალას მიდის. აქედან იგი ირანის მბრძანებელს, შაპაბას I ეახლება.

ეს 1612 წელს მოხდა.

მოტანილი ამბავი აღწერილი და გალექსილი აქვს XVII საუკუნის ქართველ მოღვაწეს, გიორგი სააკაძის ნათესავს, თბილისის მიტროპოლიტს იოსებ სააკაძე-თბილელს პოემაში „დიდ-მოურავიანი" (1681):

რაღას ვაგრძელებ, წავედით, მე ცოლ-შვილითა ვიარე:
გზა წარველეთ საგურამოსი და არე მათი ვიარე.
ლილოს პირს ჩაველ, ლოჭინის ხევებში დაუტიარე,
ყურყუთას ფონი მზად დაგვხვდა, ჩვენთვის არ
დასანთქმიანე!

თბილელის მონათხრობს იმეორებს ბერი ეგნატაშვილიც. შეიძლება მემატიანე ამ ამბის წერისას აღნიშნულ პოემას იყენებდა წყაროდ, ანდა იქნებ ხელთ სხვა საბუთი ჰქონდა: „და ეს მოურავი იყო კაცი მცდელი და ილათიანი, და ურჩია ნუგზარს გაყოლა თვისთა თანა მრავლითა რჩევითა, საქმისა ჩუენებითა. და დაუჯერა ნუგზარ ერისთავმანცა და დაასკუნეს წარსვლა ყაენთანა, და მუნ მეფისა გამაგრება არა შეეძლოთ, და გაპყვა ნუგზარცა. და წარვიდენ მუნით და განვიდენ ლილოსა, და მუნით გაპვიდეს ყურყუთას მტკუარს ფონად, და განვიდენ აღჯაყალასა".

ადრეულ წყაროებში მოხსენიებული ყურყუთა ისე ჩანს, რომ იგი ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო და არა დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ადგილის საკუთარი სახელი კი შემდეგში დასახლებულმა პუნქტმა ბუნებრივად მიიღო და შეისისხლხორცა.

როსტომ მეფის გარდაცვალების (1658) შემდეგ ირანის შაჰი აბას II ქართლის ტახტს ვახტანგ V, შაჰნავაზად წოდებულს აძლევს. სარდალი პაპუნა ციციშვილის ხელით გამოგზავნილი შაჰის რაყამი — წერილობითი ბრძანება — და ხალათი ვახტანგ მეხუთემ სონღალუღში მიიღო, ე. ი. ვახტანგ V შაჰის რაყამსა და ხალათს სონღალუღში, ქალაქგარეთ იღებს. ეს წესი მომდევნო ხანშიც გრძელდებოდა.

ჟან შარდენს, რომელმაც ჩვენში 1672 წელს იმოგზაურა, აღნიშნული წესისათვის ყურადღება მიუქცევია: „ქალაქი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის გაწეული, სამხრეთის მხრივ აქვს დიდი ციხე, რომელიც მთის კალთაზე დგას. ციხეში მხოლოდ სპარსელები ცხოვრობენ და მეციხოვნედაც მხოლოდ სპარსელები არიან... საქართველოს მეფემ ეს ციხე გზად უნდა გაიაროს, როდესაც ჩვეულებისამებრ ქალაქგარეთ მიდის სპარსეთის შაჰისაგან გამოგზავნილი წერილების ან საჩუქრების მისაღებად. რადგან სპარსეთიდან მომსვლელს ტფილისში მხოლოდ ამ ci-

ხით შეუძლია შემოსვლა. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, მეფე არასოდეს გაივლის ხოლმე აქ ისე, რომ შიში არ ჰქონდეს: ვაი თუ შემიპყრონო. იქნებ ციხის თავს საიდუმლო ბრძანება ჰქონდეს ჩემი შეპყრობისაო. სპარსელებს ძალიან ჭკვიანურად დაუწესებიათ, რომ საქართველოს მეფეები და სპარსეთის მაზრის მმართველები ქალაქგარეთ უნდა გავიდნენ იმის მისაღებად, რასაც შაჰი უგზავნის, ეს ძალიან მოხერხებული ღონეა, რომ ადვილად და უხიფათოდ შეიპყრონ საეჭვო კაცები". მოგზაური არ ასახელებს შეხვედრის ზუსტ ადგილს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს იყო ყურყუთა — სონღალული.

ჟან შარდენი სწორი უნდა იყოს, როცა ჩვენში ამ წესის შემოღებას ირანთან აკავშირებს, მაგრამ არაა სწორი, როცა ამბობს, თითქოს ქართველი მეფის ქალაქგარეთ გაყვანა იმიტომ იყო საჭირო, საჭიროების შემთხვევაში დაეპატიმრებინათო. რამდენადაც ვიცით, არც ერთ ქართველ მეფეს თავისი გვირგვინი თბილისის მიდამოებში გატყუების გზით არ დაუკარგავს. ირანის მბრძანებლები ამ ხერხს ჯერ ერთი იმიტომ მოერიდებოდნენ, ამ აქტით გამოწვეული რეაქციისა შეეშინდებოდათ, მეორეც, მათ არ უჭირდათ, თავის კარზე მოწვეულ მეფეს იქვე გასწორებოდნენ. და თუ მართლაც არსებობდა ასეთი წესი, იგი მხოლოდ შაჰისადმი ქართველი მეფის ვასალური დამოკიდებულების გამოსახატავად იქნებოდა შემოღებული.

როგორც ეტყობა, ქართლის მეფეს, რომლის ხელდასმა-გამეფება შაჰის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, უფლება არ ჰქონდა, ირანის მბრძანებლის მიერ გამოგზავნილი რაყამი და ხალათი თავის სასახლეში, სამეფო ტახტზე მჯდომს მიეღო. შემდეგ ეს ცერემონიალი ტრადიციულად ქცეულა და ქართლის მეფე მაღალი თანამდებობის პირს, პატივისცემის ნიშნად, ქალაქგარეთ ხვდებოდა. (შეხვედრის ადგილი დამოკიდებული იყო იმაზე, რომელი მხრიდან მოდიოდა სტუმარი. მაგ. ანანურიდან წამოსულ ერეკლე II დიდუბეში ხვდებიან ქართველი დიდებულები; შაჰნავაზიც თავის შვილს, არჩილს, რომელიც სპარსეთს იყო და შაჰისაგან კახეთის ტახტი მიიღო, სონღალულში შეხვდა.).

მეფე ვახტანგ V ექვსი ვაჟიშვილი — არჩილი, გიორგი, ლუარსაბი, ალექსანდრე, ლევანი, სულეიმანი და ორი ასული — ანუკა და თამარი ჰყავდა.

შაჰნავაზის უფროსი ვაჟი არჩილი იმერეთში ხანმოკლე მეფობის შემდეგ, შაჰის დახმარებით, კახეთის ტახტს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ I ასტრაბადში გარდაიცვალა

ძველი თბილისის ერთ-ერთი შესახვევი

1662 წელს. ამის შემდეგ კახეთის ტახტი ეკუთვნოდა მის შვილიშვილს, დავითის ძეს, ერეკლე I, მაგრამ ერეკლე I სასახლისა და დიდებულების ინტრიგის მსხვერპლი გახდა და იძულებული შეიქნა, სამშობლოდან გადახვეწილს რუსეთში ეძია თავშესაფარი.

ამრიგად, კახეთის სამეფოს ტახტი ხელთ იგდო ქართლის მეფის, ვახტანგ V ძემ არჩილმა. ეს მოხდა 1663 წელს.

XVIII საუკუნის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართლის სამეფო ტახტზე ერთმანეთს სცვლიან დავითის ძე ერეკლე I ნაზარალიხანი (1703), ვახტანგ V ძე გიორგი XI (1703—1709), მისი ძმა ლევანი, ლევანის ძე ქაიხოსრო (1709—1711), ლევანის ძე ვახტანგ VI (1703—1716) ჯანიშინი, ლევანის ძე იასე (1714—1716), ვახტანგ VI (1716—1723), ამჯერად უკვე ქართლის მეფე. მისი მეფობის შუალედში, 1717—1719 წლებში, მეფობს ვახტანგ VI ძე ბაქარი. კახეთში ამ მხრივ შედარებით უფრო მყარი მდგომარეობაა. იქ 1703—1722 წლებში მეფობს მეფე ერეკლე I ძე, დავით II (იმამ-ყული-ხანი).

მეფეთა ასეთი ხშირი ცვლა მათ ნება-სურვილზე როდი იყო დამოკიდებული. ქართლის თუ კახეთის სამეფო ტახტზე ამა თუ იმ მეფის ყოფნა-არყოფნა ირანის შაჰის ნება-სურვილზე და მის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, ამას ემატებოდა შინაგან ძალთა — თავად-აზნაურთა განწყობაც.

უკვე კარგა ხანი იყო გასული, რაც ოტომანთა იმპერიის სიძლიერე წარსულს ჩაბარებოდა. იგი თანდათან კარგავდა იმპერიის დასავლეთ პროვინციებს. ირანიც ვერა და ვერ გაიმართა წელში. შინაგანი შუღლი და შფოთი ხელს უბორკავდა, საგარეო პოლიტიკაში უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღო.

ირანისა თუ თურქეთის დასუსტებით, ბუნებრივია, ისარგებლა რუსეთის სამეფომ, რომელმაც XVIII საუკუნეში დაიწყო თავისი სანუკვარი ოცნების განხორციელება — კერძოდ, მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებით მახვილი ჩაეცა ინგლისისა და საფრანგეთისათვის. რუსეთი ირანში თავისი სავაჭრო კაპიტალის შეტანით აპირებდა ინდოეთის ბაზრის დაპყრობასაც. ამას ემსახურებოდა ვოლგა-ასტრახანის სა-

ვაჭრო გზის გახსნა. ამ გზის საშუალებით რუსეთი ცდილობდა, დაეპყრო დასავლეთ კასპიისპირეთი და თავისი მიზნების მისაღწევად არც დიპლომატურ ხერხებს ერიდებოდა და არც სამხედრო ძალის გამოყენებას.

ირანში თავისი პოლიტიკის გასატარებლად პეტრე I ყველაზე რეალურ პარტნიორად მართლმადიდებლური საქართველო მიაჩნდა. რუსეთის ხელმწიფე მახლობელ აღმოსავლეთში ლაშქრობის საბაბად იყენებს ირანში რუსი ვაჭრების ინტერესებისა და ირანის შაჰის შერყეული ტახტის დაცვას.

რუსეთი ჯარს ჩრდილოეთ კასპიისპირეთში — ასტრახანში უყრის თავს. ამავე დროს დიპლომატიური მისიით ქართლში ჩამოდიან რუსი დიპლომატები, რათა მეფე ვახტანგ VI განზრახულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე დაითანხმონ.

ქართლის მეფეს თავისი ინტერესებიც გააჩნდა, საშუალება ეძლეოდა, რუსეთის მხარდაჭერით საბოლოოდ განთავისუფლებულიყო ირანის ქვეშევრდომობისაგან.

და აი, ვახტანგ მეფე 30.000-იანი ჯარით განჯისაკენ დაიძრა, სადაც რუსთა ლაშქარს უნდა შეხვედროდა, მაგრამ რუსეთის ამ ლაშქრობამ ამჯერად სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. პეტრე I დატოვა ლაშქარი და საჩქაროდ სანკტ-პეტერბურგს გაემგზავრა, ლაშქრობა კი რამდენიმე ხნის შემდეგ დამთავრდა. რუსეთმა კასპიისპირეთში თავისი მიზნების განხორციელება სხვა, უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადასდო, ქართლ-კახეთის სამეფოები კი ისევ ირანს დარჩა.

ირანის პირისპირ დარჩენილ მეფე ვახტანგ VI, ბუნებრივია, შაჰი „ღალატს" ვერ მიუტევებდა. თანაც მეფეს მისი ძმის, იასეს მომხრე ქართლის თავადაზნაურობა აეშალა. ასეთი ხელსაყრელი მომენტი არ გაუშვა კახეთის მეფე კონსტანტინე I (მაჰმად-ყული ხანმა), ქართლში შემოიჭრა და ლეკთა დამრბევი ლაშქრის დახმარებით 1723 წელს თბილისი აიღო. მისი ნებართვით ლეკები სამი დღის განმავლობაში ძარცვავდნენ ქალაქს.

ამავე წელს თურქებმა დაარღვიეს ირანთან 1639 წელს დადებული ხელშეკრულება, ქართლში შემოიჭრნენ და მეფე კონსტანტინემაც თურქეთის მაღალი თანამდებობის პირს — სარასკარს ქალაქის კლიტენი გადასცა სონღალულში.

1752 წელს ქართველ მეფეებს — თეიმურაზ II და ერეკლე II შირვანისა და შაქის მპყრობელის აჯი-ჩალაბის თაოსნობით განუდგნენ ყმადნაფიცი ხანები და ულტიმატუმი წამოუყენეს, ხელი აეღოთ თავიანთ ყმადნაფიც მაჰმადიანურ სახანოებზე და მხოლოდ ქართლით დაკმაყოფილებულიყვნენ. მეფეებმა ზავი შესთავაზეს, მაგრამ მათ უარი თქვეს. მაშინ ქართველმა მეფეებმა ქართლ-კახეთისა და ჩერქეზთა დაქირავებული ჯარი ყაზახს შეუსიეს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა განჯასთან, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

გამარჯვებული მეფეები ყაზახიდან „საქონლით სავსენი მობრძანდნენ სონღალუღში, დადგნენ იქ და იქიდან განაწყვეს საქმენი ყაზახ-ბორჩალოსნი".

თბილისის მიდამოებში არსებული ბევრი სოფელი მტრის შემოსევის შემდეგ სამუდამჟამოდ გაქრა. სონღალუღი ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია. ამას იგი თავის ადგილმდებარეობას უნდა უმადლოდეს (დედაქალაქთან სიახლოვე და აქ გამავალი საქარავნო გზა).

1781 წელს თბილისის მიდამოების სოფლების აღწერის დავთრების მიხედვით სონღალუღში სახლობენ ქართველები, სომხები და მაჰმადიანები.

სონღალუღში მამულების ნაწილი მეფესა და ბატონიშვილებს ეკუთვნოდათ, ნაწილი — თავად ამილახვრებს. სოფელი ქალაქის ბაზარს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ამარაგებდა.

ფეოდალურ საქართველოში სოფლები სხვადასხვა გადასახადებით იბეგრებოდნენ. ამასთან დაკავშირებით ადგენდნენ სოფლების ბეგრის სიებს. XVIII საუკუნის დასასრულს, 1796 წ., ქალაქისპირა სოფლების ბეგრის გამოსაღებ სიაში სოფელ სონღალუღს სამი ურემი შეშის დამზადება ევალებოდა.

ძველად თბილისის შემოგარენი ტყით იყო დაფარული. აქ აფარებდა თავს მოსახლეობა მტრის შემოსევის დროს. ამიტომ მტერი შეძლებისდაგვარად ჩეხდა და კაფავდა ჩვენს ტყეებს. მომხდურის გარდა, მწვანე საფარს ადგილობრივი მოსახლეობაც ჩეხდა საშენ და საწვავ მასალად. ყველაზე მეტად ქალაქის გარშემო არსებულ ტყეს მენახშირეები სპობდნენ და ანადგურებდნენ,

ქალაქის ბაზარზე გასაყიდად ყოველდღიურად რამდენიმე ასეული საპალნე ხის ნახშირი შემოდიოდა. ნახშირს ხმარობდნენ როგორც ბინების გასათბობად, ისე ქალაქის აურაცხელ დუქნებში კერძების დასამზადებლად.

სონღალუღის ჭალა ქართველი მეფისა და მისი ოჯახის წევრთა კუთვნილება იყო. იგი მდიდარი იყო სხვადასხვა გარეული ფრინველით. აკი ადგილსაც თავისი სახელი ფრინველის, სონღულის გამო დაერქვა.

სონღალუღის ჭალას სამხრეთიდან სარვანის ჭალა ემიჯნებოდა. განჯის გზით წამოსული აქლემთა ქარავანი თბილისში შესვლამდე ღამის სათევად სონღალუღის ახლოს ჩერდებოდა. ამიტომაც დაერქვა ამ ადგილს სარვანისი .ეს აღმოსავლური სიტყვაა და აქლემთა სადგომს ნიშნავს.

სონღალუღზე გადიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თბილისისაკენ მომავალი საქარავნო გზა, „განჯის გზად" წოდებული. ამ გზას ასე იმიტომ ერქვა, რომ აღმოსავლეთიდან წამოსული საქალაქთაშორისო სავაჭრო გზას თბილისამდე აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი, განჯა (დღევანდელი კიროვაბადი) უნდა გამოევლო. თბილისის სამხრეთ ზღუდეში დატანებული ერთ-ერთი კარიც ხომ ამიტომ ატარებდა განჯის სახელს.

სომხეთის ახტალაში გზად მიმავალი გიულდენშტედტი მოგვითხრობს, რომ სოფელ ნავთლუღის „პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დგას სოფელი სონღალუღი, გამაგრებული ასევე კოშკით".

სონღალუღის მიწისზედა ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა შორის ძველ საბუთებში, სპეციალურ ისტორიულ ლიტერატურაში თუ XIX საუკუნეში შედგენილ რუკებზე გვხვდება ციხე-გალავანი, ეკლესია და დიდი და პატარა სარწყავი არხები.

სონღალუღის ციხე-გალავანს, რომლის მშენებლობაც ერეკლე II თაოსნობითა და ქართლის დიდებულის, ამილახორის ფინანსური დახმარებით 1765 წელს დაიწყო, მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ციხე-გალავნებს უფრო თავდაცვითი, სოფლის მოსახლეობის გასახიზნი მნიშვნელობით აგებდნენ. მათი რიცხვი ქართლ-კახეთში დიდად გაიზარდა XVIII საუკუნის

მეორე ნახევარში, როცა იმატა ლეკთა მოთარეშე რაზმების მოულოდნელმა თავდასხმებმა.

სონღალუღის ციხე-გალავანი მტკვრის ნაპირთან, „განჯის გზის“ სიახლოვეს იდგა. იგი, როგორც ამ დროის სხვა ციხე-გალავნები, ოთხკუთხა იყო, უფრო წაგრძელებული. თითოეულ კუთხეში ბურჯი ჰქონდა დატანებული. ციხე-გალავანს ფართო კარი ჰქონდა მოსახლეობის სწრაფად შესახიზნავად.

სონღალუღის ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი XIX საუკუნეში დანგრეულა.

სონღალუღის ველ-მინდვრებს, მის ბაღებსა და ბაღჩებს რწყავდა მდინარე მტკვრიდან გაყვანილი ორი არხი: დიდი და პატარა. ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროებით და ისტორიული ლიტერატურით მტკიცდება, რომ ყურყუთა-სონღალუღი თბილისის შემოგარენში, მის სამხრეთით, როგორც სოფელი, უნდა გაჩენილიყო არა უადრეს XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისში. ის იყო, როგორც საბატონო, ისე სამამულო სოფელი.

ავლაბარი



ავლაბარი მდებარეობდა ძველი თბილისის აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ავლაბარს ქალაქის შემოგარენში მდებარე სოფელთა, თუ უბანთა შორის, თავისი ისტორიით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მკვლევართა უმრავლესობა ავლაბარს აიგივებს ისან-მეტეხთან, რაც სწორი არ უნდა იყოს.

ისან-მეტეხი იმ უბანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის შესახებაც ქართულ, თუ უცხო ენაზე შექმნილ სპეციალურ ლიტერატურაში ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. ზოგი ავტორი თავის ნაშრომში გაკვრით იხსენიებს აღნიშნულ უბანს, ზოგი — შეძლებისდაგვარად ამომწურავად. მათი ყურადღება ძირითადად მიპყრობილი იყო ამ უბნის სახელის სადაურობის ახსნისაკენ. შუა საუკუნეების მაჰმადიანი ავტორების გადმოცემით (იბნ ხურდაზბეჰი, იბნ ალ-ფაკიჰი, ტაბარი, იაკუთი), ისნამდე ადგილს სოღდებილი ერქვა. სახელწოდების გაჩენას მიაწერენ სპარსეთის მეფე ხოსრო I ანუშირვანის (531—578), რომელსაც გადმოცემით, აქ ჩამოუსახლებია სპარსული მოდგმის სოღდის ტომი. ამ ტერიტორიასაც ამიტომ დაერქვაო სოღდებილი. ეს გადმოცემა რამდენად შეეფარდება სინამდვილეს, ცნობილი არაა, ერთი კი ცხადია: სოღდებილის პირველი გამმაგრებლები სპარსელები იყვნენ.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომ „სოღდებილი“ ნაწარმოე-

ბია სიტყვა „საგოდებელიდან“, სასაფლაოდან, რომელიც IX საუკუნეში აქ ყოფილა. იოანე საბანის ძის ნაწარმოებიდან — „მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“ — ვგებულობთ, რომ მაჰმადიან აბოს წამების წინ თურმე ქალაქი შემოატარეს და შემდეგ მოიყვანეს „კარსა მას მსაჯულისა მის ამირისასა“. აქ იმართება დიალოგი მსაჯულსა და აბოს შორის. აბო ქრისტეს რჯულს არ სტოვებს, ამიტომ ამირას ბრძანებით მას თავს კვეთენ; შემდეგ აბოს ცხედარს ურემზე ასვენებენ და მიაქვთ „გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ... რომელ არს აღმოსავალით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰქვიან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდᲗ, კლდᲗ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“. ეს მომხდარა 785 წელს. მაშასადამე, აბო თბილელის ცხედარი გაუტანიათ მტკვრის გაღმა, ქალაქის გარეთ, ქალაქის სასაფლაოზე, რომელსაც „საგოდებელი “ეწოდებოდა და რომელიც ქალაქის საპყრობილეს — სადილეგოს აღმოსავლეთით იყო. ქალაქი კი მდინარის დასავლეთით, მარჯვენა ნაპირზე იყო გაშენებული.

VIII საუკუნიდან თბილისში ზის ამირა, რომელიც ერთდროულად უმაღლესი მსაჯული, ჯარების უფროსი და ქვეყნის მმართველია. ქართლის ერისთავი კი ამირას ემორჩილება.

დაპყრობილი ქვეყნებიდან აკრეფილი ხარჯი შედიოდა ხალიფას სალაროში, მაგრამ არაბთა ახალ-ახალ დაპყრობებს და სახალიფოს ტერიტორიის ზრდას თან სდევდა თვით ხალიფას ხელისუფლების დასუსტება. თითოეული დაპყრობილი ქვეყნის არაბი გამგებელი დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა, აკრეფილ ხარკს ხალიფას ან სულ არ უგზავნიდა, ანდა უმცირებდა, რასაც თავისთავად დამსჯელი ექსპედიციები მოსდევდა. ასე მოიქცა IX საუკუნეში ქართლის ამირა საჰაკ (ისაკი) ისმაილის ძე, რომელმაც ხალიფას ხარჯის ძლევა სულ შეუწყვიტა და ფაქტიურად აღარც ემორჩილებოდა. ხალიფამაც არ დააყოვნა და 853 წელს თბილისს აღმოსავლეთიდან მოადგა დამსჯელი ექსპედიცია ბუღათურქის მეთაურობით. ლაშქრობის მიზანი იყო გაურჩებული ქართლის ამირას, ისაკის მოთვინიერება და დასჯა. არაბ ისტორი-

კოსებთან ამ ამბავთან დაკავშირებით ნახსენებია მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებული „სოღდებილის მედინა“, ე. ი. გამაგრებული ციხე „სოღდებილის“ სახელწოდებით. თბილისში ბუღათურქის ეს ლაშქრობა საყოველთაოდაა ცნობილი. მან დაანგრია თბილისი, შემუსრა მისი ციხე-კოშკები და ამირაც სიკვდილით დასაჯა. „სოღდებილის მედინა“ ამ ლაშქრობამ იმსხვერპლა.

ამის შემდეგ მალე, იმავე IX საუკუნეში „სოღდებილის“ ციხის ადგილზე ვხვდებით ახალ სიმაგრეს ისნის სახელწოდებით, რომელიც სოღდებილთან შედარებით უფრო მაგარი ნაგებობაა და თან თხრილითაცაა გამაგრებული.ამ დროს იგი უკვე ქალაქის ნაწილი უნდა იყოს. აღნიშნული თხრილის შესახებ, არაბი ისტორიკოსების გარდა, არსად არაფერია ნათქვამი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმას“, სადაც მას ავლაბრის სამხრეთით აღნიშნული აქვს თხრილი. რუს კარტოგრაფებსაც თბილისის 1800 და 1802 წლების გეგმებზე დატანილი აქვთ წარწერა „ყოფილი ძველი არხი“.

როგორც უკვე ვთქვით, თბილისის კართა სახელებს პირველად გვაწვდის არაბი ისტორიკოსი ტაბარი. შ. მესხია მის მიერ ჩამოთვლილ ხუთ კარს შემდეგნაირად მიუჩენს ადგილს: „მოედნის კარი“ ციხის მოედანს (თათრის მოედანს) აკავშირებდა ძველ თბილისთან, „კარის კარი“ სამხრეთ კედელში იყო დატანებული, „რაბადის“ ანუ „ციხის კარი“ ციხეს აკავშირებდა ქალაქთან — რაბადთან, „სოღდებილის კარი“ კი სოღდებილს (შემდეგდროინდელ ავლაბარს) ძველ თბილისთან.

X საუკუნეში ქალაქი უკვე მტკვრის ორივე ნაპირზეა გაშენებული. ალ-მუკადასი (985 წ.) ქალაქის აღწერისას ამბობს: „თბილისი გორებს შორის არის გამაგრებული. მას მდინარე მტკვარი გადაკვეთს. იგი გადაჭიმულია ორივე ნაპირზე და ხიდითაა შეერთებული“.

„ისანი“ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში პირველად XI საუკუნეში გვხვდება. 1045 წელს, როცა ქალაქის ბერების მოწვევით თბილისში ბაგრატ IV შემოვიდა, დაიპყრო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქის დამცველი ციხე-კოშკები და შიგ თავისი მხედრიონი ჩააყენა, „ისნის “ციხე მას არ დანებდა. მემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ჯიდი და

არა მისცეს ისნი". მიუხედავად ამისა, მეფე მტკვარზე გადავიდა და დადგა „ისნის ველსა". ისნელებმა მაშინ მეფეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

შემდგომ ხანაში „ისანში" უკვე საქართველოს მეფეთა სასახლე დგას. სწორედ აქ გაიგო თამარ მეფემ მამის, გიორგი III გარდაცვალების ამბავი: „ესერა ესევითარი საგოდი ...ესმა ...თამარს ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს". მანამდე ქართულ წერილობით წყაროებში ასე მინიშნებით და კონკრეტულად, რომ „ისანი" ქალაქ თბილისშია, არსად არა გვხვდება.

ქართველ მემატიანესთან „ისანს" კიდევ რამდენჯერმე ვხვდებით. „ყამთაალმწერელი" გადმოგვცემს, რომ მეფე დიმიტრი თავდადებულს ისანში მეტეხის ღვთისმშობლის სახელზე აუგია ეკლესია: „მეფემან დაიწყო სიბასა წარსვლად, და აღაშენნა ქუეყანანი მოოხრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზუარნი". ეს მომხდარა XIII საუკუნის 80-იან წლებში, ყაენის კარზე წასვლის წინ. ამიერიდან „ისანს" უჩნდება მეორე სახელი „მეტეხი", რომელიც სულ მალე ადგილის საკუთარ სახელად იქცა. მომდევნო ხანაში „ისნის ციხის" მაგივრადაც წერილობით წყაროებში უკვე „მეტეხის ციხე" იხსენიება.

მაშასადამე, VIII საუკუნეში მტკვრის მარცხენა ნაპირზე ყოფილა ქალაქის საპყრობილე — სადილეგო. IX საუკუნეში იგი ქალაქის ამირას მიერ გადაკეთდა „სოღდებილის მედინად" ანუ ციხედ, რომელიც გარნიზონის სადგომის — ამსარის როლს ასრულებდა. ამავე საუკუნეში „სოღდებილის მედინა" ხელმეორედ გადაკეთდა, აშენდა ქვითკირით, შემოავლეს თხრილი და სახელად „ისანი" — არაბულად ციხე — უწოდეს. ბოლოს კი, ისანში „მეტეხის" ღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესიის აგების შემდეგ, ამ ადგილმა ბოლო დრომდე მეტეხის სახელი დაიმკვიდრა.

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის ამ ნაწილს მაინც „ისნად" მოიხსენიებს: „ისნს არს, კიდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა..." ვახუშტი ბაგრატიონი საიმდროისო ქალაქ თბილისის შემადგენელ უბანთა ძველ

სახელებს ახალ სახელებს უსადაგებს და წერს: „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ თბილისს და განყოფით: კალას — ტფილისსა, ტფილისს — სეიდაბადს და ისნს — ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისისა", ე. ი. „ისანი" ავლაბარია, რაც სწორი არ უნდა იყოს. ასეთი აზრის გამოთქმის უფლებას გვაძლევს თვით ავლაბრის ეტიმოლოგია და XVII—XVIII საუკუნეების თბილისის გრაფიკული გამოსახულებანი.

ძველი თბილისის პირველი გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, არის მოგზაურისა და მისიონერის ჟან შარდენის (1671 წ.) ნახატი.

აღნიშნულ ნახატზე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ ქალაქს გალავანი აკრავს, მარცხენა ნაპირზე კი გალავანი მხოლოდ მეტეხის ეკლესიას და მის მიმდებარე მცირე ტერიტორიას აქვს.

ნახატზე მეტეხის გალავანში ეკლესიის გარდა რამდენიმე ნაგებობა დგას. გალავანს ჩრდილო-დასავლეთით კარი აქვს დატანებული. ამ მხარეს გალავნის კედელი გრძელდება და მტკვრამდე აღწევს. აღნიშნულ (გაგრძელებულ) კედელში კარია გაჭრილი, რომლიდანაც იწყებოდა „ავჭალის გზა".

მოგზაურს მიზნად ჰქონია მხოლოდ გალავანშემოვლებული ქალაქის ჩახატვა. ხოლო ის, რაც აღნიშნული ზღუდის იქით იყო, მას ნაკლებად აინტერესებდა, თუმცა გალავნის გარეთ რამდენიმე ნაგებობაც დაუტანია.

ტურნეფორის მიერ შესრულებული (1701 წ.) თბილისის გრაფიკულ გამოსახულებაზეც მხოლოდ გალავანშემოვლებული ქალაქია წარმოდგენილი. ჟან შარდენისეული ნახატისაგან განსხვავებით, აქ ქალაქის გალავნის იქითა ტერიტორია მტკვრის ორივე ნაპირზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული. თუმცაღა ქალაქის გარეუბნების მთლიან სურათს არც ეს ნახატი იძლევა.

ვახუშტი ბატონიშვილს „თბილისის 1735 წლის გეგმაზე" დატანილი აქვს როგორც გალავანმოვლებული ქალაქი, ასევე მისი მომიჯნავე გარეუბნებიც. აქ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ციხის გალავანში დგას მეტეხის ეკლესია. ჩრდილოეთის მხრიდან საერთო ტერიტორიისაგან გამოყოფილია ზღუდის-ზღუდით. ციხის მიმდებარე ტერიტორია კი—„ავლაბარი, ისანი"—შემოუზღუდა-

ვია. ავლაბრის ტერიტორიაზე დატანილია საცხოვრისის აღმნიშვნელი უჯრედები და სამხრეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან თხრილითაა შემოფარგლული.

პიშჩევიჩის მიერ ფრანგულ ენაზე შედგენილ „თბილისის 1785 წლის გეგმაზე" მეტეხი და ავლაბარი ცალკ-ცალკეა შემოზღუდული. მეტეხის გალავანს აღმოსავლეთიდან კარი აქვს დატანებული, საიდანაც ავლაბარში შეიძლება მოხვედრა. ავლაბარს კი

თბილისი 1701 წელს. ტურნეფორის გრავიურა

ცალკე აქვს ზღუდე, რომელიც მტკვრიდან იწყება. კედელში ორი კარია: ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. გეგმის მიხედვით, ავლაბარში ქუჩებია, რომელთა საშუალებით მთელი ეს ტერიტორია კვარტალებად იყოფა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ავლაბრის ტერიტორია გალავანშემოვლებულია. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის დარეჯან დედოფალი 1800 წელს შედგენილ სადედოფლო შემოსავლის ნუსხაში. დედოფალი სხვა ამბებთან ერთად წერს, რომ ოცდაექვსი წლის წინ, ე. ი. დაახლოებით XVIII საუკუნის 70-იან წლებში მისი ბრძანებით ავლაბრისათვის გალავანი შემოუვლიათ.

პირველი წერილობითი საბუთი, სადაც ავლაბარს ვხვდებით, არის 1392 წელს შედგენილი სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელი. „ტფილისს ქალაქს: ეკლესია სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარნი, ქულბაქნი და ბაქნი, თვისითა შესავლითა.

ავლაბარს: მონასტერი მეტეხის ყოვლად წმინდისა, მისითა მამულითა, ავლაბარითა და ავლაბრის ჭალითა".

„ტფილისს ქალაქი" ცალკეა, „ავლაბარი" კი მისგან დამოუკიდებელი პუნქტია.

ვახუშტი ძველი ქალაქის შემადგენელ ნაწილთა დასახელებისას ამბობს, რომ „ისანს" მის დროს „ავლაბარს" უწოდებენ. არაფერს ამბობს, თუ როდის უნდა გაჩენილიყო „ისნის" სინონიმად „ავლაბარი". შ. მესხია სავარაუდოდ ამ ამბავს XIV საუკუნეს მიაწერს.

აქვე ერთხელ კიდევ გვინდა გავიხსენოთ, რომ მეტეხის ეკლესია ისანში აშენდა. ისანი ქალაქის ნაწილია, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ისანი ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დევს X საუკუნიდან მაინც. ამიტომ ხომ არ უნდა იყოს, რომ XVI საუკუნის სიგელ-გუჯრებში მეტეხი ყოველთვის ქალაქთან გვხვდება: „ტფილის ქალაქს მეტეხთა მონასტერი" (1532—1549), „ქალაქს მეტეხი" (1559). არის შემთხვევები, როცა მეტეხის ეკლესია ავლაბართან ერთად გვხვდება. 1595 წელს შედგენილ ერთ საბუთში მეტეხი ქალაქთან და ავლაბართან ერთად იხსენიება: „ესე ძღუენი და შესაწირავი: ტფილის ქალაქს: ავლაბარს: მეტეხთა: ღთისა: მშობლისა".

სავარაუდებელია, რომ საბუთებში მეტეხის ქალაქთან და ავლაბართან ერთად მოხსენიება გაპირობებული იყო იმით, რომ მრავალგზისი შემმუსვრელი შემოსევების შედეგად, ქალაქის აღმოსავლეთი მხარის დამცველ ციხეს ზღუდე მორღვეული აქვს და მეტეხმა, ძველმა ისანმა, როგორც ციხემ, თავისი ფუნქციები დაკარგა. აქ მხოლოდ მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიაღა იდგა.

XVII საუკუნეში როსტომ მეფემ „მოაკლო მეტეხს ზღუდე და ქმნა, ვითარცა ციხე მტკიცე ხიდითურთ". მაგრამ მას ახალი ციხე კი არ აუგია, ძველი, მოშლილი მეტეხის (ისნის) ციხე აღადგინა .

მეტეხის ეკლესიის ავლაბართან ერთად მოხსენიება იმაზე უნ-

და მეტყველებდეს, რომ საბუთის შემდგენელი ავლაბარს იყენებს ადგილის მინიშნების, დაკონკრეტების მიზნით, ორიენტირად — მეტეხი ქალაქში დგასო ავლაბრის მხარეს.

1392 წლის საბუთის მიხედვით, ავლაბარს თავისი მამული და ჭალა ჰქონდა. ნ. ბერძენიშვილი „ჭალასთან" დაკავშირებით ამბობს, რომ „ჭალა" ძველ საქართველოში დასახლებულ პუნქტს (დაბა, ქალაქს) ახლდა, როგორც ნაწილი და მაშასადამე, ამით (ჭალით) კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ავლაბარი დამოუკიდებელი დასახლებული პუნქტია, რაც არ შეიძლება ითქვას „ისანზე", ანდა „მეტეხზე".

სიტყვა ავლაბრის განმარტებისას მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

თეიმურაზ ბაგრატიონი ავლაბარს ასე ხსნის: „ეს სახელი ავლაბარი ქართული, რთული სახელი არის. ესე იგი, ავლა ნიშნავს ძირის ადგილიდან მაღლა ასვლას, ბარი ნიშნავს მდაბალს, ვაკეს და ტფილ ადგილს. ესე იგი, მთა და ბარი. მთა მაღალი და გრილი: და ბარი მდაბალი, ვაკე და თბილი ადგილი". ეს, რასაკვირველია, ამ სიტყვის მეტად გულუბრყვილო ახსნაა.

ს. ჯანაშია ავლაბარს ასე ხსნის: „ავლაბარი, ისე როგორც ისანი, არაბული წარმოშობის ძველი სახელწოდებაა: ისანი „ციხეს "ნიშნავს, ხოლო ავლაბარი „სასახლის მიდამოს".

შ. მესხია ავლაბარზე საუბრისას ამბობს: „ავლაბარი" სასახლის მიდამოს ნიშნავსო".

როგორც ვნახეთ, ზემოთ დამოწმებული მკვლევარნი ავლაბარში ორ სიტყვას ხედავენ — „სასახლე" და „მიდამო", ე. ი. კომპოზიტია — ჰავალი და ბორი. იგი სპარსულ-არაბული წარმოშობისაა. ჰავალი — არაბულად და სპარსულადაც მიდამოს ნიშნავს, ბორ — სასახლეს. ისნის ციხეში მდგარა ქართველ მეფეთა სასახლე. ამიტომ ადვილად დასაშვებია, რომ ადგილს ამის გამო „ავლაბარი" შერქმეოდა. რადგან სასახლე ციხის ტერიტორიაზე იდგა, ავლაბარი უნდა შერქმეოდა პირველ რიგში ციხის გალავნის შიგნითა ტერიტორიას — ისანს, მეტეხს. გვიანი ხანის თბილისის გრაფიკულ გამოსახულებებზე (ჟან შარდენი, ტურნეფორი, ვახუშტი) მეტეხი, ძველი ისანი, შემოზღუდულია, ავლაბარი კი — შემოუზღუდავი. არაა გამორიცხული, რომ სახელი

დარეჯანის სასახლე თბილისში. XVIII ს.

„სასახლის მიდამო“ ზღუდის იქითა ტერიტორიაზეც გავრცელებულიყო.

ავლაბარს სხვა ახსნაც აქვს. სიტყვა ბარე ნიშნავს—თხრილს, სანგარს, ზღუდეს, ღობეს, გალავანს, მიწაყრილს. ამრიგად, ვღებულობთ სულ სხვა შინაარსის სიტყვას — ზღუდის, გალავნის იქეთა მიდამო და არა სასახლის მიდამო. ჰავალიბარე რომ გადმოვაქართულოთ, მივიღებთ გარეთუბანს. გარეთუბანი კი ყოველთვის იმ ტერიტორიას ეწოდებოდა, რომელიც ქალაქის ზღუდის იქით მდებარეობდა.

XIV საუკუნის დასასრულიდან XVI საუკუნის მიწურულამდე წერილობით წყაროებში ავლაბარი აღარ გვხვდება.

თითქმის მთელი ორი საუკუნით ავლაბრის ჩვენი თვალთახედვის მიღმა დარჩენა შეიძლება საბუთების მოუღწევლობას და XV—XVI საუკუნეებში მტრის მრავალგზის გამანადგურებელ შემოსევებს მივაწეროთ. მართალია, 1405 წელს თემურ-ლენგის გარდაცვალებით დროებით შეჩერდა დამანგრეველი შემოსევები და ქვეყანამაც სული მოითქვა, აშენდა ბევრი დანგრეული ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტერი, მაგრამ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1440 წელს საქართველოს მაჰმადიანური ქვეყნების კოალიციური ლაშქარი შემოესია თავრიზის მფლობელის, ჯაჰან-შაჰის მეთაურობით. მტერმა აიღო თბილისი, მოსახლეობის ნაწილი ამოწყვიტა, ნაწილი ტყვედ წაასხა, თვით ქალაქი კი დაანგრია.

გამოხდა ხანი და აი, 1477 წელს თბილისს თავს ესხმის უზუნ-ჰასანი.

ქართლისა და მისი დედაქალაქის დარბევა-აწიოკება გაგრძელდა XVI საუკუნეშიც. 20-იან წლებში თბილისი აიღო ირანში სეფიანთა დინასტიის დამაარსებელმა შაჰ-ისმაილმა.

XVI საუკუნის 40—50-იან წლებში შაჰ-თამაზმა ოთხჯერ დალაშქრა თბილისი.

ყიზილბაშები თურქ-ოსმალებმა შეცვალეს. ამასთან ერთად არ წყდებოდა მთიელ-აბრაგთა გაუთავებელი მძარცველური შემოსევები.

ასეთია XV—XVI საუკუნეების თბილისის მოკლე ისტორიული ქრონიკა. ამ ფონზე ადვილი წარმოსადგენია თბილისის

მდგომარეობა. ყოველი დიდი შემმუსვრელი და დამანგრეველი შემოსევის შემდეგ საჭირო იყო ყველაფრის თავიდან დაწყება: დანგრეული უნდა აღედგინათ, ტყვედ წასხმულნი და ხიზნები უკან დაებრუნებინათ.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, თბილისი მაინც ყოველთვის ქალაქობდა. XVII საუკუნეში ავლაბარი ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან — ავლაბრის ხევი (ამჟამინდელი კიბალჩიჩისა), აღმოსავლეთიდან ლილოები, სამხრეთიდან — ღომელაური და დირსიჭალა, დასავლეთიდან — მდინარე მტკვარი და მეტეხი. ეს საკმაოდ დიდი ტერიტორია იყო.

XVII საუკუნიდან ავლაბრის ტერიტორიაზე იწყება დასახლება.

1654 წელს ვაჭარ ხოჯა ბეჰბუდას მეფე როსტომმა გარეავლაბარში, მახათას მთის ძირას, სასაფლაოსთან ეკლესიის ადგილი უბოძა. შემდეგში ეს ეკლესია ცნობილი გახდა ხოჯა-ვანქის სახელით. მასვე, ხოჯა ბეჰბუდას, მახათას ძირიდან თავისი ბაღვენახის სარწყავად არხი გამოუყვანია.

როსტომისავე მეფობაში გარდაიცვალა სოფელ წოდორეთის მეპატრონე ჯავახიშვილი და რადგანაც ჯავახიშვილს მემკვიდრე არ ჰყოლია, მისი სოფელი მეფეს სახასოდ დაუჭერია, სამეფოდ უქცევია, წოდორელი გლეხები კი ავლაბარში გადმოუსახლებია. ამ ამბავს თვით წოდორელი გლეხები ასე მოგვითხრობენ: „უძეოსა და უშვილოს ჯავახიშვილს ზაქარიას ყმანი ვიყავენით და წოდორეთს ვესახლენით. ის მოკვდა და თავის კერძობით უშვილოდ გარდავლინდა, და ჩვენ როსტომ მეფემ სახასოდ დაგვიჭირა, იქიდამ ავიყარენით და ავლაბარში დავსახლდით“.

როსტომ მეფის და მისი მემკვიდრის შაჰ-ნავაზის (ვახტანგ V) დროს შედარებით სიმშვიდე სუფევს აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი იზრდება, შესაბამისად მისი სანახებიც სახლდება და საქალაქო ცხოვრებაში ინტენსიურად მონაწილეობს.

ამრიგად, ავლაბარი სახასო, სამეფო მამულია. აქ სახლობენ, როგორც სამეფო, ისე დედოფლის, თავად-აზნაურთა, საკათალიკოსო თუ საეპისკოპოსო, თბილელის ყმა-გლეხნი. ქართველების გარდა ავლაბარში სახლობენ სომხები და მაჰმადიანები.

1769 წელს კათალიკოსი ანტონ I იესეს ძე ავლაბარში კვეზე-

რელ ოთარს და მის შვილებს სვეტიცხოვლის კუთვნილ მამულს უწყალობებს. XVIII საუკუნის ერთ-ერთ საპატრიარქო ყმათა ნუსხაში (სიაში) იხსენიება „ავლაბრელი სუქანას შვილი ესტატე“ და „ავლაბრელი კვეზერელი დავითა“.

თითოეულ მეპატრონეს ავლაბარში თავისი მოხელე ჰყავდა. საკათალიკოსო ყმა-გლეხთა მოურავი იყო სვეტიცხოველის სახლთუხუცესი მაღალაძე.

XVIII საუკუნის დასაწყისში კათალიკოს დიასამიძის მიერ თბილელ მიტროპოლიტ ორბელიშვილ დომენტისადმი გაცემულ დოკუმენტში ლაპარაკია თბილელის უფლებებზე: „...ვინც მოქალაქე ალობარში დასახლდეს, თბილელის მამათ მთავარს ხელი აღარა აქვს და ვინც ალობრელი ქალაქში დასახლდეს, იმისი დრამა[1] და საკანონო თბილელის მამათ მთავარმა მოიკითხოს“. ესე იგი, თბილელის უფლებები ავლაბრის სამწყსოზე, სამრევლოზე არ ვრცელდებოდა. ავლაბარი ქალაქისაგან დამოუკიდებელი პუნქტია.

1783 წელს მეფე ერეკლე II ბრძანებით ჩატარდა ქალაქის, ავლაბრის და გარეთუბნის აღწერა. აღწერით გამოირკვა, რომ ავლაბარში სახლობდა 355 კომლი. აქედან გარეთა ავლაბარში — 136 კომლი, ხოლო შიგნითა ავლაბარში — 219 კომლი. ამაში არ შედის მეტეხი ციხით.

ნუსხის გრაფიკული გამოსახვაა „თბილისის 1800 წლის გეგმა“. დოკუმენტზე დატანილია გალავანშემოვლებული მეტეხი, რომლისგანაც ზღუდის-ზღუდით გამოყოფილია (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან) ციხე (ციხე. ასევე გამოყოფილია ავლაბრისაგან). ციხის ჩრდილოეთ კედელს ებმის ავლაბრის გალავანი. შემოზღუდული შიგნითა ავლაბარი, ისევე როგორც მეტეხი, ლათინური ციფრითაა აღნიშნული, ხოლო გალავნის იქეთა, შემოუზღუდავი გარეთა ავლაბარი — XII-ით (გეგმაზე მას ავლაბრის უბანი ეწოდება).

---

[1] „დრამა, დრახმა, დრაქმა. — განმარტავს ქართველი ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვილი, — ძველებური წურილი ვერცხლის ფული, რომაულად დინარი... საქართველოში დრამად უხმობდნენ მღუდელთმთავრის მისართმევსა წლის დებულებასა მისი ეპარხიის გლეხთაგან, რომელნიცა კომლზედ გამოიღებდნენ პურსა თვითო კოდსა, ან მეტნაკლებსა ადგილ-ადგილ მიხედვითა“.

XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბატონიშვილის მიერ ჩატარებული ქართლ-კახეთის სოფლების აღწერის სიაში სწერია: „ქ. თბილისს, რომელნიც მიეწერებიან სოფელნი აღმოსავლეთის მხარეს.

ქ. ტფილისი თვთ ქალაქი.

ქ. ავლაბარი, შენი მოსახლენი".

აქაც, ამ ნუსხაშიც, ავლაბარი ქალაქისაგან დამოუკიდებელი პუნქტია.

ავლაბარი ქალაქის შემოგარენში მდებარე სოფლებისა და უბნებისაგან გამოირჩევა აქ არსებული სამეფო, თუ ადგილობრივი დანიშნულების მოხელეთა სიმრავლითა და ნაირსახეობით. ავლაბრის ამ მხრივ შესწავლა საშუალებას გვაძლევს, სრულად წარმოვიდგინოთ გვიანი შუა საუკუნეების ქალაქისპირა სოფელი. ავლაბარში ვხვდებით შემდეგ მოხელეებს: მოურავს, მამასახლისს, ხასადარს, მილახვარს, მებაჟეს, მეფალეს, მეკარეს, ყარაულს, ზედამხედველს, სარდარს და სხვ...

მეფის საკუთარი მამულის მეთვალყურედ XVII—XVIII საუკუნეებში საგანგებოდ შეუქმნიათ ხასადარის სახელო. რაკი ავლაბარი სამეფო მამულია, ამიტომ ხასადარი აქაც გვხვდება.

მეფე ფეოდალია, რომელიც დიდ მამულებს ფლობს და საჩუქრების, თუ ფეშქაშების სახით გასცემს ზვრებს და ხოდაბუნებს. მაგრამ მას კიდევ აქვს საკუთრივ მამული, რომელსაც თავის სამეფო ყმა-გლეხებს ამუშავებინებდა. სწორედ ამ სამეფო ხოდაბუნებისა და ზვრების მოვლა-პატრონობა და ზედამხედველობა ევალებოდა ხასადარს. ის ამავე დროს სახასო მამულიდან შემოსავლის ანგარიშსაც აწარმოებდა. აღსანიშნავია, რომ ხასადარი მხოლოდ მეფის მოხელეა. ის ადგილობრივი მოხელეა, ე. ი. თავის სამეურნეო მამულზე ზის. ხასადარი მოურავის, მამასახლისის და ნაცვლის რანგის მქონე მოხელეა, რომელსაც მათთან ერთად უფლება აქვს ბეგარით ისარგებლოს. 1697 — 1713 წლისა და 1713 წელს შედგენილ ნასყიდობის წიგნებში ავლაბრის ხასადარს დოკუმენტის შედგენის თანდამსწრედ ვხვდებით. ესაა მათიაშვილი ოტია.

მეფე ვახტანგ VI მიერ გაცემული სიგელი მიგვანიშნებს ხასადრის ადმინისტრაციულ უფლებებზე: „ბრძანება მეფისა ვახ-

ტანგ VI-ისა 1703—1709. ჩვენი ბრძანება არის ავლაბრის ხასადარო! მერე ეს თათარაშვილი რამაზა ჩვენდა უბრძანებლად არავ აუყარო. თუ ვისმე ქართული აქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, თორემ ნურვის დაანებებთ".

ხასადარი მეურვის, ზედამხედველის ფუნქციების შემსრულებელი მოხელე იყო და მისი უფლებები მემამულეთა კუთვნილ მამულებზე არ ვრცელდებოდა.

ავლაბარში ხასადარის სახელო სულ რამდენიმეჯერ გვხვდება და ის მალე ქრება კიდეც. მის ნაცვლად ავლაბარში სახასო ყმა-მამულის მეურვედ ისევ მოურავია.

ავლაბარში სამეფო მამულების გარდა არის მემამულეთა ყმა-გლეხები და მიწები, რომელთაც თავიანთი მოურავები ჰყავთ.

გამუდმებული შემოსევებისა და მთიელ ლეკთა თარეშის გამო XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთში ქართულმა მოსახლეობამ საგრძნობლად იკლო. ქვეყანას კი მწარმოებელი ძალა — მუშახელი სჭირდებოდა. ბუნებრივი გზით ამ დანაკლისის შევსება ვერ ხერხდებოდა. ამიტომ საჭირო გახდა იძულებით, ხელოვნური გზით არაქართველთა ჩამოსახლება და დასახლება ათხელებულ და გაუკაცრიელებულ ადგილებზე. ეს იყო მიზეზი, რომ XVIII საუკუნეში თბილისის შემოგარენში სახლდებიან ქართველ მეფეთა— ერეკლე მეორისა და გიორგი XII მიერ ჩამოსახლებული განჯელი, ერევნელი და ლორელი სომხები.

1781 წლის 28 თებერვალს გიორგი ბატონიშვილი ქალაქში და ავლაბარში მოსახლე ლორელ ყმა-გლეხთა მოურავად მაყაშვილ სიმონს ნიშნავს: „ჩვენსა ლალასა და ჩვენსავე ეშიკაღასბაშსა მაყაშვილს სვიმონსა, შვილსა შენსა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე რომე ჰავლაბარში ვინცა-ვინ ლორელები და ჩვენი ყმანი სახლობენ, ამათს მოურაობას დაგვეაჯე და... ეს მცირე სახელო გიბოძეთ, ჰავლაბარში რამდენიც ჩვენი ყმანი სახლობენ, მათი მოურაობა და ამას გარდა, იქავ ქალაქში კიდევ ვინცა-ვინ ლორელი აზნაურიშვილები არიან და რამდენიც კომლნი ჩვენი საბატონისშვილო თათრები სახლობენ, ამათი მოურაობაც შენთვის და შვილთა შენთათვის გვიბოძებია".

გიორგი ბატონიშვილი, უკვე მისი მეფობის დროს, 1798

წელს, ავლაბარში მოსახლე ერევნელ სახასო ყმა-გლეხთა მოურავის სახელოს უბოძებს „ერდგულს ყმას მირზა აფრასობს. და შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა. ასე რომ, ამ შენს ერთგულად ნამსახურებას მივხედეთ და ვინებეთ და გიბოძეთ ავლაბარში მდგომის ჩვენის სახასო ერევნელების მოურაობა. ყოვლის თავის სამართლიანის სარგოთი და სარგებლობითა გვიბოძებია შენთვის და ისინიც რიგიანად შენის სიტყვის მორჩილნი და გამგონენი უნდა იყვნენ ჩვენს სამსახურზედ და შენც იმათს მოვლას და შემატებას და გაძლებინებას უნდა ეცადო.“

არსებითად მეფისა და მემამულის მოურავის სახელო ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა. მეფის მოურავი პასუხისმგებელა იყო მეფის წინაშე, მემამულისა—მემამულის წინაშე.მოურავს ევალებოდა სამეურვეო მამულში ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და ეკონომიური საკითხების მოგვარება და წარმოება, ამაში მას ეხმარებოდნენ ნაცვალი და მამასახლისი.

ავლაბარში დედოფალსაც ჰქონდა თავისი მამული. დედოფლის კუთვნილი მამულების საქმეთა მწარმოებელს, თუ ზედამხედველს, რომელიც საფინანსო და სამეურნეო საქმეებს მართავდა, მილახვარი ეწოდებოდა. მილახვრის სახელო ჩვენში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. მილახვარი ჰყავდა მეფეს, დედოფალს და ცალკე მემამულეებსაც. XVIII საუკუნის დასასრულს დედოფლის მილახვრის სახელო იოსებ ყორღანაშვილს ეკავა.

მილახვარს გარდა სამეურნეოსი, საამშენებლო საქმეებიც ევალებოდა. დარეჯან დედოფალი იოსებ ყორღანაშვილს 1797 წელს ავლაბარში ზეთის სახდელ ქარხანას აძლევს: „ჩვენ საქართველოს დედოფალმან დადიანის ასულმან დარეჯან თქვენ ჩვენს მილახვარს იოსებ ყორღანოვს ავლაბრის გაკეთებისა და აქაურის ჩვენის სასახლისა და ეკლესიის აშენებაზე შენის დიდის გარჯისა და ღვაწლ დადების სამუქფო და წყალობა გიყავით და გიბოძეთ... სამკვდრო მამულად ავლაბარში ტფილისის გალავნის კარს გვერდით ისევ შენისავ გარჯით ჩვენს საკუთარს ადგილას შენგანვე გაკეთებულ ზეთის სახდელის თავის შესავალ-გასავლითა და სახლის წინ რაც ცარიელი ადგილია ტფილისის გალავნის კედლამდინ“...

გარდა იმისა, რომ იოსებ ყორღანაშვილი დედოფლის მილახვარია, მას ავლაბარში დედოფლის მოურავის სახელოც უკავია. „ქ. მათის უმაღლესობის დედოფლის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გაბრიელ აზნაურის ყულიჯანოვისაგან.

ჩემო ჯელმწიფევ დასადგომი სახლი არა მაქვს. პატარა კარებთან რომ ბეითალმანი სახლი გახლავს ქაქანასეული გეევედრებით არა სახლი მე მიბოძოთ, მოურავსა და მამასახლისს ოქმით ებრძანოსთ, რომ ის სახლი მე მომცენ.. მარტის გ. ქკს უჟ ქორონიკოს". აღნიშნულ თხოვნას მიწერილი აქვს: „ქ. ავლაბრის მოურაო მილახვარო იოსებ ყორღანოვო, ამ არზით ამ ჩვენს აზნაურიშვილს გაბრიელას ავლაბარში ჩვენის ყმის ბეითალმანი ოტია ქაქანასეული სახლი რომ უთხოვნია — ის სახლი ამისათვის გვიბოძებია. მარტის ია. ქორონიკოს უჟა" (1803). ყორღანაშვილს სხვა საქმეებთან ერთად ყმების დასახლების საკითხის მოგვარებაც ევალებოდა. ყმა ხურო გოგიას თხოვნაზე საცხოვრებელი ადგილის მიცემის შესახებ, დედოფალი დარეჯანი წერს: „ქ. ავლაბრის მოურაო მილახვარო ყორღანაშვილო იოსებ და ავლაბრის მამასახლისო. მერე ეს გოგიტელა იმერელი რომ ამდენი ხანია აქ ავლაბარში ჩვენს ყმათ სახლობს და ჯერ ამისათვის მამული არ გვიბოძებია"... საბუთში ლაპარაკია, რომ გოგიას ბეითალმანი ადგილი მიეცეს.

საბუთიდან ჩანს, რომ ავლაბარში მამასახლისის სახელოცაა. ეს სახელო პირველად 1737 წელს შედგენილ სიგელში გვხვდება, სადაც მამასახლისი დოკუმენტის შედგენის თანდამსწრე პირია: „...ავლაბრის: მამასახლისი: იობა".

მამასახლისი საქართველოში ადრეულ ხანაში ჩნდება და მას დიდი ხნის ისტორია აქვს. გვიანი შუა საუკუნეების მამასახლისი თავისი უფლებებით უკვე დიდად იყო დაშორებული თავისი წინაპრისაგან და იგი მხოლოდ მოხელეა, რომელსაც ძირითადად გლეხებისაგან ირჩევდნენ. სხვა გლეხებისაგან განსხვავებით იგი თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. მის მოვალეობას შეადგენდა, მონაწილეობა მიეღო სოფლის მართვა-გამგეობაში. სოფლის მოხელეებს ეხმარებოდა გადასახადის აკრეფაში და სხვა. ავლაბრის მამასახლისი, ამ შემთხვევაში დარეჯან დედოფლისა, ვალდებულია, სახლ-კარის მაძიებელ ყმა-გლეხებს გამო-

უძებნოს სამოსახლო და ამის შესახებ მოახსენოს თავის ბატონს — დედოფალს. „1796 წლის სექტემბრის 19 მაღალ კეთილ-შობილო, უფალო ივან ეფრემიჩო!

ქ. რომელნიც ავლაბარში ჩვენი ყმანი სახლობენ, მოგეხსენებათ, მზაკვრისა და მტაცებლის აღა-მაჰმად-ხანისაგან წამხდარნი არიან და შეწუხებულნი ახლა, რადგანაც არც ჩვენა ვართ მანდ და არც მაგათი მოხელე, ჩვენი მილახვარი ყორღანოვი იოსებ იმყოფება, სანამ ან ჩვენ მოვიდოდეთ, ან თავიანთი მოხელე მოუვიდოდესთ, ეგ ჩვენი ყმანი თქვენთვის მოგვიბარებია, რომ თვალყური დაიჭიროთ მაგათზე და მაგათის მამასახლისის დავითისათვისაც მოგვიწერია, რომ რაც მწუხარება ჰქონდესთ თქვენს მაღალ კეთილშობილებას, მოახსენოს რომლითაც მოველით, რომ თქვენ მოწყალებით შეისმენთ მაგათს მოხსენებას ჩღკვ 1796 წელსა სექტემბერს ით.(19)თელავით, სდ(სრულიად) საქართველოს დედოფალი“.

ამრიგად, დარეჯან დედოფალი ვინმე ივანე ეფრემიჩს ავალებს, ყურადღება მიაქციოს აღა-მაჰმად-ხანის დროს აწიოკებულ ავლაბარს და სანამ ავლაბრის ყმა-გლეხებს „თავიანთი მოხელე მოუვიდოდესთ“, თვალყური თქვენ ადევნოთო. ეს მოხელე მამასახლისი არაა, რადგანაც წერილში ნათქვამია: „მამასახლისის დავითისათვისაც მოგვიწერია“, რომ იმანაც ყურადღება მიაქციოს იქ შექმნილ მდგომარეობას, ე. ი. ავლაბარში დედოფლის ყმა-გლეხებს მოურავის და მამასახლისის გარდა კიდევ ყოლიათ მოხელე. სამწუხაროდ, დედოფალი კონკრეტულად არაფერს ამბობს, რა სახელო ეკავა ამ მოხელეს.

რაკი ავლაბარს გალავანი ჰქონდა შემოვლებული, ბუნებრივია, მას კარიც ექნებოდა. ეს კარი შეიძლება ერთი, ანდა მეტი ყოფილიყო. ავლაბრის კედელში, დოკუმენტების მიხედვით, ორი კარი ყოფილა გაჭრილი: „პატარა კარი“ და „ავლაბრის კარი“.

საბუთებში „ავლაბრის კართან“ დაკავშირებით ვხვდებით „მებაჟეს“, რომელიც „ავლაბრის კარიდან“ იღებდა გადასახადს — „ბაჟს“. „ავლაბრის კარს“, მებაჟის გარდა, „მეკარეც“ ჰყავს, რომელიც თავისი სამსახურისათვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებს. მას წლიური ჯამაგირი, ხელფასი ეძლევა — შვიდი მინალთუნი. მინალთუნი ვერცხლის ხუთ აბაზს უდრიდა. ესე იგი,

მას შვიდი მანეთი ვერცხლით წლიური ხელფასი ჰქონდა. ამას გარდა, „მეკარე“ იღებდა ავლაბრის კარიდან შემოტანილი ღვინის ბაჟიდან თექვსმეტ მინალთუნს, ჭაშნიკიდან ორ მინალთუნს, კახეთის ბაჟიდან — ხუთ მინალთუნს, ათასის უფროსის სამინბაშოდან — ორ მინალთუნს. სულ წლიურ შემოსავალს შეადგენდა სამი თუმანი და ორი მინალთუნი, ესე იგი, ოცდათორმეტი მანეთი ვერცხლით. მეფის შემოსავლიდან „მეკარეს“ არაფერი ერგებოდა.



მეტეხის ეკლესია საპყრობილეთი

მეტეხის გალავანში „ავლაბრის კარს“ პირველად ვახუშტი ბატონიშვილის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ ვხვდებით. აღნიშნული კარი ზღუდეში აღმოსავლეთიდან არის დატანებული.

ქალაქის კედელში დატანებული კარი იმ სახელს ატარებდა, რომელიც ქალაქისკენ, ანდა სოფლისკენ იყო მიქცეული. ზოგჯერ კარი იმ საქარავნო-სატრანზიტო გზის სახელს ატარებდა, რომელიც ორ სავაჭრო ცენტრს ერთმანეთთან აკავშირებდა. მეტეხის ზღუდეში დატანებული „ავლაბრის“ კარი ქალაქს ავლაბართან აკავშირებდა.

შემდეგი გეგმა, რომელზეც „ავლაბრის კარს“ ვხვდებით, არის პიშჩევიჩის „თბილისის 1785 წლის გეგმა“. ვახუშტისაგან განსხვავებით, აქ თვით ავლაბარი შემოზღუდულია და „ავლაბრის კარი“ აქაც გალავნის აღმოსავლეთითაა დატანებული. ავლაბრის გალავანში „ავლაბრის კარის“ სახელით კარიბჭის გაჭრა, ერთი შეხედვით, თითქოს ტრადიციის გაგრძელებად ჩანს. მაგრამ ეს ასე არაა. ავლაბრის ზღუდის იქით კიდევაა ე. წ. „გარეთა ავლაბარი“, ანდა, როგორც თბილისის 1800 და 1802 წლების გეგმებზეა, „ავლაბრის უბნის“ დასახლება და კარსაც ავლაბრის სახელი ამიტომ ეწოდა.

ავლაბარში „პატარა კარიცაა“. ვახუშტის გეგმაზე მხოლოდ ერთი კარია, პიშჩევიჩთან კი ავლაბრის გალავანს მეორე კარი ჩრდილოეთის მხრიდანაც აქვს დატანებული. „თბილისის 1800 წლის გეგმაზეც“ ავლაბრის მეორე კარი გალავანს ჩრდილოეთიდან აქვს.

„ავლაბრის კართან“ თავს იყრიდნენ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული გზები (სოფელ ნავთლუღიდან, კახეთის სოფლებიდან, მარტყოფიდან და სხვა.). აქვეა ავჭალის გზაც, რომელიც მცხეთასთან რუსეთისაკენ მიმავალ „დიდ გზას“ უერთდებოდა.

XVII საუკუნის ერთ სიგელში ნახსენებია ავლაბრის მეღალე: „ქ. სარდალ სახლთუხუცის ლუარსაბიმა: და ნაზირ ედიშერის: იმედო ავლაბრის მეღალევ“.

მაშასადამე, ავლაბარს თავისი „მეღალე“ ყავს, რომელიც აღებულ ღალას სახელმწიფოს აბარებს.

მეფის მამულებიდან შემოსული ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე, ფრინველი, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი ინახებოდა ე. წ. „საწყობში“, რომელსაც ქარხანა ეწოდებოდა. ამ საქონლის მიღება-გაცემას ზედამხედველობას უწევდა ქარხნის ნაზირი, რომელიც სამეფო მეჯლისში, სახლთუხუცესთან ერთად, დიდ მონაწილეობას იღებდა. მასვე ევალებოდა „მეჯლისის წესების გამგეობა“.

ქარხნის ნაზირს შვიდი-რვა კაცისაგან შემდგარი მეტიკისპირეთა ჯგუფი ჰყავდა, რომელთა მოვალეობას ტიკიდან ღვინის

ჩამოსხმა შეადგენდა. „დასტურლამალში“[1] ნახსენებია მეტიკისპირე „ავლაბრელი თამაზა“. ახლა ძნელია იმის თქმა, მეტიკისპირედ აუცილებლად ავლაბრელი უნდა ყოფილიყო თუ არა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოვალეობის შემსრულებლად სხვა სოფლებთან ერთად მუდმივად ერთი ავლაბრელიც უნდა ყოფილიყო. ალბათ იმიტომ, რომ ავლაბარი სამეფო-სახასო მამული იყო.



მაიდნის ხიდი, თათრული მეჩეთი და ციხესიმაგრის ნანგრევები

მეფის სასახლის პროდუქტებით მომარაგება ევალებოდათ აუშტარებს. „დასტურლამალში“ სხვა აუშტართა შორის გვხვდება „ავლაბრელი ზურაბა“.

აუშტარებს სათავეში ედგა თავლიდარი, რომელიც საანგარიშო დარგის მოხელე იყო.

---

[1] „დასტურლამალი“ ქართლის მეფე ვახტანგ VI დროს შედგენილი საკანონმდებლო კრებულია. სიტყვა-სიტყვით სახელმძღვანელოს, ინსტრუქციას ნიშნავს.

„დასტურლამალში“ სამეფო მეჯოგეთა შორის მოხსენიებულია „ავლაბრელი ბერუკა“, რომელსაც სამეფო ჯოგის მწყემსვა ევალებოდა. ავლაბარს ედო სამეხრეო გადასახადიც — მეხრის შესანახი გამოსაღები.

ქალაქს ავლაბრის მხარეზე ყარაული უყენია: „ქ. ბატონო მანუჩარ მდივანო, ავლაბრის ყარაულებს ჩიფჩიფ მამადას და იმის ამხანაგებს მორიგის თეთრიდამ ერთი თუმანი მიეც. ღვინობისთვის, ა. ქკს უოე“ (1787 წ.).

ყარაული მარტო დარაჯს როდი ნიშნავდა, ყარაულის მოვალეობას შეადგენდა საყარაულო მიდამოების თვალყურის დევნება და საჭიროების შემთხვევაში, მტრის მოახლოების ანდა მისი მოძრაობის თავისიანებისათვის შეტყობინება, რათა მათ თადარიგი დაეჭირათ. ყარაულს მეფე ლუარსაბ II დროინდელი (1607) საბუთი პირდაპირ მიუთითებს: „შენ იცი შეყრა გზისა, გზები დაიცევით, თქვენ ქენით კაი რიგათ ყარაულობა, თუ ჯარი ნახოთ, გვაცნობეთ და არა დაიჭირეთ“.

ავლაბარში ვხვდებით აგრეთვე ერთ მეტად საინტერესო სახელოს. ეს არის ავლაბრის სარდარი (1693 წ. შედგენილი ნასყიდობის წიგნი).

ჯერჯერობით ქალაქის შემოგარენში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა სამოხელეო სახელად სარდარი იხსენიება. სამწუხაროდ, საბუთში აღნიშნული მოხელის არც ვინაობაა აღნიშნული და არც მის სამოხელეო საქმიანობაზეა ნათქვამი რაიმე. ავლაბრის სარდარი XVII საუკუნის დასასრულს (1693 წ.) შედგენილი საბუთის მხოლოდ თანდამსწრე პირია.

სპარსულ-რუსულ ენათა ლექსიკონში სარდარი ითარგმნება, როგორც ქარვასლისა და სასტუმროს ზედამხედველი, მეთვალყურე.

ავლაბართან დაკავშირებული დოკუმენტური მასალა ამ უბანს წარმოგვიდგენს, როგორც მრავალდარგოვან სახელოსნო უბანს. აქ სახლობს და აქვე ხელოსნობს — თავის დუქან-სახელოსნოში; თუ ქარხანაში—ხურო, მკალავი, მკუპრავი, მეჯაგე, ყაზაზი, მეთუნე, მეკრამიტე, მეაგურე, მეჭურჭლე.

ავლაბარში გაცხოველებულ აღებ-მიცემობაზე მეტყვლებს აქ არსებულ დუქანთა სიმრავლე. დუქანი არა მარტო სავაჭრო

პუნქტი იყო, აქვე მზადდებოდა ბაზარზე გასატანი საქონელიც. ხშირად წყალობის წიგნში მთხოვნელს სახლთან ერთად დუქნის ადგილიც ეძლევა; „რადგან ტყეობიდან მოსული ხარ. ჩვენი ყმობა მოინდომე. ჩვენც ავლაბარში. ჩვენს ყმად დაგადგინეთ. დუქნისა და სახლის ალაგიც გიბოძეთ“ (1788). ხელრთვა დარეჯან დედოფალი. დუქანს მიწის მუშა არ მოითხოვდა. იგი ან ვაჭარია, ანდა ხელოსანი.

ავლაბარში დუქან-სახელოსნოთა სიმრავლე გაპირობებული იყო, ჯერ ერთი, იმით, რომ ის ქალაქის უახლოესი უბანია; მეორეც, ავლაბარში, მის გალავანში დატანებულ კართა მეშვეობით თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხრიდან წამოსული მგზავრები.

ავლაბარს თავისი ბაზარიც აქვს. აქვე დგას ქარვასლა —შორი გზიდან მოსულ მგზავრთა თავშესაფარი-სასტუმრო, ქარავნებით ჩამოტანილი აურაცხელი საქონლის საწყობი.

ავლაბარი მდიდარია მიწისზედა ხუროთმოძღვრული ძეგლებით. აქ იდგა და ახლაცა დგას ქართული, მართლმადიდებლური და სომხური, გრიგორიანული ეკლესიები.

როგორც უკვე ვიცით, XIII—XVI საუკუნეებში თბილისმა რამდენიმე გამანადგურებელი შემოსევა განიცადა. ყოველი ასეთი შემოსევის შემდეგ მისი შემოგარენი მოსახლეობისაგან იცლებოდა, დანაკარგის შევსება კი ხელოვნურად უფრო ხდებოდა. ქართველების გარდა აქ უცხონიც სახლდებოდნენ, უცხო მხარეში მოხვედრილი გარეშე კაცი კი ცდილობდა გარემოს შეწყობოდა და იგი თავისად ექცია. სხვადასხვა დროს ეს სხვადასხვანაირად ხდებოდა. სათავისოდ გადაქცევის ერთ-ერთი საშუალება იყო სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების აგება თბილისსა და მის შემოგარენში. ამიტომაც ჭარბობს ქალაქსა და მის სანახებში ქართულ ეკლესიებს სომხური.

ქართული ეკლესიებიდან ძველ ავლაბარში დღესაც დგას ერეკლე II მეუღლის, დარეჯან დედოფლის მიერ XVIII საუკუნის 70-იან წლებში აგებული კარის ეკლესია, იგი „მოწამეთა ირაკლი და დარეჯანის“ სახელზე ყოფილა აშენებული. მოსე ჯანაშვილი აღნიშნულ ეკლესიაზე შემდეგს მოგვითხრობს: „წმ. ირაკლისა და დარიას მონასტერი მეტეხის გორაზედ. ეს სასახლე მისის ეკლესიითურთ შეიძინა ექზარხოსმა თეოფილაქტემ და გამართა სასუ-

ლიერო სემინარია და სამრევლო სკოლები. იონა მიტროპოლიტმა (1824 წ. 29 ოქტ.) ტაძარი აკურთხა მაცხოვრის ფერიცვალების მონასტრად". ეკლესია დღესაც დგას უმოქმედოდ, დარეჯან დედოფლის სასახლე, ე. წ. „საჩინო" კი გადაკეთებულია და შიგ „26 კომისრის" რაიონული მუზეუმია მოთავსებული.



ავლაბარი

ავლაბარში დარეჯან დედოფლის კარის ეკლესიის მახლობლად იდგა „წმ. მარიამის" ქართული ეკლესია. მისი აგების თარიღი ცნობილი არაა. ესეც მეორედ იონა მიტროპოლიტს უკურთხებია.

ავლაბარში მდგარი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიებია: „ხოჯა-ვანქის ასტვაწაწინ" (ხოჯა-ვანქის ღვთისმშობლისა), „სურბ-კარაპეტას" (წმ. კარაპეტა), „ლუსაფორიჩი" (გრიგოლ-განმანათლებელი), „კარმირ-ავეტარან" (წითელი სახარება), „ეჩმიაწინის სურბ-გევორქ" (ეჩმიაწინის წმ. გიორგი), „ძორაბა-

ში სურბ-გევორქ" (ხევისთავის წმ. გიორგი), „სურბ-მინას" (წმ. მინასი).

დასახელებული სომხური ეკლესიებიდან ყველაზე ადრეულია „ხოჯა-ვანქის ასტვაწაწინი" (XVII ს.). იგი თბილისის რეკონსტრუქციასთან და ძველი სასაფლაოს პარკად გადაკეთებასთან დაკავშირებით დაანგრიეს. ასევე აიღეს „სურბ-მინასის" ეკლესია.

მოქმედია „ეჩმიაწინის სურბ-გევორქის" ეკლესია, რომელიც XVIII საუკუნის დასასრულსაა აგებული სომხეთის სოფელ ეჩმიაწინიდან ჩამოსახლებული სომხების მიერ.

ავლაბრის ტოპონიმიკიდან უკანასკნელ ხანამდე შემორჩენილი იყო სირაჩხანა, ბზის მოედანი, რიყე.

სირაჩხანა ამჟამინდელ ღვინის აღმართს ერქვა. ადგილის სახელი სირაჩხანა ორი სიტყვისაგან არის ნაწარმოები. სირაჩ, სირაჯ მეღვინეს, ღვინის მკეთებელს ნიშნავს, ხანე, ხანა სახლს. ასე, რომ მთლიანად სიტყვა მეღვინეთა სახლს ნიშნავს, უფრო ზუსტად აქ იყო ღვინის გასაყიდი დუქნები, სარდაფები, ქალაქელს კარგი ღვინის ყიდვა თუ უნდოდა, აქეთ მოაშურებდა ხოლმე. სირაჩხანის დუქნებსა და სარდაფებს ღვინით კახელები ამარაგებდნენ. ყოველდღიურად აქეთ მოემართებოდა ღვინით სავსე ტიკებითა და რუმბებით დატვირთული ურმების ქარავნები.

ძველ ქალაქურ ყოფაში, მის პოეზიაში სირაჩხანამ თავისი ადგილი დაიკავა. ძველი ქალაქელი მოკამათეს ხშირად ასე მიმართავდა ხოლმე: „მე რას მელაპარაკები, შენ როცა დაიბადე, მე მაშინ სირაჩხანაში ტიკზე ვიჯექ და ღვინოს ისე ვსომდიო", და სხვ.

ბზის ანუ ბაზრის მოედანი რიყეზე სირაჩხანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, მტკვრის პირას, ეგრეთ წოდებულ „ვირის ხიდთან". ბზის მოედანზე განსაკუთრებით ხალხმრავლობა უქმე დღეებში იყო ხოლმე. აქ იდგა ქარვასლები, აქვე იყრიდა თავს ქალაქის ბაზარზე გასაყიდად ჩამოტანილი აურაცხელი საქონელი. აქეთ მოეშურებოდა სავაჭროდ აღმოსავლეთელი თუ დასავლეთელი ვაჭარი. სტუმრები, ვაჭრები ღამის გასათევად ქარვასლებში ჩერდებოდნენ. გასაყიდად ჩამოტანილ საქონელს ქარვასლის საწყობში აბინავებდნენ, პირუტყვს კი მოედანზე სტოვებდნენ. ღამის სიმყუდროვეს ურმიდან გამოშვებული, ტა-

ბიკმოხსნილი ხარების გაუთავებელი ცოხნა თუ არღვევნა. ბზის მოედნის ხშირი სტუმრები იყვნენ შორეული ინდოეთიდან თუ სპარსეთიდან წამოსული აქლემებიც. ასობით კილომეტრგავლილსა და ტვირთისაგან განთავისუფლებულ პირუტყვს საკვებად ბზეს და თივას უყრიდნენ. ამიტომაც შეერქვა ამ მოედანს „ბზის" სახელი.



ღვინის აღმართი და ბზის ქუჩა

რიყე ავლაბრის ჭალის მერმინდელი, გვიან შეძენილი სახელია. იგი ეწოდებოდა ადგილს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აწინდელ მეტეხსა და ბარათაშვილის სახელობის ხიდებს შორის.

შეიძლება, ადრე, როცა ადგილს ავლაბრის ჭალა ერქვა, მის ფარგლებში შედიოდა მოგვიანო ხანის სოფელ ჩუღურეთის საწყლისპიროც.

ადრე რიყეზე ავლაბრელებს ბაღ-ვენახები ჰქონდათ გაშენებული .

რიყეს საასპარეზოდაც იყენებდნენ. ძველად საქართველოში, იშვიათად, მაგრამ მაინც იმართებოდა ხოლმე ორთაბრძოლა — დუელი.

ქართველებს ტყუილ-მართლის გამოსავლენად სხვადასხვა წეს-ჩვეა ჰქონდათ. „სიმართლის" გამოსარკვევად ბრალდებულს მდუღარე წყლიდან ისე უნდა ამოეღო ჯვარი, რომ ხელი არ დათუთქოდა. იყო ჯვარზე დაფიცების წესი და სხვა მრავალი. მაგრამ ზოგჯერ სადავო საკითხი ორთაბრძოლის საშუალებითაც წყდებოდა. სწორედ ასეთი ორთაბრძოლის შესახებ მოგვითხრობს XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე:



მაიდნის ხიდი, ქარვასლა და ციხესიმაგრის ნანგრევები

ირანის შაჰმა ქართლი როსტომ მეფეს რომ ჩააბარა, შემდეგ მას ცოლად შერთეს ლევან დადიანის და მარიამი, მაგრამ მათ შვილი არ ეყოლათ. ქართლის სამეფო ტახტს კი მემკვიდრე სჭირდებოდა. ამ მიზნით როსტომ მეფემ, ირანის შაჰთან შეთანხმებით, თავისი ბიძაშვილის, თეიმურაზის შვილი, ლუარსაბი იშვილა.

როსტომ მეფემ ბევრი ქარვასლა და ხიდი ააშენა, ძველიც ბევრი შეაკეთა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიურ მოღონიერებას. მისი მეუღლე მარიამ დედოფალი ხომ დაქცეული ეკ-

ლესიებისა და სამრეკლოების აშენებასა და შეკეთებას ახმარდა მთლ თავის ღონესა და სახსრებს.

როსტომ მეფემ განჯის გზაზე, მდინარე ხრამზე, ძველი „გატეხილი ხიდის“ ზემოთ, ააგო აგურის ხიდი ქარვასლით, რომელიც დღესაც დგას და მას ზოგი „გატეხილ ხიდს“, ზოგი კი „წითელ ხიდს“ უწოდებს.

ერთ დღეს მეფე, დედოფალი და მათი თანმხლები თავადაზნაურობა ხიდის სანახავად წასულა. ხიდთან მისულები იქვე დაბანაკებულან. თავადაზნაურობამ ბატონიშვილ ლუარსაბს მდინარის გაღმა, ჭალაში, ირემზე და ღორზე ნადირობა შესთავაზა. ბატონიშვილს ეს წინადადება ეამა.

დაიწყო ნადირობა. ჭალაში გასულებმა ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიკავა. ნადირთა გამოსარეკად ჭალას მდაბიონი შეესივნენ ბუკ-ნაღარით. თითოეულ კართან — ადგილთან — თითო-თითო თავადი იდგა, ზოგი თოფით და ზოგიც ისარმომარჯვებული. მიუახლოვდა თუ არა დამფრთხალი ნადირი ჩასაფრებულებს, ატყდა თოფისა და ისრის სროლა. „ამ დროს ბატონიშვილს ლუარსაბს თოფი ეცა და შეიქნა ტირილი და თავს ცემა. ნადირობა მოიშალა და მეფესთან ჩაფარი გაგზავნეს“. ცხედარი ქალაქში ავლაბრის მხრიდან შეუყვანიათ. ამ საიდუმლოებით მოცული მკვლელობის გამო დიდი მითქმა-მოთქმა ამტყდარა. თავად სიაოშ ბარათაშვილს ბატონიშვილის მკვლელობა თავად ბაიდურ თუმანიშვილისათვის დაუბრალებია. ბაიდურმა იუარა. „მეფეს მოახსენეს, — მოგვითხრობს ისტორიკოსი, — ამ რიგი საქმენი უხმლოთ არ გადასწყდებისო“. მეფის ბრძანებისამებრ, სიაოშ ბარათაშვილმა და ბაიდურ თუმანიშვილმა თავიანთი საქმეები მოაგვარეს, „... ვისთისა შეცოდებინა, შეეხვეწენ და შენდობა იშოვნეს და ვისაც რამე ემართა, გარდუხადეს. თავიანთ საღდრები დაიარეს და შესაწირავი მიართვეს და რა შეეძლოთ გლახათა და უღონოთ მისცეს“. ყოველივე ამის შემდეგ ქალაქში მეფის კარს ეახლნენ, მერე საომარი იარაღით შეიმოსნენ, შესხდნენ ცხენებზე და მეფის სასახლის პირდაპირ[1], რიყეზე, როგორც

[1] როსტომ მეფემ ნარიყალაში არსებული მეფის სასახლე დატოვა და ქალაქში, სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის, მტკვრის პირას, ააგო ახალი სასახლე. დღეს ამ შენობაში ქალაქის მილიციის სამმართველოა.

დათქმული ჰქონდათ, პაემანზე—ბორჯალზე გამოცხადნენ. მათ თან ახლდათ ექვსი იესაული. გადაკეტეს მეტეხის ციხის კარი, რომ არც არავინ გასულიყო და არც შემოსულიყო. ცხენებზე ამხედრებული სიაოში და ბაიდური ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. „გაღმიდან დაუძახეს — ომისა და შეტევის დრო არისო". პირველად ცხენი სიაოშმა დაძრა. მიუახლოვდა თუ არა, შუბი გვერდში აძგერა ბაიდურს, ჯაჭვი გაუხია და შიგ შეამტვრია. შემდეგ ბაიდური მიუხდა, შუბი ბარკალში შეამტვრია და გასცილდა. ისევ სიაოში „წაეწია და ლახტი სცა და გასცილდა". ბაიდურს ხელი სისხლში ჰქონდა მოსვრილი. სიაოშს ლახტი მოუქნია, მაგრამ სისხლიანი ხელით ვერ შეიმაგრა და ლახტი ხელიდან გაუსხლტა. ცხენიც გახელდა, მხედარს აღარ დაემორჩილა და უგანა. სიაოში



ავლაბრის ხიდი მეჩეთით

ბაიდურს ლახტის ცემით მისდევდა. ბაიდური ცხენს ველარ იმორჩილებდა და ხმალამოწვდილი უკან-უკან იქნევდა. უკან მოქნეული ხმალი სიაოშს საცხვირეში მოხვდა და ცხენიდან გადმოვარდა. ბაიდურს მისი მოკვლა უნდოდა, მაგრამ იესაულებმა არ დაანებეს. სიაოში მეციხოვნეთ ჩააბარეს, ცხენზე ამხედრებული,

შეიარაღებული ბაიდური კი მეფეს ეახლა და თაყვანი სცა. მეფემ სიაოშის ჯაჭვი და იარაღი ბაიდურს მისცა. ამ ორთაბრძოლაში გამარჯვების გამო ბაიდურს ბრალდება მოეხსნა.

ამ დროს რიყე დაუსახლებელი ადგილია. მისი განაშენიანება უფრო გვიან, XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. ამ დროიდანვე ჩნდება ამ ადგილის სახელად რიყე.

ბოლო დრომდე, XX საუკუნის 50-60-იან წლებამდე აქ დუქნები და სახელოსნოები იყო.

რიყეზე ძირითადად მკალავები, მჭედლები და ხარაზები საქმიანობდნენ. აქვე იყო ბაზარიც.

მტკვარმა ხშირად, ხანგრძლივი წვიმების დროს, ადიდება იცოდა ხოლმე. ამ დროს იგი თავის კალაპოტს სტოვებდა და რიყე იტბორებოდა, რასაც დიდი მატერიალური ზარალი მოსდევდა.



ბზის მოედანი

ხშირად ადამიანთა მსხვერპლიც იყო ხოლმე. დატბორილი რიყე საცურაო აუზსა ჰგავდა. სახლიდან სახლში მისვლა მხოლოდ ნავით შეიძლებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსმა ხელისუფ-

ლებამ 1802 წლის 12 ივლისს უმაღლეს ხელისუფლებას განსახილველად წარუდგინა „საქალაქო და სათემო პოლიციის“ დაარსების პროექტი. მის პირველ პარაგრაფში ქალაქი თბილისი სამ ნაწილად იყო დაყოფილი, თითოეული ნაწილი კი ორ-ორ კვარტლად. ამ პროექტის თანახმად ავლაბარი ქალაქის მეოთხე ნაწილად ცხადდებოდა.

ავლაბარში არსებული ქართველი ბატონიშვილებისა და სამეფო ოჯახის სხვა წევრთა მიწები XIX საუკუნის დასაწყისამდე გადავიდა ხაზინის — სახელმწიფოს ხელში, აქაურ გლეხებს კი სახაზინო ყმა-გლეხები ეწოდათ.

მთავარმართებელ ერმოლოვის დროს, 1816 წელს, ავლაბარი ირიცხებოდა ქალაქის მეორე საპოლიციო უბანში. მიუხედავად ამისა, ავლაბრელი ყმა-გლეხები ერთხანს კიდევ სარგებლობდნენ აქ არსებული სახაზინო მიწებით და იბეგრებოდნენ კიდეც.

გარეთა და შიგნითა ავლაბრის ქალაქთან საბოლოოდ შემოერთების შემდეგ აქაურებს მიწით სარგებლობა აეკრძალათ.

ამგვარად, ძველი თბილისის აღმოსავლეთით მდებარე სახასო მამული ავლაბარი, თავისი ზვრებითა და ხოდაბუნებით, სამეფო და სადედოფლო მოხელეებით, დუქან-სახელოსნოებითა და მრავალგვარი ხელოსნებით, ქალაქის შემოგარენში ერთ-ერთი დაწინაურებული სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბანი იყო.

ღომელაური და დირსიჭალა

ეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში სოფლებს ავლაბარსა და ნავთლუღს ერთმანეთისაგან სოფელი ღომელაური და დირსიჭალის ბაღები მიჯნავდა.

ქალაქიდან კახეთისაკენ მიმავალ მგზავრს ჯერ უნდა გაევლო სოფელი ავლაბარი, შემდეგ ან სოფელი ღომელაური, ანდა დირსიჭალის ბაღები, შემდეგ კი სოფელი ნავთლუღი...

თბილისის სანახებში სოფელი ღომელაური, როგორც დასახლებული პუნქტი უკვე XVII საუკუნეში არსებობდა, მაგრამ გარეშე მტრის შემოსევებმა გააპარტახა. მისი ხელმეორედ განსახლება XVIII საუკუნემდე აღარ მომხდარა.

სოფელი ღომელაური XVIII საუკუნის დასასრულამდე არსებობდა. ღომელაურსა და მის ბაღ-ვენახებს დიდი ტერიტორია არ უნდა ჰკავებოდა. რუსულ ენაზე შედგენილ თბილისის რუკაზე XIX საუკუნეში ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი ნავთლუღია დატანილი — ზემოხსენებული სოფელი ნავთლუღი და დაბა ნავთლუღი (რუსულად სლობოდკა, სლობოდა), სოფელი ღომელაური კი ქალაქის შემოგარენის რუკიდან ქრება. ეტყობა, გასულ საუკუნეში სოფელი ნავთლუღი ტერიტორიულად მისი მომიჯნავე ღომელაურის ხარჯზე გაფართოებულა.

XIX საუკუნის თბილისში მართვა-გამგეობა რუსი ჩინოვნიკების ხელში იყო. ქალაქისა და მისი გარეუბნის აზომვა-დაგეგმარებასაც რუსი და უცხოელი კარტოგრაფები აწარმოებდნენ. მათი

უცოდინარობით თუ დაუდევრობით ბევრი ტოპონიმი — ადგილის სახელი — სამუდამოდ წარიხოცა. ერთ-ერთი ასეთთაგანია სოფელი ღომელაური, რომლის სახელი შემდეგი დროის ქალაქ თბილისის ქუჩათა სახელებშიც კი აღარ შემოგვრჩა.

დირსიჭალის ბაღები გაშენებული იყო ღომელაურის დასავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხევის ქვემო წელზე, მის დაბოლოებაზე. ძველ საბუთებში „დირსიჭალას" „დარსიჭალის" ფორმითაც ვხვდებით: „დარსიჭალაში ბაბანათა გრიქურას პაპეული ბაღი".

სიტყვა დირსიჭალის წარმოშობის სადაურობისა და შინაარსის ახსნა-გაგება სიძნელესთან არის დაკავშირებული. დღევანდელი ქართული სალაპარაკო, თუ ლიტერატურული ენა მას აღარ იცნობს. გარდა ამისა, ადგილის, რელიეფის მიხედვით წარმოშობილი ტოპონიმების ახსნას ხელს უშლის ქალაქ თბილისის მიდამოების განსახლება-განაშენიანება, რასაც თავისთავად მოსდევდა და მოსდევს ქალაქის გარეუბნის ლანდშაფტის, საერთო ხედის, რელიეფის შეცვლა (ხევების ამოვსება და მათი გადახურვა).

სახელწოდება დირსიჭალა ორი სიტყვის შერწყმით არის წარმოქმნილი. სიტყვის მეორე ნაწილი, ჭალა გასაგებია — იგი წყლისპირეთს ნიშნავს. რაც შეეხება პირველ, საწყის ნაწილს, მისი ახსნა ჭირს.

დირსიჭალა — დარსიჭალის ტერმინის წარმოშობა შეიძლება ხევთან იყოს დაკავშირებული („დარ//დერ" აღმოსავლური სიტყვაა და ხევს ნიშნავს[1]). თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ დირსიჭალა — დარსიჭალა „ხევისჭალად" ითარგმნება.

დირსიჭალაში მხოლოდ ბაღები იყო გაშენებული, რომელთა მესაკუთრენი იყვნენ, როგორც ქალაქელები, ისე მახლობელი სოფლელები — ავლაბრელები, ღომელაურელები, ნავთლუღელები და სხვა.

თვით დირსიჭალაში მოსახლეობა არ იყო და აქ გაშენებულ თითოეულ ან რამდენიმე ბაღს თავისი მეთვალყურე მებაღე ჰყავ-

---

[1] კახეთში დღესაც არსებული უზუნდარა, გრძელ (უზუნ) ხევს (დარა) ნიშნავს.

და მიჩენილი. მის მოვალეობას შეადგენდა ბაღის მოვლა-პატრონობა, სარწყავი წყლის დროულად მიგდება, მოსავლის დაკრეფა და ბაღის პატრონისათვის დროულად ჩაბარება.

დირსიჭალაში მეტად საინტერესო სახელო-თანამდებობას ვხვდებით, რაც ქალაქის შემოგარენის სოფელთა, უბანთა თუ ბაღების მოხელეთა შორის არსად არ არის მოხსენიებული. ეს არის დირსიჭალის მებაღეთა თავკაცი, უსტაბაში ნიკოლოზი, რომელიც ზედამხედველობას უწევდა აქაურ მებაღეებს.

ისევე როგორც ქალაქის სხვა ამქართა, ამხანაგობათა უსტაბაშს, დირსიჭალის მებაღეთა უსტაბაშსაც ქართლის მეფე ნიშნავდა.

შეიძლება, ასეთი უსტაბაში ქალაქის სანახებში გაშენებულ



ნმ. ბარბარეს ახალი ეკლესია ნავთლუღში

უამრავ სხვა ბაღ-ვენახსაც ჰყავდათ. შეიძლება, მებაღეთა უსტაბაშის მოვალეობა, გარდა მებაღეთა ზედამხედველობისა, მის საგამგებლო ბაღებში მოწეული ხილიდან საბატონო ბეგარის აღება და სამეფო ქარხანაში — საწყობში ჩაბარება იყო კიდეც.

როგორც ქალაქისპირა ყველა ბაღიდან, ქალაქის მოურავს დირსიჭალიდანაც ეძლეოდა თავისი კუთვნილი წილი. ადვილი დასაშვებია, ქალაქის მოურავის სარგო მასთან (ქალაქის მოურავთან) მებაღეთა უსტაბაშის მეშვეობით ხვდებოდა.

თუ XIX საუკუნეში სოფელი ღომელაური ქალაქის მიდამოების გეოგრაფიიდან უკვალოდ ქრება, ამას ვერ ვიტყვით დირსიჭალაზე. იგი დატანილია რუსულად შედგენილ XIX საუკუნის ქალაქ თბილისისა და მისი შემოგარენის გეგმებზე და რუკებზე („დირსიჭალის ვენახები", „დირსიჭალის ბაღები").

ძველი თბილისის მიდამოებში ადგილის სახელად დირსიჭალის არსებობაზე დღეს მიგვანიშნებს ამჟამად აქ არსებული ერთი მოკლე ქუჩა, რომელიც „დირსიჭალის" სახელს ატარებს. იგი „5 დეკემბრის" ქუჩის პერპენდიკულარულად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში „წმიდა ბარბარეს" სახელობაზე აგებული ახალი ეკლესიის ახლოს მდებარეობს.

დირსიჭალა თავისი ბაღებით, ისევე, როგორც ორთაჭალა, XIX საუკუნეშიც ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას, როგორც ქალაქისპირას მდებარე ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო ერთეული.

ნავთლული

ოფელი ნავთლული ძველი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფლების ავლაბრისა და ღომელაურის შემდეგ მდებარეობდა.

სოფელ ნავთლულსაც, ისევე, როგორც ქალაქისპირა ზოგიერთ სოფელს, ორი სახელი ჰქონდა: „ნავთლული" და „ერეკლეს ციხე". სოფელს თუ ადგილს „ნავთლული" ადრე შერქმევია, მეორე სახელი — „ერეკლეს ციხე "— კი უფრო გვიანდელია, თუმცა ეს უკანასკნელი ადგილის სახელად ვერ დამკვიდრებულა. XVIII საუკუნის დასასრულს, ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებისა და მისი სანახების აოხრების შედეგად ქალაქის მიდამოებში სხვა ციხესიმაგრეებთან ერთად „ერეკლეს ციხეც" დანგრეულა, რის შემდეგ სოფლის ეს სახელი დავიწყებას მიეცა და ადგილს ისევ თავისი ძველი სახელი — „ნავთლული" დაუბრუნდა.

ნავთლული ორი სიტყვის: „ნავთი" და „ლული"-ს ნაზავს წარმოადგენს. „ნავთი" აღმოსავლური სიტყვაა, „ლული" — თურქული და ადგილს ნიშნავს. ესე იგი, „ნავთლული" ნავთის ადგილს, სანავთეს აღნიშნავდა.

ვახუშტი ბაგრატიონი საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ქალაქ თბილისის მიდამოების აღწერისას გადმოგვცემს: „ხოლო ტფილისის სამხრ-აღმოსავლით არს ნავთლული. მუნ დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების".

თბილისის სანახებში ამ სახელით დასახლებული პუნქტი როდის გაჩნდა, ზუსტად არ არის დადგენილი. ერთი რამ კი ცნობილია: ქართულ ენაში სიტყვა „ნავთი“ გვხვდება იოანე საბანის ძის თხზულებაში „მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“. თბილისის ამირას ბრძანებით სიკვდილით დასჯილი აბოს გვამი ურმით გაიტანეს „გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსაც საგოდებელი ეწოდების... და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი“. ...შეიძლება, თბილისის ამირას მსახურებმა ქრისტეს რჯულისათვის წამებული აბოს ცხედრის დასაწვავად ნავთი ქალაქის სიახლოვიდან, შემდეგდროინდელი „ნავთლუღიდან“ მოიტანეს კიდეც.

თუ ამ ადგილის პირველი სახელის, „ნავთლუღის“ გაჩენის ზუსტი დრო არ ვიცით, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს სოფლის მეორე სახელი „ერეკლეს ციხე“. აი, ამის შესახებ რასა წერს მოგზაური გიულდენშტედტი: „სოფელი ნათლუღი მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, შედგება დაახლოებით 50 სახლისაგან და, გარდა ამისა, აქაური ჩვეულების მიხედვით, ბევრი მიწურისაგან (რუსულად „ზემლიანკა“). მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთკუთხა კედელი ადგილს, დიამეტრით 80 ნაბიჯი, და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს „ერეკლეს ციხე“.

გიულდენშტედტმა ჩვენში იმოგზაურა და თბილისს ეწვია 1772 წელს. მაშასადამე, „ერეკლეს ციხე“ მანამდეა აგებული.

ნავთლუღში ერეკლე მეფეს არა მარტო ციხე-გალავანი აუგია, სხვადასხვა სოფლებიდან მოკრებილი ყმა-გლეხებიც დაუსახლებია.

სოფელი ნავთლუღი თავად სუმბათაშვილების კუთვნილი მამული იყო.

1802 წელს საქართველოში რუსი ხელისუფლებისადმი წარდგენილ ერთ-ერთ განცხადებაში თავადი სუმბათაშვილი წერდა: „ოცდა ხუთი წელიწადი არის, რაც მეფე ერეკლემ ნავთლუღის სოფელი აშენა. რადგანაც მტრის ალაგი იყო, ქალაქის დაცვისათვის თითო კაცი სოფლებიდან მოაგროვა და ჩვენს მამულში

სოფელი გააკეთა. ახლა ნება მიგიციათ აყრისა და სხვაგან დგომისა. თავადებს ჰკითხეთ და თუ ნავთლულის სოფლის მოშლა ქალაქის სამჯობინარი იქნება, ნება გაქვსთ, მოშალეთ"... განცხადებიდან ჩანს, როცა მეფე ერეკლე სოფელ ნავთლულში ციხეგალავანს აგებდა, იგი გახარაბებული, გაპარტახებული სოფელი ყოფილა.

ერეკლეს მიერ ჩატარებულ ამ ღონისძიებას არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიური ხასიათიც ჰქონდა. სოფელი ნავთლული თავისი ველ-მინდვრებით, საძოვრებით, ბაღ-ვენახებით ქალაქის შემოგარენში მდებარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო უბანთაგანია.

1781 წელს მოწყობილ ქართლ-კახეთის სოფელთა აღწერის მიხედვით „ერეკლეს ციხეში" ორმოცდაათი კომლი სხვადასხვა გვარის ყმა-გლეხი ცხოვრობს. ესენია: ხარატიშვილი, გუთნიდედიშვილი, მენახირიშვილი, გრიგოლაშვილი, კაკაშვილი. დარჩიაშვილი და სხვა.

აღწერაში მოხსენიებულნი არიან მჭედელი მამაჯანა, ბატონის მებაღე კუჭიაშვილი ღთისა.

სოფელ ნავთლულის მოურაობაც სამემკვიდროდ თავად სუმბათაშვილებს ჰქონდათ მიღებული.

სოფელს თავისი მამასახლისიც ჰყავდა. ერთი ასეთი მამასახლისის გვარი ცნობილია. იგი ვინმე მანველაშვილია.

ძველ თბილისში აურაცხელი სახელოსნო და დუქანი იყო. ქალაქის ბაზარზეც სხვადასხვა ხარისხის ნაწარმი გადიოდა გასაყიდად.

თბილისის სახელოსნოებში მზადდებოდა თავსაბურავები, ფეხსამოსები, ტანსაცმელი, საიუველირო ნაკეთობები, ცხენის აკაზმულობა და სხვა. თავსაბურავების მკეთებელს, მექუდეს — ჭონი ერქვა, ფეხსაცმელების მკერავს — ხარაზი, ტანსაცმლისას — თერძი, იუველირს — ოქრომჭედელი და სხვ. ერთი დარგის ხელოსნების დუქნები ერთ ქუჩაზე მდებარეობდა და ქუჩასაც სახელი აქაური საქმიანობის მიხედვით ერქვა. იყო ჭონხანა, დაბაღხანა (სადაც ტყავის დამზადება, გამოყვანა ხდებოდა), სირაჩხანა, ჯილავხანა. ამ უკანასკნელში ცხენის აკაზმულობას აკე-

თებდნენ. ჯილავი — სპარსული სიტყვაა და აღვირის საყბეურებთან ხელის წასავლებ და სადავის გამოსაბმელ რგოლს ერქვა. ქალაქის შემოგარენის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით სოფელ ნავთლულში ვხვდებით მეტად საინტერესო სამოხელეო სახელს ჯილავდარს. ეს არის „დედოფლის ჯილავდარი იმნაძე". ჯილავდარის მოვალეობას შეადგენდა: ცხენზე მჯდომი დიდებულისთვის ცხენი შეემაგრებინა. მას აღვირის საყბეურთან ჰქონდა ხელი წავლებული და ისე მიუძღვებოდა. ქართველ ლექსიკოლოგს ნიკო ჩუბინაშვილს სიტყვა ჯილავდარი ასე აქვს ახსნილი: „ჯილავდარი — ჯილავის დამჭერი ცხენით მიმავალთა დიდებულთა".



წმ. ბარბარეს ეკლესია ნავთლულში

ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ნავთლულში ამჟამად შემორჩენილია „წმიდა ბარბარეს" სახელობაზე აგებული ორი ეკლესია, ეგრეთ წოდებული, „ძველი "და „ახალი".

„წმიდა ბარბარეს" ძველი ეკლესია მდინარე მტკვრის ახლოს დგას. იგი გვიანი შუა საუკუნეების ძეგლია. ეკლესიაში დაკრძალულნი არიან თავადი სუმბათაშვილები, როგორც სოფელ ნავთლულის მფლობელნი და მეპატრონენი.

მეორე ძეგლი, რომელსაც „წმიდა ბარბარეს“ ახალ ეკლესიას უწოდებენ, აგებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ეკლესია აგურითაა ნაგები და დგას აწინდელ „5 დეკემბრის“ ქუჩაზე.

რაც შეეხება აქაურ წიაღისეულს, ნავთობს, მისი ექსპლოატაცია-გამოყენება, გადამუშავება არ ხერხდებოდა, ჯერ ერთი, მდინარის სიახლოვის გამო, მეორეც, მას დიდი დებიტი — სადღეღამისო გამოსავალი არ ჰქონია. ამიტომ ნავთლუღის ჭებიდან ამოღებულ წიაღისეულს მხოლოდ ტიკებისა და რუმბების მოსაკუპრავად იყენებდნენ.

ჩუღურეთი



ოფელი ჩუღურეთი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე და თბილისს ჩრდილოეთიდან ემიჯნებოდა. ქალაქის სანახებში სახელს „ჩუღურეთი“ პირველად ვახუშტი ბაგრატიონის „თბილისის 1735 წელს გეგმაზე“ ვხვდებით. გეგმაზე დატანილი დასახლების აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით ჩუღურეთი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფელია.

სანამ სოფელს ჩუღურეთი შეერქმეოდა, მას ჩუხური რქმევია. ამაზე მეტყველებენ ჩვენამდე მოღწეული XVIII საუკუნის დასაწყისში გაცემული სიგელ-გუჯრები.

1707 წელს მეფე ვახტანგ VI მეუღლის, დედოფალ რუსუდანის მიერ გაცემული წყალობის წიგნი მოგვითხრობს, რომ სამეფო კარის მღვდლის ნაობის თხოვნით, დედოფალმა ჩუხურში მას და მის ოჯახს უწყალობა „საბძელ კალოს ალაგი“, სხვისი ნაქონი, უპატრონოდ მიტოვებული ნასახლარი.

1721 წლის აღწერის მიხედვით ჩუხურეთში ექვსი მოლაშქრე კომლი სახლობდა, საიდანაც ცხრა მოლაშქრის გამოყვანა შეიძლებოდა.

საინტერესოა სიტყვა „ჩუღურეთის“ წარმომავლობისა და მნიშვნელობის ახსნა-დადგენა.

ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ჯავახეთის მხარეზე ლაპარაკისას ხსნის ტერმინ ჩუღურეთს: „ამავე წყალზედ არს ფოსო ანუ „ჩუღურეთი“.

სიტყვა „ფოსო“ ვახუშტის თანადროულს დიდ ქართველ ლექსიკოლოგს საბას ასე აქვს განმარტებული: „ფოსვი, ფოსო, მცირე დაღრმობილი“. ჩუღურეთი ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან „ჩუკურ, ჩუხურ“, რაც ორმოს, ფოსოს, ხრამს, ფლატეს, დაბლობს, დაცემულ ადგილს ნიშნავს.

სიტყვა „ჩუღურეთი“ არც ერთ ჩვენს ლექსიკოლოგს არა აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში. ჩვენდა საბედნიეროდ, სიტყვა „ჩუღური“ დღესდღეობით შემორჩენილია შიდა კახეთის სოფლების — გრემის, ენისელის, ალმატის და შილდას სალაპარაკო ლექსიკაში. აქაური გლეხები ამბის თხრობისას ამბობენ ხოლმე: „შარშანა, აი, იმ ჩუღურში ხარი გადამეჩეხა“, ანდა „იმ ჩუღურში ბევრი ზღმარტლია“ და სხვა. ჩუღური აქ დახევებული, მთის კალთის გამომხატველი ცნებაა. ასეთი მთის ფერდზე ბუჩქნარი, ანდა ტყეა შეფენილი. ვახუშტი ბაგრატიონი ზუსტად ასეთი რელიეფით წარმოგვიდგენს ჩუღურეთს „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“.

აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, შიდა კახეთში გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელ ტერმინად „ჩუღურის“ შემორჩენა გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება ძველი ჩუღურეთის მკვიდრნი კახეთიდან ყოფილიყვნენ გადმოსახლებულნი. საგულისხმოა, რომ XVII საუკუნეში ფერეიდანში გადასახლებული ქართველების, კერძოდ, კახელების მიერ დაარსებული სოფლების სახელწოდებათა შორისაც ვხვდებით ჩუღურეთს: „ჩუღიურეთი“ „სოფელი ჩოღურეთი და მაღალ მთებშია“.

ამგვარად, სიტყვა „ჩუღურეთი“ ნაწარმოებია გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელი სიტყვიდან „ჩუღური“, რომელსაც დაერთო „ეთ“ სუფიქსი და მივიღეთ დასახლებული პუნქტის სახელწოდება.

ვახუშტის „თბილისის 1735 გეგმის“ მიხედვით სოფელი ჩუღურეთი ყოველი მხრიდან ბუნებრივი საზღვრებითაა შემოზღუდული. სამი მხრიდან ხევი აკრავს, მეოთხე, დასავლეთის მხრიდან კი — მდინარე მტკვარი. ჩუღურეთის ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრების ზუსტ დადგენაში გვეხმარება ორი საორიენტაციო პუნქტი: სოფლის სამხრეთი ხევის (ჩუღურეთის) მარჯვენა მხარეს მდგარი სომხების საყდარი „სურბ-კარაპეტა“ და

ჩრდილოეთი ხევის (დიდი ხევის) მარჯვენა მხარეს მდგარი კვირაცხოვლის ეკლესია.

გეგმაზე სოფლის მოსახლეობა სახლობს აღნიშნულ ხევებს შორის მტკვრის ნაპირზე.. ჩუღურეთს ორად — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს მასზე გამავალი „ავჭალის გზა", რომელიც იწყება ქალაქის კარიდან (ისნიდან) და მიემართება მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირისაკენ.

ბორანი მუხრანის ხიდის ადგილას

ვახუშტის შემდეგ თითქმის XVIII საუკუნის დასასრულამდე „ჩუღურეთს" აღარ ვხვდებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1765 წელს შედგენილ „მცხეთის საბუთში" მოხსენიებულ „ჩუღურელ მეჭურჭლე" თომას.

გიულდენშტედტს საქართველოს რუკაზე (შედგენილია გერმანულად 1772 წ.) ქალაქ თბილისის გვერდით დატანილი აქვს სოფლები: კუკია, დიღომი, დიდუბე, ნავთლული, სონღალული. რაც შეეხება ჩუღურეთს, მოგზაურს იგი არ აღუნიშნავს. რა არის ამის მიზეზი, არ ვიცით. შეიძლება ლეკიანობის გამოისობით აქ

ისე იყო შეთხელებული მოსახლეობა, რომ მოგზაურმა საჭიროდ აღარ ჩათვალა, ასეთი პატარა პუნქტი რუკაზე დაეტანა. მკვლევარი ქალაქის გარეუბნების განსახლების აღწერისას აღნიშნავს: „...მიდამო ქალაქის გარშემო, ისე როგორც მთელი საქართველო, მცირედ და ცუდადაა გაშენებული და დასახლებული". შეიძლება, გიულდენშტედტი უბრალოდ შეცდა რუკის შედგენისას და არ აღნიშნა სოფელი ჩუღურეთი. ამას იმიტომ ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია კუკიის გვერდით ჩუღურეთის პირწმინდად გაქრობა. ანდა შეიძლება მან ჩუღურეთი თბილისის გარეუბნად მიიჩნია ქალაქთან სიახლოვის გამო. მოგზაური მტკვრის მარცხენა მხარეს ასე ხედავს: „...მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის პირდაპირ, არის ბაღები და ყანები". მოგზაური არაა დაინტერესებული, გაარკვიოს, რომელ დასახლებულ პუნქტს ეკუთვნის აღნიშნული ბაღები და ყანები.

პიშჩევიჩის „თბილისის 1785 წლის გეგმის" ექსპლიკაციაზე ჩუღურეთი საერთოდ არაა აღნიშნული. მის ტერიტორიაზე № 85-ით აღნიშნულია ქართული მონასტერი, ხოლო № 86-ით სომხური მონასტერი. სომხური მონასტრის ჩრდილოეთით ბაღია გაშენებული. სხვა აღნიშვნა ამ ტერიტორიაზე არაა. ვფიქრობთ, გეგმაზე № 85-ით აღნიშნული მონასტერი არის კვირაცხოვლის ეკლესია, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ № 86-ით აღნიშნული სომხური მონასტერი უცნობია და სად უნდა მდგარიყო, ძნელი გასარკვევია. თუ ვივარაუდებთ, რომ პიშჩევიჩს შეცდომა მოუვიდა ქართული და სომხური მონასტრების გეგმაზე დატანისას და მის შეცდომას გავასწორებთ, მივიღებთ ასეთ სურათს: ქართული მონასტერი (№ 85) არის კვირაცხოვლის ეკლესია, სომხური მონასტერი (№ 86) კი იქნება ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე" დატანილი „ახალი სოფლის" დასახლებული პუნქტის ეკლესია.

შეიძლება პიშჩევიჩმაც თავის გეგმაზე იმავე მიზეზით არ აღნიშნა ჩუღურეთი, რა მიზეზითაც აუარა გვერდი მას გიულდენშტედტმა, კერძოდ, ჩუღურეთის მოსახლეობის შემცირების გამო. 1800 წლის თბილისის გეგმაზე (შედგენილია რუსულად) ჩუღურეთი დატანილია № 10-ით. გეგმაზე მას ასეთი წარწერა აქვს: „Урочище Чугурети". აქვე ჩუღურეთის ტერიტორიაზე, და-

ტანილია აქ გამავალი ავჭალის გზა და მის აღმოსავლეთით მდებარე კვირაცხოვლის ეკლესია. 1707 წლის სიგელი, 1721 წლის აღწერის დავთარი, ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე" დატანილი მოსახლეობის აღმნიშვნელი უჯრედები მიგვანიშნებენ, რომ XVIII ს. I ნახევარში სოფელი ჩუღურეთი მჭიდროდაა დასახლებული. შემდეგ კი მოსახლეობა ნელ-ნელა მცირდება, ან სულ ქრება.

ჩვენ არ ვიცით რა ეწოდებოდა ადრეული ხანის ჩუღურეთს. შეიძლება ამ ადგილს ძველად ქართული სახელი ფოსვი ერქვა. ასეთი სახელწოდების სოფელი ხომ ბოლო დრომდე არსებობდა თბილისიდან არც თუ ისე მოშორებით, სოფელ გლდანსა და ჯვარს შორის.

ძნელი დასაჯერებელია, რომ შუა საუკუნეების ძლიერი და გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქის სანახები აუთვისებელი ყოფილიყო და „ჩუღურეთი", როგორც სოფელი ან უბანი, არ გაჩენილიყო, ანდა არ ყოფილიყო ამის მცდელობა. მით უმეტეს, რომ საამისოდ არსებობდა ყოველგვარი პირობა: ქალაქის ღა ბაზრის სიახლოვე, აგრეთვე მის ტერიტორიაზე გამავალი იმ დროისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა „ავჭალისა", რომელიც თბილისს ჩრდილოეთთან აკავშირებდა.

ავჭალის გზას ქვეყნისათვის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური და სამხედრო-საფორტიფიკაციო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ქვეყნის ცენტრს პერიფერიებთან აკავშირებდა, სოფელს ქალაქთან, დამამზადებელს — გამსაღებელთან. გზა ხელს უწყობდა ჯარის სწრაფ ფორსირებას და სხვა.

ავჭალის გზის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ იგი „ქალაქის კართან" — ისანთან იწყებოდა. კარს კი ქალაქის გალავანს იმ მხრიდან ატანდნენ, საიდანაც ინტენსიური მიმოსვლა და ვაჭრობა წარმოებდა.

XII საუკუნის დასასრულს და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე საჯდომ ადგილად მტკვრის მარცხენა ნაპირს ირჩევს. თამარ მეფე იმყოფებოდა „...საჯდომსა მათსა ციხესა ისანს". მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჩქეფს სიცოცხლე. ნაირ-ნაირი საქონლით დატვირთული ქარავნები თბილისში „ქალაქის კარით" შედის, გამარჯვებული მეფე მტრისთვის წართმეულ ნა-

დავლს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, „ქალაქის კარიდან "გლდანამდე ფენს. თამარ მეფე ჯვარს დიდუბის ეკლესიაში იწერს, ქორწილსაც დიდუბის სასახლეში იხდის. ძველი ჩუღურეთის ტერიტორიაზე გამავალი ავჭალის გზა რომ ინტენსიურად გამოიყენებოდა XII—XIII საუკუნეებში, იქიდან ჩანს, რომ სწორედ ამ გზის ახლოს, რიყის ქუჩაზე 1940 წელს მიწის თხრისას აღმოჩნდა ჯალალ ედ-დინის დროინდელი მონეტების განძი. ამავე წელს ამ ქუჩის გაგრძელებაზე, ხეთაგუროვის ქუჩაზე, მიწის თხრისას აღმოჩნდა XIII საუკუნის ორი ცალი მონღოლური მონეტა.

აღმოსავლური საკრავების მკეთებელი ხელოსნები

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდუბეში მიმავალი გზა გადის ჩუღურეთის ტერიტორიაზე მდებარე ორ ხევზე — „ჩუღურეთისა" და „დიდხევზე". სავარაუდოა, რომ სწორედ ამ დროს (XII—XIII სს.) გაჩენილიყო ჩუღურეთის ტერიტორიაზე სოფლური დასახლება, ანდა შეიძლება, ამის მცდელობა იყო, მაგრამ ბედის

უკუღმართობამ ქართველი ხალხის ისტორიის წინსვლა ჯერ შეაფერხა, მერე კი უკუღმა დაატრიალა. ჩუღურეთის სოფლად ჩაშოყალიბება ჩანასახშივე მოსპო მოძალებულმა მტერმა — მონღოლებმა, თურქებმა, ყიზილბაშებმა. დროის მცირე მონაკვეთში თბილისი რამდენჯერმე დაარბიეს, გაძარცვეს და დაანგრიეს. ერი ახლის აშენებას კი არა, მტრისაგან მიყენებული იარების მოშუშვას უნდებოდა. მოძალებული მტრის გამოისობით ბევრი საქარავნო გზა გავერანდა და დავიწყებას მიეცა. ვერც ავჭალის გზა აცდა ამ ხვედრს, ძველებურად ინტენსიურად აღარ გამოიყენებოდა.

ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა. სახელმწიფო სათავადოებად დაიყო. თავადი თავის მამულში — სათავადოში — გამოიკეტა და მეფეს ნომინალურად ემორჩილებოდა. „ავჭალის გზამ“ ჩრდილოეთთან კავშირის დამყარებაში პირველობა „დიღმის გზას “დაუთმო, ადგილობრივ გზად იქცა, თუმცა მთლიანად მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

XVII საუკუნის დასაწყისში არაგვის გოროზი ერისთავი ნუგზარი, რომელსაც თბილისში, „გარეთუბანში“, დაახლოებით იქ, სადაც პიონერთა სასახლე და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმია, სასახლე ედგა, მდინარე მტკვარზე, ახლანდელი ბარათაშვილის სახელობის ხიდის ადგილას, აგებს ქვითკირის ბურჯზე შემდგარ „2 ან 3 მალიან“ ხიდს. 1850 წლის „Кавказский календарь“-ში ვხვდებით ცნობას ამ ადგილას, მდინარე მტკვარზე, ძველი ხიდის ბურჯების არსებობის შესახებ. ხიდის მშენებლობა მეტად შრომატევადი და ძვირად ღირებული საქმე იყო. ამიტომ ხიდზე გადასვლისას მგზავრი იხდიდა საგანგებოდ დაწესებულ გადასახადს — სახიდურს, რომელსაც ხიდის თავში მდგომი პირი კრეფდა. მცხეთის ხიდზე გადასვლისას ბაჟის აკრეფას მშვენივრად აღწერს იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“. „სახიდურზე“ მოგვითხრობს გიულდენშტედტიც: მცხეთის ხიდის „.... სარგებლობისათვის ერთი მცხეთელი აზნაური იღებდა ხიდის ბაჟსო“. რადგანაც ხიდის გადასახადი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ ითვლებოდა, უეჭველია, მისი ამგები ისეთ ადგილს ამოირჩევდა, სადაც მოსახლეობა მრავლად იყო. ვინაიდან ხიდის შეკეთება-აღდგენა ხიდზე გამავალი მგზავრებისაგან შემოსული თანხით ხდებოდა.

ნუგზარ ერისთავის მიერ აღნიშნულ ადგილას ხიდის აგება მიგვანიშნებს, რომ XVII საუკუნეში „ავჭალის გზას“ გამოცოცხლება დაუწყია და თავისი პირვანდელი ადგილი დაუკავებია ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. XVII საუკუნის საქართველოში საქალაქო ცხოვრება ცოცხლდება — ხელახლა იწყება თბილისის დაცარიელებული უბნების დასახლება.

შესაძლოა, XVII საუკუნის დასაწყისში ჩუღურეთის ტერიტორიაზე აღნიშნული ხიდის აგებამ ბიძგი მისცა მისი ტერიტორიის ათვისებას და განსახლებას, ან პირიქით, ნუგზარ ერისთავს აქ ხიდის აგება უკარნახა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლების: ჩუღურეთის, კუკიის, დიდუბის, ავჭალის, გლდანის ხელახალმა განაშენიანებამ და ეკონომიურად მომძლავრებამ. აღნიშნულ ადგილზე ხიდის აგებისას შესაძლოა გათვალისწინებული იქნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც — თბილისის ჩრდილოეთ გალავანში დატანებული კარი.

XIX საუკუნეში, როცა ჩუღურეთი და ძველი კუკია თბილისს შემოუერთეს, ძველი „ავჭალის გზის“ ნაწილს, მდინარე მტკვართან სიახლოვის გამო, „რიყის ქუჩა“ ეწოდა (აწინდელი ხეთაგუროვის ქუჩა).

ჩუღურეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით, გადიოდა მეორე გზაც — „ზემო გზა“. იგი გატანილი იყო „ავჭალის გზის“ პარალელურად, დაახლოებით იქ, სადაც დღეს რკინიგზა გადის. „ზემო გზა“ მოემართებოდა სოფელ ავლაბრიდან და სადღაც, დიდუბესთან თუ ავჭალასთან უერთდებოდა „ავჭალის გზას“. ძირითადად ამ გზით სარგებლობდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან წამოსულნი.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ჩუღურეთის ტერიტორიაზე დღეს-დღეობით შემორჩენილია სამი ეკლესია: „კვირაცხოვლისა“ და „წმ. ნიკოლოზის“ ქართული ეკლესიები და „ღვთისმშობლის“ სომხური ეკლესია. ამათგან ყველაზე ადრეული „კვირაცხოვლის “ეკლესია მდებარეობს ჩუღურეთის ჩრდილოაღმოსავლეთით, დიდხევის მარცხენა ნაპირზე, რკინიგზის ხაზთან, შემაღლებულ ადგილზე (დღეს მას ეკლესიის სახე დაკარგული აქვს; საცხოვრებელ შენობადაა გადაკეთებული).

რა ხნისაა „კვირაცხოვლის“ ეკლესია, არ ვიცით. იგი ქართველ გეოგრაფს, ვახუშტი ბაგრატიონს დატანილი აქვს „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“. ეკლესიის მიმდებარე გორასამლოცველოები — ყეენის და კვირიკობის (სამგორის ზღვის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით)—გვაფიქრებინებს, რომ კვირაცხოვლის ეკლესია უფრო ადრინდელი უნდა იყოს. შეიძლება იგი ღვთაება კვირიას ძველი საკულტო ნიშის ადგილას ააგეს. საგულისხმოა, რომ დროთა ცვლაში წარმართმა ღვთაება კვირიამ ქრისტიანულ რელიგიაში კვირაცხოვლის სახელი მიიღო.

მლოცველთა შეგნებაში წარმართულ ღვთაება კვირიას და ქრისტიანულ ეკლესია „კვირაცხოველს“ ერთი და იმავე ფუნქციის



თელეხჩები

შესრულება ევალებოდათ. ეს სალოცავები განაგებდნენ ამქვეყნიურ საქმეებს. ამაზე მეტყველებს კვირიას ეპითეტები: ხმელთმოურავი, კარავიანი. მას ეკუთვნოდა ცოდვა-მადლის განკითხვა, წულიანობა, მოსავლიანობა, განაყოფიერება და სხვ. თვით სახელი „კვირაცხოველი“ კომპოზიტი უნდა იყოს კვირიასა და „ცხოველისა“. „ცხოველი“ ცოცხალს ნიშნავს, ე. ი. კვირია სიცოცხლისა

და ნაყოფიერების ღვთაებაა. შეიძლება ძველად, ქართველი ხალხის წარმართობის დროს, დღევანდელი კვირაცხოვლის ეკლესიის ადგილზე იდგა წარმართი კვირიას კარავი (შეად. ეპითეტი კარავიანი).

რაც შეეხება კვირიასა და ყეენის კავშირს, ივანე ჯავახიშვილი, როცა ზემო სვანეთში საყველიერო დღესასწაულთან — მურყვანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჩვევას ეხება, ახსენებს „კვირიას" და დაასკვნის, რომ სვანეთში დაცული ამ ჩვევებით შეიძლება ყეენობის პირველყოფადობის დადგენაო. დროთა სვლამ დაამახინჯა წულიანობისა და ნაყოფიერების მთავარი ღვთაების — კვირიას დღესასწაულის პირვანდელი სახე. იგი თბილისურ, საერთოდ ქართულ ყოფაში შემონახულია ყეენობის სახით. ასე რომ, „კვირია" და „ყეენი", მიუხედავად მათი სახელების წარმოშობის დროის სხვადასხვაობისა, იდენტურნი არიან (ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ყეენობა ბევრი რამით ჰგავდა „კვირიას" წეს-ჩვევას). ამდენად, ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები „ყეენის გორა" კვირაცხოვლის ეკლესიასთან გენეტიკურ კავშირში უნდა იყოს. კვირაცხოვლის ეკლესია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიშჩევიჩს ვარაუდის სახით 1775 წლის „თბილისის გეგმაზე" № 85-ით უნდა ჰქონდეს დატანილი. თბილისის 1800 წლის გეგმაზე კი № 11-ით კვირაცხოვლის ეკლესია უკვე ნანგრევების სახითაა დატანილი. ეტყობა, იგი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის მსხვერპლი შექმნილა. ხევს, რომლის პირასაც კვირაცხოვლის ეკლესია დგას, გეგმის (1800 წ.) ექსპლიკაციაში ეწოდება: „Цховели хеви". ეს სახელი ეკლესიის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

ქართველები კვირაცხოვლობას დღესასწაულობდნენ აღდგომის სწორს. საქართველოში კვირაცხოვლობას — წმინდა თომას დღეს — დიდი ზეიმი იცოდნენ. ამ დღეს ქართველებს წესად ჰქონდათ ბურთის თამაში. ეკლესიაში წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის ხელში ჩაგდებაში. ხალხს სწამდა, რომელი ჯგუფიც გაიმარჯვებდა და ბურთს აიღებდა, მთელი წლის განმავლობაში უხვი ჭირნახული ექნებოდა. ზოგჯერ ბურთს ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდნენ და ინაწილებდნენ (იმდენად მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა მას) და ნაგლეჯის

პატრონიც დარწმუნებული იყო, რომ მის ოჯახს მთელი წელიწადი სიუხვე და ბარაქა არ მოაკლდებოდა.

კვირაცხოვლის გორას „წითელი გორა" — „Красная горка"-კვირაცხოვლობის დღეს წითელი კვერცხების დაგორების გამო ეწოდა. დილაადრიან კვირაცხოვლის გორაზე მლოცველები ანჩისხატის ეკლესიიდან მოასვენებდნენ ხატს, რომელზეც ხალხი ლოცულობდა. ლოცვა-წირვის დამთავრების შემდეგ იმართებოდა სახალხო დღესასწაული, სანახაობანი, ჯირთი, ცეკვა-თამაში და ლხინი.

ჩუღურეთის მეორე ქართული ეკლესია „წმ. ნიკოლოზი" დგას მტკვრის ნაპირას. იგი სამნავიანი გუმბათიანი ეკლესიაა. აშენებულია 1812 წელს. 1856 წელს ეკლესია ხელმეორედ აუგიათ ეკლესიის შემოსავლითა და მრევლისაგან შემოწირული სახსრებით. ეკლესიის სამხრეთ სვეტში დატანებული მარმარილოს ფილაზე დაწერილი ეპიტაფია გვაუწყებს ეკლესიის აღმშენებლის ვინაობას: „ეს არს განსასუენებელი ჩუენი ამას დავემკვიდრენით მარჯვნივ მხარეს ღვთაების ხატის წინ განისუენებენ გუამნი ამა ეკლესიის აღმშენებლის უწმინდესის სინოდის კანტორის ჩლენის დეკანოზის იოანე პეტრეს ძის იმნაძისა გარდაცვალებულისა 1872 წ-სა მარტის 4-სა შობიდგან 84-ის წ-სა და მეუღლისა მისისა მაგდანელ მაკარის ასულისა გარდაცვალებულისა 1876-წ-სა სეკდემბრის 30-ს შობიდგან 66-ის წლისა". 1812 წელს აგებულ ეკლესიას კი ამ იოანეს მამას, მღვდელ პეტრე იმნაძეს უკავშირებენ.

1901—1902 წლებში მრევლიდან შეგროვილი სახსრებით, საქართველოს ეგზარქოსის ნებართვით, ეკლესია გაფართოვდა, მიემატა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავები. მშენებლობას მოთავეობდა ეკლესიის მოძღვარი სოლომონ შოშიაშვილი. მშენებლობაზე დაიხარჯა 4.000 მანეთი. შოშიაშვილის მოწვევით მხატვარმა გიგო ზაზიაშვილმა ეკლესია თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ფრესკებით მოხატა და ძველი მხატვრობაც აღადგინა. შოშიაშვილისავე თაოსნობით, ეკლესიასთან XIX საუკუნის 80—90-იან წლებში დაარსდა ქართული სამრევლო სასწავლებელი, სადაც თვითონვე ასწავლიდა.

აღსანიშნავია, რომ შოშიაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია

იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც ქართულ ეკლესიასთან სამრევლო სასწავლებელი დააარსეს. მოძღვარ შოშიაშვილთან (იგი ეკლესიის ეზოშივე ცხოვრობდა), როგორც ქართველი ერის გულშემატკივართან, ხშირად დადიოდნენ დიდი ილია, სოფრომ მგალობლიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ზაქარია ჭიჭინაძე.

ჩულურეთში არსებული მესამე ეკლესიაა „ღვთისმშობლის" სომხური ეკლესია. იგი იდგა მექოთნეთა და პანასევიჩის ქუჩებს შორის (აწინდელი მ. თოიძისა და ნინო ჩხეიძის ქუჩები). უნდა აგებულიყო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. ზუსტი თარიღი არ ვიცით.

ფეოდალურ საქართველოში მეფე დიდი ფეოდალია. მისი პირადი შემოსავალი დამოკიდებულია სამეფო მამულზე.

ქალაქი თბილისი და მისი სანახები, სოფლებითა და გარეუბნებით, ოდითგანვე მეფის კუთვნილება იყო. ჩვენ უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, რა მნიშვნელობაც ჰქონდა ქალაქის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალაქისპირა სოფლებს, ავბედითობის დროს აქედან აყრილი და გახიზნული მოსახლეობის ხელახლა ჩამოყვანას და მათ დასახლებას. გამუდმებულმა ომებმა, რასაც თან სდევდა მოსახლეობის გამეჩხერება, სახელმწიფოს არსებობაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ აქცია იმიგრაციის საკითხი. იმიგრაციასა და რეპატრიაციას ქვეყნის აღორძინებასა და სამეურნეო ცხოვრების აღდგენაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამან თავისი ასახვა ჰპოვა კიდეც ქართულ სამართალში.

სწორედ ამ მოტივით — ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური პოლიტიკით — ხელმძღვანელობდა მეფე ერეკლე მეორე, როცა 1795 წლის 23 დეკემბერს მან ქალაქისპირა, თავისი კუთვნილი სოფელი ჩულურეთი თავად ამატუნს უბოძა. ეჭვს გარეშეა, აღა-მაჰმად-ხანი ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების დარბევისას ჩულურეთსაც გაანადგურებდა. შეიძლება ამ მძიმე მდგომარეობით ისარგებლა თავადმა ამატუნმა და მეფეს სოფელი ჩულურეთი გამოსთხოვა. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: 1795 წლის 23 დეკემბრიდან სოფელ ჩულურეთის მფლობელი ხდება თავადი გიორგი ამატუნი. ის კი, თავის მხრივ, ყოველ

ლონეს იხმარდა, თავისი უფლების გასამტკიცებლად ახალ მამულში თავისი ყმა-გლეხები დაესახლებინა.

XVIII საუკუნის ბოლოს მეფის კუთვნილი მამულის სოფელ ჩუღურეთის სათავადო მამულად გადაქცევა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ობიექტური პირობების გამო, XV—XVI საუკუნეებში დაწყებული საქართველოს სახელმწიფო აპარატის დეცენტრალიზაცია კვლავაც გრძელდებოდა. სოფელ ჩუღურეთის თავად ამატუნის მფლობელობაში გადასვლა მეფის ხელისუფლების დასუსტებასა და თავადის გაძლიერებას ნიშნავდა.

მარიამ დედოფალმა მეფე გიორგი XII გარდაცვალების (1800 წ. 28 დეკემბერი) შემდეგ სოფელი ჩუღურეთი მიიტაცა. ეს ის დროა, როცა მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები ერთმანეთს ეცილებიან სამეფო ტახტის დაკავებაში, მამულების მიტაცებაში და სხვ. დედოფალმა მარიამმა ისარგებლა გიორგი ამატუნის რუსეთში ყოფნით და სოფელი ჩუღურეთი მიისაკუთრა, როგორც მეფის კუთვნილი ძველი მამული. დიდი დავაქარობა ატყდა ჯერ ამ ცილობის, ხოლო შემდეგ ამატუნის მიერ სოფელ ჩუღურეთის მომიჯნავე სოფლების — კუკიის, დიდუბისა და ავლაბრის მიწების მიტაცების მცდელობისათვის.

1802 წელს, საქართველოში რუსული მმართველობის დაარსებისთანავე, გიორგი ამატუნმა სარჩელი აღძრა მარიამ დედოფლის წინააღმდეგ ჩუღურეთის მამულის გამო.

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის 18 იანვარს, პეტერბურგის უწყებაში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ამ მანიფესტს მოჰყვა იმპერატორ ალექსანდრე I მანიფესტი, რომელიც თბილისში გამოცხადდა 1801 წლის 12 სექტემბერს.

მეფის რუსეთმა შეიმუშავა საქართველოს მმართველობის ახალი დებულება, რომლის საფუძველზეც საქართველო რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა. 1802 წლის 12 აპრილს გაიხსნა საქართველოს უმაღლესი მმართველობა, რომლის უფროსად დაინიშნა სამოქალაქო მმართველობაში ჩაუხედავი ადამიანი, კავკასიის ხაზის უფროსი, გენერალი კნორინგი. თბილისის მოსახლეობას დიდით ზარბაზნის გასროლით ეუწყა ახალი მართველობის შექმნა.

ქალაქი თბილისი, ისევე, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიების სხვა ქალაქები, ეკატერინე II 1782 წლის „ქალაქის მმართველობის დებულების“ მიხედვით დაიყო ნაწილებად — საპოლიციო უბნებად. ქალაქის ძველი ხელისუფლების მელიქის მაგიერ დაინიშნა ობერპოლიცმეისტერი.

თბილისი დაიყო სამ საპოლიციო უბნად და ერთ გარეუბნად. უბნები თავისთავად იყოფოდა კვარტალებად.



ძველი თბილისი. ხალიჩების გამყიდველი

საქართველოს უზენაესი მთავრობა შედგებოდა კავკასიის ხაზის უფროსის — მთავარმართებლისა და ექსპედიციის უფროსებისაგან. ექსპედიცია იყო ოთხი: აღმასრულებელი, სახაზინო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლისა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აღმასრულებელი ექსპედიცია, რომელიც სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის საქმეებს განაგებდა. მას სათავეში ედგა მმართველი და ორი მრჩეველი (ერთი — რუსი, მეორე — ქართველი). ამ ექსპედიციას ემორჩილებოდა პოლიცია.

სახაზინო ექსპედიციას სათავეში ედგა რუსი მოხელე ოთხი

მრჩევლით (ქართველი თავადაზნაურობა). ექსპედიცია განაგებდა საგადასახადო ვალდებულებების სწორად შესრულებასა და შემოწმებას. რადგანაც სახაზინო ექსპედიციაში ეკონომიურ-ფინანსური საქმეები შედიოდა, მასვე ევალებოდა სოფლების აღწერაც. ექსპედიცია განაგებდა აგრეთვე გლეხთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას.

სისხლის სამართლის ექსპედიციასაც სათავეში ედგა რუსი მოხელე და ოთხი მრჩეველი. ეს იყო სასამართლო ორგანო, რომელსაც დანაშაულის გამოძიება და დადგენა ევალებოდა.

სამოქალაქო სამართლის ექსპედიცია შემოსულ საქმეებს არჩევდა, როგორც რუსეთის იმპერიის კანონით, ისე ქართული — ვახტანგ VI სამართლით.

ექსპედიციების მიერ გამოტანილი დადგენილებით უკმაყოფილო პირს შეეძლო სარჩელი შეეტანა საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულოში. ბრალდებულსა და ბრალმდებელს შეეძლოთ თავისი საქმე ერთი ექსპედიციიდან მეორეში გადაეტანათ, რაც ხელს უშლიდა საქმის გამოძიებასა და დადგენილების გამოტანას. აღსანიშნავია, რომ ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა არ იცოდა მრავალსაფეხურიანი სისტემა. აქ საკანონმდებლო და აღმასრულებელი სფეროები არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან ისე, როგორც ამას მეფის რუსეთის სახელმწიფო წყობილებაში ვხვდებით.

ექსპედიციათა ფუნქციებსა და მათი მუშაობის ხასიათზე იმიტომ შევჩერდით, რომ ამატუნის სარჩელმა ჩუღურეთის მამულზე და მამულის საზღვრების დადგენის საკითხზე, რომელსაც ხან ერთი, ხან მეორე ექსპედიცია იკვლევდა და ადგენდა, თითქმის ოთხი ათეული წელი გასტანა.

სოფელ ჩუღურეთის საქმის გაჭიანურებას ხელს უწყობდა, ერთი მხრით, რუსი სახელმწიფო მოხელეების მიერ ქართული ენის უცოდინარობა, არაკვალიფიციურობა და დაუდევრობა, მეორე მხრივ — ამატუნის გაქნილობა და სითაღლითე.

1817 წელს, გიორგი ამატუნის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრეებმა ისევ ატეხეს დავაქარობა ჩუღურეთის საზღვრების გამო. 1827 წლის ბოლოს სამხედრო გუბერნატორის, სიპიაგინის მმართველობის დროს გამოყოფილმა სამიჯნო ექსპე-

დიციამ აღადგინა და დაადგინა ჩუღურეთის ზუსტი საზღვრები. 1829 წლის 29 მარტს სახაზინო ექსპედიციამ ჩუღურეთის შესახებ თავისი მოხსენება და გადაწყვეტილება წარუდგინა საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ პასკევიჩს. სახაზინო ექსპედიციის კომისიას ამ მოხსენებაში შეჯამებული ჰქონდა თავისი წინამორბედი კომისიებისა და ექსპედიციების დადგენილებები და დასკვნები, რის საფუძველზეც თავად ამატუნის მამული, სოფელი ჩუღურეთი შემოიფარგლა მისი ბუნებრივი და არსებული ძველი საზღვრებით. დადგინდა, რომ ჩუღურეთი მოიცავს: 49 დესეტინა და 1040 საჟენ სასარგებლო მიწას და 3 დესეტინა და 200 საჟენ გამოუსადეგარ მიწას. ჩუღურეთის მიწაზე სახლობს 104 კომლი მოსახლე, აქედან 12 საეკლესიო, 44 სახელმწიფო და 48 სათავადაზნაურო.

ეს აქტი უზენაესმა სენატმა დაამტკიცა 1836 წლის 4 მაისს.

მართალია, რუსეთთან შეერთებით საქართველომ თავისი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებელი სახე დაკარგა, მაგრამ არსებითად ამ აქტის ძირითადი პროგრესულობა გამოიხატა იმაში, რომ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა, რაც აუცილებელი და ესოდენ საჭირო იყო ეროვნული კულტურისა და ეკონომიური ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის.

სულ მცირე შესვენებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ თბილისს თავისი საუკუნოვანი ზღუდე გაერღვია და მდინარე მტკვრის აღმა, ორივე ნაპირზე განევრცო თავისი ტერიტორია.

თავდაპირველად ქალაქმა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. გარეთუბნის ტერიტორიაზე დაიწყო განაშენიანება. ამას ხელს უწყობდა ის, რომ აქ გადიოდა რუსეთისაკენ მიმავალი გზა.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კი დღის წესრიგში დადგა ქალაქისპირა სოფლების: ჩუღურეთის, კუკიისა და ხარფუხის ქალაქთან შეერთების საკითხი.

1823 წელს მოეწყო თბილისისპირა სოფლების კამერალური აღწერა, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ ჩუღურეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ როგორც მიწათმოქმედი ყმა გლეხები, ისე სხვადასხვა ხელობის ხელოსნები.

1823 წლისათვის საქართველოს სტატისტიკური აღწერის მიხედვით ჩუღურეთში სახლობს: სახაზინო (სახელმწიფო) —

44, საეკლესიო — 12 და საბატონო — 57, სულ 113 კომლი ყმა გლეხი. სოფელ ჩუღურეთის ტერიტორიაზე სახნავ-სათესად გამოიყენებოდა 5.000 დღიური მიწა. გამოუსადეგარი იყო 500 დღიური მიწის ფართობი. აღწერის შედეგად გამოირკვა, რომ ჩუღურეთში იყო: ათი აგურის ქარხანა, ოთხი სამეთუნეო ქარხანა, რვა სამღებრო, სამი სამჭედლო, ერთი საპნის ქარხანა, ერთი სადალაქო, ორი დუქანი, ორი გაჯის ქარხანა, ერთი თორნე.

ამრიგად, ჩუღურეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების ქარხნები ყოფილა. ეს ქარხნები, ცხადია, არ უნდა წარმოვიდგინოთ ამ ტერმინის დღევანდელი გაგებით: იმდროინდელი ქარხანა იყო პატარა სახელოსნო, სადაც მუშაობდა ორი-სამი ან ცოტა მეტი ხელოსანი.

გარდა ამისა, დიდების მიწაზე ჩუღურეთელებს ეკუთვნოდათ ცხრამეტი ბაღი. ამგვარად, ჩუღურეთი ყოფილა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ხელოსნური მეურნეობის უბანი.

XIX საუკუნის 20-იან წლებში სოფელი ჩუღურეთი და კუკია ისე შეემიჯნენ ქალაქ თბილისს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა, ეს სოფლები ქალაქისათვის მიერთებულად გამოეცხადებინა.

ამიერიდან ჩუღურეთი და კუკია თავისუფლდებოდნენ საერობო პოლიციის მეურვეობიდან და შედიოდნენ თბილისის პოლიციის ზედამხედველობაში.

მართალია, ჩუღურეთი თბილისს შემოუერთეს, მაგრამ იქაურები ისევ სოფლის მცხოვრებლებად იწოდებოდნენ და ისევ იბეგრებოდნენ, როგორც ჩვეულებრივი საბატონო ყმა გლეხები.

ქალაქთან ჩუღურეთის ტერიტორიული შეერთების მიუხედავად, მისი კეთილმოწყობის და აზომვა-დაგეგმარების საქმეში კარგა ხანს არაფერი გაკეთებულა. საქართველოს მთავარმმართებლების ხშირ-ხშირი ცვლა ხელს უწყობდა ადგილობრივი მართვის აპარატში გამეფებულ ქაოსს. ადგილობრივიც და საერთოდ, მეფის რუსეთის ხელისუფლება იმ დროს დაინტერესებული იყო კავკასიის მთიანეთის ამბებით(კავკასია ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო შეერთებული რუსეთთან) და სამოქალაქო საქმეებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა.

1827 წლის 29 ივნისს დაარსდა ქალაქ თბილისის მომწყობი კომიტეტი, რომელსაც თბილისის კეთილმოწყობა ეკისრებოდა. კომიტეტს თავმჯდომარეობდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი. შედგებოდა საგუბერნიო პროკურორის, თბილისის პოლიცმეისტერის, საგუბერნიო არქიტექტორისა და ინჟინრისაგან. კომიტეტი საქმეების განსახილველად კვირაში ორჯერ იკრიბებოდა—ხუთშაბათობით და შაბათობით, ორ კვირაში ერთხელ კი მემორიალი (ჩანაწერი) უნდა წარედგინა სამხედრო გუბერნატორისათვის. კომიტეტი მუშაობას წარმართავდა წინასწარ შემუშავებული, შვიდი მუხლისაგან შემდგარი დღის წესრიგით. მას უნდა აეზომა და გეგმაზე დაეტანა ყველა დაუსახლებელი სახაზინო მიწის ნაკვეთი. იმ შემთხვევაში, თუ კერძო პირი სახაზინო მიწის ნაკვეთის გამოყოფას მოითხოვდა, კომიტეტს უნდა გაეთვალისწინებინა, შემდგომში აღნიშნულ ადგილზე სახელმწიფო დაწესებულების აშენებას ხომ არ აპირებდნენ. უნდა განეხილა გეგმები და პროექტები, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მშენებლობათა სამოქალაქო უწყებანი; გამოეძებნა სახსრები იმ პირთა წასახალისებლად, რომლებიც მიწის ნაკვეთის შეძენას აპირებდნენ; ყურადღება მიექცია ძველი შენობების შეკეთებისათვის; რაც შეიძლება მალე გამოეძებნა სხვა ადგილი ქალაქის შუაგულში მდებარე სასაკლაოსათვის და სხვ.

XIX საუკუნის დასაწყისში ჩუღურეთში მეტწილად მიწურ სადგომებსა და ერთსართულიან ბანიან სახლებს თუ შევხვდებოდით, რომლებიც ყოველგვარი გეგმისა და პროექტის გარეშე უსისტემოდ იყო აგებული. იმხანად, ასე თუ ისე, ქუჩის სახე ჰქონდა ავჭალის გზას (შემდგომში რიყის ქუჩა, დღევანდელი ხეთაგუროვის), რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩუღურეთის ტერიტორიაზე გადიოდა. ერთი სიტყვით, ჩუღურეთის კეთილმოწყობას კონკრეტული ღონისძიებანი ესაჭიროებოდა.

1827 წლის ოქტომბერში თბილისის სამხედრო გუბერნატორი სიპიაგინი ქალაქ თბილისის მომწყობ კომიტეტს მითითებას აძლევს, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ქალაქთან ახლად შემოერთებული კუკიისა და ჩუღურეთის კეთილმოწყობისათვის. უნდა შემდგარიყო აღნიშნული უბნების გეგმა; სასტიკად იკრძალებოდა ამ ტერიტორიაზე მშენებლობა მთავრობის ნებადა-

ურთველად და გეგმაზე დაუტანლად; უნდა დაგეგმარებულიყო ქუჩები მითითების თანახმად; თუ ქუჩის გაყვანას რომელიმე ძველი ნაგებობა შეუშლიდა ხელს, ის უნდა აეღოთ და სხვ.

ჩუღურეთისა და კუკიის ტერიტორიის ახალი ქუჩებისა და კვარტალების (თუ ასეთი რამ იყო) გეგმაზე დატანა დაევალა კომიტეტის წევრს, ინჟინერ-პოდპორუჩიკ ლაზარევს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე ხელიდან ხელში გადადიოდა: ლაზარევის შემდეგ მას სათავეში ჩაუდგა ანიჩკოვი (1831 წ.), რომელმაც, თავის მხრივ, ამ დავალების შესრულება გადააბარა სოკოლოვანოვს.

რაღა თქმა უნდა, საქმის შემსრულებელთა ასეთი ხშირი ცვლა კარგ შედეგს ვერ გამოიღებდა. საქმე ფერხდებოდა და ჩუღურეთს ისევ ისეთი გარეგნული სახე რჩებოდა, როგორიც საუკუნის დასაწყისში ჰქონდა.

იმ დროს თბილისის მარჯვენა ნაწილი მარცხენას ავლაბრის ხიდით უკავშირდებოდა. ნორმალურ მიმოსვლას ძლიერ აფერხებდა ჩუღურეთის ხევები. ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირველ რიგში ყურადღება საკომუნიკაციო საკითხს, გზებისა და ხიდების მშენებლობას მიაქცია.

1827 წლის 26 დეკემბერს სამოქალაქო გუბერნატორის მითითებით დაიწყო ჩუღურეთის ხიდის მშენებლობა ავლაბრის მხარეს.

რასაკვირველია, ხიდებისა და გზების მშენებლობაზე ადგილობრივი ხელისუფლების ასეთი დიდი ყურადღება გაპირობებული იყო, პირველ რიგში სამხედრო საქმეებით.

თბილისის პოლიცმეისტერის 1831 წლის 11 დეკემბრის მოხსენებაში საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ზავილეისკისადმი მოცემულია თბილისის ხიდების სია, საიდანაც ვიგებთ, რომ თბილისში რვა ხიდი ყოფილა, აქედან ერთი — ჩუღურეთში.

ქალაქის მომწყობმა კომიტეტმა ჩუღურეთის კეთილმოწყობისათვის ბევრი ვერაფერი გააკეთა.

პირველად კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა მიიღო გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა (1845—1854). ახალი თანამდე-

ბობის დასაკავებლად იგი თბილისში 1845 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა.

მეფისნაცვალ ვორონცოვს კავკასიაში ადგილობრივი ხალხების მიმართ იგივე რუსიფიკატორული მიზნები ამოძრავებდა, რაც მის წინამორბედ მეფის რუსეთის მოხელეებს. ოღონდ მათგან განსხვავებით, იგი ამ მიზნების მისაღწევად სხვაგვარ, უფრო მოქნილ პოლიტიკას ხმარობდა. მის დროს ქალაქ თბილისში დაიწყო გაცხოველებული საქალაქო მშენებლობა. იწყება თბილისის ევროპიზირება — ქალაქიდან იდევნება (ყოველ შემთხვევაში ცდილობდნენ) ეროვნული წეს-ჩვეები და მის ადგილს ევროპული წეს-ჩვეები იკავებს. ვორონცოვის დროსვე იწყება რუსების ინტენსიური ჩამოსახლება საქართველოში.

1845 წლის 7 ნოემბერს მეფისნაცვალმა ქალაქის გარეუბნების (ჩუღურეთი, კუკია, ავლაბარი და ნავთლული) სააღმშენებლო სამუშაოებისათვის დააარსა განსაკუთრებული კომისია, რომელიც აღნუსხავდა აღნიშნულ გარეუბნებში მდებარე სახლების მდგომარეობას, დაიტანდა ქუჩებს, ქუჩათა გეგმებს, თუკი ასეთი რამ არსებობდა, და ამ უბნებში მიწის ნაკვეთების მფლობელთა უფლებებს.

XIX საუკუნის 20-იან წლებში აგებული ჩუღურეთის ხის ხიდი დროთა განმავლობაში დალპა და დაზიანდა, ასე რომ, მასზე გავლა ფეხით მოსიარულეთათვისაც კი საშიში შეიქმნა. დაიწყო ხიდის ახალი საყრდენების აშენება. ამჯერად ხის ხიდი ქვითკირის საყრდენებზე გაიდო.

1845 წლის 3 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტ რეუტს დაევალა ქალაქის გარეუბნების — ჩუღურეთის, კუკიის, ავლაბრისა და ნავთლულის საზღვრების დადგენა და გამიჯვნა. ეტყობა, უბრალო მითითებამ საქმეს ვერ უშველა და 1847 წლის დეკემბერში შეიქმნა ახალი განსაკუთრებული კომისია რეუტის თავმჯდომარეობით. ახალი კომისიის ფუნქციებშიც იგივე შედიოდა: უბნების აღრიცხვა, დაგეგმარება და გამიჯვნა.

სოფელი ჩუღურეთი, რომელიც 40-იან წლებში თბილისის გარეუბნად იხსენიებოდა, თანდათანობით კარგავს ამ ზედსახელს და ქალაქის განუყოფელი ნაწილი ხდება. თითქმის 60-იან წლებამდე ჩუღურეთის დაგეგმარება დღის წესრიგიდან არ მოხსნი-

ლა. მართალია, ჩუღურეთში ნელ-ნელა ჩნდება ქუჩები, მაგრამ ისინი მაშინდელი ქალაქის მოთხოვნილებებს და ნორმებს მაინც ვერ პასუხობდნენ.

1847 წელს თბილისის სამ საპოლიციო უბანში 58 ქუჩაა. აქედან მესამე საპოლიციო უბანში, რომელშიც შედიოდა ჩუღურეთი, კუკია და ავლაბარი, 7 ქუჩა იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა წილი ედებოდა ქუჩათა ამ რაოდენობაში ჩუღურეთს. ჩუღურეთში დღეს არსებულმა ქუჩების უმეტესმა ნაწილმა თავისი ადრინდელი სახე, დაახლოებით, 60-იან წლებში მიიღო. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგდროინდელ ქუჩებს სახელწოდებანი მეტწილად უნდა შერქმეოდა ადრე იქ მობინადრეთა საქმიანობის მიხედვით, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე. 50—60-იან წლებში და უფრო გვიანაც ჩუღურეთში მრავლად იყო დაუსახლებელი მიწის ნაკვეთები — სამოსახლოები. მაგალითად, 60-იან წლებში მექოთნეთა ქუჩაზე სამოსახლოს ყიდულობენ: კაპანაძეები, ბერიძეები, უფრო გვიან სამოსახლოს ყიდულობს მაკა თოიძე, გამოჩენილი მხატვრის, მოსე თოიძის დედა და ბევრი სხვა.

ჩუღურეთისა და კუკიის თიხნარი ნიადაგი, რომელიც სამეთუნეო მეურნეობის ერთ-ერთი წყარო იყო, ველარ გამოიყენებოდა ამ საქმიანობისათვის, რადგან ამ ადგილებს მოსახლეობა იკავებდა. ამიტომ თბილისში დაიწყო თიხის „შიმშილი". ხელოსნები ეძებენ თიხის ახალ-ახალ ადგილებს — კარიერებს. 1847 წლის 11 მარტს თბილისის მეთუნეები მეფისნაცვალ ვორონცოვს მიმართავენ თხოვნით, მტკვრის პირას, გერმანელთა კოლონიის მახლობლად, თიხის მოჭრის ნებართვის თაობაზე. მაგრამ მტკვრის-პირა თიხას იქ მოსახლე გერმანელები თავიანთი პირადი საჭიროებისათვის ჭრიდნენ, გარდა ამისა, ეს ადგილები გამოყენებული ჰქონდათ ვენახისა და ბაღების გასაშენებლად.

გარეუბნის მომწყობი კომისიის წევრმა, მიწის მზომელმა ფედოროვმა, რომელსაც მიწის ნაკვეთის გამოყოფა ჰქონდა დავალებული თბილისის მეთუნეებისათვის, აღნიშნულ კომისიას მოახსენა, რომ თბილისის მეჭურჭლეებს, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, თიხის მოსაჭრელად მიწის ნაკვეთი ახალ კუკიაზე გამოეყოთო. ხელოსნებს თითოეული კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთში უნდა გადაეხადათ 40 კაპ. ვერცხლით.

მეთუნეები, ისე როგორც სხვა სახის ხელოსნები, გაერთიანებულნი იყვნენ ამქარში. ამქარი ეწოდება ერთი დარგის ხელოსანთა გაერთიანებას. ამქარს სათავეში ედგა ხელმძღვანელი, რომელსაც უსტაბაში ეწოდებოდა.

თბილისში 50-იანი წლების ბოლოს ვხვდებით ხუთ სამეთუნეო ქარხანას, რომელიც 3.000 მანეთის პროდუქციას იძლეოდა. აქ დამზადებული ნაწარმი მთლიანად თბილისის ბაზრის მოთხოვნილებებს ხმარდებოდა, მაგრამ უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებში თბილისის ბაზარზე სხვადასხვა ნაწარმთან ერთად დიდი რაოდენობით შემოდის სპილენძის, ბრონლის, მინის და ქაშანურის ჭურჭელი. სპილენძის ჭურჭლის ქარხანა წელიწადში უშვებდა 45.000 მანეთის პროდუქციას, ხოლო ქალაქის ხუთი სამეთუნეო ქარხნის პროდუქციის ღირებულება წელიწადში 2.000 მანეთს არ აღემატებოდა. მართალია, გასული საუკუნის 80—90-იან წლებში ჩუღურეთში ჯერ კიდევ არის სამეთუნეო ქურები, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი უმეტესი ნაწილი ან უქმდება, ან არადა მათი გამოშვებული ნაწარმი მეტისმეტად უმნიშვნელოა და ქალაქის ბაზარზე მცირე რაოდენობით გადის.

1885 წელს შედგა თბილისის უძრავი ქონების აღწერის დოკუმენტური დავთარი. წიგნში მოტანილი სამეთუნეო ქარხნების უმეტესი ნაწილი ჩუღურეთზე მოდის: 120 კვ. საჟენ ფართობზე ჰქონდა ჭურჭლის ქარხანა სურბ-კარაპეტას ხევში. ჩუღურეთის მხარეს იაკობ გუკასოვს, მეთუნეთა ქუჩის შესახვევში 72 კვ. საჟენ ფართობზე — კარაპეტა ეგანოვს, 50 კვ .საჟ. ფართობზე — დიმიტრი ჯანაშვილს, მექოთნეთა ქუჩაზე 60 კვ. საჟ. ფართობზე — მელქო ნუნიევს, 50 კვ. საჟენ ფართობზე — ამირბეგოვს.

მთავრობა კრძალავდა ქალაქში, საცხოვრებელი სახლების ახლოს, გამოსაწვავი ქურების მოწყობას, უკვე არსებულის ადგილას კი სახლები შენდებოდა. XIX საუკუნის მიწურულს ამ უბანში, მექ ითნეთა ქუჩის ზემოთ, დოქის ქუჩაზე, სახლობდა ერთი მეჭურჭლე, გვარად ორკოდაშვილი, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისშიაც ამზადებდა თიხის ჭურჭელს—კოკებსა და დოქებს.

დღეს ჩუღურეთში ძველ მეთუნეობაზე მიგვანიშნებს ქუჩების სახელები (კოკის, დოქის, მექოთნეთა — დღეს მ. თოიძის). ძველი ქუჩების სახელები ზოგი ცხოვრების წინსვლას შეეწირა, ზო-

იც ადამიანთა დაუდევრობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ზოგმა მაინც შეინარჩუნა თავისი მყოფადობა.

დროს მაინც თავისი მიპქონდა. თიხის ჭურჭელზე მოთხოვნილება ნელ-ნელა კლებულობდა, რაც, ცხადია, გავლენას იქონიებდა მის საწარმოთა და მწარმოებელთა ძალასა და რაოდენობაზე.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ჩუღურეთში ხელოსნური მეურნეობის გვერდით ჯერ კიდევ არსებობდა სოფლის მეურნეობა. ილღვიანის ტბის დასავლეთ მხარეზე მდებარე ჩუღურეთის კუთვნილი ტერიტორია სახნავ-სათესად და საძოვრად გამოიყენებოდა. XIX საუკუნის 50-იან წლებში ზოგი ჩუღურეთელი მისდევდა სოფლის მეურნეობას, ამუშავებდა მიწას.

ჩუღურეთი ტერიტორიულად დიდი არაა და აქ არსებულ ქუჩათა რაოდენობაც შესაბამისია. ზოგი ქუჩის სახელის ეტიმოლოგია დადგენას არ მოითხოვს. შინაარსი თავისთავად ხსნის მის ისტორიას და რაობას (მაგალითად: მექოთნეთა, კოკის, დოქის, ჩუღურეთის, არსენალის, რიყის), მაგრამ არის ქუჩათა სახელები, რომელთა წარმომავლობა საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ასეთებია: ზარბაზნის, დიდხევის, საპნის, სანთლის, კრასნოგორსკაიას ქუჩების ეტიმოლოგია.

რაც უფრო ძველია ქალაქი, მით უფრო ძველი და ხანდაზმულია მისი ქუჩების სახელებიც. მათში შერწყმულია ქალაქის ისტორიის ესა თუ ის ეპიზოდი. ქალაქს ამშვენებს არა მარტო კარგი არქიტექტურული სახე, არამედ ქუჩათა შინაარსიანი სახელებიც... უნდა ვიცოდეთ, რატომ ჰქვია ამა თუ იმ ქუჩას ესა თუ ის სახელი. ქალაქის ისტორიული და ეთნოგრაფიული წარსულის აღდგენა-შეცნობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა ძველი ქუჩებისა და უბნების სახელწოდებათა ეტიმოლოგიის შესწავლა.

ქუჩათა სახელები ძველი თბილისის დაფურცლული მატიანის შემადგენელი ნაწილია.

XIX საუკუნეში თბილისმა ინტენსიური განაშენიანება დაიწყო მტკვრის მარჯვენა მხარეს, ჩრდილოეთისაკენ. ძველი გარეუბნის ტერიტორიაზე აშენდა ადმინისტრაციული და სამხედრო დანიშნულების სახლები და ნაგებობანი. ამჟამინდელი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის დასავლეთით მდებარეობდა არსენალი, ხოლო აწინდელი სასტუმრო „ინტურისტის“ წინ მო-

წყობილი იყო სამხედრო პლაცი — მოედანი. 1845 წლის 22 დეკემბერს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ბრძანება გასცა საქართველოს ოლქის საარტილერიო გარნიზონის უფროსის სახელზე, რომ 1846 წლის პირველი იანვრიდან, არსენალის მოედნიდან ყოველდღე, შუადღის აღსანიშნავად ერთჯერ გასროლილიყო ზარბაზანი. ცოტა მოგვიანებით არსენალმა და, საერთოდ, სამხედრო უწყებებმა და ყაზარმებმა მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან გადაინაცვლეს მარცხენა ნაპირზე, კერძოდ, ჩუღურეთის აღმოსავლეთით მდებარე გორაზე, რომელსაც შემდეგში არსენალის გორა ეწოდა. აღნიშნული „საათი-ზარბაზანი" დაიდგა ჩუღურეთის ტერიტორიაზე არსენალის გორის მახლობლად, სადაც დაახლოებით დღეს ზარბაზნის ქუჩაა. და აი აქედან ყოველდღე, დღის 12 საათზე, თბილისელთ ზარბაზნის გასროლით ეუწყებოდათ შუადღის მოახლოება. ეს ტრადიცია მოიშალა რევოლუციის შემდეგ.

ცნობილია, რომ თბილისელები სასმელ წყლად მდინარე მტკვარს იყენებდნენ. წყლისმზიდავებს — მეთულუხჩეებს მტკვრის წყალი ეზო-ეზო დაჰქონდათ კოკებით, რუმბებით და კასრებით. მაგრამ მტკვარზე ჩასვლა და წყლის აღება არც ისე იოლი საქმე იყო. ნებისმიერ ადგილას ამას ვერ გააკეთებდით. ამიტომ წყლით მომარაგების უკეთ მოწყობის მიზნით 60-იან წლებში სამხედრო უწყებამ ჩუღურეთში, მტკვართან ახლოს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით, დადგა წყალსაქაჩი[1]. წმ. ნიკოლოზის ეკლესიასა და ამ წყალსაქაჩის შენობას შორის მოეწყო მდინარეზე ჩასასვლელი ვიწრო ბილიკი — გზა წყლის მზიდავებისათვის. ეს წყალსაქაჩი გათვალისწინებული იყო არსენალის გორაზე მდებარე სამხედრო ნაწილის წყლით მომარაგებისათვის. ჩუღურეთში წყლის მზიდავებს წყალი დაჰქონდათ ვიწრო, მოუკირწყლავი ქუჩით. უამინდობის დროს ეს ქუჩა თითქმის გაუვალი ხდებოდა. ამ ქუჩას შემდეგში „წყალსაწევის" ქუჩა ეწოდა.

ქალაქის ბაზარზე ჩუღურეთის ქურებში გამომწვარი აგურის, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის გარდა გადიოდა საპონი, რომე-

[1] პირველი წყალსაქაჩი ვერის ხიდის მიდამოებში სამსახურიდან გადამდგარმა გენერალმა ყორღანოვმა დადგა. წყალსაქაჩის მილების სიგრძე 5.5 კმ. იყო და წყალს აწვდიდა 60 მოსახლეს, აგრეთვე იმ დროს გაშენებულ ალექსანდრეს ბაღს.

ლიც, ჩუღურეთის საპნის სახარშში მზადდებოდა. ჩუღურეთის საპნის სახარში, XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით, ერთადერთი იყო იმდროინდელ თბილისში. საპნის სახარში თავად ამატუნის კუთვნილება იყო და იჯარით ჰქონდა გაცემული თბილისელ აზნაურ გეო ლორის-მელიქოვზე და მოქალაქე დავით ტატოევზე.

საპონი ჩუღურეთის ქურებში გამომწვარ ას ცალ თიხის ქოთანში იხარშებოდა. ეს სახარში მდებარეობდა მტკვრის პირას, დიდხევის ახლოს, აქედან საპნის ნახარში მტკვარში იღვრებოდა და მდინარეს აბინძურებდა. ჩუღურეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის ჩრდილოეთით მდებარეობდა და საპნის სახარშიდან გამოტანილი მთელი უსუფთაობა და ნაგავი მდინარეს ქვევით, ქალაქის ცენტრში ჩაჰქონდა.

ქალაქის მომწყობმა კომისიამ ამატუნს მტკვრის პირას საპნის ხარშვა აუკრძალა და პატრონს წინადადება მისცა, საქმიანობა გადაეტანა ქალაქის სხვა, მოშორებულ ადგილას, კერძოდ, თბილისის მოქალაქის მიხეილ სარაჯიშვილის მიერ ქალაქგარეთ, ნავთლუღში მოწყობილ ქარხანაში. აღსანიშნავია, რომ სარაჯიშვილისავე ქარხანაში ქალაქის ცენტრიდან უნდა გადაეტანათ ტყავის გამოსაყვანი სახელოსნოები — სადაბაღოები.

საპნის სახარშის ნავთლუღში გადატანას წინ აღუდგნენ ამატუნი და მისი კომპანიონები — გეო ლორის-მელიქოვი და დავით ტატოევი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი გაიტანა და ამატუნი იძულებული შეიქმნა, დამორჩილებოდა, ოღონდ სახარში სად გადაიტანა, ჩვენთვის ცნობილი არ არის. შესაძლოა, იგი ისევ თავის კუთვნილ მამულში, სურბ-კარაპეტას ხევში მოაწყო. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს აღნიშნულ ხევთან დღესაც არსებული ქუჩა, რომელსაც საპნის ქუჩა ჰქვია. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია — შეიძლება აქ უფრო გვიან მოეწყო საპნის სახარში.

* * *

XIX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო ჩუღურეთის ჩრდილოეთი საზღვრის დიდი ხევის ამოვსება და ნიაღვარსაშვები კოლექტორების გადახურვა. ამ საქმის დაჩქარებას ხელი შეუწყო თბილი-

სი—ბაქოს რკინიგზის მშენებლობამ, რომელიც დამთავრდა 1872 წელს. იმის გამო, რომ რკინიგზას „დიდი ხევი" უნდა გადაეკვეთა, ჯერ ხევის ის ნაწილი ამოივსო, რომელზედაც რკინიგზას უნდა გაევლო, კერძოდ, კვირაცხოვლის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე. აქედან მოკიდებული ნელ-ნელა იწყება ძველ ხევზე ქუჩის გაყვანა კოლექტორების საშუალებით. „დიდ ხევზე" გატანილ ახალ ქუჩას „კრასნოგორსკაიას" (წითელი გორა) სახელი ეწოდა, იმ გორის მიხედვით, სადაც კვირაცხოვლის ეკლე-

რიყე. 1893 წ. 13 მაისის წყალდიდობა

სია იდგა. ზემოთაც ვთქვით, რომ გორას ეს სახელი შეერქვა იმ თამაშის გამო, რომელსაც ეკლესიაში მოსული მლოცველები მართავდნენ კვირაცხოვლობა დღეს, აღდგომის კვირის თავზე. საგანგებოდ მოწყობილ არხში, ანდა პირდაპირ მიწაზე, გორის ფერდზე, წითლად შეღებილ სააღდგომო კვერცხებს აგორებდნენ. შორს გაგორებული კვერცხის პატრონი მოგებულად ითვლებოდა. ეს თამაში ჩვენში რუსი მართლმადიდებლების მიერაა შემოტანილი (ქართველ მლოცველებს ამ დღეს ჩვეულებად ჰქონდათ ბურთის

თამაში, რაც მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული). დღეს ძველ ხევზე გაყვანილი ქუჩა მაქსიმ გორკის სახელს ატარებს, ხეეის ზევითა ნაწილს კი ვეძათხევის ქუჩა ჰქვია. საერთოდ, აქ ხეეის არსებობაზე მიგვანიშნებს პატარა ქუჩა, რომელიც იწყება აწინდელი კალინინის მოედნიდან და პერპენდიკულარულად ეშვება მტკვრისაკენ. ეს ქუჩაა „დიდი ხევის" დაღმართი. თავის დროზე „დიდ ხევზე" ქუჩის გატანას და მის გადახურვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი უბნის — კუკიისა და ჩუღურეთის მცხოვრებთა წყლით მომარაგებისათვის, რადგან „დიდი ხევის" ახალი ქუჩა წყალსაწევის ვიწრო და მოუკირწყლავ ქუჩასთან შედარებით უფრო ფართო და ადვილად ასასვლელი იყო. დიდ ხევთან მოეწყო წყლის მზიდავებისათვის წყალზე ჩასასვლელი საგანგებო გზა. დიდი ხევის გადახურვით გაუმჯობესდა აგრეთვე მიმოსვლა რიყის ქუჩაზე.

1861 წელს დაიწყო რიყის ქუჩის მოკირწყვლა. ამ ქუჩის მნიშვნელობა დღე და დღე იზრდებოდა, როგორც მტკვრის მარცხენა ნაწილის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალისა.

რიყის ქუჩა თავისი სიგრძით მეშვიდე ადგილზე იყო მაშინდელ თბილისში. მისი სიგრძე 530 საჟენს უდრიდა და აერთებდა ავლაბარს, ჩუღურეთს, კუკიას და თბილისთან ახალშემოერთებულ გერმანელთა კოლონიას.

80-90-იან წლებში გატარდა დიდი ღონისძიება უამინდობის დროს ჩუღურეთის ხევნარიდან მოვარდნილი წვიმის წყლისათვის წყალსადენებისა და ნიაღვარსაშვებების მოსაწყობად.

ჩუღურეთის სამხრეთით მეორე დიდი ხევის — კიბალჩიჩის კეთილმოწყობა დამთავრდა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში. ამ სამუშაოს შესრულებისას დაიფარა ძველი ერთმალიანი, ქართული აგურით ნაგები ჩუღურეთის ხიდიც.

ჩუღურეთის უბნის კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში რიყის ქუჩაზე, მტკვრის პირას, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ჩრდილოეთით, არსებობდა აბანო, რომელსაც 600 კვ. საჟენი ეკავა. იგი ცხელი წყლით მარაგდებოდა საგანგებო ორთქლის ქვაბის საშუალებით. აბანო ეკუთვნოდა იზმაილოვს.

* * *

ქ. თბილისის მოსახლეობის ზრდას ხელს უწყობდა ქალაქის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მასზე გამავალი სატრანზიტო გზები. თბილისის ქარვასლებში შეუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა საქონელი: ერთი მხრივ, თურქეთიდან, სპარსეთიდან, არაბეთიდან, ინდოეთიდან, ხოლო მეორე მხრივ — ევროპიდან — რუსეთის გამოვლით და შავი ზღვის საშუალებით. თბილისი იყო ამიერკავკასიის არა მარტო კულტურულ-ადმინისტრაციული, არამედ მთელი კავკასიის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიური და სავაჭრო ცენტრი. ქალაქის ქარვასლებში შემოტანილი საქონლის ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად, ნაწილი კი მსოფლიოს ბაზარზე — აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ გადიოდა.

1864 წლის 13 ოქტომბერს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება თბილისის გუბერნიაში ყმობისაგან გლეხების განთავისუფლების შესახებ. აღნიშნული რეფორმის შემდეგ თბილისს აწყდება სოფლიდან წამოსული იაფი მუშახელი. სავაჭრო კაპიტალთან ერთად თბილისში მტკიცდება სამრეწველო კაპიტალი, შენდება და მწყობრში დგება სხვადასხვა სახის მსხვილი საწარმო.

თბილისის მოსახლეობა სწრაფად იზრდება: თუ 1862 წელს 62.318 სული ცხოვრობს, 1876 წლისათვის იგი 100 ათასს სჭარბობს. მოსახლეობის შესაბამისად მატულობს ტრანსპორტიც. 1852—1853 წლებში აგებული ნიკოლოზის და მიხეილის (ვორონცოვის) ხიდების ტრანსპორტისა და მგზავრთა გამტარუნარიანობა ვეღარ აკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებებს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში იწყება მუშაობა მტკვარზე ახალი ხიდების ასაგებად. 1884 წელს დამთავრდა ვერის ხიდის მშენებლობა.

ქალაქის ტერიტორიაში შემავალი მტკვრისპირა მიწების უმეტესი ნაწილი კერძო პირებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ცდილობდნენ, ესარგებლათ ხელსაყრელი შემთხვევებით და თავიანთ მიწის ნაკვეთში ნამდვილ ღირებულებაზე მეტი საფასური აეღოთ. როცა ჯერი მიდგა მუხრანის ხიდის აგებაზე, მიწის ნაკვეთების მეპატრონეებმა ისე დიდი ფასი მოითხოვეს, რომ ქალაქმა მისი გაღება ვერ შეძლო. ამის გამოისობით 80-იან წლებში წამოჭრილი

მუხრანის ხიდის მშენებლობის საკითხი მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გადაიჭრა.

1908 წლის 9 ნოემბერს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ პატონის პროექტით საფუძველი ჩაეყარა მუხრანის ერთმალიან რკინის ახალ ხიდს. იგი უნდა აშენებულიყო XVII საუკუნეში არაგვის ერისთავის მიერ აგებული ხიდის ადგილას (მისი ნაშთები 1909 წელს ააფეთქეს ახალი ხიდის მშენებლობისას).



მუხრანის ხიდი 1911 წლის 24 აპრილ.

1911 წლის 24 აპრილს „Тифлисский листок"-ი წერდა, ხიდის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე დამსწრეთა რიცხვი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მოსაწვევი ბარათები დაუწესებიათ.

ახალი ხიდის გახსნას დასწრებიან: მეფისნაცვალი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, მეფისნაცვლის მოადგილე, ინფანტერიის გენერალი შატილოვი, სენატორი ვატაცი, საქართველოს ეგზარქოსი ინოკენტი, რომელიც ანჩისხატის ეკლესიიდან სასულიერო ლიტანიას მეთაურობდა, ქალაქის ინტელიგენცია და სხვ. ხიდზე გადასასვლელი ზონარი გაჭრა მეფისნაცვლის მეუღლემ, სტატ-დამამ ელისაბედ ანდრიას ასულმა... ხიდის ახლომახლო სახლებზე სადღესასწაულო დროშები იყო გამოფენილი. ამ დღისთვის სა-

განგებოდ გაუშენებიათ სკვერები, საღამოთი კი ქალაქის ილუ-მინაცია მოუწყვიათ.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალით, თბილისის და მისი გარეუბნების გეგმებით, რუკებით, ძველი ჩუ-ღურეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი მიკროტოპონიმიკით მტკიცდება, რომ თბილისისპირა სოფელი ჩუღურეთი ყოფილა ქალაქის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბანი და მას გარ-კვეული წილი შეჰქონდა ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ELIAS UBANI



ველი თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის, სურბ-კარაპეტას (ამჟამინდელი კიბალჩიჩის) ხევისა და რკინიგზის გადამკვეთ ტერიტორიას, რკინიგზის გადაღმა მხარეს, ელიას უბანი ეწოდება.

წმიდა ელია ქართულ აპოკრიფულ მოთხრობებსა და საეკლესიო ლექსებში „ღრუბელთ წინამძღვარია". იგი განაგებდა სეტყვას, ჭექა-ქუხილს, წვიმას და გვალვას.

1654 წელს ქართლის მეფის, როსტომის მიერ გაცემული წყალობის სიგელის მიხედვით მეფემ ქალაქ თბილისის ზარაბს[1] ხოჯა ბეჰბუდას მახათის ეკლესიის ქვემოთ, ვაკე ადგილზე, სასაფლაოსათვის მიწის ფართობი და სასაფლაოს გვერდით საბაღე ადგილი უწყალობა. ამავე სიგელის მოწმობით, ხოჯა ბეჰბუდამ, თავისი ბაღის მოსარწყავად მახათის ეკლესიის ხევში მდებარე წყაროდან რუ გამოიყვანა.

დღეისათვის ელიას უბანში რაიმე საკულტო ნაგებობა ან სალოცავი აღარაა. XIX საუკუნის შუა წლებში ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ნაშრომში „ძველი თბილისის სიძველეთა აღწერა" წერდა, რომ: „ავლაბარში მაღლა აღმართული მახათას სახელით ცნობილი მთა არის. მასზე წმინდა ელიას სახელობაზე

---

[1] ზარაბი — ლითონის ფულის მომჭრელი. ზარაბხანა — სახლი, შენობა, სადაც ფულს ჭრიდნენ. ზარაბხანა ქართლის მეფის სასახლის მახლობლად, ამჟამინდელ ერეკლეს სახელობის მოედანთან იდგა.

აგებული ეკლესია მდგარა. სიმბოლოდ, როგორც სასწაულმოქმედი ამაღლებისა, ამ სიმაღლეზე მოდიოდნენ და ახლაც მოდიან თაყვანისსაცემად. წმინდა დღესასწაულს 20 ივლისს. აგურით ნაგები ეკლესიის საფუძველი, რომელიც ერთი არშინის სიმაღლისაა. ჯერ კიდევ მთელია — არსებობს". პლატონ იოსელიანი ძვირფას ცნობას იძლევა ძველი ჩუღურეთის ტერიტორიაზე სახელწოდება ეკლესიას არსებობის გაგებისათვის.

მახათას მთაზე ილია წინასწარმეტყველის სახელობაზე სალოცავის არსებობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ლეგენდარული ილია ხომ პალესტინაში, კარმილის მაღალ მთაზე იჯდა და იქიდან ადევნებდა თვალს, რა ხდებოდა მის ქვეყანაში. ამ მთიდან იცავდა ჭეშმარიტი ღმერთის ღირსებას. „ილია" ნიშნავს ღმერთის მფარველს, ცხესიმაგრეს.

მახათას მთა ახლომდებარე მთებისაგან თავისი მკვეთრი კონფიგურაციით გამოირჩევა. პირამიდის ფორმის მთა ცისკენაა ატყორცნილი და ღვთაება ილიასთვის უთუოდ მშვენიერი ადგილი იქნებოდა მასზედ დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. როდის ააგეს მახათაზე ილია წინასწარმეტყველის სახელობაზე სალოცავი თუ ეკლესია, ცნობილი არაა.

დაახლოებით ოცდათოთხმეტი საუკუნის წინ მესაქონლე-მომთაბარე ებრაელმა ტომებმა არაბეთის ნახევარკუნძულზე დაიპყრეს ქანაანელთა სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა მიწათმოქმედებას მისდევდა და საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ებრაელები. დამპყრობ ებრაელებს აქ დახვდათ ადგილობრივი ღვთაებანი. დამპყრობელმა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბევრი რამ შეითვისა დაპყრობილისაგან. ქანაანელთა მიწათმოქმედების, ჭექა-ქუხილისა და წვიმის ღვთაება იყო ილ//ელ, რაც ქანაანელთა ენაზე ნიშნავდა ღმერთს. მას შემდეგ, რაც მომთაბარე ებრაელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, მათაც იწამეს ქანაანელთა ილ/ელ ღვთაება. მაგრამ ებრაელები არაბეთის ნახევარკუნძულზე „ხელცარიელები" არ მოსულან. მათაც ჰყავდათ თავიანთი იაჰვე, რომელსაც თაყვანს სცემდნენ და ადიდებდნენ.

ილ//ელ ქანაანელთა მოსავლის, ელვა-ქუხილის ღვთაებამ ილია//ელია ღვთაების სახე მიიღო მას შემდეგ, რაც ებრაელთა

ღმერთის იაჰვის სახელის შემოკლებული ია ფორმა დაემატა (ელ+ია//ილ+ია).

ღვთაება ილიამ ბევრი რამ შეითვისა თავისი წინამორბედი ღვთაების ილ//ელ-ისაგან. იგი გახდა ცეცხლისმფრქვეველი (ელვა, ჭექა-ქუხილი) და წყლის სტიქიის (წვიმის, წარღვნის) ღვთაება. ამგვარად, ღვთაებათა პანთეონში ილია||ელია განაგებდა მიწათმოქმედების საქმეებს. ილია//ელია წინასწარმეტყველის ქანაანურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს მეტად საგულისხმო ფაქტი: ხატზე ილია წინასწარმეტყველთან ერთად ხშირადაა გამოსახული ყვავი. ეს ფრინველი კი ქანაანში წმინდა ფრინველად ითვლებოდა. ქანაანელთ იგი თავიანთ მფარველად მიაჩნდათ. ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში (წმინდანთა ცხოვრების აღწერა) ყვავი ყოველთვის ელიას სახელთან ერთად მოიხსენიება.

იუდეველთა ღვთაება ილია//ელია გადმოვიდა ქრისტიანთა რელიგიაშიც და მოსავლის, ჭექა-ქუხილის ფუნქციების შემსრულებლის ადგილი დაიკავა. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ მისი დღეობა შუა ზაფხულში, 20 ივლისს იმართებოდა, როცა პურის მოსავალი მწიფდებოდა და ამინდს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოსავლის აღებისათვის. სეტყვა და ხშირი წვიმები ანადგურებდა ჭირნახულს, ხალხი, რომელსაც სჯეროდა ილიას ძალისა, შესთხოვდა მას, საარსებო წყარო არ მოესპო და მფარველობა გაეწია მათთვის.

ისტორიკოს თეიმურაზ ბაგრატიონს „მახათას" ეტიმოლოგია მეტად საინტერესოდ აქვს ახსნილი.

„მახათა. მეხთა ადგილი, მაღალი და უნაყოფო ადგილი არის, გოგირდიანი და გვარჯილიანი მიწა და ქუხილის ჟამს მეხი იცის".

ჩანს, მკვლევარი „მახათას" მეხის დაცემის ადგილად მიიჩნევს და თვით სახელსაც მეხს უკავშირებს. თეიმურაზ ბაგრატიონის ახსნამ საშუალება მოგვცა ჩავკვირვებოდით სიტყვა „მახათას" არსს. მახათა შეიძლება იყოს მეხის მთა და მისი უძველესი სახელიც. ეს სახელი უფრო ადრინდელი ჩანს, ვიდრე აქ ილია||ელიას სახელობაზე ეკლესიას ააგებდნენ. დასაშვებია, რომ ადრე აქ მეხის, წვიმის, ელვა-ქუხილის ძველ ქართველთა ღვთაების სალოცავი, საკულტო რამ იდგა. და, როგორც ტრადიცია ქართულ

მსოფლმხედველობაში, ქრისტიანულ რელიგიაში ელვა-ქუხილის, წვიმის ღვთაებად ილია//ელიას შემოსვლის შემდეგ მეხის მთაზე ამ ღვთაების სახელობაზე აშენდა ეკლესია.

ჩუღურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების ღვთაებათა სალოცავებისა თუ ეკლესიების არსებობა („ყეინის გორა", „კვირიკობის



თბილისელი ხელოსანი, ყანწების მკეთებელი

გორა", „კვირაცხოვლის ეკლესია", „კვირაცხოვლის ხევი", „ილია//ელია წინასწარმეტყველი") იმაზე მეტყველებენ, რომ ძველად აქ, აწინდელი სამგორის ზღვის სანახებში, მძლავრად ყოფილა განვითარებული მიწათმოქმედება.

ამრიგად, ილია და ელია ერთი და იგივე ღვთაებაა, ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ეკლესიის კედ-

ლის მხატვრობაში დამოწმებულია ილია წინასწარმეტყველის გამოსახულება. ელია წინასწარმეტყველის ფრესკის არარსებობა ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ილია და ელია სახელები იდენტურია და ერთსა და იმავე ღვთაებას ეკუთვნის. ამდენად, ჩუღურეთში ელიას სახელის არსებობა უეჭველად მახათას (მეხის) მთაზე არსებული ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის თუ სალოცავის გავლენითაა. ძველი ქალაქის სანახებში სახელი ილია დაიკარგა, მაგრამ მის ნაცვლად თბილისის ყოფაში მიკროტოპონიმის სახით შემორჩა სახელი ელია.

ძნელი სათქმელია, როდის შემოვიდა ილია//ელიას ღვთაება ქართულ ღვთაებათა პანთეონში. მის ადრეულობაზე ლაპარაკობს ღვთაება ელიას გაჩენა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

ზაფხულში, 20 ივლისს, თბილისისპირა სოფლელები — დიდუბელები, კუკიელები, ჩუღურეთელები, ავლაბრელები და სხვანი ღრუბელთა მპყრობელის, დარისა და ავდრის ბატონის ელიას პატივსაცემად აკეთებდნენ თოჯინა „ელიას" და სიმღერით კარდაკარ სიარულს იწყებდნენ. ოჯახის პატრონი მის კარზე მოსულთ გამოუტანდა კვერცხსა და ფქვილს, თოჯინა „ელიას" და კართან მოსულებს კი წყალს გადაასხამდნენ ხოლმე. როცა მთელ სოფელს შემოივლიდნენ, შეგროვილ კვერცხებსა და ფქვილს გაჰყიდდნენ, აღებული ფულით ბატკანსა და თხას იყიდიდნენ, ბატკანს ღმერთს შესწირავდნენ, თხას კი — ელიას. თუ გვალვიანი ამინდი იყო, ასეთი სიმღერა სრულდებოდა:

დიდება და დიდება,
ღმერთსა დიდება!
ღმერთო, მოგვე მოწყალება,
ღმერთსა დიდება!
ნუ აიღებ ჩვენზე ხელსა,
ღმერთსა დიდება!
ჩვენო წმინდა ელია,
რისთვის მოგიწყენია,
ჩვენი თეთრი ბერწი ფური
შენთვის მოგვირთმევია!
აღარ გვინდა გორახი,
ახლა გვინდა ტალახი.
დიდება და დიდება
ღმერთსა დიდება!

ავდრის დროს „ელიას“ ასე შესთხოვდნენ:

ჩვენო წმინდა ელია,
რისთვის მოგიწყენია,
ჩვენი თეთრი ბერწი ფური
შენთვის მოგვირთმევია!
აღარ გვინდა ტალახი,
ახლა გვინდა გორახი.
დიდება და დიდება
ღმერთსა დიდება!

გადმოცემის თანახმად, სანამ ღმერთი ელიას ცაში აიყვანდა და ღრუბელთა გამგებლად დანიშნავდა, მანამდე იგი ხარაზი, მეხამლე იყო. ერთხელ მას სახელოსნოში ქალად ქცეული ეშმაკი გამოეცხადა და ხამლის — ფეხსაცმლის შეკერვა სთხოვა.

ელია არ იღებდა შეკვეთას, მაგრამ ეშმაკმა თავისი გაიტანა და ელია ფეხსაცმლის შეკერვაზე დაითანხმა. ხამლის თარგის ასაღებად ელიამ ქალად ქცეულ ეშმაკს ნაცარზე დაადებინა ფეხი. „ქალეშმაკამ“ შიშველი ფეხი ზომაზე მეტად დაანახვა ელიას. ხელოსანმა ეს დიდ ცოდვად ჩათვალა და თავისივე ხელით დაითხარა თვალები. ამის მნახველმა ღმერთმა ბრმა ელიას საქციელი დაუმადლა, ცაში აიყვანა, თავის მრავალრიცხოვან წმინდანთა ამალაში ჩარიცხა და „ცა და ღრუბელი“ ჩააბარა, მისცა ერთი ეტლი, რომლითაც ბრმა ელია უვლის თავის საბრძანებელს. იგი ხან იქ გამოჩნდება, ხან აქ. როცა ცაზე გაივლის ხოლმე, იწყება ჭექა-ქუხილი. იმიტომაა, სეტყვის დროს თოფს ისვრიან და ზარს რეკავენ. ამით სოფლელები ბრმა ელიას ატყობინებენ, ქვემოთ სოფელია და არ დასეტყვოო.

კუკია



ტკვრის მარცხენა მხარეზე, ჩრდილოეთის მხრიდან, სოფელ ჩუღურეთის შემდეგ თბილისს ესაზღვრებოდა ახალსოფელი (შემდეგდროინდელი სოფელი კუკია).

თბილისისპირა ახალსოფელი წერილობით წყაროებში და სპეციალურ ლიტერატურაში პირველად ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" მოთავსებულ სოფელთა სიაში გვხვდება.

1721 წლის ქართლის სოფლების აღწერის სიაში ახალსოფელი გამოტოვებულია. აღწერის შესავალში ვახუშტი ბაგრატიონი და მეფის მწიგნობარი გივი თუმანიშვილი აღნიშნავენ: „...აღვწერთ ამ დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარჯვა და ბეგართა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვა ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევეთ და არა აღვწერეთ წიგნისა ამასა შინა".

ვახუშტი ბაგრატიონს კი თბილისის 1735 წლის გეგმაზე „ახალსოფელი" დატანილი აქვს. დასახლების აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით, აქ მოსახლეობა მჭიდროდ არაა დასახლებული.

გეგმით, ახალსოფელი მტკვართან ახლოსაა გაშენებული. გზა, რომელიც ქალაქიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება, ახალსოფელს მოშორებით, აღმოსავლეთიდან ჩაუდის. ესაა ის გზა, რომელიც მოგვიანო ხანის საბუთებში, საქართველოს რუკებსა და

თბილისის გეგმებზე „დიდი ავჭალის" გზის სახელით (დღევანდელი საბჭოს ქუჩა) გვხვდება.

შემდეგი რუკა, რომელზედაც დატანილია ახალსოფელი (უკვე კუკიის სახელით), არის გიულდენშტედტის „საქართველოს 1772 წლის რუკა". წარწერა „კუკიას" გვერდით უზის სამკუთხედი △. ეს აღნიშვნა რუკაზე დართულ, ლათინურ ენაზე შედგენილ ექსპლიკაციაში ასეა ახსნილი: კასტელუმ დესერტუმ (ნიშნავს გაპარტახებულ ციხესიმაგრეს). მოგზაურის მიერ სოფელ კუკიის, როგორც გაპარტახებული ციხესიმაგრის აღნიშვნა, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კუკია ამ დროს მიტოვებულია და გავერანებული.

კუკიის ხელმეორედ დასახლება უფრო მოგვიანებით ხდება.

1801 წელს ერეკლე II მეუღლე დარეჯან დედოფალი რუსი ხელისუფლების წარმომადგენელს მოახსენებს, რომ მან ამ ოცდაექვსი წლის წინ ავლაბარში დაასახლა სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი ხალხი. ლაპარაკობს იგი სოფელ კუკიაზეც:

„პირი სადედოფლო მამულებისა და სოფლების ნუსხისა, დარეჯან დედოფლის მიერ მირთმეული თხოვნისადმი რუსის მართებულებისადმი.

§ მ. ქ. წინწყარო სოფელი ხარაბა, ამისი გლეხნი აქა-იქ დაფანტულნი მომიკრეფია და კუკიას დამისახლებია, რომ არის ჩემგან დასახლებული კაცი დღეს კუკიაში კომლი ლ(30)".

სოფელი კუკია სადედოფლო მამული იყო, ამიტომ, ცხადია, დედოფალი დაინტერესებული იქნებოდა თავის მამულში სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის საჭირო მწარმოებელი ძალა, მიწის მუშა, გლეხი ჰყოლოდა. იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს სოფლის მოსახლეობის ხელოვნურ ზრდას. ამ მიმართულებით დარეჯან დედოფალს სომხითსაბარათიანოში, ქვემო ქართლში მდებარე სადედოფლო სოფელ წინწყაროდან ქალაქისპირა სოფელ კუკიაში გადმოუსახლებია 30 კომლი გლეხი და 18 კომლი განჯელი სომხის ოჯახი. ეს უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. გავიხსენოთ გიულდენშტედტის საქართველოს 1772 წლის რუკა, რომლის მიხედვით კუკია გაპარტახებული ადგილია. სულ რაღაც 8—10 წლის შემდეგ (1781 წლის აღწერა) კი კუკიაში უკვე მოსახლეობაა და მას მოლაშქრის გამოყვანაც შეუძლია.

ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტში „დასტურლამალში“ საგანგებო მუხლი ეძღვნება შინ დაბრუნებულ ემიგრანტთა საკითხს..

სახელმწიფოს ეკონომიურ მოღონიერებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისეთმა ღონისძიებამ, როგორიც იყო გაქცეული, გახიზნული გლეხის და ტყვედ მყოფის უკან დაბრუნება-გამოსყიდვა. სასელმწიფო კანონით, უცხოობაში მყოფს და ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულს ვისაც უნდოდა, იმას ეყმობოდა და თან დროებით თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადისაგან.

ასეთი ღონისძიების შედეგად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის მოსახლეობა გაიზარდა და 60—70-იან წლებში 25.000 მიაღწია.

1800 წელს შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით, კუკია მტკვრის აღმა, ჩრდილოეთით გაზრდილა. ავჭალის გზა მისგან მოშორებით, აღმოსავლეთით დევს. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კუკიისაკენ და ჩუღურეთისაკენ მოემართება სოფელ გლდანიდან წამოსული გზა. ქალაქიდან ჩრდილოეთით, მცხეთისაკენ, აქედან კი რუსეთისაკენ მიემართება ავჭალის ზემო გზა, რომელსაც დასავლეთიდან ერთვის ავჭალის „ქვემო გზა“.

სოფელი კუკია ბუნებრივ საზღვრებს შორის იყო მოქცეული: სამხრეთიდან მას ესაზღვრება კვირაცხოვლის ხევი, ჩრდილოეთიდან — უსახელო ხევი, დასავლეთიდან მდინარე მტკვარი და აღმოსავლეთიდან ხელოვნური მიჯნა — მიწაყრილიანი თხრილი. კვირაცხოვლის ხევის (დიდხევის) ადგილმდებარეობა ცნობილია, რაც შეეხება ჩრდილოეთის საზღვარს, აღნიშნულ რუკაზე (1800 წ.) დატანილი ხევის მიხედვით მისი დადგენა ძნელდება. მოგვიანო ხანის თბილისის სხვა რუკებთან და გეგმებთან შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ თბილისის 1800 წლის გეგმაზე დატანილი უსახელო ხევი უნდა მდებარეობდეს, დაახლოებით, ამჟამინდელი მარჯანიშვილის ქუჩის ჩრდილოეთით.

XIX საუკუნის დასაწყისიდან სოფელ კუკიის ტერიტორია ძირითადად ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფელ დიდუბის ტერიტორიის ხარჯზე იზრდება.

ადგილის სახელი — „ახალსოფელი“ — თვითონ ლაპარაკობს

თავის თავზე. იგი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს წარმოშობილი.

სწორედ ამ დროს „ქართულმა სამეფო ხელისუფლებამ, ფეოდალური, ბატონყმური მეურნეობის შემდგომი აღორძინების მიზნით, მრავალმხრივი ღონისძიება ჩაატარა. უპირველეს ყოვლისა, იგი შეეცადა ქართლიდან კახეთს გაქცეული და იქ თავშეფარებული გლეხობა უკან, თავიანთ ძველ მიწა-წყალზე დაებრუნებინა და ქართლის გავერანებული ადგილები ისევ მოეშენებინა. ქართლში დიდი ხნის დაცლილ-გაუკაცრიელებული სოფლები და მხარეები ხელახლა დასახლდა. ქართლში სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მოშლილი სარწყავი არხების განახლებას და ზოგი ახალი არხის გაყვანას.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების აღორძინება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ხელოსნური წარმოების, ვაჭრობისა და საერთოდ, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას" (საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო 1958 წ. გვ. 331).

უფრო ძნელი და საკამათოა „ახალსოფლის" მეორე, გვიანი ხანის სახელის, კუკიის სადაურობის და წარმომავლობის დადგენა. ისიც ძნელი დასადგენია, ქალაქისპირა დასახლებულმა ადგილმა როდის დაკარგა თავისი ძველი სახელი — „ახალსოფელი" — და როდის შეიძინა ახალი სახელწოდება კუკია.

ზოგადად კუკია, როგორც ადგილის საკუთარი სახელი, წერილობით წყაროებში უფრო ადრე გვხვდება, ვიდრე ის თბილისის პირას გაჩნდებოდა. ქალაქისპირას კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, პირველად გიულდენშტედტის მიერ შედგენილი საქართველოს 1772 წლის რუკაზე გვხვდება.

დღეს ძველი სოფლის, კუკიის სახელი შემოგვრჩა ქალაქ თბილისის მიკროტოპონიმში ადგილის მიმანიშნებელ ტერმინად.

დღევანდელი სალაპარაკო ქართული ლექსიკა ტერმინ კუკიის ახსნის საშუალებას არ იძლევა. იგი დღეისათვის ქართულ ყოფით ეთნოგრაფიულ მასალაში სიტყვა კუკი — გონჯის სახითაა შემორჩენილი.

ქართულ ყოფაში არსებობდა მრავალი დედოფალა — კუკი,

რომლებიც, ძირითადად, მაგიური წეს-ჩვეულების შესასრულებლად იხმარებოდა და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელი ერქვა.

თბილისელი ხარაზი

კუკი-გონჯი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალში იღებდა მონაწილეობას. ხალხის რწმენით, იგი მაგიურ-გრძნეულ ძალას ფლობდა, რომელსაც, ვითომ გვალვის დროს წვიმის გამოწვევა, ხოლო წვიმების დროს დარის მოტანა შეეძ-

ლო. კუკიასთან დაკავშირებული რიტუალი იმართებოდა ზაფხულობით.

კუკია სოფლის სახელად პირველად თრიალეთში, მდინარე ქციის მახლობლად გვხვდება. თბილისისპირა ადგილს სახელი კუკია მიღებული უნდა ჰქონდეს თრიალეთის სოფელ კუკიიდან აყრილი და ქალაქისპირას გადმოსახლებული ყმა-გლეხების გამო XVIII საუკუნის 40—50-იანი წლებში, როცა ხდება სომხით-საბარათიანოს სოფლების მასიური აყრა და გახიზვნა. „ქორონიკონს უმე დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთოებში, აღარ-სად დარჩა შენობა იმ მხარეს... იყო ცემა ლეკთა-გან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა“ .

უთუოდ ამ დროს უნდა აყრილიყვნენ ქციელი კუკიელები და თბილისისპირას — ახალსოფელში დასახლებულიყვნენ. ამის შემდეგ უნდა შერქმეოდა ამ ადგილს კუკია. ადვილი დასაშვებია, რომ ქციიდან აყრილებს ახალსოფელი იავარყოფილი დახვდათ და ამიტომ უფრო ადვილად შეარქვეს ნაოხარ ადგილს თავიანთი სოფლის სახელი.

ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ ახალსოფელი (კუკია) კარგახანს ჩვენს თვალსაწიერს მოფარებულია.

1781 წელს ეწყობა ქართლის მოსახლეობის აღწერა, რომელსაც მეფე ერეკლე II ბრძანებით ატარებენ ომარი ლაშქარნივისი და ყორისაულბაშის ნაიბი გლახა ფალავანდიშვილი.

მოსახლეობის ყოველი აღწერა საგულისხმო ცნობებს გვაწვდის, როგორც დემოგრაფიის, ისე მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. გარდა ამისა, ყოველ აღწერას თავისი დანიშნულება აქვს და რაიმე კერძო მიზანს ემსახურება. 1781 წლის აღწერაში ლაშქარნივისის მონაწილეობა განსაზღვრავს აღნიშნული აღწერის არსს და მიზანს. ლაშქარნივისი ქართული სახელმწიფო მართვის აპარატში სამხედრო საქმეებს განაგებდა. იგი მოხელეა, „რომელიც აწარმოებდა ჯარის მიწერ-მოწერას და მხედართა სიას...“ ყორისაულბაში კი, დღევანდელი გაგებით, პოლიციის უფროსი იყო. ნაიბი მოადგილეს ნიშნავს.

ესე იგი, გლახა ფალავანდიშვილი ყოფილა პოლიციის უფროსის მოადგილე.

1781 წლის აღწერის მიხედვით, სოფელ კუკიაში 47 კომლი გლეხი სახლობს. აქედან მოყოლებული სოფელ კუკიის ცხოვრებაში წყვეტილი ხაზები აღარ შეიმჩნევა. იგი ინტენსიურად მონაწილეობს ქვეყნის სამეურნეო თუ კულტურულ ცხოვრებაში. აღწერაში ვხვდებით მეტად საინტერესო ცნობას: კუკიელი ხელოსნები ყაზაზი მიკირტუმა და მჩითავი გიქუა ქალაქში სახლობენ, იქ საქმიანობენ, მაგრამ ამავე დროს, სოფელ კუკიის მცხოვრებლებადაც ითვლებიან.

1791 წელს შედგენილი საბუთით ირკვევა, რომ სოფელ კუკიას ქერის მოსავლიდან უნდა გამოეღო 5 საპალნე და ბზის საფასური მანეთი.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას, ბუნებრივია, ვერც თბილისიხ მოსაზღვრე სოფლები ასცდნენ. თბილისის 1800 წლის გეგმებზე დატანილია დანგრეულ-განადგურებული ქალაქისპირა სოფლები, მიწასთან გასწორებული გალავნებითა და ეკლესიებით.

იოანე ბატონიშვილი ქართლ-კახეთის სოფლების აღწერის სიაში, რომელიც შედგენილია 1797—1799 წლებში, სოფელ კუკიას მოიხსენიებს, როგორც ნაშენს: „ქ. კუკია, შენი მოსახლენი".

1803 წლისათვის კუკია ისევ სახასო სოფელია. მისი მოსახლეობა იბეგრება. „წელსა ჩყგა ამ წლის სურსათი სომხით-საბარათაშვილოს სახასო სოფლებს, სათავადოებს, ეკლესიის ყმებს და აზნაურიშვილების ყმებს და გატეხილხიდს ზემოთელებს, ყველას სახელდობრ სურსათი შესწერდათ, კომლზე სამი კოდი ამ წლისა, და ერთი ამდენიც შარშანდელი დანარჩომი უნდა გამოერთვას...

იგ. ქ. კუკიას კათალიკოზის ყმებმა კოდი".

1813 წელს მიწისმზომლის, კოლეჟსკი სეკრეტარის ოსოვიცკის მიერ შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე დატანილია სოფელი კუკია. სოფელს შემოვლებული აქვს წითელი მელანი და შიგ ჩასმულია ლათინური ასო A. იქვე წერია, რომ ის არის სახაზინო სოფელი.

1823 წელს მოეწყო სოფელ კუკიის აღწერა. ამ აღწერით კუკიაში სახლობდა 19 კომლი საეკლესიო ყმა-გლეხი, სახაზინო

კი — 145 კომლი. კუკიის მოსახლეობა მისდევდა, როგორც ხელოსნობას, ისე მიწათმოქმედებას. იყვნენ: მეთუნუქეები, მექუდე-ჭონები, მენაბდეები, მეკეს-მეუნაგირეები, მკერავი-თერძები, მჭედლები, კალატოზები, მეწუღე, ყასაბი, მწყემსი, ვაჭარი.

გარდა ამისა, კუკიაში სახლობდნენ თავად-აზნაურთა ყმა-გლეხები: თუმანიშვილების, შანშიაშვილების, თომა ყორღანაშვილის, ბებუთაშვილების, ჭილაშვილების, ამირეჯიბების, გურგენიძეების, სულ 19 კომლი. აქვე სახლობდნენ საკათალიკოსო ყმებიც.

ამგვარად, კუკიაში სახლობდა 183 კომლი. მოტანილი ცნობები გვიჩვენებენ, თუ რა მრავალსახოვანი და დიდი დასახლება ყოფილა კუკია XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის.

1824 წელს სოფელი კუკია სოფელ ჩუღურეთთან ერთად ქალაქ თბილისს მიაკუთვნეს, მაგრამ ერთხანს იგი, ჩუღურეთთან ერთად, მაინც სოფლად იწოდებოდა.

1844 წლის 9 აპრილს შედგენილ საბუთში კუკია თბილისის უეზდის სოფლად იხსენიება.

1825 წელს ჟიხარევმა შეადგინა კუკიისა და ჩუღურეთის გეგმა. გეგმის მიხედვით სოფელ კუკიაში, შენობათა რაიმე გეგმაზომიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია, საცხოვრებელი სახლები უსისტემოდაა გაფანტული.

მას შემდეგ, რაც კუკია ქალაქს მიაწერეს, მისმა მოსახლეობამ სწრაფად იწყო ზრდა და უკვე 1826 წლისათვის აქ 207 კომლი სახლობს, აქედან: სახაზინო ყმა-გლეხი 142, საეკლესიო — 19 და სათავადაზნაურო 46 კომლი. თუ ამას თბილისის გერმანელთა კოლონიის 41 კომლს დავუმატებთ, გამოვა, რომ კუკიაში სახლობდა 248 კომლი.

1827 წელს ქალაქის მომწყობმა კომისიამ დაადგინა, ახლად შემოერთებულ სოფელ კუკიას სათანადო და საგანგებო ყურადღება მიქცეოდა. ყველაფერი, რაც მის ტერიტორიაზე აშენდებოდა, გეგმაზე უნდა დატანილიყო.

1828 წელს შედგენილ თბილისის ახალ გეგმაზე დატანილია კუკიის ტერიტორია ერთი ეკლესიით და საცხოვრებელი სახლებით. ქუჩები და შენობები უგეგმოდ და უსისტემოდაა გაბნეული.

1829 წელს ქალაქის მომწყობი კომიტეტი სახავს ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებებს. მათ შორის იყო სოფელ კუკია-

ში გზის გაყვანა, კერძოდ, ძველი „ავჭალის დიდი გზის“ გაფართოება. ახალი კეთილმოწყობილი გზა ერთმანეთთან დააკავშირებდა კუკიას, ჩუღურეთს, ავლაბარს, თბილისის გერმანელთა კოლონიას და ავჭალის მიმართულებით წავიდოდა.

XIX საუკუნის 40—50-იან წლებში ჩუღურეთიდან და ავლაბრიდან იწყება მასიური გასვლა კუკიაში დასასახლებლად. კუკიის ტერიტორია იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ „ავჭალის დიდი გზის“ გადაღმა, აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით (1850 წ.) გაჩნდა „ახალი კუკიის“ დასახლება.



ყარაჩოღელთა ქეიფი

„ახალი კუკიის“ ტერიტორია აუთვისებელი იყო და მიწის ნაკვეთი შედარებით იაფი ღირდა. ჩუღურეთიდან კუკიაში გადასახლდნენ სახაზინო-სახელმწიფო გლეხები: სერგო გიგოლოვი, ოსიფ მალხაზოვი, ოსიფ დავლათბეგოვი, გიორგი მიხაილოვი, პავლე სავანდელოვი და სხვ. ახალ კუკიაში ერთი კვადრატული საჟენი მიწის ფართობი სხვადასხვანაირად ფასობდა: 4 კაპ., 20 კაპიკი; 40 კაპ. და სხვ. მიწის ღირებულება დამოკიდებული იყო სამოსახლოს ადგილმდებარეობაზე, ნიადაგზე და სხვ.

კუკიაში თითქმის ყველა მოსახლეს გაშენებული ჰქონდა ბაღ-ვენახი. მიწის ნაკვეთი ეზოში გაჭრილი ჭის წყლით ირწყვებოდა, საყანე, დასამუშავებელი მიწები კი სამგორის ტბებთან და ხევ-ნარების პირას ჰქონდათ.

1842 წელს თბილისის მომწყობი კომისია ადგენს დოკუ-მენტს ქალაქის გარეთუბნის — კუკიის მიწების შესახებ. დოკუ-მენტაციის შედეგად უნდა გარკვეულიყო, რამდენი თავისუფალი და დასახლებული მიწის ფართობი იყო კუკიაში, ვის ეკუთვნოდა ის, როდის იყო დასახლებული და სხვა. აღნიშნული მასალების შესადგენად საგანგებო კომისია დაჰკითხავდა ადგილობრივ მო-სახლეობას. თითოეული დაკითხული პირი ჩვენებას ფიცის შემ-დეგ იძლეოდა. ფიცს ხელს აწერდნენ კუკიაში მცხოვრები მართლ-მადიდებელნიც და სომხებიც — გრიგორიანული მოსახლეობა. ფიცი შედგენილია 1824 წელს.

1847 წელს მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის სა-განგებო მითითებით, დაიწყო ახალი კუკიის ინტენსიური დასახ-ლება. სამოსახლოებს როგორც ადრე, ასევე ახლა, ძირითადად თხოულობენ ჩუღურეთელები, ავლაბრელები, ძველი კუკიელები. მიხეილ ვორონცოვის დროს მთელს საქართველოში და, კერძოდ, თბილისში იწყება რუსული მოსახლეობის ინტენსიური შემოსვ-ლა. ზემოთ ჩამოთვლილი კუკიის მეზობელი უბნებიდან შემოსუ-ლი მოსახლეობის და რუსი კოლონისტების ხარჯზე ივსება ახა-ლი კუკიის დაუსახლებელი და თავისუფალი მიწის ფართობი.

თბილისის 1850 წლის გეგმის მიხედვით კუკიაში იყო შემ-დეგი ქუჩები, რომლებიც თავიანთი პირვანდელი სახით დღემდეა შემორჩენილი: „მიხეილის ქუჩა“ (აწინდელი პლეხანოვის) იწყე-ბოდა დღევანდელ „ტელმანის ქუჩასთან“ და მოემართებოდა სწორხაზოვნად სამხრეთისაკენ, დაახლოებით იქ, სადაც დღეს ფოსტამტის შენობაა, ოდნავ გადაუხვევდა აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთდა აწინდელ „კარლ მარქსის მოედანს“ და ამჟამინდელი „ლ. ტოლსტოის ქუჩით“ „ხეთაგუროვის ქუჩასთან“ მთავრდებო-და. მიხეილის ქუჩა იმდროინდელ თბილისში ყველაზე გრძელი ქუჩა იყო (1130 საჟ.). აღსანიშნავია რომ „კირიჩნის ქუჩიდან“ (მარჯანიშვილის ქ.) მოყოლებული „მიხეილის ქუჩამდე“ არც ერთი ქუჩა არაა გატანილი. ამ დროს „გერმანელთა ქუჩა“ (კიე-

ვის ქ.) სწორხაზოვნად კვეთდა „მიხეილის ქუჩას“ და მდინარე მტკვრამდე გადიოდა (გერმანელთა და მიხეილის ქუჩების შესაყართან მდებარე მარჯვენა კუთხის სახლში 1851—1852 წ.წ. ცხოვრობდა გამოჩენილი რუსი მწერალი ლ. ტოლსტოი).

„მიხეილის ქუჩის“ დასავლეთით, დაახლოებით იქ, სადაც დღეს „ჭოროხის ქუჩაა“, გადიოდა ვიწრო ქუჩა, რომელიც მდინარე მტკვრის ნაპირამდე იყო გატანილი. „მიხეილის ქუჩას“ აღმოსავლეთიდან „გერმანელთა ქუჩის“ შემდეგ ერთვოდა ყველა ის



მიხეილის ქუჩის დასაწყისი

ქუჩა, რომლებიც დღესაც არსებობს: რეუტის (მერკვილაძის), კოჩუბეის (სუნდუკიანის), სემიონოვის (ვარციხის). სემიონოვის ქუჩა იწყებოდა „ელისაბედის (კლარა ცეტკინის) ქუჩასთან“, სწორხაზოვნად მიემართებოდა „მიხეილის ქუჩისაკენ“, გადაკვეთდა მას და მრუდხაზოვნად ეშვებოდა. აქ მდინარეზე გადებული იყო დროებითი ხის ხიდი. ხიდი გადებული იყო დაახლოებით იქ, სადაც მდინარე ორად იტოტებოდა, ორბელიანის (გვიანის ხანის მადათოვის) კუნძულების დასაწყისთან. იყო კიდევ „ალექსეევის“ (ჩერნიშევსკის) და „საყდრის ქუჩა“ (ტყვიავის).

ეს სახელი ქუჩამ იქ მდებარე „ღვთისმშობლის“ სახელობის სომხური ეკლესიის გამო მიიღო. მტკვარზე ქვითკირის მცირე ხიდის — ნიკოლოზის სახელობის ხიდის გამო გაჩნდა „ხიდის ქუჩა“ (ნეკრასოვის). ასე რომ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსათვის ძველი და ახალი კუკია უკვე დაგეგმილია.



წისქვილები მტკვარზე, მადათოვის კუნძული და მიხეილის ხიდი

ქალაქთან სოფელ კუკიის შეერთების შემდეგ თბილისი ჩრდილოეთის მიმართულებით, მდინარე მტკვრის ორივე მხარეს, სწრაფად იზრდება. მდინარე მტკვარზე მანამდე არსებული ხიდები და რამდენიმე ბორანი ველარ აკმაყოფილებდა ქალაქის მზარდი მოსახლეობის და ტრანსპორტის მოძრაობის მოთხოვნილებებს.

თბილისის ახალი უბნის, კუკიის და მტკვრის მარჯვენა მხარის, კუკიის მოპირდაპირედ მდებარე გარეთუბნის შესაერთებლად მდინარე მტკვარზე დაიწყო ქვითკირის ბურჯებზე შემდგარი ხიდების მშენებლობა. ხიდების მშენებლობა დამთავრდა 1850—

1853 წლებში (არქიტექტორი სკუდიერი). ხიდები აიგო იმ ადგილას, სადაც მტკვარი ორად იტოტებოდა. მდინარის მარჯვენა ტოტზე აიგო ერთმალიანი, ქვითკირის ბურჯებზე დაყრდნობილი მცირე ხიდი, რომელსაც იმპერატორ ნიკოლოზის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა, მეორე ტოტზე კი აიგო ხუთმალიანი, ქვითკირის ბურჯზე დაყრდნობილი დიდი ხიდი, რომელსაც მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პატივისცემად მისი სახელი ეწოდა.

1857 წელს ადგილობრივმა საზოგადოებამ მოითხოვა, ძეგლი აეგოთ აწ განსვენებული მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვისთვის. ძეგლის დასადგმელად იმპერატორის სახელზე გამოიყო 3000, ხოლო იმპერატორის შვილის, ტახტის მემკვიდრის სახელზე 2000 მანეთი. შეწირული თანხა 36104 მანეთს და 44 3/4 კაპ. შეადგენდა.

1860 წელს ქანდაკებაზე მუშაობას შეუდგა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფესორი პიმენოვი. მისი დაწყებული საქმე განაგრძო მხატვარმა კრეიტანმა. 1866 წელს ბრინჯაოს ორმეტრიანი ქანდაკება ზღვით ჩამოიტანეს ფოთში, აქედან კი — თბილისს. ქანდაკება ალგეთის ქვისაგან აგებულ კვარცხლბეკზე დაიდგა 1867 წლის 25 მარტს. სამუშაოს ხელმძღვანელობდა ცნობილი არქიტექტორი, აკადემიკოსი ოტო სიმონსონი.

ვორონცოვის ძეგლის დადგმამ და მდინარე მტკვარზე ხიდების გადებამ ძველი თბილისის მიკროტოპონიმში ახალი სახელები შემოიტანა. ძველ კუკიაში გაჩნდა ხიდის ქუჩა (ახლანდელი ნეკრასოვის ქუჩა) და მონუმენტის ქუჩა (აწინდელი პლატონის ქუჩა), ხოლო მოედანს, რომელზედაც ძეგლი აღიმართა, მიხეილ ვორონცოვის სახელი (დღევანდელი კარლ მარქსის მოედანი) ეწოდა.

მიხეილისა და ნიკოლოზის ხიდების შესაერთებლად რომ ადგილი აეწიათ, დაიყარა დიდძალი მიწა და გაჩნდა ახალი ქუჩა, რომლის გაყოლებაზე დაიდგა ვაჭარ მირზოევის სავაჭრო დუქნები და ფარდულები.

50—60-იან წლებში იწყება ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა.

კუკიაში შენდება როგორც ადმინისტრაციული დანიშნულე-

ბის. ისე საცხოვრებელი ერთსართულიანი, ორსართულიანი და სამსართულიანი ქვითკირითა და აგურით ნაგები შენობები.

თბილისის შემოგარენში მდებარე სახელოსნო უბნებში და სოფლებში სამეთუნეო ხელოსნობის დაწინაურებას ხელს უწყობდა თიხნარი ნიადაგი. ერთ-ერთი ასეთი სახელოსნო უბანი, ჩუღურეთის, ავლაბრისა და გარეთუბნის შემდეგ იყო სოფელი კუკია. ხელოსნობის ამ დარგის აქ დაწინაურებას ხელს უწყობდა თიხნარი ნიადაგი. კუკიაში იყო ქუზ-ხანები (თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები, სახელოსნოები), აგურის ქარხნები, გაჯის კარიერი.



სასტუმრო „ლონდონი" და წმ. ალექსანდრეს სამლოცველო ალექსანდრეს ბაღში

თიხის კარიერიდან მოჭრილ საჭურჭლე თიხას ხელოსანი ასუფთავებდა მასში შერეული ქვებისა და კენჭებისაგან. საჭურჭლე თიხა განლექილი, წმინდა უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში კენჭშეყოლილი ჭურჭელი დიდფორიანი იქნებოდა და სითხეს გაატარებდა.

გასუფთავებულ-გაცრილ მიწას დამუშავებამდე კარგად აშრობდნენ, შემდეგ კი იწყებოდა მისი დამუშავება, ხელოსანი მას

წყალს ასხამდა და ფეხით ზელდა. მოზელილ მიწას ხელოსანი ხელით სინჯავდა, კარგად მოზელილი მიწა ხელს არ უნდა მიკვროდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას წყალი საკმარისად ჰქონდა და მისგან ჭურჭლის დამზადება შეიძლებოდა.

თიხის ჭურჭელი მბრუნავ მორგვზე — ჩარხზე კეთდებოდა. მოზელილ თიხის ცომს ჩარხის ცენტრში სდებდნენ. ხელოსანი ფეხის მოძრაობით ამუშავებდა ჩარხს და იწყებოდა ჭურჭლის „შენება". ჯერ ძირი კეთდებოდა, მერე ნელ-ნელა, ორივე ხელის მოშველიებით, იწყებოდა ჭურჭლის გვერდების ამოყვანა, რომ-

ეორონცოვის ძეგლი

ლის ფორმის გამოყვანა დამოკიდებული იყო ხელოსნების—მეთუნის ნება-სურვილზე და გემოვნებაზე. მოჭიქული ჭურჭლისათვის საგანგებოდ მზადდებოდა ჭიქურის მასა, რომელშიც ჭურჭელს ავლებდნენ.

საჭიქურე მასალის დამზადებისათვის ხელოსანი იღებდა ჭიქას — მინას, ყრიდა რიყის ლოდის როდინში, რომელსაც შუაგულში პატარა ფოსო ჰქონდა. ფოსოში ჩაყრილი მინა ხისტარიანი ქვის „ყუმბარით" ინაყებოდა. მეთუნე დანაყილ მინას გაცრიდა, რომ იგი წმინდა ყოფილიყო, და წინასწარ აღებული პრო-

პორციით შეურევდა თეთრ კაჟს, ეგრეთწოდებულ „თაგვმარილს“, ტყვიას, კალას. ყოველივე ამის შემდეგ ამ ნარევს წყალს დაასხამდა. ასე იღებდა ჭიქურის დასამზადებელ მასას — ფაფას. ჭიქურის მასა შეიძლება ყოფილიყო გამჭვირვალე — უფერული, ანდა მწვანე, წითელი, შავი და სხვ. ჭიქური იმ ფერს იღებდა, რა სახის მინარევებსაც დაუმატებდა მეთუნე. მაგალითად, წითელი ფერის მისაღებად რკინის ჟანგს ხმარობდნენ და ასე შემდეგ. მოსაჭიქ ჭურჭელს წყალში გახსნილ საშუალო სისქის ჭიქურის ფაფაში ამოავლებდნენ და გამოსაწვავ ქურაში დგამდნენ.

მოჭიქული ჭურჭელი სხვადასხვანაირად მზადდებოდა. ჭურჭელს ქურაში გამოწვავდნენ, გააციებდნენ, შემდეგ კი ჭიქურში ამოავლებდნენ და ისევ ქურაში შედგამდნენ. მაღალი ტემპერატურის გამო ჭიქური დნებოდა და იქიდან გამოღებული ჭურჭელი სხვადასხვა ფერად ბზინავდა. მეთუნე ზოგჯერ ჭიქურს სველ, გამოუმწვარ ზედაპირზეც უსვამდა ხოლმე.

ზოგი მეთუნე მოჭიქული ჭურჭლის კეთების ნამდვილ შემოქმედ ხელოვნად გვევლინება.

მეჭურჭლე ჭურჭლის შიშველ კეცზე ფუნჯით ხატავდა სასურველ კომპოზიციას — ნადირობის სცენებს, შველს, ადამიანთა სახეებს, გეომეტრიულ და მცენარეულ ორნამენტებს და სხვა. შემდეგ მოხატულ ჭურჭელს უფერული ჭიქური გადაევლებოდა და ქურაში იდგმებოდა. ზოგჯერ ჭურჭლის შიშველი ზედაპირი იფარებოდა თეთრი ფერით, ეგრეთწოდებული ანგობით, რომელზეც სრულდებოდა მხატვრობა.

ჭურჭელზე, მის შიშველ, სველ კეცზე მხატვარი-ხელოსანი ჩხირით, „კაწვრით“ ხატავდა. ჩხირით გავლილ კვალში იგი სხვადასხვა ფერს ასხამდა და შემდეგ უფერო ჭიქურში ავლებდა. ასეთი წესით დამზადებული ჭურჭლის ზედაპირზე ხშირად ფერები განლერილია და ერთმანეთშია გადასული. ამ წესით მოხატვა მხატვრის დიდ ოსტატობას მოითხოვდა.

თიხის ნაწარმის გამოსაწვავი ქურა სხვადასხვა ტიპისა იყო. მოჭიქული ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა სიდიდითა და ფორმით განსხვავდებოდა წითელკეციანი, ჩვეულებრივი ჭურჭლის გამოსაწვავი ქურისაგან. ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან კრამიტისა და აგურის გამოსაწვავი ქურები .

მოჭიქული ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა მთლიანად მიწაში იჯდა. იგი მრგვალი, გუმბათიანი ნაგებობა იყო, აგურითა და ქვით ნაგები. მეოთხე, წინა მხარე თავისუფალია, საიდანაც ხელოსანი შედის ქურაში. ქურა ორსართულიანია, სართულებს ყოფს ძგიდე, რომელიც „კალოს", „ჭურჭლის დასალაგებელ თაროს" წარმოადგენს. ქვედა სართულში საცეცხლურია მოთავსებული. მაღლა ქურას სასინათლე ჰქონდა დატანებული. ქურაში

მიხეილის პროსპექტი მუშტაიდის ბაღის შესასვლელთან

ჭურჭელი შეჰქონდათ საგანგებოდ გაკეთებული შესასვლელით.

ქურის ქვედა ნაწილში დანთებული ცეცხლის ალი ქურის გუმბათს სწვდებოდა.

წითელკეციანი ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა კი მიწის ზედაპირზეა ნაგები, ანდა ნახევრად მიწაშია ჩაშენებული. იგი ორ ან ერთსართულიანი ნაგებობაა. ქურას აგურით აშენებენ და ალიზით ლესავენ.

ქურის ცა — თაღი ცალპირი აგურითაა გადახურული. მეოთხე

წინა კედელი გამოსაწვავი ჭურჭლის ჩალაგების შემდეგ შენდება. ჭურჭლის გამოწვა ორი-სამი დღე გრძელდებოდა.

1835 წლის 12 მაისს საქართველოს საინჟინრო ოლქის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ლატოვმა მოხსენება წარუდგინა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს. მოხსენებაში ლაპარაკია სოფელ კუკიის ხელოსნების მოთხოვნაზე. კუკიელი მეთუნეები თხოულობდნენ კუკიასა და თბილისის გერმანელთა კოლონიას შორის მდებარე 500 კვ. საჟ. თავისუფალ მიწის ნაკვეთს კრამიტის ქარხნის ასაშენებლად.

1847 წელს აგურის ქარხანას აგებენ გერმანელთა ეკლესიასა და მტკვარს შორის, თბილისის კოლონისტთა მიწაზე.

კუკიაში აგურის ქარხნები ეკუთვნოდა ოსიპ რამაზოვს და აზნაურ მირო მირიმანოვს, კაზაროვებს, აზნაურ პირადოვს და ბადალოვს. 1857 წელს კუკიაზე მცხოვრები საეკლესიო გლეხი გიორგი სარიგაშვილი ითხოვს ახალ კუკიაში, ახლად დასახლებული მალაკნების უბნის მახლობლად, კრამიტის ქარხნის მშენებლობაზე უფლების მიღებას. სარიგაშვილები მკვიდრი კუკიელები — შთამომავლობით ხელოსნები, მეკრამიტეები იყვნენ.

კუკიის აგურისა და კრამიტის ქარხნებში და ქუზ-ხანებში მუშაობდნენ როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე თბილისის სხვადასხვა უბნელი ხელოსნები: ავლაბრელები, ჩუღურეთელები და სხვა.

კუკიაში ბევრი აგურის თუ კრამიტის ქარხანა და თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქუზ-ხანა იყო. ამ წარმოებას დიდძალი საწვავი მასალა — ხე-ტყე ესაჭიროებოდა. თბილისის ახლო-მახლო მდებარე ტყის საფარის საუკუნოვანმა ექსპლუატაციამ თბილისის მიდამოები გააშიშვლა (აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ნახშირის გამოსაღებითაც იბეგრებოდა). 40—50-იან წლებში კუკიაში მდებარე ქუზ-ხანის, აგურისა და კრამიტის ქარხნებისათვის ხე-ტყეს მტკვარზე აცურებდნენ.

კუკიის მიწების სამოსახლოდ გამოყენებას თანდათან ქუზ-ხანების, მეჭურჭლეთა სახელოსნოების, აგურისა და კრამიტის ქარხნების გაუქმება-შემცირება მოჰყვა. კუკიაში ისევე, როგორც ჩუღურეთში და, საერთოდ, მთელს ქალაქში, თიხის ჭურჭლის წარმოებას ბაზარზე შემოტანილი ფაიფურის ნაწარმი და სპილენ-

ძის ჭურჭელი სდევნის. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ქურათა რიცხვი კლებულობს, კრამიტისა და აგურის ქარხანათა რიცხვი კი მატულობს. ეს გამოწვეული იყო ქალაქის სწრაფი ზრდითა და მშენებლობებით. ამიტომაც შემორჩა კუკიაში გვიანობამდე აგურისა და კრამიტის ქარხნები. კუკიის მიკროტოპონიმში ერთმა ქუჩამ შემოინახა კიდეც აგურის სახელი (ამჟამინდელი მ. ბოჭორიძის ქუჩა). ახალი კუკიის მოსახლე ავთანდილ ცაგარეიშვილი გადმოგვცემს, ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებში ლამის ქუჩაზე მდებარე ქურაში ლადო რაზმაძე წვავდაო კრამიტს. კუკიის სასაფლაოსთან მდებარე ქარხანაში კი ანტონ ბებურიშვილი — თიხის ჭურჭელს. (საინტერესოა თიხის წარმოებასთან დაკავშირებული თვით ქუჩის სახელწოდება — ლამი. ზოგიერთნი ქუჩის სახელის გაჩენას ტალახს — ლამს უკავშირებენ).

ჩუღურეთელი და კუკიელი მეთუნეების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1865 წელს მომხდარ ე. წ. ამქართა აჯანყებას.

ამბავი, რასაც ეს აჯანყება მოჰყვა, ერთი იმ მრავალ დრამატულ ფაქტთაგანია, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თბილისელ ხელოსანთა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ჩუღურეთელი და კუკიელი ხელოსნები ყოველთვის მხარში ედგნენ სხვა უბნისა თუ კუთხის მცხოვრებლებს, მათ ჭირსა თუ ლხინს იზიარებდნენ.

და აი, 1865 წლის 26 ივლისს თბილისის ხელოსანთა აჯანყებაში თავიანთი სიტყვა ქალაქის ამ ძველმა უბნებმაც თქვეს.

26 ივლისის ამბავი ქართულ საისტორიო ლიტერატურაში „ამქართა აჯანყების" სახელითაა ცნობილი.

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში 27 ამქრული ორგანიზაცია იყო. შემდეგ მათმა რიცხვმა 97-ს მიაღწია, აქედან 70 ხელოსანთა, ხოლო 27 ვაჭართა ორგანიზაცია იყო. ქალაქის თითქმის მთელი ეკონომიკა ამქართა ხელში იყო მოქცეული. ისინი აწარმოებდნენ აღებ-მიცემობას, აწესრიგებდნენ საქონლის ფასებს. სწორედ საქონელზე ფასების გადიდებამ და გადასახადთა გაზრდამ, ქალაქის კუთვნილ მიწაზე მოჭრილ თიხასა და გაჯზე ახალი გადასახადების შემოღებამ გამოიწვია თბილისის ამქართა აჯანყება.

იმის გამო, რომ თბილისის მმართველობას საკუთარი სახსრები არ გააჩნდა ქალაქის კეთილმოსაწყობად, იძულებული გახდა, შემოეღო ახალი და გაეზარდა ზემოხსენებული გადასახადები, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელ მოსახლეობას. ახალმა საგადასახადო კანონმა მოქმედება დაიწყო 1865 წლის 1 ივნისიდან.

ამქრებმა თხოვნით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას, გაეუქმებინა ახალი საგადასახადო კანონი, ანდა მისი მოქმედების ვადა სხვა დროისათვის გადაეტანა. ამ მოთხოვნაზე რომ უარი მიიღეს, ამქრებმა გამოსვლისათვის დაიწყეს მზადება. ყოველდღე იკრიბებოდნენ ქალაქის სხვადასხვა ადგილას: სასაფლაოზე, მოედნებზე და მსჯელობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს გადაწყვიტეს, ეკონომიური ბოიკოტი მოეწყოთ — 26 ივლისს დაეკეტათ ყველა დუქანი და სავაჭრო.

27 ივლისს, დილით, ერევნის მოედანზე (ამჟამინდელი ლენინის მოედანი) პოლიციის წინ (აწინდელი ქალაქის საბჭოს შენობა) თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა კაცმა. ქალაქში ხმა გავარდა, მეფისნაცვალთან დაბარებული უსტაბაშები, ამქართა თავკაცები დააპატიმრესო. საღამოს 5 საათისათვის ხალხიდან ვიღაცამ დაიძახა: წავიდეთ, ქალაქის თავი ვცემოთო. შეგროვილ ხალხს ერთი ჯგუფი გამოეყო და ქალაქის თავის, გალუსტ შერმაზდინ-ვართანოვის სახლისაკენ გაეშურა, რომელიც ველიამინოვის ქუჩაზე (აწინდელი დადიანის ქუჩა) იყო. ვართანოვი შინ არ დახვდათ. ხალხმა გულის ჯავრი მის სახლზე იყარა — ერთიანად დაარბია. შემდეგ ისინი ველიამინოვის ქუჩით ისევ მოედანზე მყოფთ შეუერთდნენ, მაგრამ ექსტაზში შესულებს მომხდარი ფაქტი აღარ აკმაყოფილებდათ. გაიხსენეს ხალხისათვის საძულველი გადასახადების ამკრეფი ბაშბეუქ-მელიქოვი. ჯგუფი ხელახლა გამოეყო ხალხს და ვორონცოვის ხიდის (კარლ მარქსის ხიდი) გავლით მივიდნენ კუკიაში,[1] სადაც ბაშბეუქი ცხოვრობდა, მაგრამ იგი მომხდურებს მომზადებული დახვდა: კარდარაბები ჩაეკეტა და დასაცავად მზად იყო. ხალხმა ჯერ ქვების სროლა დაუწყო სახლს, მერე რამდენიმე კაცი გამოეყო ჯგუფს და

[1] ზოგიერთი საბუთით ჩუღურეთში.

სახლის ვიწრო კიბით ზემო სართულზე ასვლა დაიწყო. ბაშბეუქ-მელიქოვი მათ იარაღით დახვდა, ერთი მიმსდური ტყვიით დაჭრა, მეორე — ხანჯლით და ისევ მიიმალა. დაჭრილების დანახვაზე ხალხი უფრო აღელდა და გააფთრებით დაუწყო სახლს ქვების სროლა. გადასახადების ამკრეფმა გაპარვა დააპირა, მეზობლების სახლის სახურავზე გადავიდა, მაგრამ შეამჩნიეს, ქვების სროლით ჩამოაგდეს ძირს და ჩაქოლეს. შემთხვევის ადგილზე, ვითომ ხალხის დასაშოშმინებლად, მოვიდა ქალაქის იასაული ზარიძე რამდენიმე ყაზახით. მან ყაზახებს უბრძანა, უიარაღო ხალხისათვის ესროლათ. მათაც ისროლეს. მოკლეს ერთი კაცი. რამდენიმე დაიჭრა. მეორე დღეს, 28 ივნისს, პროტესტის ნიშნად დაიკეტა ყველა დუქანი და სავაჭრო. ქალაქის არც ერთი მეეტლე არ გამოსულა სამუშაოზე; არც წყლის მზიდველები—მეთუალუხჩეები ჩანდნენ თავიანთი კოკებით. ეკონომიურ ბლოკადას მთავრობა ვერ შეურიგდებოდა. მან ჯარი ქალაქის ქუჩებში გამოიყვანა. დაიკეტა ხიდები. უიარაღო ხალხი და ჯარი ერთმანეთს შეეჯახა, რის შედეგად დაიჭრა და მოკვდა რამდენიმე კაცი.

ქალაქის ამქართა ეს ორდღიანი გამოსვლა იმით დამთავრდა, რომ 70-მდე კაცი დააპატიმრეს. მათგან ზოგი ციმბირის გზას გაუყენეს, ზოგი კი საპატიმროში ჩასვეს.

ამქართა წინააღმდეგ მთავრობამ შემდეგი ზომები გაატარა: ამქართა რიცხვი ოცდაერთამდე შემცირდა. შეიზღუდა მათი უფლებები. ამიერიდან ამქრის თავს — უსტაბაშს ქალაქის თავი დანიშნავდა.

ამქართა აჯანყებამ რომ თავის კულმინაციას სწორედ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მიაღწია, არაა შემთხვევითი. კუკია და მისი მეზობელი ჩუღურეთი თიხის მწარმოებელი ხელოსნების უბნები იყო. ახალი საგადასახადო კანონი, რომელიც თიხის მოჭრასაც შეეხო, უსათუოდ მტკივნეული იქნებოდა ჩუღურეთელი და კუკიელი ხელოსნებისათვის.

1876 წლისათვის კუკიაში უკვე ჭურჭლის გამოსაწვავი სამი ქარხანაა.

მიუხედავად იმისა, რომ კუკიის ტერიტორია, ისევე როგორც ჩუღურეთი, ქალაქთან კარგა ხნის შეერთებული იყო, კუკიელები

მეთუნეობასთან ერთად სოფლის მეურნეობასაც მისდევდნენ, კერძოდ, პურის ყანები ჰქონდათ და ჭირნახულით ამარაგებდნენ ქალაქ თბილისს.

კუკიის ისტორიის შესწავლაში დიდი ადგილი უკავია მის ტერიტორიაზე არსებულ მიწისზედა თუ არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენასა და შესწავლას. სამწუხაროდ, სოფელ კუკიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ წარმოებულა. რაც შეეხება მიწისზედა ძეგლებს, ამ მხრივ კუკია მდიდარია (არის



მიხეილის პატარა ხიდი და შირზოევის ფარდულები

6 ეკლესია). ეკლესიათა უმეტესობა XIX საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. კუკიაში არსებული ეკლესიები ეკუთვნოდათ მართლმადიდებლებს, კათოლიკებს და სომეხ-გრიგორიანელებს (მართლმადიდებელთა და კათოლიკების ეკლესიები დღესაც დგანან და მოქმედებენ, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიები კი ზოგი აღებულია, ზოგიც გადაკეთებულია ქალაქში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს).

ვახუშტი ბაგრატიონის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე" დატანილია კუკიაზე მდგარი უგუმბათო ეკლესია. ეს არის ყველა-

ზე ძველი ცნობა. ვის ეკუთვნოდა ეკლესია ან ვის სახელზე და როდის იყო აგებული, არაა ცნობილი. 1782 წელს ფრანგულ ენაზე შედგენილ და პისჩევიჩის „თბილისის 1785 წლის გეგმებზე“ მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღნიშნულია სომხური ეკლესია. მართალია, ორივე ეს გეგმა ზუსტად არ იმეორებს ვახუშტის გეგმაზე დატანილი ეკლესიის ადგილმდებარეობას, მაგრამ ყველა შემთხვევაში აქ საქმე უნდა გვქონდეს ახალსოფლის (კუკიის) ეკლესიასთან. მეორე საქმეა, კუკიის ეკლესია თავიდანვე მართლმადიდებელ ქართველებს ეკუთვნოდა თუ გრიგორიანელ სომხებს?

დასაშვებია, რომ თავდაპირველად ახალსოფლის ეკლესია ქართველებს ეკუთვნოდა. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ სახელმწიფო არქივში დაცული „თბილისის 1802 წლის გეგმა“, რომელზედაც დატანილია სოფელ კუკიის ტერიტორიაზე აღნიშნული ორი ეკლესია. ერთს, სოფლის სამხრეთ ნაწილში მდგომს, აქვს წარწერა „ქართველთა ეკლესია“, ხოლო მისგან მოშორებით, სოფლის ჩრდილოეთით მდგომს, აქვს წარწერა „სომეხთა ეკლესია“.

მრავალგზისმა ომებმა, ღვარცოფად მოდებულმა მტერმა, გაუთავებელმა ტყვეობამ და ხიზნობამ ქართლ-კახეთის სამეფო დაცალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. საჭირო იყო ქვეყნის მაცოცხლებელი, მწარმოებელი ძალის მოზიდვა, უცხო ელემენტით ამ ხარვეზის შევსება. გავიხსენოთ ერეკლე II ღონისძიება — მომთაბარე თათარი ტომის იძულებითი წესით დასახლება. ამ დროსვე იწყება სომხეთიდან სომხური მოსახლეობის მოზღვავება საქართველოში. მემატიანე ომან ხერხეულიძე მოგვითხრობს, რომ 1780 წელს მეფე ერეკლე II, ერევნის ლაშქრობის შემდეგ, იქიდან „აჰყარნა მრავალნი მეკომურნი სომეხნი და წარმოასხნა საქართველოსა შინა“.

საქართველოში ჩამოსახლებულ სომხებს თან მოჰქონდათ თავიანთი გრიგორიანული სარწმუნობა და სადაც სახლდებოდნენ, იქვე აშენებდნენ საკუთარ ეკლესიებს. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ქართველების მიერ მიტოვებულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს ისინი ეპატრონებოდნენ და გრიგორიანულად აქცევდნენ. აი, ამის შესახებ რას წერდა XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი: „შესაძლებელია, რომ მტერთა გაუთავებე-

ლი შემოსევების შედეგად დანგრეული ეკლესიები გასანაახლებლად გადაეცემოდა ხოლმე სომხებს, რის შემდეგაც იქ წირვა-ლოცვა სომხური წესით იმართებოდა, მიმდინარეობდა. ქალაქში შემცირებული მართლმადიდებლური მოსახლეობა — მრევლი ეკლესიებს არ საჭიროებდა, ხოლო თვით იგი — ქალაქი კი განიცდიდა მწარმოებელი, ხელოსანთა კლასის ნაკლებობას, როგორსაც წარმოადგენდა სომეხი ხალხი, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სამშობლო და დამოუკიდებლობა".

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საბუთებით ირკვევა, რომ კუკიის სომხური ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული.

1831 წელს საქართველოს გუბერნატორ ზავილეისკისადმი მიწერილ წერილში სომეხთა არქიეპისკოპოსი მინასა ქალაქ თბილისში და მის გარეთ მდებარე სომხური ეკლესიების ჩამოთვლისას ასახელებს კუკიის ღვთისმშობლის ეკლესიას.

1837 წლის აღწერაში მოხსენიებულია კუკიაზე მდებარე სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების ორი ეკლესია: „მტკვრის მხარეს, კუკიად წოდებულსა შენობასა შინა, არის ეკლესია მცირე ყ—დ წმინდისა ღ—თსმშობლისა სახელითა, ქვით-კირით ა/ღ/შენებული, უგუმბათო და დაბურვილი აგურით, მუნებურთა მრევლისაგან ა/ღ/შენებული წელსა 1807-სა... მეორე მახლობელ უპირველესად ამისსა წინა დაწერილისა დიდისა და მონასტრისა არს ეკლესია სახელსა ზედა წმიდისა გიორგისასა ყაფლანიანთ სასახლ/ი/სად წოდებული. უგუმბათო და მცირე; წელსა 1790 აღშენებული, აწ გარდაცვალებულისა ღვდლისა ტერ-გრიგორ სანულოვისაგან".

კუკიის ღვთისმშობლის სომხური ეკლესია XIX საუკუნის 40-იან წლებში უკვე იმდენად დაზიანებულა, რომ საჭირო შექმნილა მისი შეკეთება. თბილისში, კერძოდ, კუკიასა და ჩუღურეთში მცხოვრებმა სომხებმა ისარგებლეს ეკლესიის დაზიანებით და ახალი ეკლესიის ასაგები ადგილი მოითხოვეს. სომხებს კუკიაზე ორი ეკლესია ჰქონდათ (ერთი იდგა ამჟამინდელი პლეხანოვის ქუჩისა და კარლ-მარქსის მოედნის შესაყართან, ხოლო მეორე იქ, სადაც დღეს კინოთეატრი „კოლხიდაა"). თითქმის მთელი ათი წელი იბრძოდა ახალი და ძველი კუკიის სომხური მოსახლეობა,

რათა მათთვის ნება მიეცათ ახალი ეკლესიის ასაგებად. ისინი თავიანთ თხოვნას იმ მოტივით ასაბუთებდნენ, ვითომდა ჩუღურეთელ სომხებს ეკლესია სჭირდებოდათ. ქალაქის მმართველობამ სომხებს პირობა წამოუყენა, თუ ჩუღურეთიდან მთელი სომხობა კუკიაში გადასახლდებოდა, მაშინ მათი პრეტენზიები დაკმაყოფილებული იქნებოდა. რასაკვირველია, ამაზე ჩუღურეთელმა სომხობამ უარი განაცხადა.

შემდეგ კუკიის სომხური მოსახლეობა ითხოვდა, ავჭალის გზის სიახლოვეს, მოსახლეების — ნევსკისა და კაპანაძის სახლებს შორის არსებულ თავისუფალ მიწის ნაკვეთზე ახალი ეკლესიის აგების ნება მიეცათ. მათ ამ მოთხოვნაზეც უარი ეთქვათ.

1857 წელს დაიწყო მიხეილის ხიდთან (კარლ მარქსის ხიდთან) მდგარი ძველი სომხური ეკლესიის ადგილას ახლის აგება. ამშენებელი იყო აზნაური იაკობ ყორღანოვი.

კუკიაში იდგა და დღესაც დგას მართლმადიდებელთა ორი ეკლესია.

1856 წელს საქართველოს ეგზარხოსი ისიდორე ახალი კუკიის შომწყობ კომიტეტში თხოულობს, რომ აქ აიგოს ეკლესია. ამის გამო საჭირო გახდა მართლმადიდებელი მრევლის რაოდენობის გარკვევა. მრევლის რაოდენობაზე დამოკიდებული იყო ეკლესიის აგება. აღწერის შედეგად შედგა სია და გამოირკვა, რომ კუკიაში ამ დროს სახლობდა 132 მუდმივი და 98 დროებით მოსახლე კომლი, სულ 230 კომლი — 1163 სული. აღწერაში არ შეიყვანეს კუკიაში მდგარი სამხედრო ნაწილები. მრევლის ეს რაოდენობა საკმარისი აღმოჩნდა მართლმადიდებელი ეკლესიის ასაგებად.

ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1856 წელს კიროჩნისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში დღევანდელი მარჯანიშვილისა და კალინინის ქუჩები).

მართლმადიდებელთა მეორე ეკლესია, რომელიც კუკიის სასაფლაოზე დგას, უფრო გვიანი ხანისაა.

ჯერ კიდევ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დროს სოლოლაკის და ლაბორატორიის (ამჟამინდელი კიროვის და ძერჟინსკის) ქუჩების გაჭრა-გაყვანისას, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის კუთვნილი მიწის ნაწილი, 250 კვ. საჟენი, აღნიშნულმა

ქუჩებმა დაიკავეს. 1849 წელს მეფისნაცვალმა საეკლესიო საბჭოს აცნობა, რომ კათოლიკები დაკარგული მიწის სანაცვლოდ მიიღებდნენ ამ მიწის საფასურს, ანდა მიწის ნაკვეთს ქალაქის რომელიმე უბანში.

1855 წელს კათოლიკეებმა ახალ კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე ეკლესიისათვის 400 კვ. საჟ. ფართობი მიწის ნაკვეთი მიიღეს. მათზე ადრე ამ ადგილას ეკლესიის აგება სურდათ სომეხ-გრიგორიანელებს.

„პეტრე და პავლე მოციქულთა" სახელობის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1870 წელს. ხელმძღვანელობდა შტაბ-კაპიტანი ზუბალაშვილი. იგი ამავე დროს თბილისის რომაულ-კათოლიკური მრევლის მამასახლისი იყო.

„მიხეილის" და „კირიჩნის" ქუჩების კუთხეში იდგა ლუთერიან-გერმანელთა ეკლესია (აიღეს მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 1946—1947 წლებში).

ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი აღნიშნავს: „გერმანელთ ტფილისში აქვთ ერთი მშვენიერი ეკლესია მიხეილის ქუჩაზე (აკურთხეს 1897 წელს)". მოსე ჯანაშვილის მიერ დასახელებული გერმანელთა ეკლესიის ადგილას ძველადაც მდგარა ეკლესია, რაზეც მეტყველებს XIX საუკუნის 30—40-იან წლებში კირიჩნის სახელობის ქუჩის არსებობა. ქუჩის სახელი კირიჩნი ნაწარმოებია გერმანული კირხედან (Kirche — ეკლესია). იგი ჩვენში რუსული ენის მეშვეობით (კირიჩნი) შემოვიდა. თუ არა ეს, სხვაგვარად თბილისის მიკროტოპონიმში სახელი „კირიჩნის" გაჩენა ძნელი სავარაუდებელია.

კუკიის ტერიტორიაზე არსებული მიკროტოპონიმიდან დღემდე ჩვენ მეტად მწირი მასალა შემოგვრჩა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში კუკიაში (დაახლოებით ფიროსმანის ქუჩის ნაწილის, მოედნის, ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის და რკინიგზის ხიდის გაღმა მიმდებარე ტერიტორიაზე) ჩნდება მალაკნების დასახლება.[1]

---

[1] რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიიდან თბილისში მალაკნების მასიური ჩამოსახლება XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. კერძოდ, 1835 წ. ქალაქში პირველად რიყეზე დასახლდნენ.

ძველ თბილისში, მეტეხის ხიდთან, რიყეზე მცხოვრები მალაკ-ნების ახალ კუკიაში გადასახლებაზე საქმე შედგა 1847—1849 წლებში. ახალ კუკიაზე დასახლებულმა მალაკნებმა 1855 წელს საკუთარი სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთი ითხოვეს. ამავე წელს, 10 აგვისტოს, მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებ-ლის, თავად ბებუთოვის ბრძანებით ტერ-გუკასოვის კუთვნილი მიწის ნაკვეთი 300 კვ. საჟ., რომელიც მალაკანთა დასახლების ჩრდილო-დასავლეთით, მთის ფერდობზე მდებარეობდა, მალაკნე-ბის სასაფლაოს დაეთმო.



„კირხა". გერმანული ეკლესია მიხეილის ქუჩაზე

ახალი კუკიის მალაკნების საზოგადოებამ 1862 წლის 8 ნოემ-ბერს თბილისის მომწყობი კომისიის თავმჯდომარეს დასიმონს მიმართა თხოვნით, ახალ კუკიაში, დაახლოებით იქ, სადაც სულ ახლახან საკოლმეურნეო ბაზარი იყო, სავაჭრო ადგილი გამოე-ყოთ. მალაკნები ძირითადად თევზითა და მარილით ვაჭრობდნენ. დღესაც ხშირად გვესმის „მალაკნების ბაზარი", „მალაკნების

-უბანი" და სხვ. ეს ძველი სახელი ადგილმა დაკარგა, მაგრამ იგი, როგორც მიკროტოპონიმი, შემორჩა ახალი კუკიის ამ ნაწილს.

* * *

ქ. თბილისის ტერიტორია იზრდებოდა. შესაბამისად მატულობდა მისი მოსახლეობაც. 1818 წელს, გენერალ ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს, ვიტენბერგიდან საქართველოში გადმოსახლებულ გერმანელ მოახალშენეთა ნაწილი დასახლდა თბილისიდან მოშორებით, სოფელ კუკიის ჩრდილოეთით, მდინარე მტკვრის გასწვრივ მდებარე ტერიტორიაზე (კუკიასა და დიდუბეს შორის). მიწის ეს ნაკვეთი ისტორიულად ძველ დიდუბეს ეკუთვნოდა.

1818 წელს შემდგარი უწყისის მიხედვით, თბილისის გერმანელთა კოლონიაში 49 ოჯახი იყო.

1820 წლისათვის, თბილისის გერმანელთა კოლონიაში უკვე 51 ახალმოშენე სახლობდა. ბაღებისა და საკარმიდამოს საჭიროებისათვის მათ გამოეყოთ ერთი დესეტინა მიწის ნაკვეთი. მოახალშენეთა შორის იყვნენ ხელოსნები — თერძები, ხარაზები, კალატოზები, მეთუნეები, მჭედლები, ყასბები, მეპურეები და სხვა. ბევრი მათგანი კოლონიიდან ქალაქს მიდიოდა, იქ ქირით დგებოდა საცხოვრებლად და იქვე მუშაობდა ხელოსნად. კოლონისტები ხელოსნობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, კერძოდ, მებაღე-მევენახეობას.

ქალაქისა და მისი მიმდებარე სოფლების, გარეუბნების ეკონომიურ ურთიერთობაზე მშვენიერ მასალას იძლევა ასლად გაჩენილი თბილისის გერმანელთა კოლონია. ბარონი ტორნაუ კავკასიაზე და საქართველოზე თავის მოგონებებში წერდა, რომ „ტფილისში, სადაც აქამდე მისი მოსახლეობა სიცოცხლისათვის აუცილებელი საგნების ნაკლებობას განიცდიდა, რომელთა შეძენაც მეტად მაღალ ფასებში შეიძლებოდა მხოლოდ სომხებში და ქალაქის მთელი სავაჭრო საქმიანობა სომხებს ეპყრათ ხელთ, ამჟამად ქალაქის მოსახლეობამ უშუალოდ გერმანელი კოლონისტე-

ბისაგან იწყო რძის, ხორცის, კარაქის, ნაღების, კარტოფილის და თეთრი ფუნჩულა პურის ყიდვა-შეძენა".

ეს ცნობა XIX საუკუნის 30-იან წლებს განეკუთვნება.

სულ მალე გერმანელი კოლონისტები იწყებენ ერთი და ორსართულიანი, არქიტექტურულად გაფორმებული სახლების აგებას. ისინი სახლდებიან სოფელ კუკიის ტერიტორიაზეც, მის ჩრდილოეთით. ამაზე მიგვანიშნებს აქ „გერმანელთა" სახელის მატარებელი ქუჩის გაჩენა (ამჟამინდელი კიევის ქუჩა).

ქალაქის ზრდასთან დაკავშირებით, 1855 წელს წარმოიშვა აზრი, გერმანელთა კოლონია თბილისისათვის შეეერთებინათ. ამიერიდან კოლონისტებს ქალაქის მმართველობის ნებართვის გარეშე სახლების აგება ეკრძალებოდათ.

ოფიციალურად გერმანელთა კოლონია თბილისის ფარგლებში 1852 წელს შემოვიდა.

დიდუბე

ეოდალური ხანის თბილისს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთის მხრიდან, სოფელ ჩუღურეთისა და ახალსოფლის (კუკიის) შემდეგ ემიჯნებოდა სოფელი დიდუბე. სოფელი დიდუბე თბილისის სიახლოვეს რამდენჯერმე გვხვდება თამარ მეფის თანადროული ისტორიკოსების თხზულებებში.

საქართველოს მეფეებს არაერთი სასახლე ჰქონდათ. მათ სასახლეები ედგათ თბილისში და მის სანახებში. ერთ-ერთი ასეთი სასახლე დიდუბეში ყოფილა, სადაც თამარ მეფის ცხოვრების აღმწერი ისტორიკოსის, ბასილ ეზოსმოძღვრის გადმოცემით, თამარს „შერთეს დავით", ესე იგი, თამარ მეფე დაქორწინდა დავით სოსლანზე.

ჰქონდა თუ არა ამ ადგილს სხვა სახელი, სანამ მას დიდუბე შეერქმეოდა?

სპარსეთის სახელმწიფო ოდითგანვე ცდილობდა საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას. მაგრამ ყოველი მისი ცდა, დამოუკიდებლობა მოესპო ქართველებისათვის, მარცხით მთავრდებოდა.

სპარსელები ქართველთა წინააღმდეგ მას შემდეგ უფრო მეტი გამძვინვარებით იბრძოდნენ, რაც საქართველო ქრისტიანობას

ეზიარა. ეს მოხდა IV საუკუნის 30-იან წლებში, როცა ქრისტიანული რელიგია ჩვენში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მეფისთვისაც და მდაბიოსთვისაც საერთო რწმენად იქცა.

სპარსელთა ერთ-ერთ შემოსევას თურმე წინ აღუდგა მეფე ვახტანგ გორგასალი. ისტორიკოსი ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ბრძოლის დაწყებამდე ქართველთა ჯარი დაბანაკებულა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დიღმიდან მოყოლებული თბილისამდე. სპარსელები კი მტკვრის მეორე ნაპირზე — „ცხენის ტერფიდან" მოყოლებული მტკვრის ქვემო დინებისაკენ, ქალაქის მიმართულებით.

ამრიგად, ვგებულობთ, რომ ძველი თბილისის შემოგარენში ერთ-ერთ ადგილს „ცხენის ტერფი" რქმევია. მის ზუსტ მინიშნებაში გვეხმარება ვახუშტი ბაგრატიონიც: „ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის ტერფი".

ერთი შეხედვით, ადგილისათვის ასეთი სახელის შერქმევა უცნაურად ჩანს. მან ასეთი პოეტური, ხატოვანი სახელი თავისი დუბე-ვაკე, დაცემული, სწორი რელიეფის გამო მიიღო.

როდის შეერქვა ამ ადგილს ცხენის ტერფი, არ ვიცით. შეიძლება მას ეს სახელი აქ მცხოვრებმა ძველმა ქართველებმა შეარქვეს. დიდუბის ტერიტორიაზე ხომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის „დიდი უმრავლესობა... ენეოლითური. პერიოდისაა, მცირე ნაწილი ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევრის და ჩვ. წ. პირველი საუკუნეებისა"... (დ. ქორიძე).

დიდუბის ტერიტორიაზე უძველესი ცხოვრების კვალის მაჩვენებელია დღევანდელ ლენინის რაიონში, კიროვის ქარხანასთან 1958 წელს მიწის თხრისას ნაპოვნი ძვ. წ. II—I საუკუნეების პართიის მეფის ფრაატ მეოთხისდროინდელი დრაქმა.

როგორც დავინახეთ, სახელი „ცხენის ტერფი" ვახუშტამდე მხოლოდ ერთხელ გვხვდება, XI—XII საუკუნეებიდან კი ამ ადგილის საკუთარ სახელად უკვე დიდუბე ჩნდება.

დიდუბე ორი სიტყვის ნაზავიდანაა წარმოშობილი: დიდი დუბე. დუბე ვაკე, დაბლობი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვაა. საკუთარი სახელის მნიშვნელობით დიდუბე გვიან შუასაუკუნეე-

ბამდე აღარ გვხვდება. ამ სახელს ჩამოსცილდა მსაზღვრელი „დიდი" და შემდეგი ხანის სიგელ-გუჯრებში შემოგვრჩა გეოგრაფიული ცნების, ვაკის — დაბალი ადგილის შემცველ სიტყვად „დუბე".

სულხან-საბა თავის ლექსიკონში სიტყვა დუბეს ასე ხსნის: დუბე — დაბალი ადგილი. მეორე ქართველი ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვილი კი ქართულ ლექსიკონში დუბეს ასეთ განმარტებას აძლევს: „დუბე — დაბალი ადგილი, ჩოლი (დიდდუბე — ტფილისის ზევით მინდორი).

საინტერესოა, რას წარმოადგენდა XII—XIII საუკუნეების დიდუბე? რა ურთიერთობა ჰქონდა მას ქალაქთან? რა სახის მეურნეობას ეწეოდა აქაური მიწის მუშა?

XII საუკუნიდან სახელი დიდუბე ქართული ისტორიის ასპარეზიდან კარგა ხანს, თითქმის XVII საუკუნემდე უკვალოდ ქრება. რა იყო ამის მიზეზი?

მთავარი მიზეზი უთუოდ XIII საუკუნის მეორე მეოთხედის პოლიტიკურ მოვლენებში უნდა ვეძიოთ.

XIII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფოს გარშემო თანდათან ჩნდება და იკვრება ძლიერი მაჰმადიანური სამყაროს კოალიცია. ქართული ერთიანი სახელმწიფოს სიძლიერე ირყევა. გამუდმებული დამანგრეველი შემოსევების შემდეგ საქართველოში ნორმალური ცხოვრება მოიშალა.

ყამთააღმწერელი მოგვითხრობს იმ საშინელებაზე, რაც ჯალალ-ედ-დინის შემოსევას მოჰყვა: „...და ესრეთ რა ძლიერად ხელთ იგდო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესოდენ მძვინვარედ მოსრვიდა, რომელ სავსე იყვნეს ფოლოცნი, ხრამნი და ხნარცუნი მოკლულთა მიერ და უმრავლეს მკუდართა მტკუარსა შეუტყობდეს... იწყო რღუევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძვლამდე აღფხურა"...

შეიძლება ამ შემაძრწუნებელი შემოსევის დროს განადგურდა დიდუბეც.

დიდუბე რომ მხოლოდ დუბე-ვაკე, დაცემული ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილიყო, რასაკვირველია, ქართული ისტორიოგრაფიიდან იგი ასე უკვალოდ არ გაქრებოდა, ძველის ად-

ბილას მისი სახელის ტრადიციულად აღდგენას საუკუნეები არ დასჭირდებოდა. სახელი „დიდუბის“ გაქრობა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ XII—XIII საუკუნეებში აქ დასახლებული პუნქტი იყო. ამისათვის ყველა პირობა არსებობდა — დედაქალაქის სიახლოვე, სარწყავი რუ, ცენტრალური გზა, გატანილი ქალაქის კარიდან არაგვისაკენ, აქედან კი ჩრდილოეთისაკენ. გარდა ამისა, ძველი დიდუბის ტერიტორიაზე, მართალია, ძუნწად, მაგრამ მაინც ბინადარი ცხოვრების მიმანიშნებელია ისეთი ფაქტი, როგორიცაა იმდროინდელ საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის — მონეტის აღმოჩენა.

გარეშე თუ შინაური მტერი დიდ დუბეს, თუ ეს მხოლოდ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა, ვერაფერს დააკლებდა. ის სწორედ გაქრა, როგორც დასახლებული პუნქტის მატარებელი სახელი. „დიდუბე“ სოფლის, დასახლებული პუნქტის სახელი იყო და მისი მოსახლეობის გაჟლეტის, ტყვედ წასხმის, თუ აქედან აყრა-გასახლების შემდეგ მან შეწყვიტა არსებობა.

ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობამ ბევრი ქალაქი თუ დაბა-სოფელი შეიწირა. ზოგის არსებობაზე მემატიანეები მოგვითხრობენ და აგვიწერენ იმ გამანადგურებელი შემოსევებისა და მათი შედეგების ამბავს, რომლებიც თავს დაატყდა საქართველოს, მის დედაქალაქს თბილისს და მის სანახებს XIII საუკუნიდან მოყოლებული XVII საუკუნემდე. გავიხსენოთ XIII საუკუნის მესამე მეოთხედში ბათო ყაენის შვილის, ბერქა ყაენის ლაშქრობა. მისი მრავალრიცხოვანი ჯარის მიერ საქართველოს დალაშქვრის შემდეგ, ალაზან-ივრის ქვემო წელი და მდინარე მტკვრის მარცხენა ნაწილი ისე აოხრდა და იავარიქმნა, რომ რამდენიმე საუკუნის მანძილზე აქ მოსახლეობა აღარ გაჩენილა.

XV საუკუნის იტალიელი მოგზაური იოსაფა ბარბარო მოგვითხრობს: „12 ივლისს 1475 წ. მოვედით საქართველოს მეფის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ტფილისი. ეს ქალაქი დგას მცირე გორაზე. მეორე, უფრო მაღალ გორაზე, აშენებულია ტფილისის ციხე, საკმაოდ მაგარი. ტფილისი წინათ სახელგანთქმული იყო თავისი სიდიდით, ამჟამად კი დაცემულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომლებიც აოხრებას გადარჩენია, ეხლაც კარგად არის დასახლებული“.

განადგურებული დასახლებული პუნქტის აღდგენას, თუ ყოველთვის არა, ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა — სიახლოვე საქარავნო სატრანზიტო გზებთან, სანაოსნო მდინარეებთან, დიდ ქალაქებთან.

ძველი დიდუბის, როგორც დასახლებული პუნქტის ხელმეორედ წამოწევაში, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად, დიდი წილი უდევს მის წარსულს, იმას, რომ ძველადაც აქ სოფელი იყო, ანდა სოფლური დასახლებისმაგვარი ადგილი; ჯერ კიდევ არ წაშლილიყო მეხსიერებიდან დიდუბის ველის სარწყავი რუს არსებობა.

სოფელ დიდუბის აღდგენა მომხდარა მაშინვე, როცა კი ამისათვის ობიექტური პირობები შექმნილა.

ის დიდი საამშენებლო სამუშაოები, რომლებიც როსტომის მეფობის დროს დაიწყო, ვახტანგ V მეფობის ხანაშიც (1658—1676) არ შეწყვეტილა. ამ დროს ხელახლა დასახლებულა სოფელი დიდუბე. ვახტანგის ძემ, მეფე გიორგი XI აღაპი (მიცვალებულის სულის მოხსენიება) შეაწერა დიდუბელთ. აღაპის გადახდის გამო მეფემ დიდუბელები ყოველგვარი სახელმწიფო გამოსაღებისაგან გაათავისუფლა „...ქ... ჩვენ, მეფე გიორგი დიდისა და სახელოვანის ხელმწიფის ვახტანგის ძე, რომელსაც ეწოდა სპარსთა ენითა შაჰნავაზ... ვინებეთ პატივად და მოსახსენებლად მეფის, პატრონის მამის ჩვენის მეფის ვახტანგისა... დავდეევით აღაპი. იმავ მამის ჩვენის აშენებულს სოფელს დიდუბეს რუ გამოიღო ავჭალიდამ და აღაშენა სოფელი და უნაყოფო მიწა ნაყოფიერ ყო;.. ჩვენცა ესე სასულიერო სიხარული და მოხსენება აღაპი განუწესეთ“.

სოფლის მეურნეობისათვის დიდუბის ველის გამოყენება ხელოვნური მორწყვის გარეშე წარმოუდგენელია. ცნობილია, რომ მდინარე მტკვარი (მარცხენა ნაპირი) მოყოლებული მცხეთიდან ვიდრე ორთაჭალის და კრწანისის ბაღებამდე საირიგაციოდ ვერ გამოიყენება. ამას ხელს უშლის მტკვრის ფლატე და კლდოვანი ნაპირი. ამიტომ დიდუბის ველის მოსარწყავად რუ უნდა გამოეტანათ მდინარე არაგვიდან. ასეთი რუ გამოუყვანიათ ვახტანგ V დროს ავჭალიდან. ეს უნდა ყოფილიყო ძველი სარწყავი ტრასის — მდინარე არაგვი-ავჭალა-ღრმაღელე-დიდუბე — აღდგენი-

ლი ხაზი, რომელიც არსებობდა და მოქმედებდა ანტიკურ ხანაში. როგორც ჩანს, იგი ჯერ თამარ მეფეს განუახლებია დიდუბის ველის და თბილისის სანახების მოსარწყავად, შემდეგ მოშლილა. სწორედ ეს ნარუალი აღუდგენიათ, ანდა ძველ ტრასაზე ხელახლა გამოუტანიათ. ავჭალიდან გამოტანილი დიდუბის რუ ტრადიციისამებრ ძველი ნარუალის ადგილას უნდა ყოფილიყო.

ქართული ისტორიული წყაროებით, საარქივო მასალით, რუკებით და გეგმებით დგინდება ძველი დიდუბის მიჯნები. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრებოდა ჩუღურეთის და კუკიის მიწები, თელისხევიდან ჩრდილოეთის მიმართულებით გაუყვებოდა მელის გორა, სწორხაზოვნად გახიდული გორა (უღელტეხილი), ყენის გორა (ყენისი), სათათრო გზა, ხევძმარი. დასავლეთიდან ესაზღვრებოდა მდინარე მტკვარი.

სპარსეთის ყაენისათვის მისართმევი ხარკის მიხედვით ირკვევა, რომ სოფელი დიდუბე XVIII საუკუნის დასაწყისში მტკვრის მარცხენა ნაპირზე კარგა მოზრდილი და მჭიდრო დასახლება ყოფილა. დიდუბეს 8 მანეთი და 14 შაური უნდა გამოეღო.

1721 წელს მოეწყო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და სოფლების აღწერა. ყოველი აღწერა საინტერესოა იმით, რომ ვიგებთ ამა თუ იმ სოფლის მფლობელის ვინაობას, სოფლის ეთნიკურ-ეროვნულ შემადგენლობას და სხვ. მოტანილი აღწერიდან ირკვევა, რომ სამეფო სოფელ დიდუბიდან, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ გამოეყვანათ 30 მოლაშქრე.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ოსმალეთმა დაარღვია 1639 წელს სპარსეთთან დადებული ზავი და ქართლ-კახეთის შეუვალობა ხელყო. 1723 წელს ოსმალებმა დაიპყრეს თბილისი. ისევ აირია ქვეყანა. ამ ავბედითობის ჟამს ბევრი გზისპირა სოფელი მოიშალა და აიყარა. ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობა მიუვალ მთებში გაიხიზნა.

ვახუშტის საქართველოს რუკაზე სოფელი დიდუბე ექსპლიკაციაში ასეა ახსნილი: „ქრისტიანთ დაბა". ე. ი. დიდუბის ტერიტორია დასახლებულია და დაბად იწოდება.

1724 წელს საქართველოდან რუსეთის ხელმწიფის კარს სამ-

ხედრო დასმარების სათხოვნელად წაბრძანებული ქართლის მეფის ვახტანგ VI მაგივრად ოსმალებმა 1725 წელს ქართლის მმართველად ისაყ ფაშა დასვეს.

1735 წელს ქართლში ოსმალები ყიზილბაშებმა შეცვალეს.

ერი თავისი თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შესანარჩუნებლად იბრძოდა. ხალხს ეს ბრძოლა ძვირად უჯდებოდა. ქვეყანა იცლებოდა მწარმოებელი ძალისაგან. რაც კი წარსულში გაკეთდა, აღდგა, მაგრამ წელში გამართვა ვერ მოასწრო, ისევ ნაოხრად და ვერანად იქცა. შინაურ თავნება თავად-აზნაურთა მიერ ძმათა სისხლის ღვრას და ყმა-გლეხთა უცხოეთში გაყიდვას დაერთო ლეკთა გამუდმებული თარეში, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა და ილაჯს უწყვეტდა ქართველ ხალხს. ყოველივე ამის გამო სახელმწიფოში მოიშალა მეურნეობა, მოსახლეობის რიცხვი საბედისწეროდ შემცირდა, სახელმწიფო დაძაბუნდა. ლეკები ისე გათავხედდნენ თურმე, რომ არაფერს ეპუებოდნენ. მემატიანე პაპუნა ორბელიანის თქმით: „ასე გათამამდნენ (ლეკები), რომ ქალაქის პირიდამ მუდამ ნაშოვარი მიქონდისთ".

1738 — 1740 წლებში ნადირ შაჰი ინდოეთს ლაშქრობდა. მას ამ ლაშქრობაში თან ახლდა ქართველი ბატონიშვილი ერეკლე თეიმურაზის ძე. მეფის ძესთან ერთად იყო ქართველი თავადაზნაურობა. 1740 წლის წყალობის სიგელით ირკვევა, რომ მეფის ძისადმი ყველაზე მეტად ერთგულებაში თავი გამოუჩენია ვინმე გურგენიძეს, რისთვისაც მეფე თეიმურაზ II მისთვის დიდუბის მოურაობა უბოძებია.

XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული ქართლ-კახეთს ძნელბედობის ხანა დაუდგა. ამ ხანაში სოფელ დიდუბეს იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ისტორიულ საბუთებში.

1744 წელს ქართლში ბოლო მოეღო 20-წლიან უმეფობის ხანას. ნადირ-შაჰმა კახთა მეფის, ერეკლე I ძე თეიმურაზ II ქართლის მეფედ დანიშნა. მისი ძე, ერეკლე II კი — კახეთის მეფედ. ეს ქართველი ერის დიდი გამარჯვება იყო. ამიტომაც ქცეულა თბილისში საერთო ეროვნულ ზეიმად თეიმურაზის შემობრძანება და ხელდასმა. მემატიანე ამ ისტორიულ ამბავს ამაღლებულ ტონში, დიდი პათოსით გადმოგვცემს: „აიყარა მეფე თეიმურაზ ლი-

ლოდამ, შემობრძანდა ქალაქსა თბილისისასა, თვესა ივლისსა თ, მიეგებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება და შესწირეს მადლობა ღმერთსა, გაუშალეს მოქალაქეთა ფეინდაზი მძიმე ლართა. შეიქმნა სროლა ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყო, ავლაბრით ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირაღდნით, იყო სამი დღე და ღამე გაუწყეტლად მეჯლისი და ლხინი უზომო, სიხარული ფრიადი... მიუვიდათ ეს სიხარულისა ამბავი ბატონის შვილს ერეკლეს. მაშინვე წაბრძანდა ქალაქს, გავიდნენ, დასცეს სევანი[1] დიდუბეს, ჩამოხდა მას შინა, გავიდა იბრეიმ-ბეგ, დასცეს რაყამი ხელმწიფისა და ხალათი ჩაიცვა იქ და ეგრეთ შემობრძანდა ქალაქში: გაეგება მამა თვისი, მიულოცეს ერთმანეთს და ეგრე შემობრძანდნენ...“

ქართველებმა საკუთარი ძალით ვერაფერი გააწყეს მოძალებულ ლეკთა თარეშის ასალაგმავად და გადაწყვიტეს, იმიერკავკასიაში უცხო ჯარი დაექირავებინათ და მათი საშუალებით გაეწიათ წინააღმდეგობა. 1754 წელს თეიმურაზ II და ერეკლე II მოწვევით ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოვიდა: ჩერქეზების, ყალმუხების, ჯიქების, ქისტების, ოსების, ნოღაელების და ღლიღველებისაგან შემდგარი დაქირავებული ჯარი. დაქირავებულთ არაგვის ერისთავი ჯიმშერი მეთაურობდა. ლაშქარი თბილისისაკენ მტკვრის მარცხენა ნაპირით გამოემართა: „გამოუძღვა ერისთავი ჯიმშერ და ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისსა მახლობელ, დააყენეს დიდუბეს. დააყენეს მემანდარნი და უბოძეს ულუფა კმა საყოფელად მათდა“, — მოგვითხრობს მემატიანე. მოტანილ ამბავში მოხსენიებულია სახელმწიფო მოხელე მემანდრე. ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს დიდუბის ისტორიის გარკვევისათვის. ქვეყანაში მემანდრეს ევალებოდა: საპატიო სტუმრის მიღება-გაცილება, მგზავრობის ჟამს მისი პატივისცემა, უზრუნველყოფა მოსასვენებელი და ღამის გასათევი ბინით, სურსათ-სანოვაგით. სტუმარი სადაც გაჩერდებოდა, მემანდრე მის სასარგებლოდ გა-

---

[1] სევანი ბოძებზე შემდგარი ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებული კარავია. „მერმე მოაღებინა სევანი ერთი, რომლისა მსგავსი არა არს პირსა ქვეყანასასა. ასე ხშირად ესხა მარგალიტი თვალი, რომე მისი ალაგი არა ჩანდა. მისი სეტები მარმარილოსი იყო“ (რუსუდანიანი), 1957, გვ. 104.

დასახადს კრეფდა. ერთი სიტყვით, იგი მესტუმრეა. შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო დიდუბეში არაგვის ერისთავის ჯიმშერის და ლაშქრის დაბანაკება. ეტყობოდა, ეს სოფელი ეკონომიურად ისე ღონიერი იყო, რომ შეეძლო მასპინძლობა გაეწია მოსულთათვის.

პაპუნა ორბელიანი დიდუბის შესახებ კიდევ ერთ ცნობას გვაწვდის. 1756 წლის თებერვალში კახთა ბატონის, ერეკლე II მეუღლემ დარეჯან დედოფალმა შვა ძე ლევან ბატონიშვილი. ეს სასიხარულო ამბავი მთელს საქართველოს გასწვდა. მოსალოცავად ჩამოსულთა შორის ყოფილა იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი: „...მოახლოვდნენ რა ქალაქს, ჩამოახდინეს დიდუბეს, მიაგებეს ბატონი-შვილი გიორგი, დარბაზისა ერნი, ჩინებულნი თავადნი, ყოველნი მოუძღვნენ ეგრე პატივით ქალაქსა შინა“.

XVIII საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, თითქმის საუკუნის დასასრულამდე (1796 წ.) სოფელი დიდუბე ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებში აღარ გვხვდება. გიულდენშტედტი, რომელმაც ჩვენში 1771—1772 წლებში იმოგზაურა, თავის ნაშრომში ახსენებს დიდუბის დანგრეულ ციხეს. მისსავე „საქართველოს 1772 წლის რუკაზე“ დატანილია დიდუბის გაპარტახებული ციხე. მოგზაურის მიერ დიდუბის ციხე-გალავნის ასეთ მდგომარეობაში ნახვა ლეკთა რბევაზე მიგვანიშნებს. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ 1781 წლის სოფელთა აღწერის სიაში ვერ ვხვდებით სოფელ დიდუბეს, მაგრამ მისი ასე პირწმინდად გაქრობა თბილისის სანახებიდან, რომ ერთი კომლი მაცხოვრებელი არ დარჩენილიყო, ცოტა საეჭვოდ მიგვაჩნია. თვით ამ დოკუმენტის (1781 წლის სოფელთა აღწერის სია) შემკრების და გამომმზეურებლის, ივ. ჯავახიშვილის აზრით, აღწერა ნაუცბათევად, ნაჩქარევად შედგენილის სახეს ატარებს. 1781 წლის აღწერაში იმ დროს არსებული ბევრი სოფელია გამოტოვებული. რადგანაც აღწერა, ძირითადად, სამხედრო საქმეს, კომლიდან მოლაშქრის გამოყვანას ემსახურებოდა, ალბათ ამ დროს სოფელი დიდუბე ისე იყო დაძაბუნებული და გამეჩხერებული, რომ მისი აღწერა საჭიროდ აღარ ჩაუთვლიათ.

ამავე დროს კი, აღნიშნული აღწერის მიხედვით, დიდუბელი გლეხები სახლობენ სოფელ კუკიაში.

1800 წელს გიორგი XII მეუღლის, მარიამ დედოფლის მიერ რუსი ხელისუფლებისადმი წარდგენილი დოკუმენტი მოგვითხრობს, რომ სოფელ დიდუბეში მოსახლე ექვსი კომლი გლეხი ბატონიშვილისათვის უწყალობებიათ.

დროდადრო სოფელ დიდუბის გაქრობა ქართული ისტორიული წერილობითი წყაროებიდან ნიშანდობლივია იმ ავბედითობის ჟამისათვის, რომელიც ადგა საქართველოს XVIII საუკუნეში. სახელი დიდუბე შერჩა ძველი სოფლის მცირე ტერიტორიას, რომელიც იფარგლებოდა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიით.

დიდუბის ეკლესიის მოშორებით, ჩრდილოეთით, დიდუბის მიწაზე, 1818 წელს საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტთა ნაწილი დასახლდა. აქ მათ შექმნეს თავიანთი კოლონია — ალექსანდერდორფი. მას „შორეულ ახალშენსაც" უწოდებდნენ.

XIX საუკუნეში დიდუბეს უკვე აღარ დაბრუნებია ძველი დიდება. წერილობით წყაროებშიც დიდუბე, როგორც ცალკე არსებული სოფელი, აღარ გვხვდება. დიდუბელები სახლდებიან სოფლებში კუკიასა და ჩუღურეთში, აგრეთვე ქალაქში.

1813 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე დიდუბე უკვე აღარაა დატანილი. მოგვიანო ხანის, 1884, 1887 წლებში შედგენილი თბილისის გეგმებზე დიდუბე კვლავ გვხვდება, მაგრამ იგი უკვე ქალაქ თბილისის ფარგლებშია მოქცეული და გეგმებზე ადგილის სახელწოდების სახითაა დატანილი.

დიდუბეში ციხე მდგარა. სად მდებარეობდა დიდუბის ძველი ციხე? დიდუბის ციხე-გალავნის შესახებ პირველად ცნობას გვაწვდის გიულდენშტედტი: „.... დიღმიდან $^1/_2$ საათში გავიარეთ ქვიშაქვიანი მთა და გადავედით მდინარე ვერისხევზე, რომელზედაც არის ქვის ხიდი. აქედან ზედ მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩანს დანგრეული ციხე". ამ ცნობის უტყუარობაში შეგვეძლო ეჭვი შეგვეტანა, რადგან სოფელ დიდუბის მახლობელ სოფლებში, ქვემო და ზემო ავჭალაშიც იდგა ციხე-გალავნები და უცხო მოგზაურს შეიძლება უნებლიე შეცდომა მოსვლოდა; მაგრამ მოგზაურის დაკვირვებულ თვალს არც ზემო და ქვემო ავჭალის ციხე-გალავნები გამორჩენია და მათ თანმიმდევრულად ჩამოთვლის. „... რო-

გორც კი ამ კუთხეს შემოუხვიეთ (ლაპარაკია დევის ნამუხლარზე), მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე დავინახეთ დანგრეული ციხე ზემო ავჭალა, ხოლო ერთი ვერსით ადრე, სამხრეთით, მდინარე ავჭალის ხევის ჩრდილო მხარეზე, ასევე დანგრეული სიმაგრე ქვემო ავჭალა". საინტერესოა, რომელი ადგილიდან ხედავდა თბილისს მოახლოებული მოგზაური დიდუბის მიტოვებულ, დანგრეულ ციხე-გალავანს?

მოგზაური წერს, რომ მდინარე ვერისხევზე გადებულ ხიდზე გასვლის შემდეგ დაინახა დიდუბის დანგრეული ციხე-გალავანი. გიულდენშტედტი ხიდზე გადასვლისთანავე ვერ დაინახავდა დიდუბეს, რადგან იგი პატარა ქედს იყო მოფარებული; ეს ქედი გაიჭრა 1935 წელს და გავიდა ჩელუსკინელების სახელობის ქუჩა. მგზავრს რომ მტკვრის მარცხენა ნაპირი დაენახა, ამისათვის აღნიშნულ ქედზე უნდა ასულიყო (რაც მას არ გაუკეთებია), ანდა გზის გაყოლებით სოფელ ვერამდე უნდა მისულიყო დაახლოებით იქ, სადაც დღეს კიროვის სახელობის პარკია გაშენებული. იქიდან ჩრდილოეთით მდინარე მტკვრის ხეობა იხსნება. მოგზაური დიდუბის დანგრეული ციხის ხსენებას ჯერდება და აღარაფერს ამბობს მისი აღმშენებლის, აგრეთვე ფორმის, დანიშნულებისა და აგების თარიღის შესახებ. გიულდენშტედტის ცნობიდან ვერც ციხე-გალავნის ზუსტ კოორდინატებს ვიგებთ.

ციხე-გალავნის ადგილმდებარეობის ზუსტ მინიშნებაში და მისი ფორმის გარკვევაში გვეხმარება მოსკოვის ცენტრალურ ისტორიულ-სამხედრო-სახელმწიფო არქივში დაცული ორი გეგმა: კაპიტან ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის 1800 წლის და პოლკოვნიკ ტიხონოვის მიერ შედგენილი თბილისის უთარიღო გეგმა.

აღნიშნულ გეგმებზე დატანილია დიდუბის დანგრეული ციხე-გალავანი, რომელიც ორივე გეგმაზე მტკვრის მარცხენა ნაპირის სიახლოვეს დგას. მისი მდებარეობის ზუსტ მინიშნებაში გვეხმარება ჩუიკოს გეგმაზე დატანილი დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია. ეკლესია ციხე-გალავნის ჩრდილოეთითაა და დღევანდელი დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ადგილზე დგას. დიდუბის ციხე-გალავანი შეგვიძლია მოვათავსოთ დაახლოებით იქ, სადაც დღეს „დინამოს" სტადიონია. იგი მოგრძო

სწორკუთხა ფორმის ყოფილა და ოთხივე კუთხეში ცილინდრული ფორმის კოშკები ჰქონია დატანებული.

ციხე-გალავნები შენდებოდა გაშლილ, დაცემულ ადგილზე. მისი მოვალეობა იყო უცაბედი, მოულოდნელი უბედურების შემთხვევაში სწრაფად შეეხიზნა, შეეფარებინა სოფლის მოსახლეობა. ამიტომ მას ძველი ციხე-სიმაგრეების მიუვალი და ვიწრო შესასვლელების მაგიერ, ფართო კარიბჭეს ატანდნენ.

„ახალი ტიპის" ციხე-გალავნის შექმნა განაპირობა ქართლ-კახეთის პოლიტიკურმა მდგომარეობამ — გაუთავებელმა ლეკიანობამ. არავინ იცოდა, ამა თუ იმ სოფელს დღის რომელ დროს ან საიდან დაეცემოდა აბრაგი ლეკი. ყანაში გასულმა თუ საშოვარზე წასულმა გლეხ-ხელოსანმა არ იცოდა, შინ მობრუნებისას ოჯახი მშვიდობით დახვდებოდა თუ აწიოკებული. საკარმიდამო ნაკვეთებით ერთმანეთისაგან მოშორებული თანასოფლელები თავსდამტყდარ უბედურებაში ერთმანეთს დროზე ვერ ეხმარებოდნენ. ქართველი კაცის ცხოვრების დღის წესრიგში გაჭირვებამ საერთო თავდაცვითი ნაგებობის აგების საკითხი დააყენა, ისეთი ნაგებობისა, სადაც სოფლის მთელ მოსახლეობას — დიდს თუ პატარას, გლეხს თუ თავადაზნაურობას შეეძლებოდა შეხიზნვა. „ციხე-გალავანში დამცველი ჯარი მუდმივად არ იდგა. მას საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ და მისი დაცვა ევალებოდათ იმათ, ვინც შიგ იხიზნებოდა ,ე. ი. იგი სათემო იყო" (პ. ზაქარაია).

დიდუბის გალავანი XVIII საუკუნის 40-იან წლებში უნდა აგებულიყო. მართლაც,. XVIII საუკუნის შუა ხანებში თბილისში ჩრდილოეთიდან მომავალი თითქმის ყველა საპატიო სტუმარი დიდუბეში ჩერდება. 1744 წელს ერეკლე ბატონიშვილმა დასცა „სევანი დიდუბეს"; 1754 წელს ჯიმშერ არაგვის ერისთავი თავისი ლაშქრით „დააყენეს დიდუბეს"; 1756 წელს ბესარიონ იმერეთის კათალიკოსი „ჩამოახდინეს დიდუბეს". ვფიქრობთ, თბილისის სიახლოვეს, დიდუბეში, საპატიო სტუმრის „ჩამოხდომა" ამ დროს, ძნელბედობის ხანაში, როცა დღის ყოველ დროს მოსალოდნელი იყო ლეკთა გამოჩენა, გაპირობებული უნდა ყოფილიყო აქ მდგარი თავდაცვითი ნაგებობით — ციხე-გალავნით.

XVIII საუკუნის 60—70-იან წლებში დანგრეული დიდუბის

ციხე-გალავანი, ეტყობა, აღარ აღუდგენიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით. XIX საუკუნეში რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულ საქართველოს ხალხის გასახიზნავად ციხე-გალავნები აღარ ესაჭიროებოდა.

დიდუბის მეორე ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც 1800 წლის გეგმაზე გვხვდება და ყურადღებას იქცევს, არის დიდუბის ეკლესია.

გეგმის მიხედვით ძნელია რაიმეს თქმა ეკლესიის სიდიდისა და ფორმის შესახებ. გეგმიდან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ ეკ-



დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია

ლესია ქართულია და იგი ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. გეგმაზე არ ჩანს, ეკლესია დანგრეულია თუ მოქმედი. მის შესახებ ყველაზე ადრეულ არაპირდაპირ ცნობას გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი: „და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი, და წარმოიყვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით, რჩეული ღმრთისა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა“. თამარ მეფის ქორწინების შესახებ ასევე გვამც-

ნობს ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოძღვარი. მართალია, მემატიანეები უშუალოდ დიდუბის ეკლესიაზე არაფერს ამბობენ, მაგრამ დიდუბეში მეფის სრა-სასახლის არსებობისა და აქ ქორწილის გადახდის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ დიდუბეში სასახლესთან ერთად კარის ეკლესიაც უნდა მდგარიყო. მეფის სასახლე ხომ კარის ეკლესიის გარეშე არ შეიძლებოდა. თამარ მეფის დროს რომ დიდუბეში უსათუოდ იდგა ეკლესია, ეჭვს არ იწვევს. საეჭვო და სათუოა ის მოსაზრებანი, როლებსაც ისტორიკოსები დიდუბის ძველი (XII საუკუნის) ეკლესიის შესახებ გამოთქვამდნენ, რომელმაც ვითომ XIX საუკუნემდე მოაღწია. პლატონ იოსელიანი დიდუბეზე საუბრისას ამბობს, იქ მდგარი სასახლე მონღოლების შემოსევამ იმსხვერპლა, ძველმა ეკლესიამ კი ბოლო დრომდე მოაღწიაო.

მკვლევარის აღწერის მიხედვით, მის დროს (XIX საუკუნეში) ეკლესიას თაღი ჰქონია ჩამონგრეული.

1848 წლის 14 აპრილს შედგენილ მოთხოვნაში, როგორც ვნახეთ, კუკიელი მეჭურჭლეები მოითხოვდნენ თიხის ახალ კარიერს მტკვრის პირას, თბილისის კოლონისტების კუთვნილ მიწაზე. დოკუმენტში ვხვდებით ალექსანდერდორფთან ახლოს მდებარე ძველ ეკლესიას. ეს ეკლესიაა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია.

დიდუბის ტერიტორიაზე მდგარი, დღეს არსებული ეკლესია აგებულია 1884 წელს.

დიდუბის ეკლესიის ისტორიას უფრო ვრცლად ეხება დეკანოზი დ. ლამბაშიძე: „...დიდუბის ეკლესია აგებული იყო აგურით ღვთისმშობლის სახელზედ. მოთხრობა არის, რომ თამარის დედა, დედოფალი ბურდუხან მძიმედ შეიქნა, გიორგი მეფემ აღთქმა მისცა ღმერთს, დიდუბეში ეკლესია აეშენებინა, თუ დედოფალი მშვიდობით მორჩებაო. მშვიდობით მორჩა დედოფალი და აი გიორგი მეფემ ამ ადგილს ააგო სასახლე და ეკლესია.

...შემდეგ თამარისა თან-და-თან გაძლიერდნენ საქართველოს მტრები, დაიწყეს ისევ აოხრება, თბილისისა და სხვა ეკლესიებს შორის დიდუბის ეკლესიაც დასწვეს და დააქციეს. აქ მე-17 და მე-18 საუკუნეებში იყო ძველი დიდუბის ეკლესია. ნანგრევი, რომელზედაც სალოცავად ისე იკრიბებოდა ხალხი, როგორც მთელს

ეკლესიაში. საქართველოს ექსარხოსის პავლეს დროს აღიძრა კითხვა დიდუბის ეკლესიის განახლების შესახებ. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ დეკანოზს ბესარიონ ზედგინიძეს, რომელმაც დიდი შრომა მიიღო ამ ეკლესიის აშენების საქმეში. ეკლესია სხვა გეგმაზედ აშენდა და მართლაც კარგი ეკლესია აშენდა. პირველად იგი უგუმბათო იყო, მაგრამ ეხლა მშვენიერი გუმბათი აქვს და მთლად ამშვენებს დიდუბის არე-მარეს. დიდუბის ეკლესიასთან განსვენებულმა ზედგენიძემ სკოლის შენობაც კარგი ააგო და სკოლაც არსებობდა. ამ ეკლესიას დიდი შემოსავალი აქვს სანთლისაგან და თუ რიგიანი წინამძღვარი ეყოლა, მშვენივრად შეიმკობა იგი და სკოლასაც კარგად შეინახავს".

დიდუბის ტაძარში არსებული სამარხების წარწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომელიც გვამცნობს საყდრის აღმშენებლის ვინაობას. წარწერა შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე .იგი დატანებულია ეკლესიის სამხრეთ კედელში, შესასვლელის მარჯვენა მხარეს, საკურთხევლის ახლოს. უფრო ადრეული ჩანს იატაკზე, მარმარილოს ფილაზე, ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა. დროთა სვლისაგან წარწერა გაცუდებულია.

„აქა მდებარეობს გვამი
დეკანოზ
ბესარიონ სიმონის ძის
ზედგენიძისა
აღმშენებლისა ამა ტაძრისა
7 ოკ... 1835 წ. 17 იანვარი 1893 წ."

XIX საუკუნეში დიდუბის მიწები ეკუთვნოდათ და იქ ბაღ-ვენახები ჰქონდათ გაშენებული ძველი დიდუბის მკვიდრთ: შუაქრიშვილებს, პაპასშვილებს, დოჩანაშვილებს, ბერელაშვილებს... კუკიელ გლეხებს: გიორგის და აბრამ იორდანაშვილებს, ვარდიგულაშვილებს... გერმანელ კოლონისტებს: გუტაფ გაუქსს, გაუტბრახს... თბილისში მცხოვრებლებს: ენიკოლოპოვებს, ზავრიევს, ბაიბაკოვს, მოქალაქე იაგორ ჩარაფაშვილს, თავადებს: ლორის მელიქოვს, ამატუნს.

XIX საუკუნის70-იან წლებში დიდუბის კუნძულები იჯარით

ჰქონდა აღებული აზნაურ ლორთქიფანიძეს, რომელიც დესეტინაში 39 მანეთს და 12 ½ კაპ. იხდიდა. საერთოდ, დიდუბის ძველ მიწაზე ბაღ-ვენახები გაშენებული ჰქონდა 32 ოჯახს.

დღეს ძველი დიდუბის ტერიტორიაზე მიკროტოპონიმიკის სახით არცთუ ისე ბევრი სახელი შემოგვრჩა. მათგან ზოგი ძველია და ჭირს სადაურობისა და არსის დადგენა, ზოგი კი გასულ საუკუნეშია შექმნილი და მათი ახსნა სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული.

ძველი დიდუბის ტერიტორიაზე ადრეული სახელების დამოწმება ხერხდება, ძირითადად, XIX საუკუნეში შედგენილი (რუსი ჩინოვნიკების და სამხედრო პირთა მიერ) საქართველოს თუ თბილისის და მისი მიდამოების რუკებით და გეგმებით. აღნიშნულ რუკებზე და გეგმებზე არსებული ზოგიერთი სახელი დღეს ჩვენს სალაპარაკო ლექსიკაში აღარ იხმარება და ამდენად მათი ზუსტი მინიშნება, ეტიმოლოგიის ახსნა ჭირს. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, ჩვენ მაინც შევეცადეთ შეძლებისდაგვარად აღგვედგინა ზოგიერთი სახელი, დაგვედგინა მათი დღევანდელი ადგილმდებარეობა და ეტიმოლოგიაც აგვეხსნა.

ძველი სახელებია (შემორჩენილი): ხევ-ძმარი, ღრმა-ღელე, ყეენის გორა (ყეენისი), ლოტიკის გორა (ლოტკინი), ლოტიკის თავის გორა.

ახალი სახელებია: ნაძალადევი, ბოშათა დასახლება, ქურთთა დასახლება.

დაკარგული სახელებია: თელის წყარო, სამგლეები, მეკერაანთ ხევი (?), უმზერას მთა, შავტუხის წყარო, მელის გორა, გახიდულის გორა, სათათრო გზა, ბახუნდარის ხევი, ძეძვნარიანი ღელის თავის გორა, კვირიკობის გორა, მწარეღელის გორა, მწარეღელე.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მახლობლად, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდინარისაკენ დაშვებული თითქმის ყველა ხევი მშრალია. ხევებმა, ისევე, როგორც ბევრმა სხვა ადგილმა, თავიანთი სახელი მიიღეს მდებარეობის, ანდა მათზე არსებული მცენარეულობისა და ცხოველთა გამოისობით.

სიტყვა „ხევ-ძმარი" თვითონ მიგვანიშნებს ამ ხევის ავკარგიანობაზე. მეურნეობისათვის იგი გამოუსადეგარი, უწყლო,

მშრალი იყო: „ამ ავჭალის ბოლოს, — აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, — არს ხევძმარი, ჩამოვარდების მშრალი ხევი ქვითკირის ლილოდან მტკვრამდე“.

„ღრმა-ღელე“ ისევე, როგორც „ხევ-ძმარი“, მშრალი ხევია. დიდი წვიმების შემდეგ აქ მოვარდნა იცოდა დიდმა ნიაღვრებმა. ღელედან გადმოვარდნილი წყალი სასიკეთოს არას უქადდა ახლო-მახლო სახნავ-სათესს.

„ყეენის გორის“ სახელი შემორჩა დღევანდელ ლენინის რაიონში, ხევ-ძმარის დასახლებაში მდებარე გორას, თბილისის ზღვის უკიდურეს დასავლეთით. „ყეენის გორა“ შეიძლება აღნიშნულ ადგილს შერქმეოდა იმ თამაშობის თუ სანახაობის გამო, რომელიც იმართებოდა ხოლმე ყველიერში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. ყეენი ხომ აღნიშნულ თამაშში განსასვენებლად და მოსალხენად მაღალ ადგილს ირჩევდა. შეიძლება აქ მოსახლე ხალხმა გორას „ყეენისა“ შეარქვა იმის გამო, რომ აღნიშნული თამაშობისას „ყეენი“ საჯდომ ადგილად ამ გორას ირჩევდა.

„ყეენის გორის“ სიახლოვეს, დიდუბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე „სათათრო გზა“, „მწარეღელის ხევი“, ხოლო მის სამხრეთით „ბახუნდარის გორა“ (ბახუნდარეს თურქული სიტყვაა. ბეხინ, ბახუნ-მზერას, ცქერას ნიშნავს, დარე, დერე-ხევს). შეიძლება ჩვენი ქვეყნის ავბედითობის დროინდელი ისტორიის ერთ-ერთი მონაკვეთის გამოძახილიცაა.

დღეს ძველი დიდუბის ტერიტორიაზე ვხვდებით „ლოტკინის გორის“ დასახლებას. საიდან შეერქვა ამ გორას, ერთი შესედვით, სლავური ჟღერადობის სახელი?

1848 წლის თბილისის მიდამოების გეგმაზე ზუსტად იქ, სადაც დღეს ლოტკინის მთაა, დატანილია ლოტიკის თავის გორა, ხოლო მისგან სამხრეთით — მთა ლოტიკის გორა.

დღევანდელი „ლოტკინი“ რომ ძველი „ლოტიკია“ იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენ დღეს ორი „ლოტკინი“ გვაქვს: „ლოტკინის გორა“ და „ლოტკინის მთა“. როგორც ვნახეთ, გეგმაზე ორი „ლოტიკია“. „ლოტკინის მთაზე“ წყაროა (გეგმით). ასევე, დღევანდელი „ლოტკინის გორაზე“, გომარეთის ქუჩაზე, იყო მლაშე წყარო, რომელიც დასალევად უვარგისობის გამო გააუქმეს (ქუჩის კანალიზაციის ქსელს შეუერთეს). ამჟამინდელი ქართული მოსახლეობა

ჩამოსახლებულია ქვემო ქართლიდან, ძირითადად სოფელ გომარეთიდან. იმიტომაა, რომ აქ შვიდი ქუჩა გომარეთის სახელს ატარებს. ლოტკინის გორა მათი დასახლების დროს უკაცრიელი ადგილი იყო. 1941—1942 წლებში ლოტკინის გორაზე ჩნდება ქურთებისა და ბოშათა დასახლებები. აქვეა ქურთების სასაფლაოც. ბოშათა დასახლების მისანიშნებლად აქ მოლდავანის სახელობის ქუჩა არის.

„ლოტიკის თავის გორის" ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფერდის ძირში, „ილღვიანის ტბის" სიახლოვეს, „თელის წყაროა". ამ ადგილზე დღესაც არის წყარო, ოღონდ ის „ლეღვის წყაროს" სახელს ატარებს. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელმა მოსახლეობამ, რომელსაც აქ დასახლების სულ რაღაცა 30—40 წლის ისტორია აქვს, არ იცის ძველი სახელი „ლოტიკი" და მისი წარმოშობა.

1872 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზის ხაზის გახსნას მოჰყვა ძველი დიდუბის ტერიტორიის უგეგმოდ დასახლება-ათვისება. რკინიგზის მუშახელი ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თვითნებურად, ძალით იკავებდა დაუსახლებელ ადგილებს. ამის გამოისობით ახალშენს „ნაძალადევი", რუსულად „ნახალოვკა" ეწოდა.

თავისუფალი მიწების „მიტაცების" თავიდან აცილების მიზნით, დიდუბეში მიწების გაყიდვის საქმეს სათავეში ადგილობრივი ხელისუფლება ჩაუდგა. ამიერიდან მხოლოდ ის ყიდდა სამოსახლო მიწებს.

1874 წელს გაზეთი დროება (№ 445, გვ. 4) აქვეყნებს ოფიციალურ განცხადებას: „...დიდუბეში ისყიდება ზომიერ ფასად სამოსახლო ადგილები, რომელიც ეკუთვნის სტატსკი სოვეტნიკის ცოლს ეკატერინა ნადიროვისას. შეუძლიანთ იყიდონ, ვისაც რამდენი სურს. ფასის შეტყობა ნადიროვის მაღაზიაში, ერევნის მეიდანზე, თამამშევის ქარვასლის პირდაპირ შეიძლება".

რკინიგზამ ძველი დიდუბის ტერიტორია ორ ნაწილად გაყო. „ნაძალადევი" გაშენდა რკინიგზის გაღმა — აღმოსავლეთით, გამოღმა, დასავლეთ ნაწილს კი შერჩა ძველი სახელი დიდუბე.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდუბის დაუსახლებელი მიწების ათვისებას მოჰყვა ის, რომ დიდუბე მჭიდროდ შეემიჯნა

ქალაქს. ამ დროს დაისვა საკითხი თბილისთან მისი შეერთების შესახებ. დიდუბის აუთვისებელი და დაუსახლებელი მიწა გადაეცა ხაზინას.

ამგვარად დოკუმენტური მასალითა და წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ საქართველოს ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს დროს დიდუბე მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია (სასახლით, კარის ეკლესიით, ველ-მინდვრებით, სარწყავი რუთი) ყოფილა.

XVII საუკუნეში, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მშვიდობიანობის ჟამს, ვახტანგ V მეფობის ხანაში (1658—1676), დიდუბე სოფელია, რომელსაც დაწინაურებული მეურნეობა აქვს. ამის უცილობელი პირობებიც არსებობდა: ველ-მინდვრები, ავჭალიდან გამოტანილი სარწყავი რუ და შედარებით მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა.

იმის მიუხედავად, რომ სოფელი დიდუბე ჩვენს თვალსაწიერს დროდადრო ეფარება, XIX საუკუნემდე იგი სოფლური დასახლებაა, რომელიც სხვადასხვა საბატონო გამოსაღებით იბეგრება.

XVIII საუკუნის მიწურულიდან (1796 წლის შემდეგ) და XIX საუკუნის დასაწყისიდან სოფელი დიდუბე, როგორც ასეთი, უკვე აღარ არსებობდა. მისი მოსახლეობა დაიფანტა და გაისიზნა ქალაქისპირა სოფლებში, კერძოდ, კუკიაში, ჩუღურეთსა და თვით ქალაქ თბილისში. ისინი იხსენიებიან ამა თუ იმ ადგილას მსახლობელ დიდუბელებად, მაგალითად: „კუკიას მსახლობელი დიდუბელი", „ქალაქში მდგომი დიდუბელი" და სხვ.

* * *

თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თბილისმა მრავალი აწიოკება და დარბევა განიცადა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კულტურული, ადმინისტრაციული და ეკონომიური ცენტრის მნიშვნელობა მას არასოდეს დაუკარგავს, მაშინაც კი, როცა მისი მოსახლეობა კატასტროფულად მცირდებოდა.

ნუთუ თბილისის ქალაქობის არმოშლა მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობით უნდა აიხსნას? იგი ხომ ყოველთვის

მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე იდო, რის შესახებ ჯერ კიდევ IV საუკუნის რომაული რუკა მოგვითხრობს, ანდა სტრატეგიული მნიშვნელობით? აკი ამბობს კიდეც ლეონტი მროველი: „და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“.

ცხადია, ორივე ფაქტორი თბილისის ქალაქობის ისტორიაში უგულებელსაყოფი არაა, პირიქით, მეტისმეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მტრის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ ნანგრევებად ქცეული, გაპარტახებული ქალაქის აღდგენაში უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოქალაქეთა, მთელი ქართველი ხალხის განუსაზღვრელ, მაგიურ სიყვარულს თავისი დედაქალაქისადმი.

შინაარსი

... . 3
გარეთუბ.ნი 22
ვერე 40
ვეძისი 51
სეიდაბადი 53
თაბორის ციხე 72
კრწანისი 82
სონღალული 94
ავლაბარი 106
ღომელაური და დირსიჭალა 136
ნავთლული 140
ჩულურეთი 145
ელიას უბანი 175
კუკია 181
დიდუბე 210

ს. ბ. № 199

რედაქტორი მარინე სოხაძე
მხატვარი ვ. ორბელაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი ნ. მუსხელიშვილი
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 6/VII-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II-77 წ.
ანაწყობის ზომა 6×83/4
ქაღალდის ზომა 60×841/16
ნაბეჭდი თაბახი 13,48, საბ. ქაღ. № 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,53.
უე 00317 ტირაჟი 20.000 შეკვ № 2088
ფასი 35 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули»,
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7